



community  
identity  
stability



ოღდოს  
ჰაქსლი

საქართველი

## წინასიტყვაობა

„მაგრამ უტოპიები გაცილებით რეალური აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. და ახლა მეორე მტანჯველი შეკითხვა ითხოვს პასუხს: როგორ ავირიდოთ თავიდან მათი საბოლოო განხორციელება [...] უტოპიები შესაძლებელია. [...] ცხოვრება უტოპიებისკენ მიდის. და იქნებ ინტელიგენციისა და კულტურული ფენის ოცნებათა ახალი ასწლეული იწყება, რომელიც დასვამს შეკითხვას, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან უტოპიები და როგორ დავუბრუნდეთ არაუტოპიურ, ნაკლებად „სრულყოფილს“ და უფრო თავისუფალ საზოგადოებას“. ნიკოლაი ბერდიაევი ქართველი მკითხველი განებივრებული იყო და არის მსოფლიო ლიტერატურის შედეგების შესანიშნავი ქართული თარგმანებით, თუმცა დღემდე, რატომღაც, ოლდოს ჰაქსლის სულ რამდენიმე ნაწარმოებია გადმოქართულებული. მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი დისტოპიური რომანის – „საოცარი ახალი სამყაროს“ წინამდებარე თარგმანი ამ სიცარიელის ამოვსებას ისახავს მიზნად. „საოცარი ახალი სამყარო“ ამერიკული „უახლესი ბიბლიოთეკის“ მე-20 საუკუნის საუკეთესო რომანების ასეულში მოხვდა. ის სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში აკრძალული იყო. რომანი, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ორუელის „1984“-ს და „ცხოველების ფერმას“ თუ ბრედბერის „ფარენჰაიტი-451“-ს, რომანი-წინასწარმეტყველება, რომანი-გაფრთხილება – ოლდოს ლეონარდ ჰაქსლის (1894-1963) ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია. ჰუმანისტი, პაციფისტი და სატირის დიდოსტატი ჰაქსლი დაბადებიდანვე ინტელექტუალობისთვის იყო „განწირული“. მისი ოჯახი ინგლისის სამეცნიერო და კულტურულ არისტოკრატიას მიეკუთვნებოდა. მამა ლეონარდ ჰაქსლი მწერალი იყო; ბაბუა, თომას ჰაქსლი – ბიოლოგი, „დარვინის ბულდოგი“, როგორც მას ევოლუციური თეორიის მხარდაჭერისთვის უწოდებდნენ; ძმა ჯულიანი – ასევე ცნობილი ბიოლოგი და იუნესკოს პირველი დირექტორი გახლდათ. ჰაქსლის დედა არნოლდების გვარს ენათესავებოდა, რომელმაც ინგლისურ კულტურას არაერთი გამოჩენილი ადამიანი მოუვლინა. ჰაქსლიმ განათლება იტონსა და ოქსფორდში მიიღო. 16 წლის ასაკში თვალის დაავადებამ სერიოზულად დაუზიანა მხედველობა, რის გამოც უარი თქვა სამედიცინო კარიერაზე და 17 წლის ასაკში წერა დაიწყო. მწერლის ორმოცწლიანი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძალიან მრავალფეროვანი და უნივერსალურია: ლექსები, მოთხრობები, სცენარები, სამოგზაურო ქრონიკები, ისტორიული ბიოგრაფიები, კრიტიკული ესეები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფილოსოფიური ტრაქტატები. თუმცა საყოველთაო წარმატება მას 1920-30-იან წლებში გამოქვეყნებულმა რომანებმა მოუტანა. „ყვითელი კრონი“, „მასხრული ფერხული“, „კონტრაპუნქტი“, „ის უნაყოფო ფოთლები“, „საოცარი ახალი სამყარო“, „ბრმა ღაზაში“ – ამ ინტელექტუალურ, ე.წ. იდეების რომანებში ჰაქსლი ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პოლიტიკისა და ეთიკის ფუნდამენტურ საკითხებს იკვლევს. შემოქმედების გვიანდელ ეტაპზე მას სპირიტუალიზმი, კერძოდ პარაფსიქოლოგია და ფსიქოლოგიური მისტიციზმი იტაცებს. ამ პერიოდის ნაწარმოებებია „მარადიული ფილოსოფია“, „მრავალი ზაფხულის შემდეგ კვდება გედი“, „დრო უნდა გაჩერდეს“ და სხვ. ჰაქსლი დაინტერესებული იყო ადამიანის ფსიქიკასა და ცნობიერებაზე ფსიქოდელოგიური ნივთიერებების ზემოქმედებით. 1954 წელს, საკუთარი ექსპერიმენტული გამოცდილების საფუძველზე, მან ამ თემას მიუძღვნა ესეები „სამოთხე და ჯოჯოხეთი“ და „აღმის კარი“. ეს

უკანასკნელი საკულტო ტექსტად იქცა და სწორედ აქედან აიღო სახელწოდება როკ ჯგუფმა „The Doors“; ლეგენდარულმა „ბითლზმა“ კი ჰაქსლის ფოტო ალბომ „Sgt. Pepper’s“-ის გარეკანის ფოტოკოლაჟში მოათავსა. ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“ ჩაფიქრებული იყო, როგორც პაროდია ჰ. უელსის დისტოპიურ რომანზე „ადამიანები, როგორც ღმერთები“. ის 1932 წელს, პოლიტიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ზნეობრივ-ეთიკური რევოლუციების პერიოდში გამოიცა. კომუნიზმი რუსეთში, ფაშიზმის მომძლავრება ევროპაში, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის განვითარება, ხმოვანი კინო, მოდა, მასობრივი წარმოება – ფასეულობების ასეთივე რევოლუციური გადაფასება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მოხდა ამ წანამდღერებს ჰაქსლი სატირული, გროტესკული ხერხებით გადმოგვცემს რომანში და მისი თანამედროვე ტენდენციების იმ საზარელ შედეგებს წინასწარმეტყველებს, რომლებიც ექვსასი წლის შემდეგ, არცთუ უსისხლოდ, ტოტალიტარულ მსოფლიო სახელმწიფოდ ყალიბდება. ამ „საოცარ ახალ სამყაროში“ სტაბილურობას, ტექნიკურ პროგრესს, მომხმარებლობის და კეთილდღეობის აპოლოგიას ადამიანის თავისუფლება და ინდივიდუალობა, რელიგია და კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება ეწირება; ოჯახი, გრძნობები და ადამიანური ურთიერთობები ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიების, შობადობის ტოტალიტარული კონტროლისა და ახალი სექსუალური ტრადიციების მსხვერპლია; აქ უარყოფილია ისტორია და ახალი წელთაღრიცხვა პირველი საწარმოო კონვეიერის შემქმნელის, ჰენრი ფორდის დაბადებიდან იწყება; აქ ღმერთთან გაიგივებული არიან ფორდი და ფროიდი, ანუ მასობრივი წარმოება და მოხმარება, ლიბიდო და ჰიპნოზი; აქ, ინგლისურის გარდა, ყველა ენა მკვდარია, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად წახალისებული ნარკოტიკის წყალობით, არავინაა მარტო და ამ „სამოთხეში“ ყველა „ბედნიერია“. რომანის სათაური ჰაქსლიმ შექსპირის „ქარიშხლიდან“ აიღო, ხოლო თავად შექსპირის თემა, როგორც ხელოვნების, კაცობრიობის გენიის და ჰუმანიზმის სიმბოლო, სულიერებისგან აბსოლუტურად დაცლილ ახალ სამყაროს დაუპირისპირა. კრიტიკამ თავდაპირველად უარყოფითად მიიღო რომანი. მწერალს სიუჟეტი და პერსონაჟების ზედაპირულობა, სტრუქტურის სქემატურობა და ტონი დაუწუნეს. რომანში გამოთქმული აზრები უადგილო, არცთუ ორიგინალურ პროპაგანდად შერაცხეს, ჰაქსლის ბურჟუაზიული შეზღუდულობა დასწამეს და ჩათვალეს, რომ რომანის დაწერა „თავის შეწუხებადაც არ ღირდა“. ამ ფონზე, დადებითი შეფასებები ბევრად მოკრძალებული იყო. მიუხედავად ამისა, რომანმა დროის გამოცდას გაუძლო. თაობების ინტერესი მის მიმართ ოთხმოცი წლის მანძილზე არ განელებულა. დღეს ის გაცილებით უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე – დღევანდელი გლობალიზებული, მასობრივი ცნობიერებისა და პოპკულტურის სამყარო ამის ცხადზე უცხადესი დადასტურებაა. „ჩემი მაშინდელი პროგნოზი ექვსასი წლის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. დღეს კი სავსებით შესაძლებლად მეჩვენება, რომ ეს კომმარი ერთ საუკუნეში დაგვატყდეს თავს“... – ამბობდა ჰაქსლი, რომლის ოცნება იყო სამეცნიერო პროგრესის გამოყენება ადამიანის გასათავისუფლებლად და არა მის დასამონებლად. სიცოცხლის ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად გაისმოდა ჰაქსლის მოწოდება გამოღვიძებისა და დაფიქრებისკენ. გამოვიღვიძოთ და დაფიქრდეთ, სანამ გვიან არ არის.

მთარგმნელი

## თავი პირველი

სულ რაღაც ოცდაათობმეტსართულიანი დაბალი რუხი შენობა. მთავარ შესასვლელზე წარწერაა, „ცენტრალური ლონ დონის ინკუბატორი და აღმზრდელობითი ცენტრი“, ფარზე – მსოფლიო სახელმწიფოს დევიზი, „ერთობა, ერთგვაროვნება, სტაბილურობა“. პირველი სართულის უხარმაზარი ოთახი ჩრდილოეთისკენ გადის. ზაფხულია, ოთახში აუტანლად ცხელა, ფანჯარაში შემოჭრილი მკვეთრი შუქის წვრილი ზოლი კი ცივია და ხარბად დაეძებს რაიმე თბილს, ადამიანის კანს, ან, თუნდაც, ტანსაცმლის ნაკვეცს, მაგრამ მინას, ნიკელსა და ლაბორატორიის მქრქალ ფაიფურს აწყდება მხოლოდ. სიციხის მიუხედავად, ფანჯრის ორივე მხარეს ზამთარს დაუსადგურებია. თეთრ კომბინეზონებში გამოწყობილ ლაბორანტებს გვამისფერი რეზინის ხელთათმანები აცვიათ. შუქი გაყინულია, მკვდარია, მოჩვენებაა. ის მხოლოდ მიკროსკოპის ყვითელ მილებზე მოხვედრისას ცოცხლდება და კარაქივით ედება სამუშაო მაგიდეზე გრძელ მწკრივად ჩარიგებულ, გაპრიალებულ ტუბუსებს. – ეს კი, – ოთახის კარი ცენტრის დირექტორმა შეაღო, – ეს განაყოფიერების დარბაზია. ხელსაწყობზე დახრილი განაყოფიერების ლაბორატორიის სამასი სპეციალისტი მთლიანად ჩაფლულა საქმეში. უსიცოცხლო სიჩუმეს დროდადრო მხოლოდ ჩამღერება ან ხმადაბალი სტვენა თუ არღვევს. დირექტორს ფეხდაფეხ პირტიტველა სტუდენტების ჯგუფი მოჰყვება. სახეზე მლიქვნელობაგარეული მორჩილება აღბეჭდვიათ, ხელში რვეულები უჭირავთ, რომლებშიც გულმოდგინედ იწერენ ბრძენკაცის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას. ინფორმაციის მიღების ასეთი შესაძლებლობა ყოველდღე როდი აქვთ. ცენტრის განყოფილებებისა და დარბაზების ახალი სტუდენტებისთვის გაცნობა ცენტრალური ლონდონის ინკუბატორისა და აღმზრდელობითი ცენტრის დირექტორს საკუთარ წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია. – ზოგადი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, – განმარტავდა შემოვლის მიზანს. ბუნებრივია, საქმე გონივრულად რომ აკეთონ, გარკვეული ზოგადი წარმოდგენა მაინც უნდა შეუქმნან; მაგრამ საზოგადოების დადებითი და ბედნიერი წევრების ჩამოსაყალიბებლად ინფორმაციის დოზა შეძლებისდაგვარად მინიმალური უნდა იყოს. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ზნეობისა და ბედნიერების საფუძველი წვრილმან დეტალებზე კონცენტრირებაა. ზოგადი ცნებებით აზროვნებას ბოროტების მეტი არაფერი მოაქვს. საზოგადოების დასაყრდენს ფილოსოფოსები კი არა, მესაათეები და ფილატელისტები შეადგენენ. – ხვალიდან, – აფრთხილებდა კეთილგანწყობილი, მაგრამ მკაცრი დირექტორი ახალგაზრდებს, – სერიოზულ საქმეს უნდა შეუდგეთ. ზოგადი ცნებებით აზროვნებისთვის დრო აღარ დაგრჩებათ. ჯერჯერობით კი... ჯერჯერობით კი სიბრძნე პირველწყაროდან პირდაპირ რვეულებში გადააქვთ. ეს კი დიდი პატივია; ამიტომაც იწერენ ასეთი თავგამოდებით. მაღალი, საკმაოდ გამხდარი და წელში გამართული დირექტორი დარბაზში შევიდა. გრძელი ნიკაპი ჰქონდა; დიდ, საკმაოდ წინწამოწყულ კბილებს სავსე წითელი ტუჩები ძლივს უფარავდა, როცა არ ლაპარაკობდა. მოხუცია თუ ახალგაზრდა? რამდენი წლის იქნება? ოცდაათის? ორმოცდაათის თუ ორმოცდათხუთმეტის? ძნელი სათქმელია. თანაც ასეთ კითხვებს ვინღა სვამს?

სტაბილურობის ეპოქაში, ფორდის წელთაღრიცხვის 632-ე წელს, ასეთი კითხვები თავში აღარავის მოსდის. – დავიწყებ თავიდან, – თქვა დირექტორმა, და ყველაზე თავგამოდებულმა სტუდენტებმა რვეულებში სასწრაფოდ შეიტანეს: დავიწყებ თავიდან. – აქ ინკუბატორები გვაქვს, – მიუთითა და თბოგაუმტარი კარი შეაღო, რომლის მიღმა ჩამწვრივებულ სტელაჟებზე დანომრილი სინჯარები ეწყო. – ეს კვერცხუჯრედების ერთი კვირის მარაგია, – უხსნიდა სტუდენტებს, – ინახება ორგანიზმის სისხლის ტემპერატურაზე; რაც შეეხება მამრობით სასქესო უჯრედებს, – დირექტორმა მეორე კარი შეაღო, – ისინი ოცდაჩვიდმეტის ნაცვლად, ოცდათხუთმეტ გრადუსზე ინახება. სისხლის ტემპერატურა მათ უნაყოფობას იწვევს. (ბამბაში თუ შეფუთე, ვერძი შთამომავლობას ვერ მოგცემს). ჯერ კიდევ ინკუბატორებზე დახრილმა დირექტორმა თანამედროვე განაყოფიერების პროცესის მოკლე აღწერა დაიწყო, კალმები ფურცლებზე აწრიპინდა. პირველ რიგში, პროცესის საწყისი – ქირურგიული ეტაპი მიმოიხილა, ოპერაცია, „რომელზეც ნებაყოფლობით მიდიან საზოგადოების საკეთილდღეოდ, რომ არაფერი ვთქვათ ექვსი თვის ხელფასის ოდენობის გასამრჯელოზე“; შემდეგ ამოკვეთილი საკვერცხის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და ნაყოფიერების განვითარების მეთოდებზე ილაპარაკა; ოპტიმალურ ტემპერატურას, მარილოვან შემადგენლობას და წებოვნებასაც შეეხო; ასევე საკვებ სითხეს, რომელშიც დაცალკევებული მომწიფებული კვერცხუჯრედები ინახებოდა; მერე თავის აღსაზრდელებს სამუშაო მაგიდებისკენ გაუძღვა და სითხის სინჯარებიდან ამოღების ტექნიკა უჩვენა; უჩვენა, წვეთწვეთობით როგორ ათავსებდნენ სითხეს მიკროსკოპის შემთბარ სასაგნე მინაზე; როგორ ამოწმებდნენ დეფექტებზე თითოეულ წვეთში არსებულ კვერცხუჯრედს, როგორ ითვლიდნენ და ათავსებდნენ მას სპეციალურ ფოროვან რეზერვუარში; როგორ უშვებდნენ რეზერვუარს (ახლა სტუდენტებს დაკვირვების საშუალებაც მისცა) თბილ ბულიონში თავისუფლად მოძრავი სპერმატოზოიდებით, რომელთა მინიმალური კონცენტრაცია ერთ კუბურ სანტიმეტრზე ასი ათასი უნდა ყოფილიყო – ეს ხაზგასმით აღნიშნა; როგორ იღებდნენ ათი წუთის შემდეგ ჭურჭელს სითხიდან და როგორ ამოწმებდნენ მის შიგთავსს; ერთი კვერცხუჯრედის გაუნაყოფიერებლობის შემთხვევაში ჭურჭელს ბულიონში ხელმეორედ უშვებდნენ, საჭიროების მიხედვით – მესამედაც; როგორ აბრუნებდნენ განაყოფიერებულ კვერცხუჯრედებს უკან, ინკუბატორში, სადაც ალფები და ბეტები ბოთლებში საბოლოო ჩამოსხმამდე რჩებოდნენ; ხოლო გამებს, დელტებსა და ეფსილონებს ოცდათექვსმეტი საათის შემდეგ იღებდნენ და ბოკანოვსკის მეთოდით დასამუშავებლად მიჰქონდათ. – ბოკანოვსკის მეთოდი, – გაიმეორა დირექტორმა, სტუდენტებმა კი რვეულებში ამ სიტყვებს ხაზი გაუსვეს. ერთი კვერცხუჯრედიდან ერთი ემბრიონი და ერთი ზრდასრული ადამიანი ყალიბდება – ესნორმაა. ბოკანოვსკის მეთოდით დამუშავებული კვერცხი კი იკვირტება, მრავლდება და იყოფა. ის რვიდან ოთხმოცდათექვსმეტ კვირტამდე იძლევა. თითოეული კვირტიდან სრულყოფილად ჩამოყალიბებული ჩანასახი ვითარდება, ხოლო ყოველი ჩანასახიდან – ნორმალური ზომის მოზრდილი ადამიანი. ანუ ვდებულობთ ოთხმოცდათექვსმეტ ადამიანს იქ, სადაც წინათ მხოლოდ ერთი მიღება შეგვეძლო. აი, პროგრესი! – არსებითად, – განაგრძობდა ინკუბატორისა და აღზრდელიობითი ცენტრის დირექტორი, – ბოკანოვსკის მეთოდი განვითარების შემაფერხებელი პროცედურების მთელ რიგს მოიცავს. ჩვენ ვთრგუნავთ ნორმალურ ზრდას და, რა პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, კვერცხუჯრედი ამ პროცესზე გამრავლებით რეაგირებს! გამრავლებით რეაგირებს. კალმები

დაულაღავად წრიპინებენ. დირექტორმა მარჯვენა მხარისკენ მიუთითა. ძალიან ნელა მოძრავი კონვეიერის ლენტზე მოთავსებული სინჯარებით სავსე შტატივი დიდ ლითონის ყუთში შევიდა, ყუთის მორე მხრიდან კი იგივე შტატივი გამოვიდა დამუშავებული სინჯარებით. მექანიზმი ხმადაბლა გუგუნებს. სინჯარების დამუშავებას, ანუ ყუთის გავლას რვა წუთი სჭირდება, თქვა დირექტორმა. რენტგენით ინტენსიური დასხივების რვა წუთი – ეს კვერცხუჯრედის გამძლეობის მაქსიმუმია. ზოგიერთი ვერ უძლებს და იღუპება; დარჩენილებიდან ყველაზე ნაკლებად მგრძობიარე ორად იყოფა; უმრავლესობა ოთხ კვირტს იძლევა; ზოგიერთი – რვას; ყველას ინკუბატორებში აბრუნებენ, სადაც კვირტები განვითარებას იწყებენ; ორი დღის შემდეგ მათ უეცრად ყინავენ ზრდის შესაჩერებლად. მაგრამ უჯრედები გაყინვაზე გამრავლებით რეაგირებენ – თითოეული კვირტიდან ორი, ოთხი, რვა ახალი კვირტი მიიღება. შემდგომი ეტაპი მათზე სპირტის თითქმის მომაკვდინებელი დოზით ზემოქმედებაა, რასაც შედეგად ისევ და ისევ ახალი კვირტების გამოღება მოსდევს. ამ ეტაპიდან უჯრედებს თავისუფლად გამრავლების საშუალება ეძლევათ, რადგან ზრდის შემდგომი შეფერხება, ჩვეულებრივ, ფატალურად მთავრდება. ასე რომ, ერთი საწყისი კვერცხუჯრედიდან ვიღებთ რვიდან ოთხმოცდათექვსმეტამდე ჩანასახს – ეს გამრავლების ბუნებრივი პროცესის უდავოდ არაჩვეულებრივი გაუმჯობესებაა. ამავე დროს ჩნდება ათეულობით იდენტური ტყუპი და არა რაღაც საცოდავი ორი ან სამი, როგორც ეს ძველად, ცოცხალშობიარობისას ხდებოდა, და რაც კვერცხუჯრედის იშვიათ, შემთხვევით გაყოფაზე იყო დამოკიდებული. – ათეულობით, – გაიმეორა დირექტორმა და ხელები ისე გაშალა, თითქოს მოწყალებას არიგებდა. – ათეულობით. ერთ-ერთი სტუდენტი იმდენად უგუნური აღმოჩნდა, რომ იკითხა, რა სარგებლობა მოჰქონდა ამას. – ჩემო კარგო! – დირექტორი მისკენ მკვეთრად შეტრიალდა. – ნუთუ ვერ ხვდებით, ნუ-თუ ვერ ხვდებით? – ხელი აღმართა; სახეზე საზეიმო გამომეტყველება დაეფინა. – ბოკანოვსკის მეთოდი სოციალური სტაბილურობის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია! სოციალური სტაბილურობის უმთავრესი იარაღი. ჩაიბეჭდა რვეულებში. სტანდარტული ადამიანების ერთგვაროვან სერიებად წარმოება. ბოკანოვსკის მეთოდით დამუშავებული ერთი კვერცხუჯრედიდან მიღებული პროდუქციით შესაძლებელია პატარა ქარხნის სრულად დაკომპლექტება პერსონალით. – ოთხმოცდათექვსმეტი იდენტური ტყუპი ოთხმოცდათექვსმეტი იდენტურ დაზგასთან! – დირექტორს ხმა შთაგონებით აუთრთოლდა. – აქ კი მყარად ვდგავართ დედამიწაზე. ისტორიაში პირველად. მან პლანეტის ლოზუნგის ციტირება გააკეთა. „ერთობა, ერთგვაროვნება, სტაბილურობა“. დიდებული სიტყვებია. ბოკანოვსკიზაცია რომ დაუსრულებლად შეგვეძლოს, ყველა პრობლემა გადაჭრილი გვექნებოდა. მათ გადაჭრიდნენ სტანდარტული გამები, ერთმანეთის მსგავსი დელტები, ერთნაირი ეფსილონები. მილიონობით იდენტური ტყუპი. მასობრივი წარმოების პრინციპი, როგორც იქნა, ბიოლოგიაშიც დაინერგა. – მაგრამ ვაი რომ უსასრულო ბოკანოვსკიზაცია შეუძლებელია, – დირექტორმა თავი სინანულით გააქნა. როგორც ჩანს, ოთხმოცდათექვსმეტი ზღვარია; სამოცდათორმეტი – კარგი საშუალო მაჩვენებელი. იდეალთან მიახლოება (სამწუხაროდ, მხოლოდ მიახლოება) ერთი მამრის გამეტებიდან და ერთი კვერცხუჯრედიდან ბოკანოვსკიზებული იდენტური ტყუპების მაქსიმალური პარტიის მიღებით არის შესაძლებელი. თუმცა ადვილი არც ესაა. – ბუნებრივ პირობებში ორასი კვერცხუჯრედის მომწიფებას ოცდაათი წელი სჭირდება. ჩვენი მიზანი კი მოსახლეობის რაოდენობის უწყვეტი

სტაბილიზაციაა, თანაც დაუყოვნებლივ. ტყუპების კუს ნაბიჯით წარმოების მეოთხედ საუკუნეზე გაჭიმვა რაში გამოგვადგება? როგორც ჩანს, არაფერში. თუმცა მომწიფების პროცესი არაჩვეულებრივად დაჩქარდა პოდსნაპის მეთოდის გამოყენებით. ის უზრუნველყოფს საკვერცხიდან მინიმუმ ასორმოცდაათი მომწიფებული კვერცხუჯრედის მიღებას ორი წლის განმავლობაში. მათი განაყოფიერებით და ბოკანოვსკიზაციით, ანუ სამოცდათორმეტჯერ გამრავლებით, იდენტური ტყუპების ასორმოცდაათი სერიიდან საშუალოდ თერთმეტი ათასი დამმის მიღება შეიძლება, ისიც სულ რაღაც ორწლიან შუალედში. – გამონაკლის შემთხვევაში კი ერთი საკვერცხიდან შეგვიძლია დაახლოებით თხუთმეტი ათასი ზრდასრული ადამიანი მივიღოთ. დირექტორმა ლოყაწითელ ქერა ახალგაზრდას მოუხმო, რომელმაც იქვე ჩაიარა. – ბატონო ფოსტერ, – დაუძახა. ახალგაზრდა მიუახლოვდა. – ერთი საკვერცხის ნაყოფიერების რეკორდული მაჩვენებელი დაგვისახელოთ, თუ შეიძლება. – ჩვენს ცენტრში ეს მაჩვენებელი თექვსმეტი ათას თორმეტია, – დაუფიქრებლად მიუგო ახალგაზრდამ. ცოცხალი, ცისფერი თვალები ჰქონდა, ძალზე სწრაფად მეტყველებდა და ციფრებთან ურთიერთობა აშკარად დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. – თექვსმეტი ათას თორმეტი. იდენტური ტყუპების ასოთხმოცდაცხრა სერიიდან. თუმცა ზოგიერთ ტროპიკულ ცენტრში ბევრად უკეთესი შედეგები აქვთ, – განაგრძობდა, – სინგაპურში ხშირად თექვსმეტი ათას ხუთასამდე ადიან; მომბასამ კი ჩვიდმეტიათასიან ნიშნულს მიაღწია. მაგრამ კონკურენცია უთანასწოროა. ერთი გაჩვენათ შავკანიანის საკვერცხის რეაქცია ჰიპოფიზის ექსტრაქტზე! გასაოცარია, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ევროპულ მასალაზე მუშაობას ხარტ ჩვეული. და მაინც, – დაამატა სიცილით (თვალებში ბრძოლის ჟინი აენთო, ნიკაპიც გამომწვევად ასწია), – მაინც შევეჯიბრებით. სწორედ ახლა არაჩვეულებრივ დელტა-მინუს საკვერცხეზე ვმუშაობ, რომლისგანაც წელიწადნახევარში თორმეტი ათას შვიდასი ბავშვი მივიღეთ ემბრიონების ან დაფასოებული სახით, და მუშაობას მთელი დატვირთვით ვაგრძელებთ. ტროპიკებს აუცილებლად გავუსწრებთ! – სწორედ ასეთი შემართება მომწონს! – დირექტორმა ბატონ ფოსტერს მხარზე ხელი დაჰკრა. – შემოგვიერთდით და ბიჭებს თქვენი ცოდნა გაუზიარეთ. ბატონმა ფოსტერმა მოკრძალებულად გაიღიმა. – სიამოვნებით. შემოვლა ერთად განაგრძეს. დაფასოების დარბაზში შეხმატკბილებული და მოწესრიგებული ფუსფუსი იყო. სარდაფში მდებარე ორგანოების საწყობიდან პატარა ჩქაროსნული ლიფტებით ღორის ახალი პერიტონეუმის სათანადო ზომებად დაჭრილი ნაფლეთები ამოჰქონდათ. ისმის ჩხაკუნი. ლიფტის სახურავი იღება. ლაბორანტი ხელს იწვდის, ნაფლეთს იღებს, ბოთლში დებს, ასწორებს და სანამ ბოთლი გაწვდილი ხელის მანძილზე დაშორდება, ისევ ჩხაკუნს! სარდაფიდან პერიტონეუმის მეორე ნაფლეთი ამოდის, მომდევნო ბოთლში რომ მოთავსდეს; მერე მესამე, მეოთხე, და ბოთლების მოძრაობა კონვეიერის ლენტზე უსასრულოდ გრძელდება. შემდეგ ჩამწერგავების ჯერი დგება. ლენტი მოძრაობს; კვერცხუჯრედები სათითაოდ გადააქვთ სინჯარებიდან შედარებით მოზრდილ ბოთლში; პერიტონეუმის საფენი მოხერხებულად იჭრება, მორულა<sup>1</sup> თავის ადგილას თავსდება და მარილის ხსნარი ესხმება... ბოთლმა გაიარა, საქმეში კი ეტიკეტის მიმკვერელები ერთვებიან. მემკვიდრეობა, განაყოფიერების თარიღი, ბოკანოვსკის ჯგუფის წევრობა – დაწვრილებითი მონაცემები სინჯარიდან ბოთლზე გადააქვთ. ანონიმურობა წარსულს ჩაბარდა, სახელდარქმეული, პასპორტიზებული ბოთლების მწკრივი ნელა განაგრძობს მოძრაობას და კედელში

გამოჭრილი ფანჯრიდან ტაატით შედის სოციალური ხვედრის განსაზღვრის დარბაზში. – კარტოთეკის მოცულობა ოთხმოცდარვა კუბური მეტრია, – ოთახში შესვლისთანავე სიამაყით აღნიშნა ბატონმა ფოსტერმა. – ყოველგვარი საჭირო ინფორმაციით, – დაამატა დირექტორმა. – რომლის განახლება ყოველ დილით ხდება. – ხოლო კოორდინირება – ყოველ საღამოს. – ამ კარტოთეკის მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებენ გათვლებს საჭირო კონტინგენტისთვის. – განსაზღვრული თვისებების მქონე ინდივიდებზე, კონკრეტული რაოდენობით, – განმარტა ბატონმა ფოსტერმა. – შემდეგ კი აწვდიან კონკრეტული რაოდენობით. – დაფასობის და ბოთლიდან ამოყვანის ტემპი ყოველთვის ოპტიმალურია. – გაუთვალისწინებელ დანაკარგებს დაუყოვნებლივ ავსებენ. – სწორედ რომ დაუყოვნებლივ! იაპონიის ბოლო მიწისძვრის შემდეგ, პრაქტიკულად, სამსახურში ვცხოვრობდი! – სიცილით თქვა ბატონმა ფოსტერმა და თავი გააქნია. – სოციალური ხვედრის განსაზღვრის სპეციალისტები განაყოფიერების ექსპერტებს შეკვეთებს აძლევენ სასურველ რაოდენობაზე. – მათგან კი ემბრიონების შეკვეთილ რაოდენობას ღებულობენ. – ბოთლები აქ ინდივიდის სოციალური ხვედრის ზუსტად განსაზღვრის მიზნით შემოდის. – შემდეგ კი ქვემოთ, ემბრიონების საწყობში იგზავნება. – ახლა ჩვენც იქით გავემართებით. ბატონმა ფოსტერმა კარი შეაღო და სარდაფის კიბეს პირველი დაუყვა. აქაც პაპანაქება იდგა, თანდათან სიბნელე ისადგურებდა. ორი კარი და მათ შორის მოქცეული დერეფნის ორი მოსახვევი სარდაფში დღის შუქის მოხვედრას სავსებით გამორიცხავდა. – ემბრიონი ფოტოფირივითაა, მხოლოდ წითელ სინათლეს უძლებს, – გაიხუმრა მისტერ ფოსტერმა, მეორე კარი შეაღო და სტუდენტებთან ერთად მცხუნვარე სარდაფში შეაბიჯა, სადაც წითელი სიბნელე ისე ვარვარებს, როგორც ზაფხულის ხვატი თვალის დახუჭვისას. კონვეიერის იარუსებზე წინ და ზემოთ უწყვეტად მოძრავი ურიცხვი მრგვალი ბოთლი შუქს წითლად ირეკლავს. წითელ ანარეკლებს შორის ადამიანთა მეწამულად დაბინდული, წითელსახიანი და წითელთვალეებიანი აჩრდილები მოძრაობენ, წითელი მგლურათი დაავადებულებს ჰგვანან. სიჩუმეს ოდნავ არღვევს მანქანების ყრუ გუგუნი. – კიდევ რა მონაცემებს შემოგვთავაზებთ, მისტერ ფოსტერ? – დირექტორი აშკარად დაიღალა ლაპარაკით. მისტერ ფოსტერს კი რიცხვებზე ლაპარაკი ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ემბრიონების საწყობის სიგრძე ორასოცი მეტრია, სიგანე – ორასი, სიმაღლე – ათი. ხელით ზემოთ მიუთითა. სტუდენტებმა თვალეები ჭერს მოწყურებული წიწილებივით მიაპყრეს. კონვეიერის ლენტის სამი დონე: ქვედა, შუა და ზედა. აბლაბუდასავით დაქსაქსული, ყველა მიმართულებით გადაჭიმული იარუსები სიბნელეში თანდათან უჩინარდება. იქვე სამი წითელი აჩრდილი ენერგიულად ტვირთავს მოწულ ბოთლებს მოძრავი კიბიდან. ეს ესკალატორია სოციალური ხვედრის განსაზღვრის დარბაზიდან. თითოეული ბოთლი თხუთმეტი ლენტიდან ერთ-ერთზე თავსდება; ლენტი თვალისთვის შეუმჩნეველად მოძრავი კონვეიერია, რომელიც საათში ოცდაცამეტახევარი სანტიმეტრის სიჩქარით მოძრაობს. მარშრუტი – ორიათას ასოცდათექვსმეტი მეტრი ორასსამოცდაშვიდი დღის განმავლობაში, დღეში რვა მეტრი. კონვეიერი ერთ ბრუნს პირველ დონეზე აკეთებს, შემდეგს – მეორეზე, კიდევ ნახევარი ბრუნი მესამე დონეზე და ორასსამოცდაშვიდე დღეს, დილას, ბოთლის გახსნის დარბაზში დღის სინათლე – დამოუკიდებელი არსებობის დასაწყისი. – კონვეიერზე მოძრაობის პროცესში, ამოყვანამდე, ემბრიონებზე ინტენსიურ, ძ-ა-ა-ა-ლიან ინტენსიურ ზემოქმედებას ვაწარმოებთ, – საქმის მცოდნე ტრიუმფატორის ღიმილით აღნიშნა მისტერ ფოსტერმა.



– სწორედ ეს შემართება მომწონს, – გაიმეორა დირექტორმა. – გავაგრძელოთ შემოვლა და ყველაფერი აუხსენით, მისტერ ფოსტერ. მისტერფოსტერმა საჭირო ინფორმაციის გაზიარება განაგრძო. მიმოიხილა ემბრიონის ზრდის პროცესი პერიტონეუმის საფენზე. სტუდენტებს მის საკვებად გამოყენებული სისხლის სუროგატი გაასინჯა. აუხსნა ნაყოფის პლაცენტინითა და თიროქსინით სტიმულაციის არსი. ასევე, ყვითელი სხეულის ექსტრაქტის დანიშნულება განუმარტა და უჩვენა ინჟექტორები, რომლითაც ის ავტომატურად შეჰყავდათ კონვეიერის ყოველ მეთორმეტე მეტრზე, ნულიდან ორი ათას ორმოც მეტრამდე მონაკვეთში. ილაპარაკა ჰიპოფიზის ექსტრაქტის თანდათანობით მზარდ დოზებზე, რომელიც მარშრუტის დამასრულებელ ოთხმოცდათექვსმეტ მეტრზე შეჰყავდათ. აღწერა ასმეთორმეტე მეტრზე ყველა ბოთლში ჩანერგილი დედის სისხლის მიმოქცევის ხელოვნური სისტემა; უჩვენა სისხლის შემცვლელის რეზერვუარი და ცენტრიდანული ტუმბო, რომელიც უზრუნველყოფდა სისხლის მიმოქცევას პლაცენტაში, ხელოვნურ ფილტვსა და გამწმენდ ფილტრში. ამავე დროს სტუდენტებს ესაუბრა ნაყოფის არასასურველ მიდრეკილებაზე ანემიის მიმართ, რომლის საწინააღმდეგოდ ღორის კუჭისა და ცხენის ემბრიონის ექსტრაქტის დიდი დოზები გამოიყენებოდა. თითოეული რვამეტრიანი მონაკვეთის ბოლო ორ მეტრზე ყველა ბოთლის ერთდროულად შენჯღრევის მარტივი ტექნიკა წარმოადგინა; ამით ემბრიონებს მოძრაობას აჩვენებდნენ. განიხილა ეგრეთ წოდებული „ამოყვანის ტრავმა“ და ამ სახიფათო გართულების შესამსუბუქებლად მიღებული ზომები, რაც ჯერ კიდევ ბოთლად მყოფი ემბრიონების სპეციალურ წვრთნაში გამოიხატებოდა. შეეხო მარშრუტის მეორასე მეტრზე ჩასატარებელ სქესის განსაზღვრის ტესტს. მარკირების სისტემაც განმარტა: „T“ მამრებს აღნიშნავდა, „O“ – მდედრებს, თეთრ ფონზე კითხვის ნიშანი კი – უნაყოფო მდედრებს. – ალბათ გესმით, – განაგრძობდა მისტერ ფოსტერი, – რომ ყველა მდედრი ემბრიონის კვერცხუჯრედის განაყოფიერება სრული უაზრობაა. ათას ორასი კვერცხუჯრედიდან ერთის განაყოფიერება ჩვენს მიზნებს სავსებით აკმაყოფილებს. მაგრამ გვინდა არჩევანიც გავზარდოთ და ნაყოფიერების სარეზერვო მარაგიც შევქმნათ. ამიტომ ნორმალური განვითარების საშუალებას მდედრი ემბრიონების, სულ მცირე, ოცდაათ პროცენტს მაინც ვაძლევთ. დანარჩენი სამოცდაათი პროცენტი მამაკაცის სასქესო ჰორმონის გარკვეულ დოზას იღებს დარჩენილი მარშრუტის ყოველ ოცდაათ მეტრზე. შედეგი – სავსებით ნორმალური ფიზიკური განვითარების მდედრი („თუკი“, ალიარა მისტერ ფოსტერმა, „ლოყებზე წვერისმაგვარი ღინღლის ზრდას არ ჩავთვლით“), რომელსაც განაყოფიერების უნარი სამუდამოდ აქვს დაკარგული. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ბუნების უბრალო მონური იმიტაციის სფეროდან ადამიანის გამოგონებათა შეუდარებლად უფრო საინტერესო სამყაროში შევაბიჯეთ, – გრძელდებოდა მონოლოგი. მისტერ ფოსტერმა ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა. – რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ნაყოფის გამოზრდა ვერ დაგვაკმაყოფილებს: შვილის მუცლით ტარება ძროხასაც შეუძლია. ჩვენ წინასწარ ვგეგმავთ, ვაყალიბებთ, უზრუნველყოფთ ჩვენი ბავშვების სოციალიზებულ არსებებად დაბადებას, ანუ მომავალ აღფებად ან ეფსილონებად, მომავალ მკერავებად ან მომავალ... – „მსოფლიოს მომავალ მაკონტროლებლებადო“, კინაღამ წამოსცდა, მაგრამ აზრი მკვირცხლად შეცვალა და „ინკუბატორის დირექტორებადო“, წარმოთქვა. ინკუბატორისა და აღმზრდელობითი ცენტრის დირექტორმა ქათინაური ღიმილით მიიღო. შემდეგი გაჩერება – მე-11 ლენტის 320-ე მეტრთან. ქანჩსაჭერით შეიარაღებული ახალგაზრდა ბეტა-მინუს მექანიკოსი მოძრავი

ბოთლის ხელოვნური სისხლის ტუმბოს უკირკიტებს. ქანჩების მოჭერის რიტმში თანდათან სუსტდება ელექტროძრავის მოგუდული გუგუნი... ხელსაწყოს კიდევ ერთი შემოტრიალება, მრიცხველის გადამოწმება და ტუმბო მზადაა; მექანიკოსი ორ ნაბიჯს დგამს კონვეიერის გასწვრივ და შემდეგი ტუმბოს რეგულირების პროცედურა თავიდან იწყება. – სისხლის მიმოქცევის წუთობრივ რიტმს ვამცირებთ, – განმარტა მისტერ ფოსტერმა. – ცირკულაციის სიჩქარე მცირდება, მათ შორის ფილტრშიც, და ემბრიონს ნაკლები ჟანგბადი მიეწოდება. ჟანგბადის ნაკლებობა კი საუკეთესო მეთოდია ემბრიონის სუბნორმალური განვითარებისთვის. – ხელები კვლავ მოიფშვნიტა. – ემბრიონის სუბნორმალური განვითარება რაღაში გვჭირდება? – გულუბრყვილოდ იკითხა ერთ-ერთმა სტუდენტმა. – ყყყეო! – ჩამოწოლილი ხანგრძლივი სიჩუმე დირექტორმა დაარღვია. – თავში არასოდეს მოგსვლია, რომ ეფსილონის ემბრიონს ეფსილონის მარტო გენეტიკა კი არა, გარემოც ეფსილონის სჭირდება? შერცხვენილი სტუდენტი წამოჭარხლდა. ასეთი რამ თავში ნამდვილად არ მოსვლია. – რაც უფრო დაბალია კასტა, – ჩაერთო მისტერ ფოსტერი, – მით უფრო ნაკლები უნდა იყოს მიწოდებული ჟანგბადის რაოდენობა. ჟანგბადის ნაკლებობა პირველ რიგში თავის ტვინს აზიანებს. შემდეგ ჩონჩხს. ჟანგბადის ნორმალური რაოდენობის სამოცდაათი პროცენტის მიწოდებით ქონდრისკაცს მივიღებთ, შემდგომი შემცირებით კი – ყოვლად უსარგებლო, მახინჯ უთვალო არსებებს, – განმარტა მისტერ ფოსტერმა. – აი, მომწიფების დაჩქარებული მეთოდის გამოგონება კი უდიდესი მიღწევა იქნება და საზოგადოებას განუზომებლ სიკეთეს მოუტანს, – ბატონი ფოსტერის ხმაში იდუმალეობა და მღელვარება გაკრთა. – მაგალითისთვის განვიხილოთ ცხენი. განიხილეს. ცხენის მომწიფების ასაკი ექვსი წელია, სპილოსი – ათი. ცამეტი წლის ადამიანი სქესობრივად ჯერ მოუმწიფებელია, ზრდასრულობას მხოლოდ ოცი წლის ასაკში აღწევს. ადამიანის გახანგრძლივებული განვითარების ნაყოფი მისი ინტელექტია. – მაგრამ ეფსილონებში, – სამართლიანად აღნიშნა ბატონმა ფოსტერმა, – ადამიანის ინტელექტი არაფერში გვჭირდება. არ გვჭირდება და არც ვუყალიბებთ. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეფსილონის გონებრივი განვითარება ათი წლის ასაკში მთავრდება, თვრამეტ წლამდე მისი სხეული ფიზიკური სამუშაოსთვის გამოუსადეგარია. ეს ნიშნავს, რომ უმწიფრობის რვა წელი ფუჭად იკარგება. ახლა წარმოიდგინეთ ეფსილონის ფიზიკური მომწიფების პერიოდის დაჩქარება და მისი, მაგალითად, ძროხის ფიზიკური მომწიფების პერიოდთან გათანაბრება – საზოგადოებისთვის გაწეული ეკონომიის მასშტაბი გიგანტურია! – გიგანტურია! – ბუტბუტებდნენ სტუდენტები. მისტერ ფოსტერის ენთუზიაზმი გადამდები იყო. ის კი ახლა ტექნიკური დეტალების განხილვას შეუდგა; ილაპარაკა ენდოკრინული სისტემის ჩანასახოვანი მუტაციით გამოწვეულ შეუთანხმებელ ფუნქციონირებაზე, რაც ადამიანის ზრდის ტემპის დაქვეითების მიზეზი იყო. შესაძლებელია თუ არა ჩანასახოვანი მუტაციის ეფექტის თავიდან აცილება? შესაძლებელია თუ არა სათანადო ტექნიკის გამოყენებით ეფსილონის თითოეული ემბრიონის განვითარების ნორმალური სიჩქარის აღდგენა? ისეთი სიჩქარის, რომელიც ძროხებსა და ძაღლებს ახასიათებს? იმედოვნებდნენ, რომ ეს პრობლემა უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრილიყო. მომზასაში პილკინგტონმა შეძლო ოთხი წლის ასაკში სქესობრივად, ხოლო ექვსწლიანხევრის ასაკში ფიზიკურად მომწიფებული ინდივიდების მიღება. ეს მეცნიერების ტრიუმფია, თუმცა საზოგადოებისთვის სრულიად უსარგებლო. ექვსი წლის ქალისა და მამაკაცის განუვითარებელი ტვინი ეფსილონის სამუშაოსაც კი ვერ დაძლეეს.

პილკინგტონის პროცესში შუალედური შედეგის მიღება გამორიცხულია – მომწიფების დრო ან ყველას უნდა შეუმცირდეს, ან არავის. მომბასაში განაგრძობენ ოქროს შუალედის ძიებას ოცი წლის მოზრდილებსა და ექვსი წლის მოზრდილებს შორის, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. მისტერ ფოსტერმა სინანულით ამოიოხრა. მეწამულ ბინდბუნდში ხეტიალით კონვეიერის მე-9 ლენტის 170-ე მეტრს მიუახლოვდნენ. ამ წერტილიდან მე-9 ლენტზე ბოთლები მოძრაობდნენ ერთგვარ გვირაბში, რომელშიც გადახურულ მონაკვეთებს ორი-სამი მეტრის სიგრძის ღია სივრცეები ენაცვლებოდა. – აღზრდა სიცხის საშუალებით, – წარმოთქვა მისტერ ფოსტერმა. კონვეიერზე ცხელ გვირაბებს გრილი ენაცვლება. სივრილე დისკომფორტს უკავშირდება – ეს ხისტი რენტგენის სხივების ზემოქმედებით მიიღწევა. ამიტომ სრულ მომწიფებამდე ემბრიონებს სიცივის საშინელი შიში უვითარდებათ. მათი სოციალური ხვედრი წინასწარ არის განსაზღვრული – ტროპიკებში დასახლება, მადაროელებად, აცეტატური აბრეშუმის მქსოველებად ან მეფოლადეებად მუშაობა. სიცივის ფიზიკურ შიშს მოგვიანებით მათ ტვინშიც ჩაუბეჭდავენ. – სპეციალური წვრთნის შედეგად მათი კეთილდღეობა მხოლოდ სიცხეს უკავშირდება, – დაასკვნა მისტერ ფოსტერმა, – ჩვენი ზედასართულელი კოლეგები კი მათ სიცხის სიყვარულს ცნობიერებაში უნერგავენ. – გიყვარდეს ის, რის კეთებაც მოგიწევს ცხოვრებაში – სწორედ ამაშია ზნეობრიობისა და ბედნიერების საიდუმლო, – სენტენციურად განაცხადა დირექტორმა, – აღზრდის მიზანიც სწორედ ეს არის: ადამიანებს საკუთარი გარდაუვალი სოციალური ხვედრი შეაყვაროს. გვირაბის ორ გადახურვას შორის ღია შუალედთან ექთანს იდგა და მოძრავი ბოთლის ჟელესმაგვარ შიგთავსში გრძელი, წვრილი ნემსით რაღაც შეჰყავდა. სტუდენტები და მათი აღმზრდელები ექთანს რამდენიმე წუთი მდუმარედ შესცქეროდნენ. – გამარჯობა, ლენინა, – წარმოთქვა მისტერ ფოსტერმა, როცა ექთანმა ბოლოს და ბოლოს ნემსი ამოიღო და წელში გაიმართა. გოგონა შეკრთა და შემობრუნდა. უჩვეულოდ ლამაზი იყო და ამ სილამაზეს მის სახეზე დაფენილი წითელი ბინდიც კი ვერ ფარავდა. – ჰენრი! – ლენინამ გაიღიმა. კბილების მწკრივმა მარჯნისფრად გაიელვა. – მშვენი-ერო, – დირექტორმა ხელი რამდენჯერმე მოუთათუნა უკან, პასუხად კი მოკრძალებული ღიმილი მიიღო. – რა სახის ინექციებს აკეთებთ? – ზედმიწევნით საქმიანად იკითხა მისტერ ფოსტერმა. – ეს ტიფის და ძილის დაავადების საწინააღმდეგო ჩვეულებრივი ნემსებია. – მათი აცრა, ვისაც ტროპიკებში მუშაობისთვის ვამზადებთ, 150-ე მეტრზე იწყება, – განუმარტა მისტერ ფოსტერმა სტუდენტებს. – ემბრიონებს ჯერ ლაყუჩები აქვთ. გამოდის, რომ თევზებს ცვრით ადამიანის მომავალი დაავადებების საწინააღმდეგოდ. – მერე ისევ ლენინას მიუბრუნდა, – დღეს საღამოს, ხუთს რომ ათი დააკლდება, სახურავზე, როგორც ყოველთვის... – ჩემო მშვენიერო, – გაიმეორა დირექტორმა, გოგონას ხელი კიდევ ერთხელ მოუთათუნა და ჯგუფთან ერთად შემოვლა განაგრძო. მე-10 ლენტზე მომავალი ქიმიკოსების წვრთნა მიმდინარეობდა – მათ ემბრიონებს ტყვის, კაუსტიკური სოდის, კუპრისა და ქლორის მიმართ გამძლეობას უყალიბებდნენ. ამ დროს მესამე ლენტის ათასმეასე მეტრი მომავალი სარაკეტო მფრინავების ემბრიონებით სავსე ორასორმოცდაათბოთლიანმა პარტიამ გაიარა. სპეციალური მექანიზმის საშუალებით ბოთლები გაუჩერებლად ტრიალებდა. – წონასწორობის გრძნობის გასაუმჯობესებლად, – ხსნიდა მისტერ ფოსტერი, – მათი სამუშაო რისკთან იქნება დაკავშირებული, რადგან რაკეტის გარე საფარის შეკეთება მისი ფრენის პროცესში მოუწევთ. ამიტომ ბოთლის ჩვეულებრივ მდებარეობაში სისხლის მიმოქცევას ვასუსტებთ, რაც

ემბრიონის ორგანიზმის შიმშილს იწვევს; სამაგიეროდ, თავდაყირა მდგომარეობაში სისხლის სუროგატის ორმაგ დოზას ვაწვდით, რითაც თავდაყირა მდგომარეობის საუკეთესო თვითშეგრძნებასთან გაიგივებას ვაჩვენებთ. ამიტომ მათთვის ნამდვილი ბედნიერების წუთები თავზე დგომასთან იქნება გაიგივებული. – ახლა კი, – განაგრძობდა მისტერ ფოსტერი, – მიინდა ალფა-პლუს ინტელექტუალების ჩამოყალიბების რამდენიმე საინტერესო მეთოდი გიჩვენოთ. მეხუთე კონვეიერზე მათი დიდი პარტია მოძრაობს. მაგრამ არა პირველ, არამედ შუალედურ დონეზე, – მიმართა ორ სტუდენტს, რომლებმაც პირველ სართულზე ჩასვლა დააპირეს. – ეს დაახლოებით მე-900 მეტრის მონაკვეთზეა, ინტელექტის ფორმირება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც ემბრიონს კუდი მოძვრება. მომყევით. მაგრამ დირექტორი უკვე საათზე იყურებოდა. – სამს ათი წუთი აკლია, სამწუხაროდ, ინტელექტუალური ემბრიონებისთვის დრო აღარ გვრჩება. საბავშვო ბაღში უნდა ავიდეთ, რომ ნაშუადღევს მიღს მივუსწროთ. – იქნებ ამოყვანის დარბაზში ერთი წუთით მაინც შეგვეხედა? – მისტერ ფოსტერის ხმაში მუდარა გაისმა. – კარგი, – დირექტორმა გულმოწყალედ გაიღიმა. – მხოლოდ ერთი წუთით.

## თავი მეორე

მისტერ ფოსტერი ამოყვანის დარბაზში დატოვეს. ინკუბატორისა და აღმზრდელითი ცენტრის დირექტორი კი სტუდენტებთან ერთად უახლოესი ლიფტით მეხუთე სართულზე ავიდა. „საბავშვო ბაღი, რეფლექსების ნეოპავლოვური ჩამოყალიბების ოთახები“, ეწერა აბრაზე. დირექტორმა კარი შეაღო. ჯგუფი ძალიან დიდ, ცარიელ, ნათელსა და მზიან ოთახში შევიდა; ოთახის სამხრეთის კედელი მთლიანად ერთ ფანჯარას ეკავა. თეთრი ვისკოზის სპეცკომბინეზონებში გამოწყობილი ექვსი ძიძა ვარდებით სავსე ლარნაკებს იატაკზე გრძელ მწკრივად აწყობდა. თმა ყველას ასეპტიკურად თეთრი ქუდით ჰქონდა დაფარული. დიდ ლარნაკებში მჭიდროდ ელაგა უამრავი ულამაზესად აყვავებული ვარდი. მათი აბრეშუმითი ნაზი გაშლილი ფურცლები ქერუბიმის კანს მოგაგონებდათ, მაგრამ არა მარტო მოვარდისფრო და არიული სისხლის ქერუბიმისას – მზით სავსე ოთახში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გასხვიოსნებული ჩინელები და მუქკანიანი მექსიკელები, მეწამული ზეცისფერი, სიკვდილივით ფერმიხდილი და მარმარილოსავით თეთრი ანგელოზები. დირექტორის დანახვაზე ძიძები ერთ მწკრივად დაეწყვენ. – გამოიტანეთ წიგნები, – გაისმა მოკლე ბრძანება. ძიძები უსიტყვოდ დაემორჩილნენ. ლარნაკებს შორის დიდი ფორმატის გადაშლილი საბავშვო წიგნები დააწყვეს რიგებად. პრიალა ფურცლებზე ცხოველების, თევზებისა და ჩიტების გამოსახულებები მხიარული ფერებით იყო დახატული. – ახლა ბავშვები მოიყვანეთ. ძიძები ოთახიდან სწრაფად გავიდნენ და ორიოდ წუთში უკანვე დაბრუნდნენ მაღალი საგორებელი ურიკებით. ყველა ურიკის მავთულის ბადისაგან მოწნული ოთხ-ოთხი თარო რვა თვის ბავშვებით იყო დატვირთული. ბავშვები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს (აშკარად ბოკანოვსკის ჯგუფი იყო), და ყველა ხაკისფერში იყო გამოწყობილი (ხაკისფერი – „დელტა“ კასტის სიმბოლო). – ჩამოსვით იატაკზე. ბავშვები იატაკზე დასვეს. – ახლა ისე მიაბრუნეთ, რომ ყვავილები და წიგნები დაინახონ. განცვიფრებული ბავშვების ჯგუფი ცოცვით გაემართა ათასფრად აჭრელებული მხიარული სურათებისკენ. სწორედ ამ დროს ღრუბლებიდან მზემ გამოანათა. ვარდები თითქოს შინაგანი ვნებით აბრიალდა; ბზინვარე სურათებს ახალი, ღრმა აზრი მოეფინა. მიზნისკენ მიმავალი პატარების რიგიდან აღფრთოვანებული ჭყლოპინი, სიამოვნებისგან მოგვრილი ჟღერტული და ღულუნნი გაისმა. დირექტორმა ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა. – შესანიშნავია, გეგონებათ, მზის ამოსვლა წინასწარ გვექონდა დაგეგმილი! ყველაზე ცქვიტები უკვე მიზანთან იყვნენ. პაწაწინა ხელები გაუბედავად ეხება, შემდეგ ბლუჯავს, ფურცლებს აგლეჯს მზისგან გასხვიოსნებულ ვარდებს, წიგნის პრიალა გვერდებს ჭმუჭნის. როგორც კი ამ პროცესში ყველა ბავშვი ჩაერთო, დირექტორმა გამოაცხადა: – ყურადღება! და აწეული ხელით ნიშანი მისცა. ოთახის მეორე ბოლოში, მართვის პულტთან მდგომმა უფროსმა ძიძამ პატარა ბერკეტი ჩამოსწია. საზარლად დაიქუხა, გაისმა სირენის თავზარდამცემი კვილი, რომელიც თანდათან გაძლიერდა. საგანგაშო ზარებმა გააფთრებით დაიწყო რეკვა. გულგახეთქილი ბავშვები მთელი ხმით ატირდნენ; შეშლილ პაწაწინა სახეებზე შიში აღებეჭდათ. – ახლა კი, – დაიყვირა დირექტორმა (გამაყრუებელი ხმაური რომ გადაეფარა), – ახლა კი ათვისებულ გაკვეთილს სუსტი ელექტროშოკით განვამტკიცებთ! ხელით კიდევ ერთხელ მისცა ნიშანი; უფროსმა ძიძამ ახლა მეორე ბერკეტი ჩამოსწია. ბავშვების ტირილი ველურმა კვილიმა შეცვალა. გაგაჟებულებს ჩაბჭირებამდე აღარაფერი უკლდათ. პატარა სხეულები იკრუნჩხებოდნენ, მერე შეშდებოდნენ; პატარა კიდურები ისე თრთოდნენ, თითქოს უხილავი

მავთულებით ამოდრავებნო. – იატაკის ამ ზოლში ახლა დენი გადის, – დირექტორი ყვირილით განმარტავდა ბავშვების ქცევის მიზეზს. შემდეგ უფროს ძიძას მიმართა: – საკმარისია. გრუხუნი და ზარების რეკვა შეწყდა; სირენის ხმა თანდათან შესუსტდა და მიწყდა. დაკრუნჩხული სხეულები მოდუნდა, გამმაგებული კვილი ისევ ჩვეულებრივ, შიშით გამოწვეულ ტირილში გადავიდა. – კიდევ ერთხელ უჩვენეთ ყვავილები და წიგნები. ძიძებმა ბრძანება მორჩილად შეასრულეს; მაგრამ ვარდებისა და მხიარული, ფერადი ფისუნების, ყიყლიყობისა და ბეკეკების დანახვაზე, გაოგნებულმა ბავშვებმა უფრო ხმამაღალი ტირილი მორთეს. – ხედავთ? – ზეიმობდა დირექტორი, – კარგად დააკვირდით, კარგად! პატარების გონებაში წიგნები და ყვავილები უკვე მყარად იყო დაკავშირებული თავზარდამცემ ხმაურთან და ელექტრომოკთან; ხოლო იგივე ან მსგავსი გაკვეთილის ორასჯერ გამეორება დამყარებული კავშირის გაწყვეტას უკვე შეუძლებელს გახდიდა. ადამიანის მიერ შეკავშირებულს ბუნება ვედარასოდეს დააშორებს. – ისინი გაიზრდებიან ყვავილებისა და წიგნების სრული აუტანლობით – ამას ფსიქოლოგები „ინსტინქტურ“ ზიზღს უწოდებდნენ. ყალიბდება შეუქცევადი რეფლექსი. ჩვენ მათ სამუდამოდ ვაზღვევთ წიგნებისა და ბოტანიკისგან. – დირექტორი ძიძებს მიუბრუნდა. – წაიყვანეთ. საგორებელი ურიკები კვლავ ატირებული ბავშვებით დატვირთეს და ოთახიდან გააგორეს. ოთახში მხოლოდ რძის მჟავე სუნი დარჩა და, როგორც იქნა, სიჩუმე ჩამოწვა. ერთმა სტუდენტმა ხელი ასწია; კარგად ესმოდა, რატომ არ შეიძლებოდა დაბალი კასტის წარმომადგენლებს წიგნის კითხვაზე დაეკარგათ საზოგადოებისთვის განკუთვნილი დრო; თანაც წიგნებში ამოკითხულით ამა თუ იმ რეფლექსის მოშლის საფრთხე ყოველთვის არსებობდა; მაგრამ ყვავილები? გაუგებარია, რა საჭიროა ამდენი შრომის გაწევა დელტებში ყვავილების ფსიქოლოგიური ზიზღის გამოსაწვევად? დირექტორი ახსნა-განმარტებას მოთმინებით შეუდგა. ვარდის დანახვაზე ტირილის რეფლექსის გამოწვევას სერიოზული ეკონომიკური საფუძველი აქვს. არცთუ ისე შორეულ წარსულში (დაახლოებითასი წლის წინ) გამებს, დელტებს და ეფსილონებსაც კი ყვავილების და, ზოგადად, ველური ბუნების სიყვარულს უნერგავდნენ. რატომ? ბუნებაზე შეყვარებულ დაბალი კასტის წარმომადგენლებს თავისუფალ დროს გული აუცილებლად სოფლისკენ გაუწევდათ, რაც მათ ტრანსპორტით სარგებლობას აიძულებდა და ამდენად, ტრანსპორტის დატვირთვა უზრუნველყოფილი იქნებოდა. – მერედა, ხომ სარგებლობდნენ ტრანსპორტით? – გაისმა შეკითხვა. – ტრანსპორტით სარგებლობდნენ, – მიუგო დირექტორმა, – მაგრამ ეკონომიკური სარგებელი მხოლოდ ამით ამოიწურებოდა. გვირილებსა და მობიზინე მინდვრებს ერთი უდიდესი ნაკლი აქვთ – ისინი ფუჭია და უსარგებლო. ბუნების სიყვარულით ქარხნებს ვერ აამუშავებ. ამიტომ გადაწყდა ბუნების სიყვარულის აკრძალვა, ყოველ შემთხვევაში, დაბალ კასტებში მაინც; მაგრამ ისეთნაირად აკრძალვა, რომ ტრანსპორტის დატვირთვა არ შემცირებულიყო. გამებს, დელტებს და ეფსილონებს უნდა ჰქონოდათ ქალაქგარეთ, სამულველ ბუნების წიაღში გასვლის სურვილი. ამიტომ ტრანსპორტის დასატვირთად საჭირო გახდა სამეურნეო თვალსაზრისით გვირილებზე და მინდვრებზე უფრო რაციონალური მიზეზის გამონახვა. და ეს მიზეზიც მოიძებნა. – ჩვენ ვუყალიბებთ მასებს ბუნების სიძულვილს, მაგრამ ამავე დროს, მათ ვუნერგავთ სპორტის ყველა იმ სახეობის სიყვარულს, რომელიც ქალაქგარეთ გასვლას და სათანადო ადჭურვილობას საჭიროებს. ამით ტრანსპორტიც იტვირთება და სპორტული ინვენტარის ქარხნებიც. ახლა ხომ გასაგებია კავშირი ყვავილებსა და ელექტრომოკს შორის? – გასაგებია, –

თქვა სტუდენტმა და პასუხით აღტაცებული დადუმდა. სიჩუმე ჩამოწვა. დირექტორმა ჩაახველა, – ძველ დროში, ჯერ კიდევ ჩვენი მეუფე ფორდის გარდაცვალებამდე, ცხოვრობდა ერთი პატარა ბიჭი, სახელად რუბენ რაბინოვიჩი. რუბენის მშობლები პოლონურ ენაზე ლაპარაკობდნენ. – დირექტორმა თხრობა შეწყვიტა. – თქვენ ალბათ იცით, თუ რა არის „პოლონური“. – პოლონური? პოლონური მკვდარი ენაა. – ისევე როგორც ფრანგული და გერმანული ენები, – თავი გამოიჩინა მეორე სტუდენტმა. – „მშობელი“ რაღას ნიშნავს? – ჩაეკითხა ახალგაზრდებს ინკუბატორისა და აღმზრდელობითი ცენტრის დირექტორი. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. რამდენიმე ბიჭი სირცხვილისგან გაწითლდა. ისინი ჯერ ვერ ახერხებდნენ ერთმანეთისგან გაერჩიათ არსებითი, მაგრამ ძალიან ნატიფი განსხვავებები უხამსობასა და წმინდა სამეცნიერო ტერმინებს შორის. ბოლოს ერთს ეყო სითამამე და ხელი ასწია. – ოდესღაც... – შეეყოყმანდა, სახეზე სისხლი მოაწვა. – ოდესღაც ადამიანი ცოცხალმშობიარე იყო. – სწორია, – დაეთანხმა დირექტორი. – და ბავშვების დაფასოებისას... – დაბადებისას, – შეუსწორა დირექტორმა. – ადამიანები მშობლები ხდებოდნენ – არა თავად ბავშვები, არამედ ისინი, სხვები. – საბრალო ბიჭმა სირცხვილისგან საბოლოოდ დაკარგა მეტყველების უნარი. – მოკლედ, – შეაჯამა დირექტორმა, – მშობლები იყვნენ დედა და მამა. – უწმაწურმა სიტყვებმა ბიჭებს ყური მოსჭრა, თუმცა მიხვდნენ, რომ ამ კონტექსტში „დედა“ და „მამა“ სამეცნიერო ტერმინებად იყო გამოყენებული. – „დედა“, – ხმამაღლა გაიმეორა დირექტორმა, ტერმინს ხაზი გაუსვა. შემდეგ სკამზე გადაწვა და აღნიშნა: – ეს არასასიამოვნო ფაქტებია, გეთანხმებით; მაგრამ ისტორიული ფაქტების უმრავლესობაში სასიამოვნო ბევრი არაფერია. და პატარა რუბენის ამბის თხრობა განაგრძო, რომლის ოთახში ერთხელ, საღამოს, დედას და მამას (ოოოჰ!) რადიომიმღების გამორთვა დაავიწყდათ. („თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ საზარელი, ბარბაროსული ცოცხალმშობიარობის ეპოქაში ბავშვებს მშობლები ზრდიდნენ და არა სახელმწიფო აღმზრდელობითი ცენტრები“). ბავშვს ეძინა, ამ დროს კი უცებ ღონღონიდან რადიოგადაცემა დაიწყო. მეორე დილით ბიჭის დედისა და მამის (ამ სიტყვების გაგონებაზე შედარებით თამამმა სტუდენტებმა ერთმანეთს ეშმაკურად გადახედეს და ახითხითდნენ) გასაკვირად, პატარა რუბენმა გაღვიძებისთანავე სიტყვასიტყვით გაიმეორა უცნაური მოხუცი მწერლის („ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან მწერალთაგან, რომელთა ნაწარმოებებმა აკრძალვის გარეშე მოაღწია ჩვენს დრომდე“), ჯორჯ ბერნარდ შოუს გრძელი ლექცია. რაც შეეხება ლექციას, სარწმუნო ინფორმაციის მიხედვით, შოუ საკუთარ გენიალურობაზე საუბრობდა. რუბენის დედამამ (ისევე ეშმაკური ხითხითი, თვალის ჩაკვრები) ვერაფერი გაიგო, ეგონათ, ბავშვი ჭკუიდან შეიშალაო და ექიმი გამოიძახეს. ამ უკანასკნელმა, საბედნიეროდ, ინგლისური იცოდა; მან იცნო შოუს წინაღამინდელი ლექციის თემა, სწრაფად გაიაზრა მომხდარის მნიშვნელობა და ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაგზავნა სამედიცინო ჟურნალში. – ამგვარად აღმოაჩინეს ჰიპნოპედიის, ანუ ძილში სწავლების, პრინციპი. – დირექტორმა თხრობა შთამბეჭდავი პაუზით დაასრულა. პრინციპი აღმოაჩინეს, მაგრამ აღმოჩენიდან მის სასარგებლო გამოყენებამდე მრავალი, მრავალი წელი გავიდა. – პატარა რუბენის შემთხვევა საავტომობილო ბაზარზე ჩვენი მეუფე ფორდის პირველი თ მოდელის გამოშვებიდან ოცდასამი წლის შემდეგ მოხდა. – (აქ დირექტორმა გულმკერდზე თ ნიშნით გადაიწერა პირჯვარი, სტუდენტებმა მოწიწებით გაიმეორეს იგივე). და მაინც... სტუდენტები გაშმაგებით იწერდნენ. „ჰიპნოპედია, პირველად ოფიციალურად ფორდის დაბადებიდან 214 წელს გა მოიყენეს. და რატომ მანამდე არა? არსებობს ორი მიზეზი. (ა)“... –

ადრეული ექსპერიმენტები, – განაგრძობდა დირექტორი, – არასწორი მიმართულებით წარიმართა. ეგონათ ჰიპნოზედის ინტელექტუალური განვითარების ინსტრუმენტად გამოიყენებდნენ... (ბიჭუნას მარჯვენა გვერდზე სძინავს, მარჯვენა ხელი საწოლიდან გადმოკიდებულია. იქვე მდგარი რეპროდუქტორიდან წყნარი ხმა იღვრება. „ნილოსი ყველაზე გრძელი მდინარეა აფრიკაში და სიგრძით მეორეა მსოფლიოში. ნილოსი სიგრძით ჩამორჩება მისისიპის მისურით, მაგრამ პირველ ადგილზეა მსოფლიოში აუზის სიგრძით, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 35 გრადუსზეა გადაჭიმული“... მეორე დილით, საუზმობისას, თომის ეკითხებიან: – იცი რომელია ყველაზე გრძელი მდინარე აფრიკაში? – არა, – პასუხობს ბავშვი. – როგორ, არ გახსოვს როგორ იწყება? „ნილოსი ყველაზე“... თომი იმეორებს: – „ნილოსი – ყველაზე – გრძელი – მდინარეა – აფრიკაში – და სიგრძით – მეორე – მსოფლიოში. ნილოსი – სიგრძეში“... – აბა, რომელი ყოფილა ყველაზე გრძელი მდინარე აფრიკაში? ბიჭუნა უაზროდ იყურება. – არ ვიცი. – იქნებ ნილოსი?. ბავშვი კვლავ იმეორებს: – „ნილოსი – ყველაზე – გრძელი – მდინარეა – აფრიკაში – და – სიგრძით – მეორე“... – ესე იგი, რომელი მდინარე ყოფილა ყველაზე გრძელი, თომი? თომის ცრემლები მოსდის. – არ ვიცი, – ღნავის ბიჭუნა.) სწორედ ამ ღნავილმა აუცრუა გული მაშინდელ მკვლევარებს, აღნიშნა დირექტორმა. ექსპერიმენტები შეწყდა და ბავშვებისთვის ნილოსის სიგრძის ძილში სწავლების მცდელობა აღარ განმეორებულა, რაც სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო. მეცნიერების დაუფლება მის არსში წვდომის გარეშე წარმოუდგენელია. – მაგრამ, აი, მათ რომ ბავშვების ზნეობრივი აღზრდა დაესახათ მიზნად, – დირექტორი კარისკენ გაემართა, თავგამოდებული სტუდენტები კი წერას ლიფტშიც განაგრძობდნენ. – ზნეობრივი აღზრდა, რომელიც არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მოსწავლის მიერ გააზრებული. ლიფტიდან მეთხუთმეტე სართულზე გადმოვიდნენ. „სიჩუმე, სიჩუმე“, გაისმა ჩურჩული რეპროდუქტორიდან, და ეს ჩურჩული განუწყვეტლად მეორდებოდა დერეფნებში ერთმანეთისგან თანაბარი შუალედებით დამორებული რეპროდუქტორებიდან. სტუდენტებმა და დირექტორმაც კი უნებურად თითის წვერებზე დაიწყეს სიარული. რა თქმა უნდა, ყველანი ალფები იყვნენ, მაგრამ რეფლექსები მათაც კარგად ჰქონდათ გამოუმუშავებული. „სიჩუმე, სიჩუმე“, – მთელ მეთხუთმეტე სართულზე გაისმოდა ჩუმი, მაგრამ კატეგორიული იმპერატივი. ორმოცდაათიოდე მეტრის თითის წვერებზე გავლის შემდეგ კარს მიადგნენ, რომელიც დირექტორმა ფრთხილად შეაღო. ზღურბლს გადააბიჯეს და ფარდებჩამოფარებული საძინებელი დარბაზის ბინდში აღმოჩნდნენ. კედელთან მწკრივად ოთხმოცი საწოლი იდგა. საიდანღაც, თითქოს ძალიან შორიდან, ზერელე, თანაბარი სუნთქვა და უწყვეტი ბუტბუტი ისმოდა. ძიძა მათი შესვლისთანავე წამოდგა და დირექტორის წინ „სმენაზე“ დადგა. – რა გაკვეთილი გაქვთ სადამოს? – იკითხა დირექტორმა. – პირველი ორმოცი წუთი სექსის საფუძვლებს დაეთმო, – მიუგო ძიძამ. – ახლა კი კლასობრივი ცნობიერების ელემენტებზე გადავედით. დირექტორი ნელა დაუყვა საწოლების გრძელ რიგს. ოთხმოცი გოგონა და ბიჭი მშვიდად სუნთქავდა, ლოყები ძილისგან ავარდისფრებოდათ. თითოეული ბალიშის ქვეშიდან ჩურჩული ისმოდა. დირექტორი შეჩერდა, საწოლზე დაიხარა და მიაყურადა. – კლასობრივი ცნობიერების ელემენტები, არა? მოდით, ცოტა ხმამაღლა გავიმეოროთ რუპორიდან. დარბაზის ბოლოში კედელზე რეპროდუქტორი იყო დამონტაჟებული. დირექტორი მიუახლოვდა და ჩართო. „.....აცვიათ მწვანე“, განაგრძობდა დაბალი, მაგრამ ძალიან მკაფიო ხმა, „ხოლო დელტა-ბავშვებს –



ხაკისფერი. ო, არა, არ მინდა დელტა-ბავშვებთან თამაში. ეფსილონები კიდეც უარესები არიან, ისეთი სულელები არიან, რომ წერა-კითხვის სწავლაც არ შეუძლიათ. გარდა ამისა, მათ შავი ტანსაცმელი აცვიათ, შავი კი საშინელი ფერია. რა კარგია, რომ ბეტა ვარ“. პაუზა. შემდეგ რეპროდუქტორიდან ისევ გაისმა: „ალფა-ბავშვებს ნაცრისფერი ტანსაცმელი აცვიათ. ალფებს გაცილებით მძიმე სამუშაო აქვთ ჩვენთან შედარებით, იმიტომ რომ ისინი საშინლად ჭკვიანები არიან. რა ბედნიერებაა, რომ ბეტა ვარ და მძიმე შრომა არ მიწევს. ჩვენ ბევრად ვჯობივართ გამებს და დელტებს. გამები სულელები არიან. გამებს აცვიათ მწვანე, ხოლო დელტა-ბავშვებს – ხაკისფერი. ო, არა, არ მინდა დელტაბავშვებთან თამაში. ეფსილონები კიდეც უარესები არიან, ისეთი სულელები არიან, რომ წერა-კითხვის“... დირექტორმა ამომრთველი გადაატრიალა. ხმა მიწყდა. მხოლოდ მისი აჩრდილი განაგრძობდა ჩურჩულს ოთხმოცი ბალიშის ქვეშიდან. – გაღვიძებამდე მათ ამ გაკვეთილს კიდეც ორმოცდაათჯერ მოასმენინებენ, შემდეგ ისევ გაუმეორებენ ხუთშაბათს და შაბათს. ასოცი გამეორება კვირაში სამჯერ ოცდაათი თვის განმავლობაში. შემდეგ კი ჰიპნოპედიის გართულებულ გაკვეთილებზე გადავლენ. ვარდები და ელექტროშოკი, დელტები ხაკისფერში და ნივრის სიმყარაღე – ეს კავშირი უწყვეტად და მყარად, სამუდამოდ ყალიბდება ჯერ კიდეც მანამ, სანამ ბავშვი ლაპარაკს ისწავლის. მაგრამ რეფლექსების უსიტყვოდ ჩამოყალიბებას მასობრივი და დაუხვეწავი ხასიათი აქვს; ამ მეთოდით ძნელია ქცევის რთული ან ნატიფი მოდელების ფორმირება. ამისთვის საჭიროა სიტყვები, მაგრამ არგუმენტაციის გარეშე. მოკლედ, ამისთვის ჰიპნოპედიაა საჭირო. – ზნეობრივი მოძღვრების ყველა დროის უდიდესი ძალა, რომელიც ბავშვს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ამზადებს. უზენაესი ავტორიტეტის გამონათქვამი სტუდენტებმა მაშინვე შეიტანეს რვეულებში. დირექტორმა კიდეც ერთხელ გადაატრიალა ამომრთველი. „...საშინლად ჭკვიანები არიან“, განუწყვეტლივ იმეორებდა წყნარი, შემპარავი ხმა, „რაბედნიერებაა, რომ ბეტა ვარ და ...“ სიტყვა თითქოს წყალია, რომელიც წვეთწვეთობით ქვასაც კი ხვრეტს, უფრო სწორად კი, გაღმღვალი ლუქის წვეთებია, ლუქისა, რომელიც ისე ეკვრის გარს, ტვიფრავს და ერწყმის ყველაფერს, რომ წითელი ცვილის გუნდად ქცევა შეუძლია. – ვიდრე ეს შეგონებები ბავშვის გონებაში ერთხელ და სამუდამოდ, შეუქცევადად არ აღიბეჭდება, ხოლო შეგონებების ჯამი ბავშვის გონებად არ ჩამოყალიბდება. და არამარტო ბავშვის. ასევე მოზრდილის გონებად, რომლის აზროვნებას, სურვილებსა და გადაწყვეტილებებს ეს შეგონებები განსაზღვრავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მაგრამ ეს შეგონებები ჩვენი შეგონებებია! – თითქმის ყვიროდა მოზეიმე დირექტორი. – სახელმწიფოს შეგონებები. – ხელი დაჰკრა იქვე მდგარ მაგიდას. – აქედან გამომდინარე... ხმაურმა აიძულა შებრუნებულიყო. – ო, ფორდ, ღმერთო ჩემო! – წარმოთქვა შეცვლილ კილოზე. – ბავშვები გამიღვიძებია.

## თავი მესამე

გარეთ, ბაღში, თამაშის საათი იყო. შვიდასამდე შიშველი პატარა გოგონა და ბიჭი გამაყრუებელი ჭყლოპინით დარბოდა გაზონებზე ივნისის თბილი მზის ქვეშ, ბურთს თამაშობდნენ, ან ორ-ორად და სამ-სამად დაჯგუფებულები, წყნარად ისხდნენ ამწვანებულ ბუჩქებში. ვარდები ყვაოდა, ორი ბულბულის ტკბილ გალობას ცაცხვის ხეზე მჯდარი გუგულის ხმა უერთდებოდა. გარემო ფუტკრებისა და ვერტმფრენების მომთენთავი ბზუილით იყო სავსე. დირექტორი და სტუდენტები ერთხანს წრეში ბურთის მოთამაშე ბავშვებთან შეჩერდნენ. ოცი ბავშვი ქრომირებული ფოლადის პატარა კომპიუტრის ირგვლივ იდგა. კომპიუტრის სახურავის ზედა ბაქანზე ასროლილი ბურთი კომპიუტრისავე შიდა სივრცით დაბლა ეშვებოდა, გამალებით მბრუნავ დისკოზე ენარცხებოდა, შემდეგ კი ცილინდრულ კორპუსზე არსებული უამრავი ნახვრეტიდან ერთ-ერთით გარეთ ვარდებოდა, სადაც ის წრეში მდგომ ბავშვებს უნდა დაეჭირათ. – უცნაურია, – ჩაიბუტბუტა ფიქრებში წასულმა დირექტორმა, როდესაც მოთამაშე ბავშვებს ზურგი აქციეს, – ნამდვილად უცნაურია, რომ თამაშების უმრავლესობისთვის ფორდის ეპოქაშიც კი ისეთი მარტივი მოწყობილობები იყო საკმარისი, როგორც ბურთი, ჩოგანი და ბადეა. უგუნურება არ არის, ადამიანებს რთული თამაშების უფლება მისცე და არაფერი იღონო მოხმარების მაჩვენებლის ზრდისთვის? ეს სიგიჟეა. დღესდღეობით მაკონტროლებლები მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემენ ახალი თამაშის ნებართვას, თუ დასაბუთებული იქნება, რომ მისთვის იმდენივე სპორტული ინვენტარი მაინც არის საჭირო, რამდენიც უკვე არსებული თამაშებიდან ყველაზე რთულისთვის... – რა საყვარელი პატარა წყვილია, – დირექტორმა უცებ ლაპარაკი შეწყვიტა და ხელით მიუთითა. პატარა მინდორზე, ბალახში, იელის ბუჩქებში შვიდიოდე წლის ბიჭი და მასზე ალბათ ერთი წლით უფროსი გოგონა ისე იყვნენ გართული პრიმიტიული სექსუალური თამაშით, როგორც აღმოჩენის ზღვარზე მყოფი მეცნიერები. – მშვენიერია, მშვენიერია! – სენტიმენტალურად იმეორებდა დირექტორი. – მშვენიერია, – ზრდილობიანად დაეთანხმნენ სტუდენტები. თუმცა ქედმაღლურ ღიმილს ვერ მალავდნენ. სულ ახლახან თვითონაც ასეთი ბავშვური გართობით იქცევდნენ თავს, ახლა კი ამრეხით შეპყრებდნენ პატარებს. რა არის აქ მშვენიერი? ეს ხომ მხოლოდ ბავშვების სულელური გართობაა და მეტი არაფერი! – მე ყოველთვის ვფიქრობდი... – დირექტორს სენტიმენტალური მონოლოგი ხმამაღალმა ტირილმა შეაწყვეტინა. მახლობელი ბუჩქებიდან ძიძა გამოვიდა, რომელსაც ხელჩაკიდებული მტირალი ბიჭი მოჰყავდა. ძიძას ფეხდაფეხ აგზნებული პატარა გოგონა მოსდევდა. – რა მოხდა? – იკითხა დირექტორმა. – სერიოზული არაფერია, – მხრები აიჩეჩა ძიძამ. – როგორც ჩანს, ამ ბიჭუნას არ უნდა ჩვეულებრივ ეროტიულ თამაშში მიიღოს მონაწილეობა. ეს რამდენჯერმე ადრეც შევნიშნე, და ახლაც ტირილი დაიწყო ... – ფორდს გეფიცებით, – ჩაერთო საუბარში შემფოთებული გოგონა, – მისთვის არაფერი დამიშავებია, ფორდს გეფიცებით. – შენ არც არაფერს გაბრალებთ, ჩემო კარგო, – თბილად მიუგო ძიძამ და დირექტორს მიუბრუნდა, – ამიტომაც მიმყავს უფროსი ფსიქოლოგის ასისტენტთან, საინტერესოა, რაიმე გადახრასთან ხომ არ გვაქვს საქმე. – სწორია, წაიყვანეთ. – ძიძა მტირალ ბავშვთან ერთად წავიდა. – შენ კი დარჩი, გოგონა, რა გქვია? – პოლი ტროცკაია. – სახელიც მშვენიერი გქონია, მშვენიერი. ახლა კი წადი, სხვა ბიჭუნა მოძებნე და იმას ეთამაშე. ბავშვი ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა და ბუჩქებში გაუჩინარდა. – არაჩვეულებრივი ბავშვია! – დირექტორმა გოგონას თვალი გააყოლა, შემდეგ სტუდენტებს მიუბრუნდა. – რასაც ახლა

გეტყვი, შეიძლება წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ. და საერთოდ, თუ ისტორია არ იცი, წარსულის ბევრი ფაქტი ნამდვილად დაუჯერებელია. და სტუდენტებს განსაცვიფრებელი ჭეშმარიტება ამცნო. ფორდის ხანამდე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, და კიდევ რამდენიმე თაობის შემდეგ, ეროტიული თამაშები ბავშვებს შორის არანორმალურად ითვლებოდა (გაისმა ხარხარი); და არა მხოლოდ არანორმალურად, არამედ ამორალურადაც (ო, არა!). და ამიტომაც უმკაცრესად იკრძალებოდა. სტუდენტებს სახეზე გაოგნება და უნდობლობა ეწერათ. ნუთუ საბრალო პატარებს გართობის საშუალებას არ აძლევდნენ? დაუჯერებელია! – არც მოზარდებს, – განაგრძობდა დირექტორი, – თქვენი ასაკის მოზარდებსაც კი... – შეუძლებელია! – არაფერი არსებობდა მალული ავტოეროტიული და ჰომოსექსუალური თამაშების გარდა. – არაფერი?! – უმეტეს შემთხვევაში არაფერი, სანამ ოც წელს არ გადააბიჯებდნენ. – ოც წელს? – ერთდროულად აღმოხდათ სტუდენტებს; ყურებს არ უჯერებდნენ. – ოც წელს. ხომ გაგაფრთხილეთ, რომ წარმოუდგენელ ამბავს გეტყოდით. – ჰო, მაგრამ, რა მოგვცა ამან? რა იყო ამის შედეგი? – შედეგები საშინელი იყო. – მოულოდნელად ჩაერთო საუბარში სასიამოვნო ბანი. მოსაუბრებმა მიმოიხედეს და იქვე მდგომი საშუალო ასაკის მამაკაცი დაინახეს. უცნობს შავი თმა, კეხიანი ცხვირი და სავსე წითელი ტუჩები ჰქონდა. წვრილი შავი თვალები გამჭოლი მზერით გზურღავდათ. – საშინელი. – გაიმეორა უცნობმა. ბაღში გაბნეული ფოლად-კაუჩუკის სკამებიდან ერთ-ერთზე ჩამომჯდარი დირექტორი უცნობის დანახვისთანავე ფეხზე წამოიჭრა და მისკენ გაექანა, სიხარულის ნიშნად ხელეზგამლილი და სახეზე ბედნიერ ღიმილდაფენილი. – ჩემო ბატონო! ეს რა მოულოდნელი სიამოვნება მოგვანიჭეთ! ბიჭებო, წარმოგიდგენიათ? ეს ხომ მაკონტროლებელია, მისი უფორდესობა მუსტაფა მონდი! ცენტრის ოთხი ათას დარბაზში ოთხი ათასმა ელექტროსაათმა ერთდროულად ჩამოჰკრა ოთხი. რეპროდუქტორებიდან ავტომატურად გაისმოდა: „დღის მთავარი ცვლა დამთავრებულია. იწყება დღის მეორე ცვლა. დღის მთავარი ცვლა...“ ლიფტში, გზად გასახდელი ოთახებისკენ, ჰენრი ფოსტერმა და მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწემ დემონსტრაციულად შეაქციეს ზურგი ბერნარდ მარქსს ფსიქოლოგიის განყოფილებიდან: არ სურდათ რეპუტაციაშერყეულ ადამიანთან ურთიერთობა. ემბრიონარიუმის მეწამული ბინდბუნდის სიჩუმეს ისევ მექანიზმების ყრუ გუგუნნი არღვევს. ცვლებში მომუშავე მგლურასსახიანი ადამიანები ერთმანეთს ენაცვლებიან, მომავალი ქალებით და მამაკაცებით დატვირთული კონვეიერის ლენტის დიდებულ სვლას კი ვერაფერი აჩერებს. ლენინა კრაუნი მსუბუქი, სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარისკენ. მისი უფორდესობა მუსტაფა მონდი! სტუდენტებს მისალმებისას თვალები კინადამ ბუდეებიდან გადმოუცვივდათ. მუსტაფა მონდი! დასავლეთ ევროპის მუდმივი მაკონტროლებელი! მსოფლიოს ათი მაკონტროლებლიდან ერთერთი. ათიდან ერთი... ის კი ინკუბატორისა და აღმზრდელითი ცენტრის დირექტორს მიუჯდა და დარჩენას აპირებს, დიახ, დარჩენას და მათთან საუბარს... სწორედ ასეა, მის უფორდესობასთან ისაუბრებენ. ეს კი თვით ფორდთან საუბრის ტოლფასია. მახლობელი ბუჩქებიდან მზისგან კიბორჩხალასავით გაწითლებული ორი ბავშვი გამოვიდა, მოსაუბრეებს გაცემისგან გაფართოებული თვალებით მიაჩერდნენ, მერე კი გასართობად ისევ ბუჩქებს მიაშურეს. – თქვენ ყველას გახსოვთ, – წარმოთქვა მაკონტროლებელმა თავისი სასიამოვნო ხმით, – მგონი, ყველას გახსოვთ ჩვენი ღმერთის – ფორდის მშვენიერი, შთამაგონებელი გამოთქმა: „ისტორია სრული უაზრობაა. ისტორია, – გაიმეორა ნელა, ხაზგასმით, – სრული უაზრობაა“. მაკონტროლებელმა ხელით ისეთი

მოდრაობა გააკეთა, თითქოს უხილავი, უმსუბუქესი ჯაგრისით მტვერი და აბლაბუდა ჩამოიბერტყაო და ეს იყო ჰარაპას და ქალდეას ურის მტვერი; თებეს, ბაბილონის, კნოსოსისა და მიკენის აბლაბუდა. ჯაგრისის მსუბუქი მოძრაობა... და სადღაა ოდისევსი, სადღა არიან იობი, იუპიტერი, გაუტამა და იესო? კიდევ ერთი მოძრაობა და აღიგავა ათენისა და რომის ანტიკური ფერფლი, იერუსალიმი და შუამდინარეთი – ყველაფერი წარიხოცა. გაქრა ადგილი, სადაც ადრე იტალია იყო. გაქრა ტაძრები; ერთი მოძრაობაც – დდა გაქრა მეფე ლირი და პასკალის „აზრები“; გაქრა „ვნებანი“, „რეკვიემი“, სიმფონია, გაქრა... ყველაფერი გაქრა... – ამ სადამოს სენსოფილმზე მიფრინავ, ჰენრი? – ჰკითხა მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწემ. – როგორც მითხრეს, დღეს „ალჰამბრაში“ მაგარი ახალი ფილმი გადის არაჩვეულებრივი სასიყვარულო სცენით დათვის ტყავის ხალიჩაზე, რომლის თითოეული ბეწვი შეიგრძნობა თურმე. შეხების ეფექტი გასაოცარი ყოფილა. – ამიტომაც არ გასწავლიან ისტორიას, – განაგრძობდა მაკონტროლებელი. – მაგრამ დადგა დრო, რომ... დირექტორის მხერაში შემფოთება გამოკრთა. უცნაური ჭორები დადიოდა მაკონტროლებლის კაბინეტის სეიფში შენახული აკრძალული წიგნების შესახებ. პოეზია, ბიბლიები და ფორდმა უწყის, კიდევ რა. მუსტაფა მონდმა დირექტორის მხერა დაიჭირა და ირონიულად ჩაიღიმა. – ნუ ღელავთ, დირექტორო, – ტონი დამცინავი იყო, – ჩემთან საუბრით არ გაირყვნებიან. ინკუბატორისა და აღმზრდელითი ცენტრის დირექტორი ძალიან შეცბუნებული ჩანდა. სიძულვილს სიძულვილით უნდა უპასუხოთ. ბერნარდ მარქსს ქედმაღლური გამომეტყველება ჰქონდა. რა თქმა უნდა, დათვის თითოეული ბეწვი! – ფილმზე აუცილებლად წავალ, – თქვა ჰენრი ფოსტერმა. მუსტაფა მონდი წინ გადაიხარა და სტუდენტებს თითი დაუქნია. – ეცადეთ წარმოიდგინოთ, – მისი ხმის ტემბრმა სტუდენტებს შინაგანი კანკალი დააწყებინა. – წარმოიდგინოთ, რას ნიშნავდა ცოცხალმშობიარე დედის ყოლა. ისევ ეს უხამსი სიტყვა. ამჯერად გაღიმების თავიც კი აღარავის ჰქონდა. – წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა „საკუთარ ოჯახში ცხოვრება“. სცადეს. უშედეგოდ. – იცით, რა იყო „მშობლიური სახლი“? არა, არ იციან. მეწამული სარდაფის ბინდიდან ლენინა კრაუნი მეჩვიდმეტე სართულზე ავიდა, ლიფტიდან გამოსვლისთანავე მარჯვნივ შეუხვია, გრძელ დერეფანს გაუყვა, კარი შეაღო, რომელსაც „ქალების გასახდელი“ ეწერა, და ურიცხვი მკლავის, მკერდისა და ქალის თეთრეულის გამოაგნებელ ქაოსში აღმოჩნდა. ცხელი წყლის ნაკადები დგაფუნით ჩაედინებოდა ასეულობით აბაზანაში, იქიდან კი ბუყბუყით გადმოდიოდა. ვიბრო-ვაკუუმის ოთხმოცი აპარატი სტვენით და ქშენით უკეთებდა მასაჟს მდედრობითი სქესის ოთხმოცი არაჩვეულებრივი ეგზემპლარის მკვრივსა და მზემოკიდებულ სხეულს. ქალები ბოლო ხმაზე გაჰყვიროდნენ. სინთეზური მუსიკის ავტომატიდან სუპერკორნეტის სოლო გაისმოდა. – გამარჯობა, ფანი, – მიესალმა ლენინა გოგონას, რომლის კარადაც მისი კარადის გვერდით იყო. ფანი ჩამოსხმის დარბაზში მუშაობდა და ისიც კრაუნი იყო. პლანეტის ორ მილიარდ მცხოვრებს მხოლოდ ათი ათასი სახელი და გვარი ჰქონდა და ამიტომ ასეთი დამთხვევა სულაც არ იყო გასაკვირი. ლენინამ ელვა-შესაკრავების გახსნა დაიწყო – ჯერ ქურთუკზე, ორივე ხელით – შარვლის ორივე მხარეს და საცვლებზე. ყველაფერი გაიხადა და წინდებისა და ფეხსაცმელების ამარა აბაზანისკენ წავიდა. მშობლიური სახლი რამდენიმე პატარა, ჩახუთული ოთახით, სადაც ცხოვრობდნენ მამა, პერიოდულად მშობიარე დედა და ყველა ასაკის გოგობიჭების მთელიხროვა. აუტანელი უჰაერობა და სივიწროვე; ნამდვილი ციხე, თანაც ბინძური, ბნელი და მყრალი. (მაკონტროლებელმა ისეთი ცოცხალი სურათი

დახატა, რომ ყველაზე მგრძობიარე ბიჭი გაფითრდა და კინაღამ გული აერია). ლენინა აბაზანიდან ამოვიდა, ტანი საგულდაგულოდ შეიმშრალა, კედელზე მიმაგრებული გრძელი მილის ბოლო მკერდზე ისე მიიდო, გეგონებოდათ, თავის მოკვლას აპირებსო და ხელი ჩამრთველს დააჭირა. თბილი ჰაერის ჭავლმა გოგონა ტალკის უწვრილესი მტვრის ღრუბელში გაახვია. ნიჟარის ზემოთ რვა პატარა ონკანი იყო – რვა განსხვავებული სურნელისა და ოდეკოლონისთვის. მარცხნიდან მესამე მოუშვა, „შიპრი“ დაიპკურა და ფეხსაცმელებით ხელში თავისუფალი ვიბრო-ვაკუუმის აპარატისკენ გაემართა. მშობლიური სახლი ფსიქოლოგიურადაც ისეთივე შემზარავი იყო, როგორც ფიზიკურად. ფსიქოლოგიურად ეს იყო ნამდვილი საღორე, ნეხვის გროვა, მასში მოქცეულ ცოცხალ არსებათა ურთიერთგადაჭდობილი, აშშორებული სულიერი განცდებით გაჟღენთილი. რა სულისშემბუთველია ეს სიახლოვე, რა საშიში, ველური, უხამსი ურთიერთობებია ოჯახის წევრებს შორის! ხედავთ საკუთარ შვილებზე (შვილებზე, რომლებიც თვითონვე შვა!) გადაფოფრილ დედას... როგორც ძუკნას თავის ლეკვებზე; განსხვავება ისაა, რომ ძუკნა უტყვია და არ შეუძლია გაუთავებლად იმეოროს, „ჩემო სიცოცხლე, მოგშივდა, პატარავ? დედის მკერდს ამიტომ ეთათუნები? ღმერთო, რა ტკბილია ეს ტანჯვა! აი, უკვე სძინავს ჩემს პატარას, ტუჩები რძით გათეთრებია, სძინავს“... – ვხედავ, ზიზღისგან გაგაჟრჟოლათ, – შენიშნა მუსტაფა მონდმა, – ეს ბუნებრივია. – ამ საღამოს ვის ხვდები? – იკითხა ლენინამ. ვიბროვაკის პროცედურის შემდეგ ვარდისფერი მარგალიტივით ბზინავდა. – არავის. ლენინამ წარბები გაკვირვებით აზიდა. – ამ ბოლო დროს თავს შეუძლოდ ვგრძნობ, – აუხსნა ფანიმ. – ექიმმა უელსმა ფსევდოორსულობის კურსის გავლა მირჩია. – ჩემო კარგო, შენ ხომ მხოლოდ ცხრამეტის ხარ. პირველი ფსევდოორსულობა ოცდაერთ წლამდე სავალდებულო არ არის. – ვიცი, ძვირფასო, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ნაადრევად დაწყება სჯობს. ექიმმა უელსმა მითხრა, რომ ჩემსავით შავგვრემანსა და განიერმენჯიან გოგონებს პირველი ფსევდოორსულობა ჩვიდმეტი წლის ასაკში უნდა ჰქონდეთ. როგორც ხედავ, ორი წლით დავიგვიანე კიდეც. – ფანიმ თავისი კარადის კარი გააღო და ზედა თაროზე ჩამწკრივებულ კოლოფებსა და ამპულაებზე მიუთითა. – „ყვითელი სხეულის სიროფი“, – ხმამაღლა კითხულობდა დასახელებებს ლენინა, – „ოვარინი, შენახვის ვადა: 1 აგვისტო, 632 წელი ფორდის დაბადებიდან. სარძევე ჯირკვლის ექსტრაქტი: მიიღეთ დღეში სამჯერ, ჭამის წინ, მცირე რაოდენობით წყალთან ერთად. პლაცენტინი, 5 მილილიტრი ინტრავენურად ყოველ მესამე დღეს... ფუ! – ლენინას შეაჟრჟოლა. – როგორ არ მიყვარს ვენაში ნემსის გაკეთება! შენ? – მეც. მაგრამ ჯანმრთელობისთვის თუ აუცილებელია... – ფანი ძალიან გონიერი გოგონა იყო. ჩვენმა უფალმა ფორდმა, ან ფროიდმა – არავინ უწყის, რატომ, მაგრამ ფსიქოლოგიურ საკითხებზე ლაპარაკისას თავის თავს ასე უწოდებდა – ჩვენმა ფროიდმა პირველმა გამოავლინა ოჯახური ცხოვრების მომაკვდინებელი საფრთხე. სამყარო სავსე იყო მამებით, ანუ ტანჯვა-წამებით; დედებით – ანუ ყველა სახის გაუკუღმართებით – სადიზმიდან უბიწოებამდე; სავსე იყო ძმებით, დებით, ბიძებით, დეიდა-მამიდებით, სავსე იყო შლეგებითა და თვითმკვლელებით. – ამავე დროს სამოას ველურებში, ახალი გვინეის მახლობელ ზოგიერთ კუნძულზე... ტროპიკული მზე ცხელი თაფლივით ედება ბავშვების შიშველ სხეულებს, მოყვავილე ბუჩქებში გორაობენ, ერთმანეთს ეხვევიან, განურჩევლად. პალმის რტოებით გადახურული ოცი ქოხიდან ყველა მათი სახლია, ნებისმიერი. კუნძულ ტრობრიანზე ჩასახვა წინაპართა სულებს მიეწერებოდა; იქ არავინ უწყოდა, რა იყო მამა ან

მამობა. – უკიდურესობები, – აღნიშნა მაკონტროლებელმა, – თანხედებიან მარტივი მიზეზით – ისინი თანხვედრისთვის შეიქმნენ. – ექიმი უელსი მეუბნება, რომ ფსევდოორსულობის სამთვიანი კურსი ძალიან გამიკაჟებს ჯანმრთელობას მომავალი სამიოთხი წლის განმავლობაში. – ალბათ ასეც იქნება, ფანი, მაგრამ შენ ამბობ, რომ მომავალი სამი თვის მანძილზე ვერ შეძლებ... – ო, არა, ძვირფასო. სულ რაღაც ერთი ან ორი კვირა, დღეს საღამოს კლუბში წავალ მუსიკალური ბრიჯის სათამაშოდ. ალბათ შენც გასართობად გაფრინდები, არა? ლენინამ თავი დაუქნია. – ვისთან ერთად? – ჰენრი ფოსტერთან. – ისევ? – ფანის კეთილ, მთვარესავით გაბადრულ სახეს სულ არ უხდებოდა გამკიცხავი გამომეტყველება, გაკვირვებასთან ერთად რომ გამოეხატა. – იმის თქმა გინდა, რომ ისევ ჰენრი ფოსტერს ხვდები? დედები და მამები, დები და ძმები. მაგრამ არსებობდნენ ასევე ქმრები, ცოლები, საყვარლები. არსებობდა მონოგამია და რომანტიული სიყვარული. – თუმცა თქვენ, ალბათ, არც კი იცით მათი მნიშვნელობა, – წარმოთქვა მუსტაფა მონდმა. არა, არ იციან. ოჯახი, მონოგამია, რომანტიული სიყვარული, ყველგან გამორჩეულობა, შეზღუდულობა, ერთისკენ ლტოლვა; ენერჯია და მისწრაფება ჩარჩოებშია მოქცეული. – მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ თითოეული ეკუთვნის ყველას, მ– მუსტაფა მონდმა ჰიპნოპედიური ანდაზა მოიხმო. სტუდენტებმა სრული თანხმობის ნიშნად თავები დაიქნიეს, რადგან მიღში სულ ცოტა, სამოცდაორი ათასჯერ გაგონილი ანდაზა მათთვის არათუ მისაღებ მოსაზრებას, არამედ აქსიომას, უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა. – კარგი რა, – ლენინა პროტესტს გამოთქვამდა, – ჯერ მხოლოდ ოთხი თვეა, რაც ჰენრისთან ვარ. – მხოლოდ ოთხი თვე! რა მაგარია! თანაც, – ფანიმ თითი ბრალმდებელივით გაიშვირა, – ამ ოთხი თვის განმავლობაში ჰენრის გარდა არავისთან ყოფილხარ. ასე არ არის? ლენინა გაწითლდა. არ შეეპუა. – დიახ, არავისთან ვყოფილვარ, – ტონი გამომწვევი ჰქონდა. – და არც კი ვიცი, რატომ უნდა ვყოფილიყავი. – ერთი ამას დამიხედეთ, არც კი იცის, რატომ უნდა ყოფილიყო, – გამოაჯავრა ფანიმ, მაგრამ მალევე მოლბა, – ძალიან გთხოვ, ფრთხილად იყავი და წესიერად მოიქეცი. ხომ იცი, ერთ კაცთან ამდენი ხნის ურთიერთობა მიუღებელია. ორმოცის ან ოცდათხუთმეტის მაინც რომ იყო, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ შენს ასაკში, ლენინა! ასე არ გამოვა! ხომ იცი, როგორ ეწინააღმდეგება ჩვენი დირექტორი ზედმეტად გახანგრძლივებულ და ვნებიან ურთიერთობებს. ოთხი თვე ჰენრი ფოსტერთან და მეტი არავისთან? დირექტორმა რომ გაიგოს, გაგიჟდება... – წარმოიდგინეთ, მიღში წყალი წნევით მიედინება. – წარმოიდგინეს. – მილი ერთ ადგილზე გავხვრიტე, – განაგრძობს მაკონტროლებელი, – წყალი შადრევანივით ამოხეთქავს! მაგრამ თუ მიღში ოც ნახვრეტს გააკეთებთ, მიიღებთ ოც სუსტ ნაკადულს. „ჩემო პატარავ, ჩემო პატარავ“!.. „დედა“! სიგიჟე გადამდებია. „ჩემო სიყვარულო, ჩემო ერთადერთო, უძვირფასესო“... დედა, მონოგამია, რომანტიული სიყვარული. შადრევნის დაუოკებელი, აქაფებული ნაკადი ცას სწვდება. სწრაფვას მხოლოდ ერთი ვიწრო გასასვლელი აქვს. ჩემო სიყვარულო, ჩემო პატარავ. რა გასაკვირია, რომ ფორდამდელი ეპოქის ადამიანები ველურები, უზნეოები და უბედურები იყვნენ. გარემომცველი სამყარო მათ არ აძლევდა უზრუნველი ცხოვრების საშუალებას, ართმევდა ჯანმრთელობის, სათნოების და ბედნიერების უფლებას. დედობა და სიყვარული, აკრძალვა ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ამავე აკრძალვისადმი დამორჩილების რეფლექსის ჩამოუყალიბებლობა, ცდუნება და შემდეგ მონანიება მარტოობაში, ყოველგვარი სნეულებები, უსასრულო, მარტოობისთვის განმწირავი ტკივილი, ბნელი მომავალი, სიღარიბე – ეს ყოველივე უძლიერეს განცდებს იწვევდა. ხოლო უძლიერესი

განცდის პირობებში, თანაც განმარტოებით, უიმედო იზოლაციაში, რომელ სტაბილურობაზეა ლაპარაკი? – ჰენრის მიტოვება აუცილებელი სულაც არ არის. ისიც გყავდეს და დროდადრო სხვებთანაც იყავი, მეტი არაფერი. ჰენრის სხვა ქალებიც ხომ ჰყავს? – ჰყავს. – რა თქმა უნდა, ჰყავს. ჰენრი ძალიან კორექტულია და წესებს არასოდეს არღვევს. დირექტორი გაიხსენე. ხომ იცი, როგორ ზუსტად იცავს ეტიკეტს... ლენინა დაეთანხმა: – ჰო, დღეს დუნდულებზე ხელი მომითათუნა. – აი, ხომ ხედავ, – ზეიმობდა ფანი, – ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა მკაცრად იცავს დირექტორი დადგენილ წესებს. – სტაბილურობა, – გაიმეორა მაკონტროლებელმა. – სტაბილურობა. ცივილიზაცია სოციალური სტაბილურობის გარეშე წარმოუდგენელია. სოციალური სტაბილურობა კი ინდივიდუალური სტაბილურობის გარეშეა წარმოუდგენელი. ხმა – როგორც საყვირი. უსმენ და განდიდების შეგრძნება გიპყრობს. კონვეიერის მექანიზმი მუშაობს და ტრიალებს, ეს ტრიალი მუდმივად უნდა გაგრძელდეს; გაჩერება სიკვდილის ტოლფასია. დედამიწაზე უწინ ერთი მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა. მექანიზმის თვლები მოძრაობას იწყებს, და ასორმოცდაათი წლის შემდეგ დედამიწის მოსახლეობა უკვე ორი მილიარდია. გააჩერეთ ყველა მექანიზმი, ას ორმოცდაათი კვირის, დიახ, ას ორმოცდაათი კვირის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა ისევ მილიარდზე დავა, მილიონობით ქალი და კაცი კი შიმშილით მოკვდება. მექანიზმი გაუჩერებლად უნდა მუშაობდეს, მაგრამ მას მოვლა სჭირდება. მანქანებს ადამიანები უნდა ემსახურებოდნენ, მანქანის თვლებივით და ლილვებივით საიმედო, ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი, მორჩილი და მუდმივად კმაყოფილი ადამიანები. მაგრამ იმ უბედურებს, რომლებიც გაუთავებლად იმეორებენ, „ჩემო პატარავ, დედიკო, ჩემო ერთადერთო და უსაყვარლესო!“, რომლებიც მოთქვამენ: „რა შეგცოდე, ღმერთო, შენ დამიფარე!“ ტკივილისგან გაჰკვივან, ცხელებისგან ბოდავენ, გლოვობენ სიღარიბესა და სიბერეზე – შეუძლიათ კი ამ უბედურებს მანქანების მომსახურება? მანქანების მომსახურება რომ შეწყდეს?.. მილიონობით ადამიანის გვამის დამარხვა ან დაწვა არ იქნება ადვილი. – ბოლოს და ბოლოს, – ცდილობდა ლენინას დაყოლიებას ფანი, – ჰენრის გარდა კიდევ ერთი-ორი კაცის ყოლა შენთვის ნამდვილად არ არის ძნელი და მიუღებელი. სწორედ ამიტომ მამაკაცები აუცილებლად ხშირად უნდა იცვალო... – სტაბილურობა, – დაჟინებით იმეორებდა მაკონტროლებელი, – სტაბილურობა. ყველაფრის ამოსავალი წერტილი და ქვაკუთხედი. სტაბილურობის მისაღწევად გვჭირდება ეს ყოველივე. ხელის მოძრაობით მათი ყურადღება განათლების ცენტრის უზარმაზარ შენობას, პარკს, მდელოებზე მორბენალ და ბუჩქებში განმარტოებით მოთამაშე შიშველ ბავშვებს მიაპყრო. – რატომღაც ამ ბოლო დროს მრავალფეროვანი და უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობები მაინცდამაინც აღარ მიზიდავს. – დაფიქრებით ჩაილაპარაკა ლენინამ, – დროდადრო ასეთი რამ ხდება. შენ ეს არასოდეს დაგმართნია, ფანი? ფანიმ თავი თანაგრძნობითდაუქნია. – მაგრამ უნდა ეცადო, – დამრიგებლის ტონით გაუმეორა, – თამაშის წესებს უნდა დაემორჩილო. ბოლოს და ბოლოს, თითოეული ხომ ყველას ეკუთვნის. – ჰო, თითოეული ყველას ეკუთვნის, – ნელა გაიმეორა ლენინამ, ამოიოხრა. ცოტა ხანს ჩუმად იყო. შემდეგ მეგობარს ხელზე ხელი დაადო და წარმოთქვა: – რა თქმა უნდა, მართალი ხარ, ფანი, მართალი ხარ, როგორც ყოველთვის. აუცილებლად ვეცდები. კალაპოტში მოქცეული ნაკადი ბობოქრობს და საზღვრებს გადადის, ნაკადი ვნებაა, ნაკადი სიგიჟეა: მისი პოტენციალი დინების ძალის, ბარიერის სიმაღლისა და სიმტკიცის პროპორციულად იზრდება. წინააღმდეგობის გარეშე კი ნაკადი მდორედ

მიეძინება დადგენილი მიმართულებით კეთილდღეობის წყნარი ტბორისკენ. ჩანასახი მშვიერია, სისხლის სუროგატის ტუმბო ყოველდღიურად წუთში რვა ათას ბრუნს აკეთებს მის გამოსაკვებად. აი, აყვირდა ამოყვანილი პატარა; და აქვე ჩნდება ექთანის გარესეკრეტორული საკვებით სავსე ბოთლით ხელში. ემოცია იმალება სწორედ ამ ინტერვალში სურვილსა და მის დაკმაყოფილებას შორის. შეამცირე ეს ინტერვალი, მოსპე ყველა ძველი, უსარგებლო ბარიერი. – ბედმა გაგიღიმათ, ყმაწვილებო! – თქვა მაკონტროლებელმა. – არაფერი დაგვიშურებია იმისთვის, რომ თქვენი ცხოვრება ემოციურად გაგვემარტივებინა, რომ ემოციები და განცდები საერთოდ არ გქონოდათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. – „ფორდი თავის „ფორდშია“, – ჩაილაპარაკა დირექტორმა, – „და სამყაროში ყველაფერი რიგზეა“. – ლენინა კრაუნი? – ექოსავით გაიმეორა ჰენრი ფოსტერმა მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწის კითხვა, თან შარვლის ელვა-შესაკრავს იკრავდა. – არაჩვეულებრივი გოგოა, უკიდურესად სექსუალური. მიკვირს, ჯერ რომ არ გაგისინჯავს. – მე თვითონაც მიკვირს, – თქვა მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწემ. – აუცილებლად გავსინჯავ, პირველი შემთხვევისთანავე. მოპირდაპირე რიგში თავის კარადასთან მდგომმა ბერნარდ მარქსმა მათ საუბარს ყური მოჰკრა და გაფითრდა. – სიმართლე გითხრა, ყოველდღე მარტო ჰენრი და ჰენრი, უკვე ყელშიც კი ამომვიდა. – მარცხენა წინდის ჩაცმა დაიწყო და თან განგებ სხვათაშორის იკითხა, – ბერნარდ მარქსს იცნობ? – თითქოს ძალიან არც აინტერესებდა. ფანი შეკრთა, – არ მითხრა, რომ... – რატომაც არა? ბერნარდი ალფა-პლუსია. თან ველურების ერთ-ერთ ნაკრძალში, ინდიელების რეზერვაციაში სამოგზაუროდ მეპატაჟება. ველურების რეზერვაციის ნახვა ყოველთვის მინდოდა. – ცუდი რეპუტაცია რომ აქვს, ამაზე არ გიფიქრია? – ბერნარდის რეპუტაცია რაში მენადვლება? – ამბობენ, დაბრკოლებებიანი გოლფი არ უყვარსო. – ამბობენ? ენას ძვალი არა აქვს, – გაეცინა ლენინას. – დროს უმეტესად მარტოობაში ატარებს. – ფანის ხმაში საშინელი ზიზღი გამოკრთა. – ჩემთან ერთად მარტო აღარ იქნება. ვერ გავიგე, ყველა ცუდი თვალთ რატომ უყურებს? მე ძალიან საყვარელი მეჩვენება. – ლენინას გაეღიმა, გაახსენდა, რა უაზროდ მოკრძალებული იყო ბერნარდი საუბრისას, თითქმის შეშინებული. ისე იქცეოდა, თითქოს ლენინა მსოფლიოს მაკონტროლებელი იყო, თვითონ კი მანქანების გამა-მინუს მომსახურე. – გადახედეთ თქვენს ცხოვრებას და გაიხსენეთ, – მიმართა ბიჭებს მუსტაფა მონდმა. – ოდესმე გადაულახავ დაბრკოლებას გადაწყდომიხართ? სიჩუმე – უარყოფითი პასუხი. – ოდესმე დიდხანს ყოფილხართ ძლიერი ცნობიერი სურვილის ასრულების მოლოდინში? – მე... – დაიწყო ერთმა და შეყოყმანდა. – განაგრძეთ, – ჩაერია დირექტორი, – მისი უფორდესობა გელოდებათ. – ერთხელ თითქმის ერთი თვე მომიხდა ლოდინი, სანამ გოგონას სექსზე დავითანხმებდი. – და ამის შედეგად ემოცია გაგიძლიერდათ? – აუტანლად! – სწორედ ასეა, აუტანლად, – თქვა მაკონტროლებელმა. – ჩვენმა უგუნურმა და წინდაუხედავმა წინაპრებმა კი არაფრად ჩააგდეს პირველი რეფორმატორები, სწორედ ისინი, ვინც ამ აუტანელი ემოციებისგან გათავისუფლების გზები დასახეს. „ისე მოიხსენიებენ, როგორც ხორცის ნაჭერს, – ბერნარდ მარქსი გაცოფებული იყო. – არ გამისინჯავს, გავსინჯავ. თითქოს კატლეტია. ქალს ხორცთან აიგივებენ... მითხრა, რომ მოიფიქრებს, მითხრა, რომ კვირის ბოლოს მეტყვის პასუხს. ო, ფორდ, ფორდ!“ უნდოდა მისულიყო და ორივესთვის ცხვირ-პირი დაეღეწა. – მოკლედ, გირჩევ აუცილებლად გასინჯო, კმაყოფილი დარჩები, – არწმუნებდა ჰენრი ფოსტერი მეგობარს. – ავიღოთ ექტოგენუზი. მთელი ტექნოლოგია პფიცნერმა და კავაგუჩიმ შეიმუშავეს. მთავრობებმა კი ეს მეთოდი ყურადღების ღირსადაც არ



ჩათვალეს. არსებობდა ხელისშემშლელი ფაქტორი, სახელად ქრისტიანობა. ქალებს ცოცხალშობიარეებად დარჩენას აიძულებდნენ. – ის ხომ მახინჯია, – თქვა ფანიმ. – მე კი რატომღაც ძალიან მომწონს. – თანაც ძალიან დაბალია. – ცხვირი აიბზუა ფანიმ; დაბალი ტანი დაბალი კასტის ტიპური ნიშანი იყო. – მე კი მგონია, რომ ძალიან საყვარელია, – თქვა ლენინამ. – სურვილი გიჩნდება, რომ ხელი გადაუსვა, მიეფერო, როგორც ფისუნას. ფანი აიმრიზა. – როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ ბოთლად ყოფნისას ბერნარდი ვილაცას გამა ეგონა და სისხლის სუროგატში სპირტი ჩაუსხა. ამიტომაც გამოვიდა ასეთი კოტიტა. – რა სისულელეა, – ლენინა აღშფოთდა. – ძილში სწავლება კი ინგლისში პრაქტიკულად აკრძალული იყო. არსებობდა ცნება, რომელსაც ლიბერალიზმი ერქვა. პარლამენტმა გაიტანა ჰიპნოპედიის საწინააღმდეგო კანონი. იცით რას ნიშნავს პარლამენტი? შემორჩენილია პარლამენტის ოქმები. სიტყვები, წარმოთქმული ადამიანის თავისუფლების შესახებ. პარლამენტი ადამიანს აძლევდა უფლებას ყოფილიყო უნიათო და ბეჩავი, აძლევდა უფლებას არ ჰქონოდა გარემოსთან შეგუების უნარი. – მეგობარო, გარწმუნებ, მოხარული ვიქნები. – ჰენრი ფოსტერმა მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწეს მხარზე ხელი დაჰკრა. – ბოლოს და ბოლოს, თითოეული ხომ ყველას ეკუთვნის. ასი გამეორება კვირაში სამი ღამე ოთხი წლის განმავლობაში, გაიფიქრა ბერნარდ მარქსმა, ის ხომ თვითონ იყო ჰიპნოპედიის სპეციალისტი. სამოცდაორი ათას ოთხასი გამეორება – და ჭეშმარიტებაც მზადაა. იდიოტები! – ან კასტური სისტემა ავიღოთ. განუწყვეტლივ ცდილობდნენ მის შემოღებას, მაგრამ ამაოდ. ამას ეგრეთ წოდებული დემოკრატია ეწინააღმდეგებოდა. თითქოს ადამიანების თანასწორობა ფიზიკურ და ქიმიურ ერთგვაროვნებაზე მეტი იყოს! – იცი რა, მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რომ აუცილებლად გავყვები რეზერვაციამ. ბერნარდს საშინლად, საშინლად სძულდა ისინი. მაგრამ ორნი იყვნენ, ორივე ზორბა და ძლიერი... – ცხრაწლიანი ომი ფორდის ეპოქის 141-ე წელს დაიწყო. – სისხლის სუროგატში ალკოჰოლის ჩასხმის ამბავი მართალიც რომ იყოს. – ფოსგენი, დიფოსგენი, იოდმარმჟავას ეთილი, ცრემლმდენი გაზი, იპრიტი, ციანწყალბადზე რომ აღარაფერი ვთქვათ. – რისიც, უბრალოდ, არ მჯერა, – დაასკვნა ლენინამ. – ერთიანი ფრონტით შეტევაზე გადასული თოთხმეტი ათასი თვითმფრინავის გუგუნი. თუმცა კურფიურსტენდამსა და პარიზის მერვე ოლქში ჯილენის ბომბები ისეთი ხმით სკდებოდა, თითქოს ქალაქის პარკები ყოფილიყო. – იმიტომ, რომ ველურების რეზერვაციის ნახვა ძალიან მინდა. აბა, რას უდრის  $Ch_3C_6H_2(NO_2)_3+Hg(CNO)_2?$  უზარმაზარ ორმოს მიწაში, ღორღის გროვას, ხორცის ნაფლეთებს და ლორწოს გუბეებს, ჰაერში მფრინავ ფეხსაცმელშერჩენილ ფეხს, რომელსაც ხასხასა წითელი ნემსიწვერებით მოფენილ მიწაზე გაუდის ტყაპანი; დიდებული სანახაობა იყო იმ ზაფხულს! – როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ლენინა. შენთან ლაპარაკი შეუძლებელია. – განსაკუთრებით მახვილგონივრული იყო წყლის ინფიცირების რუსული მეთოდი. ფანიმ და ლენინამ ერთმანეთს ზურგი შეაქციეს და ჩუმად განაგრძეს ჩაცმა. – ცხრაწლიანი ომი, დიდი ეკონომიკური მარცხი. იყო ერთი არჩევანი: სამყაროს მბრძანებლობა ან განადგურება. სტაბილურობა ან... – ფანი კრაუნიც მშვენიერი გოგონაა, – აღნიშნა მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწემ. საბავშვო ბაღში კასტური თვითშეგნების საფუძვლების შესწავლის გაკვეთილი დამთავრდა და რადიო საწარმოო პროდუქციის მომავალი მომხმარებლის აღზრდას შეუდგა. – „ძალიან მიყვარს ფრენა, – გაისმოდა ჩურჩული, – ძალიან მიყვარს ფრენა, ძალიან მიყვარს ახალი ტანსაცმლის შექმნა, ძალიან მიყვარს...“ – ლიბერალიზმს, რა თქმა უნდა, ჯილენმა მოუღო ბოლო, მაგრამ

საზოგადოების მხოლოდ იმულებზე დამყარება შეუძლებელი იყო. – მაგრამ ლენინა გაცილებით უფრო სექსუალურია, გაცილებით. – ძველი ტანსაცმელი საშინელებაა, – ჩურჩული დაუღალავად გრძელდებოდა. – ჩვენ ვყრით ძველმანებს. „არ დაკემსო, შეიძინე ახალი, არ დაკემსო, შეიძინე ახალი, არ დაკემსო“... – მთავრობის საქმეა ჯდომა და ფიქრი და არა ნგრევა. მართვას ტვინის განძრევა სჭირდება, ტვინის. მუშტების ქნევით ვერაფერს გახდები. ისეთი მაგალითიც გვქონდა, როდესაც მომხმარებლობა მოქალაქეობრივ ვალდებულებად იყო გამოცხადებული. – მზადა ვარ, – თქვა ლენინამ. ფანი ისევ ზურგშექცეული იდგა და დუმდა. – ფანი, ძვირფასო, მოდი რა, შევრიგდეთ. – ქალი იქნებოდა, კაცი თუ ბავშვი, ვალდებული იყო, წელიწადში გარკვეული რაოდენობის პროდუქტი მოეხმარა, მრეწველობის განვითარების მიზნით. შედეგად რა მივიღეთ? – არ დაკემსო, შეიძინე ახალი, კემსავს მხოლოდ ღარიბი, კემსავს მხოლოდ... – ერთხელაც იქნება, ცხვირს წაიმტვრევ, გაფრთხილებ, – ფანი დათრგუნული იყო. – შედეგად მივიღეთ მხოლოდ ფართომასშტაბიანი საყოველთაო პროტესტი. მომხმარებლობის საწინააღმდეგო მოძრაობა უკან, ბუნებრიობისკენ. – ძალიან მიყვარს ფრენა. ძალიან მიყვარს ფრენა. – უკან, კულტურისკენ, დიახ, სწორედ რომ კულტურისკენ. სახლში ჯდომით და წიგნის კითხვით მოხმარების მაჩვენებელს ვერ გაზრდი. – კარგად გამოვიყურები? – იკითხა ლენინამ. ბოთლისფერი მწვანე ჟაკეტი ეცვა, მწვანე ვისკოზის ბეწვით საყელოსა და მანქეტებზე. – ბუნებრივი, მარტივი ცხოვრების რვაასი მიმდევარი ავტომატებით ჩაცხრილეს გოლდერს გრინზე. – არ დაკემსო, შეიძინე ახალი, არ დაკემსო, შეიძინე ახალი... მწვანე ველვეტის შორტები და თეთრი შალწარევი ვისკოზის გეტრები. – რასაც მოჰყვა კულტურის ფანატიკოსების ცნობილი სასაკლაო. ორი ათასი კაცის იპრიტით გაგუდვა ბრიტანეთის მუზეუმის დარბაზებში. თეთრი ქსოვილით გაწყობილი მწვანე ჟოკეის ქუდი ლენინას თვალებს უჩრდილავდა; საგულდაგულოდ გაპრიალებული, ხასხასა მწვანე ლაქის ფეხსაცმელი ეცვა. – ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, – თქვა მუსტაფა მონდმა, – მაკონტროლებლებმა შეიგნეს, რომ ძალას ფუჭად ხარჯავდნენ. უფრო ნელი მოქმედების, მაგრამ გაცილებით სარწმუნო, უტყუარი მეთოდები: ექტოგენეზი, ალზრდის ნეოპავლოფური მეთოდი და ჰიპნოპედია... წელზე კი ხელოვნური ტარსიკონის მწვანე მოვერცხილილი სავაზნე ქამარიეკეთა, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების (ლენინა არ იყო უნაყოფო მდედრი) ინსტრუქციით განსაზღვრული მარაგით გამოტენილი. – პფიცნერის და კავაგუჩის აღმოჩენებს, როგორც იქნა, მიეცა გასაქანი. დაიწყო გაძლიერებული პროპაგანდა ცოცხალშობიარობის წინააღმდეგ... – გადასარევა! – აღტაცებით დაიძახა ფანიმ. ლენინას მომწუხრებელ ზემოქმედებას დიდი ხნით ვერ უძლებდა. – რა მაგარი მალთუსიანური1 ქამარია! – შემდეგ აგორდა წარსულის საწინააღმდეგო კამპანია; მუზეუმების დახურვა, ისტორიული ძეგლების აფეთქება (საბედნიეროდ, მათი უმრავლესობა ცხრაწლიანმა ომმა ისედაც მიწასთან გაასწორა); ფორდის ეპოქის 150-ე წლამდე გამოცემული ყველა წიგნის აკრძალვა. – ასეთი ქამარი მეც აუცილებლად უნდა ვიყიდო, – აღტაცებას ვერ მალავდა ფანი. – მაგალითად, არსებობდა ნაგებობა, სახელად პირამიდა. – ჩემი ძველი, შავი ლაკირებული ტყავის პატრონტაში... – და კაცი, სახელად შექსპირი. დარწმუნებული ვარ, მათ შესახებ არაფერი გსმენიათ. – უკვე ძალიან სამარცხვინოა – ჩემს პატრონტაში გეუბნები. – ასეთია ჭეშმარიტად მეცნიერული ალზრდის უპირატესობები. – კემსავს მხოლოდ ღარიბი, კემსავს მხოლოდ... – ჩვენი მეუფე ფორდის თ1 მოდელის ავტომანქანის გამოშვების თარიღი... – უკვე

თითქმის სამი თვეა ვატარებ. – ...ახალი ხანის დაწყების თარიღად გამოცხადდა. – არ დაკემსო, შეიძინე ახალი; არ დაკემსო... – როგორც უკვე მოგახსენეთ, არსებობდა ცნება, სახელად ქრისტიანობა. – არ დაკემსო, შეიძინე ახალი. – არასაკმარისი მომხმარებლობის მორალი და ფილოსოფია... – მიყვარს ახალი ტანსაცმელი, მიყვარს ახალი ტანსაცმელი, მიყვარს... – ...დასაყრდენს წარმოადგენდა არასაკმარისი წარმოების პირობებში. მაგრამ მანქანების ეპოქაში, ატმოსფერული აზოტის სიმცირის ეპოქაში არასაკმარისი მომხმარებლობა დანაშაულია საზოგადოების წინაშე. – ჰენრი ფოსტერმა მაჩუქა. – ჯვრებს ზედა ნაწილი წაკვეთეს და თ-ებად აქციეს. იმ დროს კიდევ ერთი ცნება არსებობდა, სახელად ღმერთი. – ეს ნამდვილი ხელოვნური ტარსიკონია. – ჩვენ ახლა მსოფლიო სახელმწიფო გვაქვს; გვაქვს ფორდის დღის, თანამეგობრობის სიმღერებისა და ერთიანობის დღესასწაულები. „ო, ფორდ, როგორ მეზიზღებიან!“ – ფიქრობდა ბერნარდ მარქსი. – არსებობდა ცნება, სახელად სამოთხე; თუმცა ეს ხელს არ უშლიდა მათ უზომო რაოდენობით ალკოჰოლის მოხმარებაში. „ნამდვილად ხორცი ჰგონიათ, ბიფშტექსი!“ – არსებობდა კიდევ ორი ცნება – სული და უკვდავება. – აუცილებლად ჰკითხე ჰენრის, სად იყიდა. – მაგრამ მორფს და კოკაინს იყვნენ მიჩვეული. „ყველაზე ცუდი მაინც ის არის, რომ თავის გთავზე ისიც ისე ფიქრობს, როგორც ხორცის ნაჭერზე“. – ფორდის ეპოქის 178-ე წელს დაფინანსდა ორი ათასი ფარმაცევტის და ბიოქიმიკოსის ერთობლივი სამუშაო. – შეხედე, ცხვირი როგორ ჩამოუშვია, – თქვა მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწემ და ბერნარდ მარქსზე მიუთითა. – ექვსი წლის შემდეგ მას უკვე ფართო მოხმარებისთვის აწარმოებდნენ. იდეალურ ნარკოტიკულ საშუალებას. – მოდი, გავამასხარაოთ. – ადამიანს აწყნარებს, სიხარულით ავსებს და სასიამოვნო ჰალუცინაციებს იწვევს. – მარქს, რა თავპირი ჩამოგტირის, – მხარზე ხელის დარტყმამ ბერნარდი შეაკრთო, თავი ასწია. ის ბრიყვი ჰენრი ფოსტერი იყო. – იცი ახლა რა გჭირდება? ერთი გრამი სომა. – ქრისტიანობის და ალკოჰოლის ყველა დადებითი მხარე და არც ერთი უარყოფითი. „ფორდ! სიამოვნებით მივახრჩობდი!“ – მაგრამ ესლა ამოღერდა, – „გმადლობთ, არ მინდა“, – და გამოწვდილი აბების კოლოფი უკანვე მიუბრუნა. – დასვენება მოგინდა? მოიწვევ არდადეგები, გაექცი რეალობას, როცა გინდა; მერე აღარც თავის ტკივილი გაწუხებს და აღარც მითოლოგიაზე ფიქრი. – გამომართვი, – არ ეშვებოდა ჰენრი ფოსტერი, – აიღე. – ამან პრაქტიკულად უზრუნველყო სტაბილურობა. – ერთი კუბ-სანტიმეტრი სომა – და გაქრა სევდის ათი კუბსენტიმენტი, – მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწემ ძვალ-რბილში გამჯდარი ჰიპნოპედიური სიბრძნე მოიშველია. – სიბერეზე გამარჯვება რჩებოდა მხოლოდ. – თავიდან მომწყდით! – ბერნარდ მარქსი მოთმინებიდან გამოვიდა. – ჰო, ჰო, რა ფხუკიანები ვართ! – სასქესო ჰორმონები, მაგნიუმის მარილები, ახალგაზრდა სისხლის გადასხმა“... – ამას ერთი კუბი უშველის?! – ჰენრი ფოსტერი და მისი მეგობარი გასახდელიდან სიცილ-ხარხარით გავიდნენ. – სიბერის ყოველგვარი ფიზიკური გამოვლინება დაძლეულია, და მათთან ერთად, რა თქმა უნდა... – მალთუსიანური ქამარი არ დაგავიწყდეს, აუცილებლად ჰკითხე, – შეახსენა ფანიმ. – აღმოფხვრა სიბერით გამოწვეული ფსიქიკის ყოველგვარი თავისებურება. ხასიათი მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ იცვლება, ასაკის მიუხედავად. – ...დაღამებამდე დაბრკოლებებიანი გოლფის ორი რაუნდის თამაში უნდა მოვასწრო. უნდა გავფრინდე. – მუშაობა, გართობა – სამოცი წლის ასაკში უნარიც და მისწრაფებებიც ისეთივე გვაქვს, როგორც ჩვიდმეტი წლის ასაკში გვქონდა. იმ საშინელ დროს კი მოხუცები სამსახურზე და ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე უარს ამბობდნენ, რელიგიაში ვარდებოდნენ,

დროს კითხვასა და ფიქრში ატარებდნენ, გესმით? ფ-ი-ქ-რ-შ-ი! „ბინძური ღორები!“ – ბობოქრობდა თავისთვის დერეფანში ლიფტისკენ მიმავალი ბერნარდ მარქსი. – თანამედროვეობა კი ისე წავიდა წინ, რომ მოხუცი მუშაობს და აქვს სექსი, სამაგიეროდ არ აქვს გართობისა და სიამოვნებისგან თავისუფალი არც ერთი წუთი, არც ერთი წუთი დაფიქრებისთვის. მაგრამ თუ არ გაუმართლა და მოწყენილობის ნაპრალმა მაინც გააპო ცხოვრებით ტკობის უწყვეტი პროცესი, აქვეა სომა, უტკბილესი სომა, მიიღებს გრამის ნახევარს და დაისვენებს დღენახევარი; მიიღებს გრამს და კიდევ უფრო ტკბილად დაისვენებს; ორი გრამით ზმანება დიდებულ აღმოსავლეთში ამოგზაურებს, სამით – მთვარის იდუმალ მარადისობაში. დაბრუნებული ნაპრალის იმ მხარეს აღმოჩნდება, სადაც საიმედოდ დგას ყოველდღიური შრომისა და სიხარულის მყარ ნიადაგზე, სადაც ერთ სენსოფილმს მეორე ენაცვლება, ერთ სექსუალურ ქალს – მეორე, ელექტრომაგნიტური გოლფის მოედანს... – მოშორდი აქედან, გოგონა, – დაიყვირა დირექტორმა გაბრაზებით. – პატარა ბიჭო, შენც! ვერ ხედავთ, რომ მის უფორდესობას არ სცალია? წადით და ეროტიული თამაშით სხვაგან გაერთეთ სადმე. – აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა<sup>1</sup>, – წარმოთქვა მაკონტროლებელმა. ნელა, მედიდურად, მანქანების ხმადაბალი გუგუნის ფონზე, კონვეიერი საათში ოცდაცამეტი სანტიმეტრის სიჩქარით მიიწევს წინ. მეწამულ სიბნელეში აურაცხელი ლალი კიაფობს.

## თავი მეოთხე

ლიფტი ალფა-გასახდელებიდან გამოსული კაცებით იყო სავსე და ლენინას შესვლას ყველა მეგობრული ღიმილით შეეგება. ის ძალიან პოპულარული ქალი იყო და თითო ღამე თითქმის ყველა მათგანთან ჰქონდა გატარებული. „საყვარელი ბიჭები არიან“, გაიფიქრა, როდესაც მისალმებაზე სალმითვე უპასუხა. ძალიან საყვარელი! თუმცა ჯობდა, ჯორჯ ედუელს ამხელა ყურები არ ჰქონოდა (328-ე მეტრზე პარათირეოიდული ჰორმონის ჭარბი დოზა ხომ არ მიუღია ბოთლად ყოფნისას?). ბენიტო ჰუვერის დანახვაზე კი უნებლიედ მისი ზედმეტად ბანჯგვლიანი შიშველი მკერდი გაახსენდა. ბანჯგვლიანი სხეულის გახსენებაზე თვალეზმის სევდაჩამდგარმა ჰუვერს თვალი აარიდა და კუთხეში მელანქოლიური ბერნარდ მარქსის კაფანდარა სხეული შენიშნა. – ბერნარდ! – მისკენ ნაბიჯი გადადგა. – გემბდი. – ჩქაროსნული ლიფტის ხმადაბალი გუგუნის ფონზე, ქალის ხმა მკვეთრად გაისმა. კაცებმა გაკვირვებით მიმოიხედეს. – მინდოდა დაგლაპარაკებოდი ნიუ მექსიკოში გამგზავრებასთან დაკავშირებით. – თვალის კუთხიდან ბენიტო ჰუვერის განცვიფრებული სახე დაინახა, აღელდა. „უკვირს, რომ ისევ მასთან ერთად წასვლის სურვილით არ ვარ ანთებული!“ – უთხრა თავის თავს და ისევ ბერნარდს მიმართა მკაფიოდ, ხმაში განსაკუთრებული სითბო ჩააქსოვა, – დიდი სიამოვნებით გავატარებდი შენთან ერთად ერთ კვირას ივლისში. (თანაც საჯაროდ გაუსვა ხაზი, რომ ჰენრი ფოსტერის ერთგული არ იყო. ფანის უნდა გახარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ახალ პარტიორად ბერნარდს ირჩევდა). ბერნარდს მომხიბვლელად და მრავლისმეტყველად გაუღიმა, – თუკი, რა თქმა უნდა, ჩემთან ყოფნის სურვილი ჯერ კიდევ გაქვს. ბერნარდს ფერმკრთალი სახე აელეწა. „რა დაემართა“? ლენინა გაოცდა, თუმცა საკუთარი მომხიბვლელობის ასეთი უცნაური აღიარება ძალიან ესიამოვნა. – იქნებ ამ თემაზე სხვაგან გვესაუბრა? – ჩაიბუტბუტა მეტისმეტად შეცბუნებულმა მარქსმა. „თითქოს რაღაც სამარცხვინო მეთქვას, – გაიფიქრა ლენინამ, – ამაზე მეტად ისეთი უხამსი ხუმრობაც კი არ გააღიზიანებდა, დედაშენი ვინ არისმეთქი, ან რაიმე მსგავსი რომ მეკითხა“. – არ გვიანდა აქ, ამათ გასაგონად... – ენა დაება ბერნარდს. ლენინამ გულწრფელად და გულითადად გაიცინა. – რა სასაცილო ხარ! – მართლაც ასე ფიქრობდა. – ერთი კვირით ადრე გამაფრთხილე, კარგი? – განაგრძო საქმიანი ტონით. – ალბათ „წყნარი ოკეანის ლურჯი ლაინერით“ გავფრინდებით. ჩარინგთ კომპიდან გადის თუ ჰემპსთედებიდან? ბერნარდმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. ლიფტი გაჩერდა. – სახურავი! – გაისმა ღრჭიალა ხმა. ლიფტს ეფსილონ-მინუს კრეტინოიდის შავ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი პატარა, მაიმუნისმაგვარი არსება ემსახურებოდა. – სახურავი! კარი გააღო. ზაფხულის კაშკაშა მზემ არსება შეაკრთო; თვალები აახამხამა. – ო-ო-ო, სახურავი! – აღტაცებით გაიმეორა. მზის შუქმა თითქოს უცებ გამოაფხიზლა ყრუ ძილბურანიდან. – სახურავი! თავი ასწია და ძაღლური, მორჩილებანარევი სიყვარულით შესცინა ლიფტიდან დღის სინათლეზე ლაპარაკ-ლაპარაკით და სიცილით გამომავალ მგზავრებს. „სახურავი“? ახლა შეკითხვის ტონით გაიმეორა. მერე ზარმა დარეკა და ლიფტის კაბინის ჭერზე მიმაგრებული რეპროდუქტორიდან ძალიან წყნარმა ხმამ მბრძანებლური ტონით დაიწყო მითითებების გაცემა. „ჩადი ქვემოთ, ჩადი ქვემოთ. მეთვრამეტე სართული. ჩადი ქვემოთ, ჩადი ქვემოთ, ჩადი...“ ლიფტის მსახურმა კარი დახურა, ღილაკს შეეხო და იმწამსვე შახტის ბინდში, საკუთარი ჩვეული სტუპორის ბინდში ჩაიძირა. ზაფხულის მზიანი დღე იყო. სახურავზე ცხელოდა. ვერტმფრენები მომთენთავად ბზუოდნენ; კაშკაშა ცის სიღრმეში, ათიოდე კილომეტრის

სიმაღლეზე, უხილავად დასრიალებდნენ სარაკეტო თვითმფრინავები. ბერნარდ მარქსმა ღრმად ჩაისუნთქა. ჯერ ცას ახედა, შემდეგ ლურჯ ჰორიზონტს და ბოლოს მზერა ლენინას სახეზე შეაჩერა. – რა სილამაზეა! – ხმა ოდნავ უთრთოდა. გოგონამ თბილად, თანაგრძნობით გაუღიმა. – დაბრკოლებებიანი გოლფისთვის ზედგამოჭრილი ამინდია, – თქვა აღტაცებით. – ახლა კი უნდა გავფრინდე, ბერნარდ. არ მინდა ჰენრი ვალოდინო, ვიცი, ეწყინება. გამგზავრების თარიღი წინასწარ შემატყობინე. – შემდეგ ხელი დაუქნია, უზარმაზარი ბრტყელი სახურავი სირბილით გადაჭრა და ანგარისკენ გაემართა. ლენინა თანდათან თვალს ეფარებოდა, ბერნარდი კი იდგა და გაჰყურებდა თეთრ წინდებში გამოწყობილი წვივების და მზედაკრული მუხლების მოძრაობას, მწვანე ჟაკეტის ქვეშ ტანზე კარგად მომდგარი ნაკეცებიანი შორტის რბილ მოხაზულობას. სახეზე ტკივილი ეწერა. – ვერაფერს იტყვი, მაგარი გოგოა, – ხმამალა, მხიარულად გაისმა ზურგს უკან. ბერნარდი შეკრთა, მიმოიხედა. ზემოდან ბენიტო ჰუვერის გაბრწყინებული მრგვალი წითელი სახე დაჰყურებდა, მეგობრობის და კეთილმოსურნეობის განსახიერება. ჰუვერი ხომ გულკეთილობით იყო განთქმული. მასზე ამბობდნენ, ცხოვრებაში სომასთან მიკარება არ დასჭირდება, რადგან სხვებისგან განსხვავებით, სევდის და უგუნებობის შეტევები არასოდეს ჰქონიაო. ბენიტო ცხოვრებას ვარდისფრად ხედავდა. – სექსუალურიც. და მერე როგორი! – მერე შეცვლილი ტონით განაგრძო: – მომისმინე, რაღაც მოწყენილი ჩანხარ! სომა გჭირდება, ერთი გრამი. – შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ფლაკონი ამოაძვრინა. – ერთი კუბ-სანტიმეტრი სომა – და გაქრა... მოიცა, სად მიდიხარ?! ბერნარდი უეცრად შეტრიალდა და უკანმოუხედავად გაიქცა. ბენიტომ თვალი გააყოლა, გაოცებული იყო. „რა ემართება ამ ბიჭს“! ბოთლად ყოფნისას სისხლის სუროგატში ალკოჰოლის ჩასხმის ამბავი გაახსენდა და ალბათ მართალიაო, გაიფიქრა. „ეტყობა, ტვინი დაუზიანდა საწყალს“. მერე სომა შეინახა, ჯიბიდან სექს-ჰორმონის შემცველი საღეჭი რეზინა ამოიღო, პირში ჩაიტენა და ნელა, ღეჭვა-ღეჭვით გაემართა ანგარისკენ. ჰენრი ფოსტერი ანგარიდან გამოყვანილი ვერტმფრენის კაბინაში იჯდა, როდესაც ლენინამ მიიღბინა, კიბეზე აძვრა და გვერდით მიუჯდა. – უკვე ოთხი წუთია გელოდები, – დააზუსტა ჰენრიმ; ძრავა ჩართო და ზედა ხრახნი აამუშავა. მანქანა ჰაერში ვერტიკალურად აიჭრა. ჰენრიმ ფეხი აქსელერატორს დააჭირა; ხრახნის უხეში გუგუნის თანდათან მისუსტდა – კრაზანის ბზუილი კოლოს წუილად გარდაიქმნა; სპიდომეტრის მიხედვით, აღმასვლის სიჩქარე წუთში თითქმის ორ კილომეტრს უდრიდა. ლონდონი მათ ფეხქვეშ თანდათან უჩინარდებოდა. რამდენიმე წამიც და უზარმაზარი ბრტყელსახურავიანი შენობები პარკების და ბაღების მწვანე მასივიდან ამოჩრილ სწორკუთხედ სოკოებს დაემსგავსა. მათ შორის ყველაზე მაღალისა და წვრილის – ჩარინგ-თ კოშკის ცისკენ ატყორცნილი ბეტონის დისკო მზეზე ელვარებდა. თავს ზემოთ ლურჯი ცის ფონზე, მითიური კოლოსის სხეულის მსგავსი უზარმაზარი ხორცსავსე ღრუბლები მიიწეოდნენ. უეცრად ღრუბლებიდან პატარა წითელი მწერი გამოიჭრა და ზუზუნით დაიწყო ვარდნა. – ეს „წითელი რაკეტაა“, – თქვა ჰენრიმ, – ნიუ იორკიდან მოფრინავს. – შემდეგ საათს დახედა და მოიღუშა. – შვიდი წუთით იგვიანებს. „ატლანტიკის ავიახაზები“ აღმაშფოთებლად არაპუნქტუალურია! ჰენრიმ აქსელერატორს ფეხი მოაშორა. ზედა ხრახნის ხმაური ოქტავანახევრით დადაბლდა და გაუხეშდა, კოლოს წივილი თანდათან ისევ კრაზანის, მერე კი მასის ხოჭოს ბზუილში გადაიზარდა. აღმასვლა შენელდა; ვერტმფრენი ჰაერში უძრავად დაეკიდა. ჰენრიმ გადაცემის ბერკეტი ჩხაკუნით გადასწია. წინა ხრახნმა მათ თვალწინ დაიწყო ტრიალი, ჯერ ნელა, შემდეგ უფრო და უფრო

სწრაფად, სანამ ნისლის მბრუნავ დისკოდ არ გადაიქცა. ქარი უსიამოვნოდ გაჰკიოდა. ჰენრი მრიცხველს მიაჩერდა, და როდესაც ისარმა თორმეტიათასიან ნიშნულს მიაღწია, ვერტმფრენის ხრახნები გამორთო. მანქანას უკვე საკმარისი სიჩქარე აეკრიფა და იმპულსურად მიჰქროდა წინ. ლენინამ ვერტმფრენის იატაკზე გამოჭრილი ფანჯრიდან ქვემოთ ჩაიხედა. ექვსკილომეტრიანი საპარკო ზონის თავზე მიფრინავდნენ, რომელიც ცენტრალურ ლონდონს სატელიტი გარეუბნების პირველი რიგისგან ჰყოფდა. პარკის სიმწვანე პატარა ფიგურებით იყო გადავსებული. ხეებს შორის წრეში ბურთის სათამაშო პრიალა კომპურები ამოწვერილიყო. შეპარდს-ბუმის მახლობლად, ორი ათასი ბეტა-მინუს შერეული წყვილი ჩოგბურთს თამაშობდა რიმანის<sup>1</sup> ზედაპირებზე. მთავარ გზას ნოთინგ ჰილიდან უილსდენამდე ორ მწკრივად გასდევდა ესკალატორიანი ხელბურთის კორტები. ილინგის სტადიონზე დელტების სატანვარჯიშო ადგილი და საზოგადოებრივი სიმღერის დღესასწაული მიმდინარეობდა. – ხაკისფერი საზარელია, – ლენინამ თავისი კასტისთვის ჰიპნოპედიით შთანერგილი ბრმა რწმენა გამოთქვა ხმამაღლა. ჰაუნსლოუს სენსოვილმების სტუდია შვიდნახევარ ჰექტარზე იყო გადაჭიმული. მის მახლობლად შავსა და ხაკისფერში გამოწყობილი მუშების ჯარი დასავლეთის დიდი მაგისტრალის მინისებური საფარის განახლებით იყო დაკავებული. ვერტმფრენმა მაგისტრალს სწორედ მაშინ გადაუფრინა, როდესაც უზარმაზარი გადასატანი სადნობი ტიგელი გაიხსნა და გზის ზედაპირზე გამდნარი ქვის გავარვარებული ნაკადი გადმოღვარა; აზბესტის სატკეპნები წინ და უკან მოძრაობდნენ. წყლის მოძრავი ავტოცისტერნიდან თეთრი ორთქლი ბოლქვებად ამოდიოდა. ბრენტფორდის ტელეკორპორაციის ფაბრიკა პატარა ქალაქს ჰგავდა. – როგორც ჩანს, ერთ-ერთმა ცვლამ მორიგეობა დაასრულა, – შენიშნა ლენინამ. ფოთლისფერ-მწვანე გამა-გოგონები და შავი კრეტინოიდები ჭიანჭველებივით მისეულიყვნენ შესასვლელებთან, ან რიგებში იდგნენ მონორელსურ ტრამვაიში ადგილის დასაკავებლად. ბრბოში მუქ-წითელი ბეტა-მინუსები მიმოდიოდნენ. მთავარი . რიმანის ზედაპირი – ერთგანზომილებიანი კომპლექსური მრავალფეროვნების ტრადიციული დასახლება კომპლექსურ ანალიზში. მაგალითად, კომპლექსური სიბრტყე და რიმანის სფერო. შენობის სახურავზე გაცხოველებული მოძრაობა იყო – ვერტმფრენების დაშვება და აფრენა არ წყდებოდა. – რა ბედნიერებაა, რომ გამა არ ვარ, – წარმოთქვა ლენინამ. ათი წუთის შემდეგ უკვე სტოკ-პოჯესში იყვნენ და დაბრკოლებებიანი გოლფის პირველი რაუნდი ჰქონდათ დაწყებული. ბერნარდმა სწრაფად გადაჭრა სახურავი. თავდახრილს ადამიანისთვის თვალის გასწორება არ შეეძლო, ყველას ქურდულად არიდებდა მზერას. ისე მიდიოდა, თითქოს ვიღაც მისდევდა, მისდევდა მტერი, რომლის დანახვა არ სურდა: ვაითუ მდევარი კიდევ უფრო მტრულად ყოფილიყო განწყობილი, ვიდრე მას წარმოედგინა და გაურკვეველი დანაშაულის შეგრძნება კიდევ უფრო გამმაფრებოდა, კიდევ უფრო აუტანელი გამხდარიყო სიმარტოვე. „საშინელი ვინმეა ეს ბენიტო ჰუვერი“! ჰუვერი კი ამ დროს ძალიან კეთილგანწყობილი იყო. თუმცა ეს ერთიორად ძაბავდა მდგომარეობას. კეთილი განწყობა ისეთივე ტკივილს აყენებდა, როგორსაც მტრული. ლენინას დამოკიდებულებაც კი სტანჯავდა. ახსენდებოდა ის დღეები, შორიდან რომ შესცქეროდა სურვილით და კრძალვით, დალაპარაკებას რომ ვერ ბედავდა სასოწარკვეთილი. დამცინავი უარი რომ მიეღო? აიტანდა ასეთ დამცირებას? „ჰო“-ს თქმა კი ალტაცებაში მოიყვანდა. და აი, ლენინამ უთხრა „ჰო“, ბერნარდი კი მაინც უბედურია, უბედურია, რადგან ლენინა დაბრკოლებებიანი გოლფისთვის იდეალურ ამინდში სათამაშოდ ჰენრი ფოსტერს გაეკიდა;

უბედურია, რადგან მას სასაცილოდ მოეჩვენა ბერნარდი, რომელმაც ინტიმურ თემებზე საჯაროდ საუბარს თავი აარიდა; უბედურია, რადგან ლენინა მოიქცა ისე, როგორც ნებისმიერი ჯანმრთელი და მაღალზნობრივი ინგლისელი ქალი მოიქცეოდა და არა სხვანაირად, უცნაურად და უჩვეულოდ. ანგარის კარი გააღო და ვერტმფრენის სახურავზე გამოსაგორებლად ორ უსაქმოდ მჯდარ დელტა-მინუს მომსახურეს მოუხმო. ანგარის პერსონალი ბოკანოვსკის ერთი ჯგუფით იყო დაკომპლექტებული – ზუსტად ერთნაირი პატარა, შავი და მახინჯი კაცუნებით. ბერნარდი ბრძანებებს მკვეთრი, ამპარტავნული და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი ტონით იძლეოდა, როგორც ადამიანი, რომელიც საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებული არ იყო. დაბალი კლასის წარმომადგენლებთან ურთიერთობა ყოველთვის სტანჯავდა. არავინ იცოდა რატომ (მოარული ჭორი სისხლის სუროგატში სპირტის შესახებ შესაძლოა მართალიც კი იყო – რა არ ხდება შემთხვევით), მაგრამ ბერნარდის ფიზიკური მონაცემები საშუალო გამას გარეგნობას ოდნავ თუ სჯობდა. სტანდარტული ალფას სიმაღლეს რვა სანტიმეტრით ჩამორჩებოდა და აღნაგობითაც უფრო სუსტი იყო. დაბალი კასტის წევრებთან ურთიერთობა ყოველთვის მტკივნეულად ახსენებდა საკუთარ ფიზიკურ არასრულფასოვნებას. „მე ვარ მე, სხვა მაინც ვყოფილიყავი“; საკუთარი არასრულფასოვნების შეგრძნება მტანჯველი იყო. თავს ყოველთვის შეურაცხყოფილად გრძნობდა, როდესაც დელტას პირდაპირ უყურებდა თვალებში და არა წესის მიხედვით – ზემოდან ქვემოთ. იმსახურებდა კი საკადრის პატივისცემას დაბალი კასტისგან? ეს კითხვა სიმშვიდეს უკარგავდა და არცთუ უმიზეზოდ. რადგან გამების, დელტებისა და ეფსილონების აღზრდა სხეულის ზომას გარკვეულწილად სოციალურ უპირატესობასთან აკავშირებდა. ადამიანის აღნაგობასთან დაკავშირებული ჰიპნოპედიური ცრურწმენა მთელ საზოგადოებაში იყო ფესვგადგმული. ამით აიხსნებოდა იმ ქალების აგდებული დამოკიდებულებაც, ვისთანაც ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა, და მამაკაცი კოლეგებისაც. დაცინვის გამო თავს უცხოდ გრძნობდა და ქცევაც მარტოსული ადამიანის ჰქონდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მისდამი მიკერძოებას; აძლიერებდა ფიზიკური ნაკლით გამოწვეულ ზიზღსა და მტრულ დამოკიდებულებას და, თავის მხრივ, მარტოსულობისა და გაუცხოების შეგრძნებას უმძაფრებდა. იგნორირების მუდმივი შიში აიძულებდა, თავისი წრის ადამიანებისთვის თავი აერიდებინა, დაბალი ფენის წარმომადგენლებთან კი საკუთარი ღირსებისთვის გაესვა ხაზი. როგორ შურდა ჰენრი ფოსტერისა და ბენიტო ჰუვერისნაირი მამაკაცების! მათ არ სჭირდებოდათ ყვირილი, რომ ეფსილონს ბრძანების შესრულება აიძულონ; მათ დაბალი კასტების მორჩილებაში ეჭვი არასოდეს ეპარებოდათ; კასტურ სისტემაში თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში, როგორც საკუთარ მყუდრო, სასიამოვნო სტიქიაში. ორმა მომსახურემ მისი ვერტმფრენი სახურავზე გამოაგორა, როგორც ბერნარდს მოეჩვენა, ზანტად და უხალისოდ. – გაინძერით! – მიამახა გაღიზიანებით. ერთ-ერთმა ტყუპისცალმა შეხედა. რაღაც პრიმიტიული დაცინვის მსგავსი ხომ არ გაკრთა ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებულ ნაცრისფერ თვალებში? – გაინძერით! – უფრო ხმამაღლა დაიყვირა. ხმაში მუქარა გაისმა. ერთი წუთის შემდეგ უკვე თვითმფრინავში იჯდა და სამხრეთის მიმართულებით, მდინარისკენ მიფრინავდა. გრძნობათა ტექნოლოგიის კოლეჯი და სხვადასხვა მიმართულების პროპაგანდის ბიუროები ფლიტ-სტრიტზე მდებარეობდა ერთ სამოცსართულიან შენობაში. სარდაფი და ქვედა სართულები ლონდონის სამი უდიდესი გაზეთის რედაქციებსა და სტამბებს ეჭირა; ეს იყო უმაღლესი კასტის გაზეთი „სათობრივი რადიოუწყებები“, ბაცი



მწვანე „გამა-გაზეთი“ და დელტა-მირორი“, რომელიც ხაკისფერ ქაღალდზე იბეჭდებოდა და მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებს შეიცავდა. შემდეგი ოცდაორი სართული ეკავა სატელევიზიო პროპაგანდის, სინთეზური ხმისა და სინთეზური მუსიკის ბიუროებს. კიდევ უფრო ზემოთ იყო კვლევითი ლაბორატორიები და ბგერაგაუმტარი ოთახები, სადაც ფონოგრამებისა და სინთეზური მუსიკის შემქმნელები იღვწოდნენ შემოქმედებითად. ზედა თვრამეტი სართული გრძნობათა ტექნოლოგიის კოლეჯს ჰქონდა დათმობილი. ბერნარდი პროპაგანდის სახლის სახურავზე დაეშვა და კაბინიდან გადმოვიდა. – დაურეკეთ მისტერ ჰელმჰოლც უოტსონს, – უბრძანა გამა-პლუს კარისკაცს, – და უთხარით, რომ ბატონი ბერნარდ მარქსი სახურავზე ელოდება. შემდეგ დაჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ჰელმჰოლც უოტსონი სამუშაო მაგიდასთან იჯდა, როდესაც შეტყობინება მიიღო. – უთხარით, რომ ახლავე ამოვალ, – თქვა და ყურმილი დაკიდა. შემდეგ მდივანს მიუბრუნდა და ისეთივე ოფიციალური და ინდიფერენტული ტონით მიმართა, – ჩემს არყოფნაში საბუთები მიალაგეთ. – მისი გაცისკროვნებული ღიმილი აინუნშიც არ ჩაუგდია, ისე ადგა და ენერგიული ნაბიჯით გაემართა კარისკენ. ათლექტური აღნაგობის, მხარბეჭიანი, მკერდგანიერი ჰელმჰოლც უოტსონი, მასიური ტორსის მიუხედავად, მკვირცხლი და მოქნილი მოძრაობებით გამოირჩეოდა. ღონიერ კისერს არაჩვეულებრივი ფორმის თავი უმშვენებდა. მუქი ხვეული თმა ჰქონდა და გამოკვეთილი, მეტყველი სახის ნაკვთები. შესანიშნავი, ხაზგასმულად ძლიერი, მამაკაცური გარეგნობის გამო, როგორც მისი მდივანი იტყოდა ხოლმე ალტაცებით, „თხემით ტერფამდე“ ალფა-პლუსი იყო. პროფესიით გრძნობათა ტექნოლოგიის კოლეჯის წერის ფაკულტეტის ლექტორი იყო; საგანმანათლებლო საქმიანობიდან თავისუფალ დროს გრძნობათა ტექნოლოგიის პრაქტიკას უთმობდა. წერდა „საათობრივი რადიოუწყებებისთვის“, ქმნიდა სენსოფილმების სცენარებს, ჰქონდა სარეკლამო სლოგანებისა და ჰიპნოპედიური ლექსების თხზვის არაჩვეულებრივი უნარი. უდავოდ ნიჭიერი“, ასეთი იყო უფროსობის აზრი მის შესახებ. „ცოტა არ იყოს(აქ უფროსები მრავალმნიშვნელოვნად აქნევდნენ თავს და ხმადაბლა ამბობდნენ), ზედმეტად ნიჭიერი“. დიახ, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ნიჭიერი. უფროსობა არ ცდებოდა. ჰელმჰოლც უოტსონის ზედმეტი ნიჭიერების შედეგი იგივე იყო, რაც ბერნარდ მარქსის ფიზიკური ნაკლისა. კაფანდარა, ფიზიკურად სუსტი ბერნარდი კოლეგებს ყოველთვის გაუბოდა, ხოლო გამორჩეულობის შეგრძნება (რაც ყოველგვარი არსებული სტანდარტის მიხედვით ინტელექტუალურ უპირატესობაში გამოიხატებოდა) მის მარტოსულობას კიდევ უფრო აღრმავებდა. რაც შეეხება ჰელმჰოლცს – ზედმეტი ნიჭიერება იყო საკუთარი თავისთავადობის გამო უხერხულობის შეგრძნებისა და მარტოობის მიზეზი. ორივეს ინდივიდუალიზმი გამორჩეული იყო – ეს ორივეს კარგად ესმოდა და მათ სწორედ ეს აერთიანებდა. მაგრამ ფიზიკურად არასრულფასოვანი ბერნარდი მთელი სიცოცხლე მარტოობისგან იტანჯებოდა, ჰელმჰოლცმა კი სულ ახლახან გააცნობიერა საკუთარი განსაკუთრებული ნიჭიერება და ამით გამოწვეული განსხვავება გარშემომყოფთაგან. ესკალატორ-სკვოშის ჩემპიონი, დაუცხრომელი საყვარელი (როგორც ამბობდნენ, სულ რაღაც ოთხიოდე წლის განმავლობაში ექვსას ორმოცი ქალი გამოიცვალა), უამრავი სხვადასხვა კომისიის სათაყვანებელი წევრი, საზოგადოების სული და გული უეცრად მიხვდა, რომ სპორტი, ქალები და საზოგადოებრივი საქმიანობა მისთვის მეორეხარისხოვანი იყო მხოლოდ და მხოლოდ. რეალურად, სიღრმისეულად კი, სხვა რამ აინტერესებდა. მაგრამ რა? სწორედ ამ თემაზე სალაპარაკოდ მოვიდა მასთან ბერნარდი,

უფრო სწორად კი – რადგან მათი შეხვედრებისას ძირითადად ჰელმჰოლცი ლაპარაკობდა – მეგობრის კიდევ ერთხელ მოსასმენად. ლიფტიდან გამოსულ ჰელმჰოლცს გზა პროპაგანდის ბიუროს სინთეზური ხმის განყოფილების სამმა მომხიბვლელმა გოგონამ გადაუღობა. – ჰელმჰოლც, ძვირფასო, გეხვეწებით, წამოდი ჩვენთან ერთად პიკნიკზე ექსპურში. – გარს ეხვეოდნენ და ემუდარებოდნენ გოგონები. – არა, არა, – ჰელმჰოლცმა კორდონი ძლივძლივობით გაარღვია. – მამაკაცებიდან მხოლოდ შენ გპატიჟებთ. ჰელმჰოლცი ვერც ამ მაცდურმა დაპირებამ მოდრიკა. – არა, – გაიმეორა, – არ მცალია. – და გზა განაგრძო. ქალები აედევნენ და მანამდე სდიეს, სანამ ბერნარდის თვითმფრინავში არ ავიდა და კარი ცხვირწინ არ მიუჯახუნა. კარს უკან საყვედურები გაისმა. – ოჰ, ეს ქალები! – წარმოთქვა, როდესაც მანქანა ცაში აიჭრა. – ეს ქალები! – და თავი გააქნია, მოიღუშა. – აუტანლები არიან, – დაეთანხმა ბერნარდი. ფარისეველობდა, ყოველთვის სურდა იმდენი ქალი ჰყოლოდა, რამდენიც ჰელმჰოლცს, თანაც ჰელმჰოლცივით თითის გაუნძრევლად. უცებ ტრაბახის დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო. – ნიუ მექსიკოში ლენინა კრაუნი მიმყავს, – თქვა ისე, თითქოს ამ ფაქტს მისთვის დიდი მნიშვნელობა სულაც არ ჰქონდა. – მართლა? – ინდიფერენტულად იკითხა ჰელმჰოლცმა. შეყოვნდა, შემდეგ განაგრძო, – ეს ორიოდე კვირას, უარი ვთქვი ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაზე და ყველა ქალზე. ვერ წარმოიდგენ, რა ხმაურია ატეხილი კოლეჯში ამის გამო, თუმცა მაინც მგონია, რომ სწორად ვიქცევი. – შეყოყმანდა... – შედეგები კი... უცნაურია, ძალიან უცნაური. ფიზიკურმა ნაკლმა შეიძლება ერთგვარი გადამეტებული გონიერება გამოიწვიოს. თუმცა, როგორც ჩანს, ზოგჯერ პირიქითაც ხდება. და გადამეტებული გონიერების შედეგი განზრახ სიმარტოვის ნებაყოფლობითი სიბრმავე და სიყრუე, ასკეტიზმის ხელოვნურად გამოწვეული უძლურებაა. მოკლე გზის დარჩენილი ნაწილი ხმის ამოუღებლად იფრინეს. შემდეგ ბერნარდის ოთახში მოხერხებულად მოკალათდნენ პნევმატურ დივნებზე და ჰელმჰოლცმა საუბარი თავიდან წამოიწყო. ძალიან ნელა ლაპარაკობდა. – გიგრძნია ოდესმე, თითქოს შენში არის რაღაც ისეთი, რაც გარეთ გამოსვლას ელოდება? რაღაცნაირი გამოუყენებელი ენერგია, წყლის ნაკადის მსგავსი, რომელიც ჩანჩქერივით ფუჭად მიედინება, მაშინ როდესაც ტურბინების ტრიალი შეუძლია? – და ბერნარდს კითხვის გამოძხატველი თვალებით შეაჩერდა. – შენ იმ გრძნობებს გულისხმობ, რომლებიც სხვაგვარი ცხოვრების პირობებში გვექნებოდა? ჰელმჰოლცმა თავი გააქნია. – არც სულმთლად. ეს უცნაური გრძნობა ზოგჯერ მეუფლება. მგონია, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მაქვს სათქმელი, მგონია, რომ უნარიც მაქვს სათქმელის გადმოსაცემად, უბრალოდ, ვერ ვხვდები რა უნდა ვთქვა და უნარსაც ვერაფერში ვიყენებ. სხვანაირად წერა რომ შეიძლებოდეს, ან თუნდაც სხვა რამეზე... – ერთხანს დადუმდა, მერე ისევ განაგრძო, – შენ ხომ იცი, რომ ფრაზების თხზვა კარგად მეხერხება – ჩემი სიტყვები ისე გაკრთობს, როგორც ნემსის ჩხვლეტა; იმდენად ახალი და მოულოდნელია, თითქოს ჰიპნოპედიური ბანალობა არ იყოს. მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. ჰო, კარგი ფრაზაა და მერე რა? ღრმა აზრი იმაშიც უნდა იდოს, რასაც ეს ფრაზა ემსახურება. – შენს ფრაზებში აზრიც კარგად იკითხება! – გარკვეულწილად, ალბათ კი. – ჰელმჰოლცმა მხრები აიჩეჩა. – მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მათი არსი არცთუ ისე მნიშვნელოვანია, მე კი ვგრძნობ, რომ შემიძლია ვაკეთო რაღაც გაცილებით უფრო სერიოზული, უფრო ემოციური, უფრო მძაფრი. მაგრამ რა? რა გვაქვს უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი? შეიძლება მალეღვებდეს ის, რაზეც ვწერ? სწორად გამოყენებულ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, რენტგენის სხივივით აღწევს ყველაფერში.

კითხულობ დაგრძნობ, როგორ იმსჭვალეები წაკითხულით. ვცდილობ, ჩემს სტუდენტებს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რამ ვასწავლო – წერის ხელოვნება სულში წვდომით. აზრი? სულში როგორ უნდა ჩაგწვდეს სტატია მორიგ ფორდმსახურებაზე, ან სურნელოვანი ორდანის უკანასკნელ მოდელზე? შეიძლება ამ თემებზე ყველაზე ამაღელვებელი და სულში ჩამწვდომი სიტყვებით წერდე? შეიძლება ყველაფერი თქვა არაფერზე? საქმე საბოლოოდ აქამდე მიდის, მე კი მაინც ვცდილობ... – ჩუ! – წამოიძახა უცებ ბერნარდმა და გაფრთხილების ნიშნად თითი ასწია. ორივემ მიაყურადა. – მგონი, კარს უკან ვიღაც დგას, – ჩაიჩურჩულა. ჰელმჰოლცი ადგა, თითის წვერებზე გადაჭრა ოთახი და კარი მკვეთრი მოძრაობით ფართოდ გააღო. იქ, რა თქმა უნდა, არავინ იყო. – მაპატიე, სულელურად გამოვიდა, – უხერხულობისგან დარცხვენილ ბერნარდს გამომეტყველებაც სულელური გაუხდა. – ეტყობა, ნერვებს ვეღარ ვიკავებ. როდესაც უნდობლობით ხარ გარემოცული, თავადაც ეჭვიანი ხდები. ხელები თვალებზე აიფარა, ამოიოხრა და თავის მართლება სევდიანი ხმით განაგრძო. – რომ იცოდე, რა გადავიტანე ახლახანს, – თითქმის ტიროდა, საკუთარი თავისადმი სიბრაღულის დაუძლეველი გრძნობით სავსე. – ნეტავ იცოდე, რა გადავიტანე! ჰელმჰოლცი უოტსონი შეცბუნებული უსმენდა. „საცოდავი ბერნარდი“! ფიქრობდა თავისთვის, თუმცა ამავე დროს მეგობრის ნაცვლად მწველ სირცხვილს გრძნობდა. ბერნარდს თავის უფრო ღირსეულად დაჭერა არ აწყენდა.

## თავი მეხუთე

რვა საათისთვის შებინდდა. სტოკ პოჯესის გოლფის კლუბის კომპის რუპორიდან სინთეზურმა ტენორმა მოთამაშეებს მოედნების დახურვა ამცნო. ლენინამ და ჰენრიმ თამაში შეწყვიტეს და კლუბისკენ გაემართნენ. შინაგანი და გარეგანი სეკრეციის ტრესტის ტერიტორიიდან ათასობით ძროხის ბლავილი ისმოდა. მათი რძე და ჰორმონები ფარნემ-როიალის უზარმაზარი ფაბრიკის ძირითად ნედლეულს შეადგენდა. ვერტმფრენები განუწყვეტილად გუგუნებდნენ ბინდში. ყოველ ორწუთნახევარში ზარიტა და სტვენით გადიოდნენ სადგურიდან მონორელსური ელექტრომატარებლები, რომლებსაც დაბალი კასტის გოლფის მოთამაშეები მათთვის განკუთვნილი მოედნებიდან დედაქალაქში გადაჰყავდა. ლენინა და ჰენრი ვერტმფრენში ჩასხდნენ და აფრინდნენ. რვაასი ფუტის სიმაღლეზე ჰენრიმ პროპელერის მოძრაობა შეანელა და მანქანა ორიოდ წუთით ჰაერში დაეკიდა გაბუნდოვანებული პეიზაჟის თავზე. ბარნემ ბიჩის ტყე უზარმაზარი შავი ტბასავით გაწოლილიყო დასავლეთით, ცის განათებული ნაპირისკენ. ჰორიზონტთან მეწამული, თითქმის ჩასული მზის ცისკენ აწვდილი სხივები ნარინჯისფერიდან თანდათან ყვითელსა და ბაც, წყალწყალა მწვანეში გადადიოდა. ტყის თავზე ჩრდილოეთის მხრიდან წამომართული ფარნემ-როიალის ქარხნის ოცი სართულის ყველა ფანჯარას ინტენსიური ელექტრული კაშკაში გაუდიოდა. ქარხანა ზემოდან დაჰყურებდა გოლფის კლუბის ნაგებობებს – დაბალი კასტის უზარმაზარ ყაზარმულ ბარაკებს და გამყოფი კედლის გადაღმა მდგარ კოხტა, პატარა კოტეჯებს კლუბის ალფა და ბეტა წევრებისთვის. მონორელსური სადგურის შემოგარენი ჭიანჭველებივით მისეული დაბალი კასტის ადამიანებისგან გადაშავებულიყო. უეცრად მინის თალიდან ჩაბნელებულ დაბლობზე განათებული მატარებელი გამოიჭრა. ჰენრის და ლენინას მზერა, რომელიც სამხრეთად მოსავლეთისკენ მოძრავი მატარებლისკენ იყო მიმართული, სლაუს კრემატორიუმის დიდებულმა შენობამ მიიზიდა. ღამის ფრენების უსაფრთხოების მიზნით მისი საკვამური პროექტორებით იყო განათებული და კაშკაშა წითელი სასიგნალო შუქებით ბოლოვდებოდა. კრემატორიუმი იდგა, როგორც ნიშანსვეტი. – ეს პატარა აივნები რისთვის არის საკვამლე მიღების ირგვლივ? – იკითხა ლენინამ. – ფოსფორის მისაღებად, – ჰენრიმ მონოტონურად დაიწყო ახსნა. – საკვამლე მიღში გავლისას აირები ოთხი განსხვავებული მეთოდით მუშავდება. ძველად ადამიანის კრემაციის დროს ფოსფორის ხუთჟანგი იკარგებოდა, დღეს კი შესაძლებელია მისი ოთხმოცდათვრამეტი პროცენტის აღდგენა. ერთი მოზრდილის გვამი კილონახევარზე მეტ ფოსფორს იძლევა, ანუ ყოველწლიურად მხოლოდ ინგლისში ოთხასი ტონა ფოსფორი მიიღება. – ჰენრი ისეთი კმაყოფილი ჩანდა, ეტყობოდა, ამაზე მეტად საკუთარი წარმატებაც კი ვერ გაახარებდა. – რა საამაყოა იმის შეგრძნება, რომ საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა სიკვდილის შემდეგაც შეგვიძლია! სიკვდილის შემდეგ მცენარეების ზრდა-განვითარებას ვუწყობთ ხელს. ლენინა უკვე ქვემოთ, მონორელსური მატარებლის სადგურისკენ იყურებოდა. – ნამდვილად საამაყოა, – დაეთანხმა, – მაგრამ უცნაურია, რომ ალფები და ბეტები ისევე უწყობენ ხელს მცენარეების ზრდა-განვითარებას, როგორც ეს საშინელი გამები, დელტები და ეფსილონები, აი იქ, ქვემოთ რომ ფუთფუთებენ მატლებივით. – ადამიანები ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობით არ განსხვავდებიან, – სენტენციურად აღნიშნა ჰენრიმ. – თანაც, ეფსილონსაც კი აქვს სავალდებულო ფუნქციები, რომლებსაც მის გარდა სხვა ვერავინ შეასრულებს. – ეფსილონსაც კი... – ლენინას უცებ ბავშვობისდროინდელი

განცდა დაეუფლა: აი, სკოლის მოსწავლეს შუადამისას ეღვიძება და ფხიზელი პირველად აღიქვამს იმ ჩურჩულს, რომელიც მთელი სიცოცხლე ჩაესმის ძილში. ხედავს მთვარის შუქზე პატარა თეთრი საწოლების მწკრივს; ჩუმი, შემპარავი ხმა კიდეც ერთხელ ეუბნება (ყოველი ღამის უთვალავი გამეორების შემდეგ ეს სიტყვები სამუდამოდ ჩაებეჭდა მეხსიერებაში): „თითოეული მუშაობს ყველასთვის. ჩვენ გვჭირდება ყველა. სარგებლობა ეფსილონებსაც კი მოაქვთ. ჩვენ ეფსილონებიც გვჭირდება. თითოეული მუშაობს ყველასთვის. ჩვენ გვჭირდება ყველა...“ ლენინას ახსენდება განცდილი გაკვირვება და შიში; ფიქრი და ეჭვი ნახევარ საათს გრძელდება; მერე ახსენდება, თუ როგორ მშვიდდება მისი გონება დაუსრულებელი გამეორებების ზემოქმედებით, როგორ თანდათანობით, ძალდაუტანებლად, ნელ-ნელა ერევა ძილი... – მგონი, ეფსილონებს სულაც არ აწუხებთ, რომ ეფსილონები არიან, – წარმოთქვა ხმამაღლა. – რა თქმა უნდა, არა. რატომ უნდა აწუხებდით? მათთვის წარმოუდგენელია, რას ნიშნავს იყო არაეფსილონი. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევწუხდებოდით. ჩვენ ხომ აზროვნებაც სხვანაირად ჩამოგვიყალიბეს და მემკვიდრეობითობაც სხვანაირი გვაქვს. – რა კარგია, რომ ეფსილონი არ ვარ, – თავდაჯერებით თქვა ლენინამ. – ეფსილონი რომ ყოფილიყავი, ისე აღზრდიდნენ, მაღლიერი იქნებოდი, რომ ბეტა ან ალფა არ ხარ, – მიუგო ჰენრიმ, გადაცემათა კოლოფი ჩართო და ვერტმფრენი ლონდონისკენ მიმართა. მათ უკან, დასავლეთით, მეწამული და ნარინჯისფერი თითქმის გაუფერულდა; ცის დასალიერზე შეყრილი შავი ღრუბლები ზენიტისკენ ტაატიტ გაცურდნენ. კრემატორიუმის საკვამურებიდან ამოსულმა ცხელი ჰაერის ნაკადმა ვერტმფრენი ზემოთ ატყორცნა, გარემომცველი დაღმავალი დინების სიგრილემ კი ისეთივე სისწრაფით დაუშვა ქვემოთ. – ამერიკული მთების ატრაქციონივითაა, რა მაგარია! – ლენინა აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ჰენრი კი წუთით დასევდიანდა. – იცი, რა იყო ეს ამერიკული მთები? – ყრუ ხმით იკითხა. – ერთმა ცოცხალმა არსებამ სამუდამოდ დატოვა ეს ქვეყანა. ჰაერის ცხელ ნაკადსაჰყვა ზეცაში. საინტერესოა, ვინ იყო – ქალი თუ კაცი, ალფა თუ ეფსილონი?.. – ამოიოხრა. შემდეგ ხაზგასმით მხიარულად დაასკვნა: – ყოველ შემთხვევაში, ერთ რამეში შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ: ვინც არ უნდა ყოფილიყო, სიცოცხლე ბედნიერად გაატარა. დღეს ყველა ბედნიერია. – ჰო, დღეს ყველა ბედნიერია, – ლენინას ხმა ექოსავით გაისმა. ფრაზას თორმეტი წლის განმავლობაში, ას ორმოცდაათჯერ უმეორებდნენ ყოველ ღამე. ვესტმინსტერში ჰენრის ორმოცდაოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე დაეშვნენ და პირდაპირ სასადილო დარბაზში ჩავიდნენ, სადაც მშვენიერი ვახშამი მიირთვეს მხიარულ და ხმაურიან გარემოში. სომა ყავასთან ერთად დააყოლეს. ლენინამ ორი ნახევარგრამიანი აბი მიიღო, ჰენრიმ – სამი. ათის ოც წუთზე ქუჩა გადაჭრეს და ვესტმინსტერის სააბატოს ახლად გახსნილი კაბარესკენ გაემშურნენ. უღრუბლო, უმთვარო, ვარსკვლავიანი ღამე იყო; თუმცა ლენინას და ჰენრის ეს სევდისმომგვრელი ფაქტი, საბედნიეროდ, არც შეუმჩნევიათ – დამთრგუნველ სიბნელეს კარგად ნიღბავდა ელექტრორეკლამის კაშკაშა შუქი. „კალვინ სტოუპსი და მისი თექვსმეტი სექსოფონისტი“. განახლებული სააბატოს ფასადიდან გამვლელებს უზარმაზარი თვალისმომჭრელი წარწერა ეპატიჟებოდა. „ლონდონის საუკეთესო სურნელოვანფერადოვანი ორღანი. ყველაზე თანამედროვე სინთეზური მუსიკა“. შევიდნენ. ამბრის და სანდალოზის ხის სუნით გაჟღენთილ ცხელ გარემოში სუნთქვა ჭირდა. დარბაზის გუმბათის თაღზე ფერადოვანმა ორღანმა ტროპიკული მზის ეფემერული ჩასვლა გამოსახა. თექვსმეტი სექსოფონისტი ასრულებდა ძველ შლაგერს: „ჩემო პატარა, ძვირფასო ბოთლო, ერთადერთი ხარ მთელ

ქვეყანაზე“. ჰენრი და ლენინა გაპრიალებულ იატაკზე ფაივ-სტეპის მოცეკვავე ოთხას წყვილს შეუერთდნენ. საქსოფონების ხმა მთვარეული კატების მელოდიურ კვივლს ჰგავდა, სასიკვდილოდ განწირულის მოთქმას ალტისა და ტენორის რეგისტრში. მთრთოლვარე, ჰარმონიული მელოდია ბენდის შესრულებით თანდათან კულმინაციისკენ მიდიოდა, ძლიერდებოდა; აი, დირიჟორის ხელის ერთი მოძრაობა, რადიომუსიკის ფინალურმა, ზებუნებრივმა, დამანგრეველი ძალის ბგერამ დასჭექა და თექვსმეტი მეზუკე მიწის პირიდან აღგავა. ლაბემოლ მაჟორში დაიქუხა. მერე კი, თითქმის სრულ სიჩუმესა და სიბნელეში, დაიწყო დაღმასვლა ნელა, თანდათანობით. დიმიანუნდოს მეოთხედი ტონებით, ნაზი ჩურჩულით გადაიღვარა უწყვეტ დომინანტურ აკორდში, რომელმაც მუსიკალური ტაქტის 5/4 ზომის მოპულსირე რიტმი გადაფარა და ბნელი წამები დაძაბული მოლოდინით აავსო. ცოტაც და მოლოდინი დასრულდა – იქაურობა უეცრად ამოტყორცნილი მზის სხივებით განათდა და თექვსმეტი სექსოფონისტი ერთად ამღერდა: „ბოთლო ჩემო, მე შენ მსურდი ყოველთვის! ბოთლო ჩემო, ერთურთს რად დაგვაცილეს? შენი ცა ხომ უსასრულოდ ლურჯია, შენი მზე ხომ უსასრულოდ ანათებს; შენი სადარი ვინ არის ქვეყნად. ერთადერთი ხარ მთელ ქვეყანაზე“. ვესტმინსტერის სააბატოს დარბაზში, ოთხას წყვილთან ერთად ფაივსტეპის რიტმში მოცეკვავე ლენინა და ჰენრი სადღაც პარალელურ სამყაროში იმყოფებოდნენ – თბილ, ფერადოვან, უკიდევანო სიკეთით აღსავსე სომარდადეგების სამყაროში. ირგვლივ ყველა გულისხმიერი, ლამაზი და მხიარული იყო! „ბოთლო ჩემო, მე შენ მსურდი ყოველთვის“... ლენინას და ჰენრის ჰქონდათ ყველაფერი, რაც სურდათ... ბოთლად ყოფნის უსასრულო ლურჯი ცით, მანათობელი მზის სხივებით საიმედოდ გარემოცულებს. მერე ქანცმილეულმა თექვსმეტმა სექსოფონისტმა დაკვრა შეწყვიტა და სინთეზური მუსიკის აპარატმა ყველაზე მოდური მალთუსიანური ბლუზი წამოიწყო. ჰენრი და ლენინა ისე ირწეოდნენ მდორე მუსიკის რიტმში, როგორც ბოთლად მყოფი ტყუპი ემბრიონი სისხლის სუროგატის მოლივლივე ტალღებზე. „ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო. ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო“. რეპროდუქტორის ბრძანების კილო გულითადი და მუსიკალური თავაზიანობით იყო შეზავებული. „ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო“... ჰენრიმ და ლენინამ დანარჩენ სტუმრებთან ერთად მორჩილად დატოვეს კაბარე. სევდის მომგვრელი ვარსკვლავები ცის თაღზე კარგა მანძილზე გადაადგილებულიყვნენ. მაგრამ ელექტრორეკლამის უკვე მბჟუტავი შუქის მიუხედავად, ნეტარებაში მყოფი წყვილი ღამეს კვლავაც ვერ ამჩნევდა. კაბარეს დახურვამდე ნახევარი საათით ადრე მიღებულმა სომის მეორე დოზამ რეალურ სამყაროსა და მათ გონებას შორის შეუვალი ზღუდე აღმართა. ბოთლად მყოფებმა გადაჭრეს ქუჩა; ბოთლად მყოფები ჩასხდნენ ლიფტში და ჰენრის ბინაში, ოცდამერვე სართულზე ავიდნენ. თუმცა ბოთლად ყოფნის და სომის მეორე დოზის მიუხედავად, ლენინას არ დავიწყებია მკაცრად დაწესებული რიტუალი – ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების მიღება. ინტენსიური ჰიპნოპედიის წლებმა და თორმეტიდან ჩვიდმეტი წლის ასაკამდე კვირაში სამჯერ მალთუსიანურ გაკვეთილებზე დასწრებამ შედეგი გამოიღო – აბების მიღება თითქმის ისეთივე უნებლიე, ავტომატური გახდა, როგორც თვალების ხამხამი. – ჰო, არ დამავიწყდეს, – წამოიძახა აბაზანიდან გამოსულმა, – ფანი კრაუნს აინტერესებს, სად იშოვე ტარსიკონის ულამაზესი მწვანე სავაზნე ქამარი, აი ეს, შენ რომ მაჩუქე. ორ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, ბერნარდს ერთობის შეკრებებში მონაწილეობა ევალებოდა. იმ დღეს ნაადრევად ისადილა „აფროდიტეუმში“ (სადაც კლუბის წესდების

მეორე პარაგრაფის საფუძველზე, ჰელმჰოლცი ახლახან მიიღეს წევრად), მერე მეგობარს დაემშვიდობა, სახურავზე ტაქსს მოუხმო და მძღოლს ფორდზონის ფორდმსახურების სასახლეში გაფრენა უბრძანა. სამასიოდე მეტრის სიმაღლეზე ასულმა ვერტმფრენმა გეზი აღმოსავლეთისკენ აიღო და მოსახვევში ბერნარდისთვალწინ უზარმაზარი სასახლე გადაიშალა მთელი თავისი დიდებულებით. პროექტორებით განათებული კარარას თეთრი ხელოვნური მარმარილოს სამსოცმეტრიანი სასახლე თოვლივით ქათქათებდა ლადგეითის ბორცვზე; ვერტმფრენის ასაფრენი მოედნის ოთხივე კუთხეში სიბნელეს წითლად ანათებდა ოთხი უზარმაზარი თ, ოცდაოთხი უზარმაზარი ოქროს რუპორიდან კი საზეიმო სინთეზური მუსიკა გრგვინავდა. – ჯანდაბა, დამაგვიანდა, – ჩაილაპარაკა ბერნარდმა სასახლის კომპოზე ბიგ ჰენრის“1 ციფერბლატის დანახვაზე. მართლაც, ვერტ-ტაქსის მძღოლისთვის ფულიც კი არ ჰქონდა გადახდილი, როცა საათმა ჩამოკრა. „ფორდი“, ოცდაოთხივე ოქროს რუპორიდან ხმამაღალი ბანი გაისმა. „ფორდი, ფორდი, ფორდი“... განმეორდა ცხრაჯერ. ბერნარდი ლიფტისკენ გაიქცა. უზარმაზარი აუდიტორია, სადაც საზეიმოდ აღინიშნებოდა ფორდის დღე და სხვა მასობრივი ფორდმსახურებები, სასახლის პირველ სართულზე მდებარეობდა. ზედა სართულებზე ას-ასი ოთახი იყო – სულ შვიდი ათასი – რომლებსაც ერთობის ჯგუფების შეკრებებისთვის იყენებდნენ, თვეში ორჯერ. ბერნარდი ოცდამეცამეტე სართულზე ჩავიდა, დერეფანი გაირბინა და 3210-ე ოთახის წინ წუთით შეყოვნდა. მერე ძალა მოიკრიბა, კარი შეაღო და შევიდა. მადლობა ფორდს! ყველაზე გვიან მაინც არ მისულა! მრგვალი მაგიდის ირგვლივ შემოწყობილი თორმეტი სკამიდან სამი ჯერაც თავისუფალი იყო. რაც შეიძლება შეუმჩნეველად მიიპარა უახლოეს სკამთან, ჩამოჯდა და გამკიცხავი გამომეტყველება მოირგო კიდეც უფრო გვიან მომსვლელების დასახვედრად. – დღეს საღამოს რომელი გოლფის სათამაშოდ იყავი? დაბრკოლებებიანის თუ ელექტრომაგნიტურის! – ჰკითხა ხელმარცხნივ მჯდომმა ქალმა. ბერნარდმა შეხედა (ო, ფორდ! ეს მორგანა როტმილდი იყო), დაიმორცხვა და იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ დღეს გოლფი საერთოდ არ უთამაშია. მორგანამ გაკვირვებისგან პირი დააღო. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ მორგანამ ბერნარდს დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი და მისგან მარცხნივ მჯდომ სპორტის მოყვარულ მამაკაცს მიუბრუნდა. „ერთობის შეკრებისთვის მშვენიერი დასაწყისია“, გაიფიქრა დათრგუნულმა ბერნარდმა და იგრძნო, რომ დღეს ეს მარცხი ერთადერთი არ იქნებოდა. შეეხედა მაინც, სად ჯდებოდა, სანამ სკამისკენ გაექანებოდა. შეემლო ფიფი ბრედლოუსა და ჯოანა დიხელს შორის მოხვედრილიყო, ის კი ადგა და ბრმასავით ჩაეჩხირა მორგანას გვერდით. მორგანა! ო, ფორდ! მისი შავი წარბები, უფრო სწორად, შუბლქვეშ გადაბმული ერთი წარბი. ფორდ! მარჯვნივ კი კლარა დეტერდინგი ზის. მართალია, წარბები გადაბმული არ აქვს, მაგრამ უზომოდ სექსუალურია, ფიფი და ჯოანა კი – ზომიერად. მკვრივი, კარგად შეკრული ქერა ლამაზმანები... მათ შორის უკვე ეს გაუთლელი მოზვერი, თომ კავაგუჩი ჩამჯდარა. ყველაზე ბოლოს საროჯინი ენგელსი მოვიდა. – დაიგვიანეთ, – მკაცრად გააფრთხილა ჯგუფის თავმჯდომარემ. – გთხოვთ, მომავალში ეს აღარ განმეორდეს. საროჯინიმ მოიბოდიშა და ჯიმ ბოკანოვსკისა და ჰერბერტ ბაკუნინს შორის დაიკავა ადგილი. ჯგუფი შეივსო, ერთობის რკალი შეიკრა. ქალი, მამაკაცი, ისევ ქალი და ისევ მამაკაცი – მონაცვლეობით ისხდნენ წრეში, მაგიდის ირგვლივ. თორმეტივე ერთიანობას ესწრაფოდა, თორმეტივე საკუთარი ინდივიდუალობის ერთარსებაში შერწყმის, ერთარსებაში განსხეულებისთვის იყო მზად. ჯგუფის თავმჯდომარე წამოდგა, ნიშანი თ პირჯვარით

გამოისახა და სინთეზური მუსიკა ჩართო – სასულე და სიმებიანი ორკესტრი ნებას მიშვებულ დაფდაფების მსუბუქი, მომთენთავი დარტყმების ფონზე, გულისგამაწვრილებლად იმეორებდა და იმეორებდა ერთობის პირველი ჰიმნის მოკლე, აკვიატებულ მოტივს, რომელიც სულ თან გდევდა, რომელსაც თავს ვერასდიდებით დააღწევდი. მელოდია არ ცხრებოდა, მთრთოლვარე რიტმი თითქოს ყურში კი არა, სადღაც სულის სიღრმეში ისმოდა; მუსიკის თანხმიანობა გონებას კი არა, თანაგრძნობით აღვსილ მთელ არსებას აფორიაქებდა. თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გამოსახა T და დაჯდა. ფორდმსახურება დაიწყო. მაგიდის შუაგულში სომის ნაკურთხი აბები იდო. ხენდროს წვეწ-სომით სავსე სიყვარულის თასი ხელიდან ხელში გადაეცემოდა. „ვსვამ, რათა თქვენში განვსხეულდე“, გაიმეორა თორმეტივემ და თასი ერთმანეთის მიმდევრობით სულმოუთქმელად დაცალეს. მერე სინთეზური ორკესტრის თანხლებით, ერთობის პირველი ჰიმნი შეასრულეს. „ო, ფორდ, თორმეტი გვაქციე ერთად, ერთ შენაკადად დიდი მდინარის, T მოდელივით წინ მივისწრაფით თორმეტი წვეთი თანაზიარი“... თორმეტი სტროფი, ერთიანობის თორმეტი მოწოდება და სიყვარულის თასის მეორე ჩამოტარება. „ვსვამ დიდებული ერთარსებისთვის“ – ჯგუფის დევიზი ახლა ასე ჟღერდა. ყველამ დალია. მუსიკა არ ცხრებოდა. დაფდაფები გუგუნებდა. ბგერები გულ-მუცელში სასიამოვნო ჟრჟოლას იწვევდა. ერთობის მეორე ჰიმნიც შესრულდა. „დიდებულო ერთარსებავ, თორმეტს გვსურს თავდავიწყება, ერთიანი სიცოცხლე ხომ სიკვდილიდან აითვლება“. ისევ თორმეტი სტროფი და სომამ მოქმედება დაიწყო. თვალები გაუბრწყინდათ, სახეები შეეფაკლათ, საყოველთაო სიკეთის შინაგანი ნათება ყველას სახეზე გულითად, მეგობრულ ღიმილად გამოისახა. ბერნარდმაც კი იგრძნო, რომ ოდნავ მოღბა. ყველაფერი იღონა, რომ მორგანა როტშილდის გაცისკროვნებული მზერისთვის საპასუხო ღიმილი შეეგებებინა. მაგრამ ეს წარბი, შავი, გადაბმული წარბი მაინც თვალში ეჩხირებოდა! ამ წარბის ატანა წარმოუდგენელი იყო, სრულიად წარმოუდგენელი. ეტყობა, საკმარისად არ იყო მოდუნებული. ფიფის და ჯოანას შორის რომ მჯდარიყო... სიყვარულის თასი წრეში მესამედ ჩამოატარეს; „ვსვამ მისი მოახლოებული მოსვლისთვის“, წარმოთქვა მორგანა როტშილდმა – თასის წრეში დატრიალების მისი ჯერი იყო. ხმამაღლა ლაპარაკობდა, აღფრთოვანებული. დალია და თასი ბერნარდს გადააწოდა. „ვსვამ მისი მოახლოებული მოსვლისთვის“, გაიმეორა; თან გულწრფელად ცდილობდა, მოსვლის მოახლოება ეგრძნო; მაგრამ შავი წარბი მოსვენებას არ აძლევდა, და ფიქრობდა, რომ მოსვლა უსასრულოდ შორს იყო. დალია და თასი კლარა დეტერდინგს გადასცა. „ისევ არაფერი გამომივა“, ეუბნებოდა თავის თავს. „ნამდვილად არ გამომივა არაფერი“. თუმცა სახეზე დაფენილ ბედნიერ ღიმილს არ იშორებდა. სიყვარულის თასი ისევ წრეში დატრიალდა. თავმჯდომარემ ხელი ასწია და ნიშანი მისცა. ანსამბლმა ერთობის მესამე ჰიმნი დასჭექა. „შეიგრძენი მისი მოსვლა, შეერთდი და აღენთე, დიდებულ ერთარსებაში მე შენ ვარ და შენ კი – მე!“ სტროფს სტროფი მოჰყვებოდა, ჯგუფის მღელვარება მატულობდა. მოსვლის მოახლოების შეგრძნება ჰაერს ელექტროდენივით მუხტავდა. თავმჯდომარემ მუსიკა გამორთო. ფინალური სტროფის ფინალური აკორდის შემდეგ სრული სიჩუმე გაძედა – დაძაბული მოლოდინის სიჩუმე. თავმჯდომარემ ხელი გაიწვდინა. და უეცრად ღრმა, ძლიერი ხმა, ნებისმიერი ადამიანის ხმაზე უფრო მუსიკალური, უფრო სავსე, თბილი, სიყვარულით, სურვილით და თანაგრძნობით ათრთოლებული, მშვენიერი, იდუმალი, ღვთაებრივი ხმა გაისმა საიდანღაც ზემოდან. „ო, ფორდ, ფორდ, ფორდ“, ძალიან



ნელა იმეორებდა და თანდათან სუსტდებოდა, ილეოდა. მსმენელებს მთელ სხეულში სითბო ჩაეღვარათ და მზის წნულიდან სხივებივით გაიშალა თავისა და კიდურებისკენ. თვალზე ცრემლი მოადგათ. გული ფეთქავდა, მუცელში რაღაც ტრიალებდა, რაც გონებას არ ემორჩილებოდა. „ო, ფორდ“! დნებოდნენ. „ფორდ“! დაღვენთილები, ერთმანეთს ერწყმოდნენ. და უეცრად მჭახედ, თავზარდამცემად გაისმა: – ისმინეთ, ისმინეთ! – სმენად იქცნენ. პაუზა... და ერთბაშად – ჩურჩული, რატომღაც კივილზე უფრო სულისშემძვრელი ჩურჩული: – დიდებული ერთარსების ნაბიჯები... – ისევ და ისევ: – დიდებული ერთარსების ნაბიჯები... – ჩურჩული თითქმის მიწყდა. – დიდებული ერთარსების ნაბიჯები კიბეზე ისმის. – კიდევ ერთხელ გამეფდა სიჩუმე. მოლოდინის დამაბულობა წუთით შესუსტდა და თანდათან ისევ კულმინაციისკენ წავიდა. ესმით, ესმით დიდებული ერთარსების ნაბიჯები, უხილავი საფეხურებით დაბლა რომ ეშვება და თანდათან ახლოვდება. დიდებული ერთარსების ნაბიჯები. და აი, დამაბულობა ზღვარს გასცდა! თვალეზგაფართოებული, პირდაღებული მორგანა ფეხზე წამოიჭრა. – მე მესმის მისი, – ყვიროდა ქალი, – მესმის! – მოდის, გვიახლოვდება, – დაიყვირა საროჯინი ენგელსმა. – ჰო, მოდის, მეც მესმის. – ერთდროულად წამოხტნენ ფიფი ბრედლოუ და თომ კავაგუჩი. – ოჰ, ოჰ, ოჰ! – მეტყველების უნარი დაკარგა ჯოანამ. – მოდის, მოდის! – ყვიროდა ჯიმ ბოკანოვსკი. თავმჯდომარე წინ გადაიხარა, ღილაკს ხელი დააჭირა და გარემო ციმბალების, თეფშების და ტამტამების ველურმა ხმაურმა გააყრუა. – ოჰ, ის მოდის, ვაი! – კლარა დეტერდინგი ისე კიოდა, თითქოს ყელს ჭრიანო. ბერნარდი მიხვდა, რომ მასაც რაღაც უნდა მოემოქმედა, წამოხტა და აყვირდა: – მესმის, გვიახლოვდება! – ტყუოდა, არც არაფერი ესმოდა და არც არავის ელოდა. არავის – მუსიკის და გარემომცველი აღტყინების მიუხედავად. მაინც ცდილობდა სხვებს არ ჩამორჩენოდა, ხელებს იქნევდა, ყვიროდა. მერე, როცა ყველამ ცეკვა, ფეხების ბაკუნნი და ცმუკვა დაიწყო, ისიც აცეკვდა და აცმუკდა სხვების შემხედვარე. ტრიალებდნენ და წრეს უვლიდნენ ცეკვით, ხელები წინ მდგომის თეძოებზე ეწყობ, უნისონში ყვიროდნენ, ფეხებს მუსიკის რიტმში აბაკუნებდნენ, ხელებს ამავე რიტმში უტყაპუნებდნენ წინ მდგომს დუნდულეებზე – ორჯერ თორმეტი ხელი – როგორც ერთი. როგორც ერთი – ისე ირწეოდა ტაქტში თორმეტი უკანალი. თორმეტი, როგორც ერთი. თორმეტი როგორც ერთი. „მესმის მისი, მესმის მისი ნაბიჯები“. მუსიკის ტემპი აჩქარდა, აჩქარდა ფეხების მოძრაობა, აჩქარდა ხელების რიტმული ტყაპუნი. და უცებ დიდებული სინთეზური ბანი აგუგუნდა ერთიანობის მოახლოებული კულმინაციის, თორმეტის ერთარსებად შეუღლების ნიშნად. „ორგი-პორგი“<sup>1</sup> – მღეროდა ბანი ტამტამების წრეგადასულ ხმაურში: „ორგი-პორგი, გოგო-ბიჭი, ქალი-კაცი ვერთდებით, ჩვენი ფორდის სიყვარულით, ენერგიით ვივსებით“! „ორგი-პორგი“, მოცეკვავეებმა ლიტურგიული მისამღერი აიტაცეს, „ორგიპორგი, გოგო-ბიჭი, ქალი-კაცი“... მღეროდნენ, შუქი კი თანდათან ფერმკრთალდებოდა, უფრო თბილი, მსუყე და წითელი ხდებოდა, ბოლოს უკვე ემბრიონარიუმის მეწამულ ბინდბუნდში ცეკვავდნენ. „ორგი-პორგი“... სისხლისფერ ჩა ნასახოვან ბინდში ერთხანს კიდევ ცეკვავდნენ წრეზე დაუღალავი მუსიკის რიტმში. „ორგი-პორგი“... მერე წრე გაიხსნა, ნაწილებად დაიშალა და მოცეკვავეები მაგიდის ირგვლივ მეორე რკალად განლაგებულ დივნებზე დაემგნენ. „ორგი-პორგი“... ნახად, ღრმად, სულშიჩამწვდომად ღულუნებდა ბანი, თითქოს გულადმა და პირქვე მიწოლილების თავზე უზარმაზარი შავი მტრედი ეკიდა ჰაერში. სახურავზე იდგნენ. „ბიგ ჰენრის“ ციფერბლატმა თერთმეტი ჩამოკრა. წყნარი და თბილი ღამე იყო. –

არაჩვეულებრივი იყო, უბრალოდ, არაჩვეულებრივი! – თქვა ფიფი ბრედლოუმ. – განა არაჩვეულებრივი არ იყო? – ბერნარდს აღფრთოვანებით შეხედა, მაგრამ ამ აღფრთოვანებაში დღევის და გზნებისნატამალიც არ იყო, რადგან გზნება დაუკმაყოფილებლობის ტოლფასია. ეს იყო განცდილი ერთიანობის, განსხეულების მშვიდი ექსტაზი, არა უაზრო სიმამღრისა და სიცარიელის, არამედ ჰარმონიის, შინაგანი ძალების გაწონასწორებით მოგვრილი, გამდიდრებული და განახლებული სიცოცხლის სიმშვიდე. რადგან ერთობის შეკრება ენერგიას ითხოვდა და იძლეოდა. ახალი ენერგიით დამუხტული ფიფი თავად სრულყოფილება იყო. – მართლაც არაჩვეულებრივი იყო, თქვენ ასე არ ფიქრობთ? – არ ცხრებოდა ფიფი და ბერნარდს არაბუნებრივად მოელვარე თვალებით შეჰყურებდა. – მეც ასე ვფიქრობ, – იცრუა ბერნარდმა და თვალი აარიდა. ფიფის გარდასახული სახე ბრალს სდებდა და დამცინავად ახსენებდა საკუთარ სიმარტოვეს, რომელსაც ახლა უფრო მძაფრად გრძნობდა, ვიდრე შეკრების დაწყებამდე; გამოფიტულს ყველაფრის მოყირჭების განცდა დაუფლებოდა. ერთარსებად შეუღლებულთაგან გარიყული და მარტოსული, მარტოსული მორგანას მკლავებში – კიდევ უფრო მარტოსული, კიდევ უფრო უიმედოდ ჩაკეტილი საკუთარ თავში, ვიდრე ოდესმე. მეწამული ბინდიდან ჩვეულებრივი ელექტრონის სინათლეზე ნამდვილ ტანჯვად გარდაქმნილი თვითშეგნებით გამოვიდა. თავს უსაზღვროდ უბედურად გრძნობდა და ალბათ (ისევ ფიფის მოელვარე თვალები), ეს მხოლოდ მისი ბრალი იყო. – მართლაც არაჩვეულებრივი, – გაიმეორა; ერთადერთი, რაზეც ფიფი შეეძლო ახლა, მორგანას წარბი იყო.

## თავი მეექვსე

უცნაური, ძალიან უცნაური – ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა ლენინას ბერნარდ მარქსზე. მართლაც ისეთი უცნაური იყო, რომ მომდევნო კვირების განმავლობაში ლენინამ რამდენჯერმე გაიფიქრა, ნიუ მექსიკოში გამგზავრების ნაცვლად, ჩრდილოეთ პოლუსზე ხომ არ წასულიყო ბენიტო ჰუვერთან ერთად. მაგრამ ჩრდილოეთ პოლუსზე ჯორჯ ედზელთან ერთად იყო ნამყოფი გასულ ზაფხულს და იქაურობა ძალიან პირქუში ეჩვენა. თითქმის არავითარი გასართობი, ძველმოდური სასტუმრო, საძინებლები ტელევიზორის გარეშე, არც სურნელოვანი ორდანი, დრომოჭმული სინთეზური მუსიკა და ორასზე მეტ დამსვენებელზე გათვლილი მხოლოდ ოცდახუთი ესკალატორიანი კორტი. არა, ჩრდილოეთ პოლუსზე მეორედ წასვლა ნამდვილად არ უნდოდა. გარდა ამისა, ამერიკაში მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი, ისიც ორი დღით, უიკენდზე. იაფფასიანი ექსკურსია ნიუ-იორკში ჟან-ჟაკ ხაბიბულასთან ერთად. თუ ბოკანოვსკი ჯონსთან? აღარც კი ახსოვს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს? ამერიკაში ერთი კვირით გამგზავრების პერსპექტივა ძალიან მიმზიდველად ეჩვენებოდა. თანაც ერთი კვირიდან, სულ ცოტა, სამი დღე მაინც ველურების რეზერვაციაში უნდა გაეტარებინათ. იქ კი ხუთი-ექვსი კაცი თუ იქნებოდა ნამყოფი აღმზრდელობითი ცენტრის მთელი პერსონალიდან. ბერნარდი, ალფა-პლუს ფსიქოლოგი, თითქმის ერთადერთი ადამიანი იყო ლენინას ნაცნობებს შორის, რომელსაც რეზერვაციაში მოგზაურობის ნებართვა ჰქონდა. გამოდის, რომ უნიკალური შანსი ეძლეოდა. მაგრამ ბერნარდის უცნაურობებიც ისეთი უნიკალური იყო, რომ ლენინა ძველ მეგობარ ბენიტოსთან ერთად ჩრდილოეთ პოლუსზე მეორედ წასვლის არჩევანსაც არ გამოირიცხავდა. ბენიტო ნორმალური მაინც იყო. რაც შეეხება ბერნარდს... „ალკოჰოლი სისხლის სუროგატში“, ასე ხსნიდა ფანი მისი ექსცენტულობის ყოველგვარ გამოვლინებას. ერთ საღამოს კი, როდესაც ჰენრისთან ერთად საწოლში ყოფნისას, ლენინამ ახალი პარტნიორის გამო აღელვება ვერ დამალა, ჰენრიმ საბრალო ბერნარდი მარტორქას შეაძარა. – მარტორქას ვერ გამოწვრთნი, – ჩვეულად, სხარტად და დამაჯერებლად განმარტავდა ჰენრი. – ზოგი კაცი მარტორქას ჰგავს, აღზრდას მწელად ექვემდებარება. საბრალო ბერნარდიც სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნის. მისდა საბედნიეროდ, თავისი საქმის პროფესიონალია, თორემ დირექტორი სამსახურიდან კარგა ხნის წინ დაითხოვდა. ყოველ შემთხვევაში, – დაამშვიდა ბოლოს ლენინა, – საკმაოდ უწყინარი უნდა იყოს. ალბათ საკმაოდ უწყინარია, მაგრამ საკმაოდ შემამფოთებელიც. ავიღოთ, მაგალითად, განმარტოების, საზოგადოებისგან მოწყვეტის სურვილი. რა შეიძლება აკეთოს ორმა ადამიანმა განმარტოებით? (თუ, რა თქმა უნდა, სექსს არ ჩავთვლით. მაგრამ სექსით განუწყვეტლად ხომ ვერ იქნები დაკავებული?) რა შეიძლება აკეთონ საზოგადოებისგან დამოუკიდებლად? პრაქტიკულად, არაფერი. მათი შეხვედრის პირველ დღეს მშვენიერი ამინდი იყო. ლენინამ ტორკის სანაპირო კლუბში წასვლა და ბანაობა მოინდომა, შემდეგ კი „ოქსფორდ იუნიონში“ სადილი. მაგრამ ბერნარდი ვერ დაითანხმა, მისი აზრით, კლუბშიც და სადილზეც ძალიან ბევრი ხალხი იქნებოდა. არც სენტ ენდრიუში მოინდომა წასვლა ელექტრომაგნიტური გოლფის სათამაშოდ – გოლფის თამაში დროის ფლანგვად მიაჩნდა. – აბა, დრო რაში უნდა გამოიყენო? – გაცემით იკითხა ლენინამ. როგორც ჩანს, ტბების მხარეში სასეირნოდ; სწორედ ეს შესთავაზა გოლფის სანაცვლოდ. ვერტმფრენიდან სკიდოს მთაზე დაშვება და მანანის ბარდნარში გასეირნება. – მხოლოდ შენტან ერთად, ლენინა. – ბერნარდ, ჩვენ ხომ მთელი ღამე ერთად ვიქნებით. ბერნარდი

წამოწითლდა და თვალები დახარა. – მე მარტო ყოფნა და საუბარი ვიგულისხმე, –  
წაიბუტბუტა. – საუბარი? რაზე? – ნეტა ვინ ატარებს ასე სადამოებს? ბოლოს და ბოლოს  
იმულებით, მაგრამ მაინც დაითანხმა ამსტერდამში წასვლაზე მძიმე წონის ქალთა ჭიდაობის  
ჩემპიონატის ნახევარფინალზე დასასწრებად. – ბრბოს გარეშე არ შეგიძლია, – ბურდღუნებდა  
ბერნარდი, მთელი სადამო ცხვირჩამოშვებული იყო; ლენინას მეგობრებს არ ელაპარაკებოდა  
(მოჭიდავეთა შეხვედრებს შორის შესვენებისას, ნაყინ-სომის ბარში ლენინას უამრავ მეგობარს  
გადააწყდნენ); მაგრამ საშინელ გუნებაზე ყოფნის მიუხედავად ჟოლოს პლომბირიან სომაზე  
კატეგორიული უარი განაცხადა – აქ ლენინას მოთხოვნამ აღარ გაჭრა. – მირჩევნია უხასიათო  
ბერნარდად დავრჩე, ვიდრე ვიღაც სხვა ვიყო და მხიარული. – „დაზოგე თავი – მიიღე გრამი“,  
– ლენინა ძილში შესწავლილ სიბრძნის მარგალიტებს აფრქვევდა. გაღიზიანებულმა  
ბერნარდმა შეთავაზებულ ნაყინ-სომით სავსე თასს ხელი ჰკრა და გვერდზე გასწია. – ნუ  
ბრაზობ. ნუ გავიწყდება, ერთი კუბ-სანტიმეტრი სევდის ათ კუბ-სენტიმენტს კურნავს! –  
ფორდის გულისათვის, გაჩუმდი! – იყვირა ბერნარდმა. ლენინამ მხრები აიჩეჩა. – „უმჯობესია  
გრამი, ვიდრე ჩხუბი და დრამა“, – დაასკვნა ამაყად და ნაყინ-სომა თვითონვე მიირთვა. უკანა  
გზაზე, როდესაც ლა-მანშის თავზე მიფრინავდნენ, ბერნარდმა პროპელერის გამორთვა  
აიკვიატა და ვერტმფრენი წყლის ზედაპირიდან ოცდაათიოდე მეტრის სიმაღლეზე დაეკიდა.  
ამინდი ფუჭდებოდა, სამხრეთდასავლეთის ქარი ამოვარდა და ცაზე ღრუბლები შეყარა. –  
შეხედე, – მიმართა ლენინას ბრძანების კილოთი. – რა საშინელებაა! – შიშისგან ლენინა  
ერთბაშად მოსწყდა ფანჯარას უკიდევანო წყვილიადის, შავად აზვირთებული ქაფმოდებული  
ტალღების და გამალებით მოძრავ ღრუბლებში დაღლილი, სევდიანი და ფერმიხდილი  
მთვარის დანახვით შეძრწუნებული. – რადიო ჩავრთოთ, ჩქარა! – ხელი მართვის პულტისკენ  
გაიშვირა და რადიომიმღების ღილაკს თითი ალაღბედზე დააჭირა. „...შენი ცა ხომ  
უსასრულოდ ლურჯია, – გაჰკიოდა თექვსმეტი ფალცეტი, – შენი მზე ხომ უსასრულოდ“...  
გაისმა ჩხაკუნი, მუსიკა შეწყდა. ბერნარდმა მიმღები გამორთო. – მინდა მშვიდად ვუყურო  
ზღვას, – თქვა მან. – ამ საზიზღარი ხმაურის ატანა შეუძლებელია. – მე კი ძალიან მომწონს და  
არც ზღვის ყურება მინდა. – მე კი მინდა, – არ ცხრებოდა ბერნარდი. – ასე მგონია... –  
შეყოყმანდა და სიტყვებს დაუწყო ძებნა, რომ თავისი გრძნობა გადმოეცა, – ასე მგონია, ჩემი  
თავი ვიპოვე, გესმის რას ვგულისხმობ? აქ უფრო დამოუკიდებელი ვარ და არა  
საზოგადოებრივი ორგანიზმის უმნიშვნელო უჯრედი, შეუმჩნეველი ნაწილაკი. შენ არ გაქვს  
ასეთი განცდა, ლენინა? ლენინა უკვე ტიროდა. – მძულს ზღვა, მძულს! – განუწყვეტლივ  
იმეორებდა. – როგორ შეგიძლია ასე ლაპარაკი? რატომ არ გინდა საზოგადოების უჯრედი  
იყო? ბოლოს და ბოლოს, თითოეული ხომ ყველასთვის მუშაობს. ჩვენ გვჭირდება ყველა.  
სარგებლობა ეფსილონებსაც კი... – ვიცი, ვიცი, – დამცინავად თქვა ბერნარდმა. – სარგებლობა  
ეფსილონებსაც კი მოაქვთ! და მეც! მიმიფურთხებია ამ სარგებლობისთვის! ამ გაუგონარმა  
ფორდის გმობამ ლენინა გააოგნა. – ბერნარდ! ასე ლაპარაკი როგორ შეგიძლია! –  
განცვიფრებულს და აღელვებულს ხმა უკანკალებდა. – როგორ შემიძლია? – უკვე მშვიდად,  
დაფიქრებით განაგრძობდა ბერნარდი. – რეალურად კითხვა ასე უნდა დაისვას: როგორ არ  
შემიძლია? ან უფრო სწორად – რადგან კარგად ვიცი, რატომაც არ შემიძლია – რა იქნებოდა,  
რომ შემძლებოდა, თავისუფალი რომ ვყოფილიყავი და არა მონურად აღზრდილი? –  
ბერნარდ, რა საშინელებაა! დაფიქრდი, რას ამბობ! – არ გინდა, თავისუფალი იყო, ლენინა? –  
არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ. მე ისედაც თავისუფალი ვარ. თავისუფლად შემიძლია გავერთო და

სიამოვნება მივიღო. დღეს ყველა ბედნიერია. ბერნარდს გაეცინა. – ჰო, დღეს ყველა ბედნიერია. ამას ბავშვებს ხუთი წლიდან ვუჩიჩინებთ. მაგრამ, ლენინა, ნუთუ არასოდეს გქონია სურვილი სხვანაირად თავისუფალი და ბედნიერი ყოფილიყავი? ისე, როგორც შენ გინდა და არა ისე, როგორც უნდა იყო. – არ ვიცი, რას გულისხმობ, – გაიმეორა ლენინამ და ბერნარდს მუდარით შეხედა. – გთხოვ, დავბრუნდეთ. მძულს აქაურობა. – ჩემთან ყოფნა არ გინდა? – მინდა, მაგრამ არა აქ, ამ საშინელ ადგილას. – მე კი მეგონა აქ... აქ უფრო დავახლოვდებოდით ზღვისა და მთვარის შემხედვარე. უფრო დავახლოვდებოდით, ვიდრე იმ ბრბოში და ვიდრე ჩემთანაც კი, სახლში. ნუთუ არ გესმის? – არაფერი მესმის, – ჯიუტად იმეორებდა ლენინა და გაუგებრობის ნაჭუჭიდან გამოსვლას გადაჭრით არ აპირებდა. – არაფერი. ჩემთვის განსაკუთრებით გაუგებარია, – ტონი შეარბილა, – რატომ ამბობ უარს სომაზე, როცა ასეთი შემზარავი აზრები მოგდის. ყველაფერს დაგავიწყებდა, სევდას გაგიქარწყლებდა, გაგამხიარულებდა. იცი როგორ გაგამხიარულებდა? – თვალეზში ჩამდგარი გაცეცხის და მღელვარების მიუხედავად გაიღიმა – გამომწვევად, მაცდურად და ვნებიანად. ბერნარდმა უხმოდ შეხედა, დაჟინებით. ძალიან სერიოზული იყო, გამოწვევა არაფრად ჩაუგდია. ლენინამ გვერდზე გაიხედა, მერე ნერვიულად გაიცინა, შეეცადა რაიმე ეთქვა, მაგრამ სიტყვები ვერ იპოვა. ბოლოს უხერხული სიჩუმე ბერნარდმა დაარღვია. – კარგი, – წყნარად, დაღლილი ხმით წარმოთქვა, – უკან ვბრუნდებით. – აქსელერატორს ფეხი დააჭირა და მანქანა ცაში აიჭრა. ერთი კილომეტრის სიმაღლეზე პროპელერი ჩართო. ორიოდ წუთი უსიტყვოდ მიფრინავდნენ. მერე უცებ ბერნარდს გაეცინა. ლენინას აზრით, უცნაურად, მაგრამ მაინც გაეცინა. – უკეთ ხარ? – გაბედა და ჰკითხა. პასუხად ბერნარდმა საჭეს ხელი გაუშვა, ქალს მხარზე მოეხვია და მკერდზე მიეალერსა. „მადლობა ფორდს! – გაიფიქრა ლენინამ, – ისევ ნორმალურად იქცევა“. ნახევარი საათის შემდეგ უკვე ბერნარდის ბინაში იყვნენ. კაცმა ოთხი აბი სომა ერთად გადაყლაპა, ტელევიზორი და რადიო ჩართო და გახდა დაიწყო. – ხომ კარგი იყო გუშინ? – კეკლუცად და მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ლენინამ მეორე დღეს სახურავზე შეხვედრისას. ბერნარდმა თავი დაუქნია. ვერტმფრენში ჩასხდნენ. პატარა ბიძგი და ჰაერში აფრინდნენ. – ყველა ამბობს, რომ უზომოდ სექსუალური ვარ, – დაფიქრებით თქვა ლენინამ და თეძოზე ხელი გადაისვა. – უზომოდ. – ბერნარდს თვალეზში ტკივილი გაუკრთა. „თითქოს ხორცის ნაჭერი იყოს,“ – გაიფიქრა. ლენინამ აღელვებით შეხედა. – შენი აზრით, ზედმეტად პუტკუნა ვარ? უარყოფითი პასუხი. ისევ ხორცი. – ზომიერი ვარ? ყველაფერი თავის ადგილზე მაქვს? – დაეთანხმა. – ყველაფერი მოგწონს ჩემი? – აბსოლუტურად, – თქვა ხმამაღლა და ფიქრში ისევ: „თვითონაც ასე ფიქრობს თავის თავზე. არ აწუხებს, რომ ხორცისნაჭერია“. ლენინას გაეღიმა – გამარჯვებას ზეიმობდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ნაადრევად. – და მაინც, – განაგრძო ბერნარდმა მცირე შეყოვნების შემდეგ, – მერჩივნა, გუშინ ყველაფერი სხვანაირად დამთავრებულიყო. – სხვანაირად? სხვანაირი დასასრული არსებობს? – არ მინდოდა, რომ გუშინ ჩვენი ურთიერთობა საწოლით დამთავრებულიყო, – დააზუსტა ბერნარდმა. ლენინა გაოგნდა. – ასე უცებ არ მინდოდა, პირველივე საღამოს. – აბა როგორ?.. ბერნარდი აბდაუბდას რომავდა და ეს აბდაუბდა შიშისმომგვრელი იყო. ლენინა შეეცადა, ეს სისულელე ყურში არ შეეშვა, მაგრამ აქა-იქ ზოგიერთი ფრაზა მაინც სწვდებოდა მის სმენას. – ...მაინტერესებდა, რა შედეგი მოჰყვებოდა თავის შეკავებას, ლტოლვის შეჩერებას, – ამ სიტყვებმა თითქოს გონება გაუნათა. – „არასოდეს გადადო ხვალისთვის ის, რისგანაც დღეს შეგიძლია მიიღო სიამოვნება“, – წარმოთქვა ქალმა ძალიან სერიოზულად. – ორასი გამეორება

კვირაში ორჯერ, თექვსმეტი წლის ასაკამდე, – პასუხად მხოლოდ ეს მიიღო. და სისულელეების რომა გაგრძელდა. – მინდა გავიგო, რა არის ვნება, – ჩაესმოდა ლენინას, – მინდა ძლიერი განცდები მქონდეს. – „ვნების აყოლა გვაბნევს, ქვეყნის საფუძველს არყევს“, – გამოსცრა ლენინამ. – მერე რა? ქვეყნის საფუძველს ერთი კარგი შერყევა ნამდვილად არ აწყენდა. – ბერნარდ! ბერნარდს წარბიც არ შეუხრია. – გონებრივად და პროფესიული თვალსაზრისით ზრდასრულები ვართ; რაც შეეხება გრძნობებს და სურვილებს – აქ ისევ ბავშვებად ვრჩებით. – მამა ფორდს ბავშვები უყვარდა. – სულ ცოტა ხნის წინ აზრად მომივიდა, – ბერნარდმა კომენტარი არაფრად ჩააგდო, – ხომ შეიძლება საერთოდაც მოზრდილებივით ვიქცეოდეთ? – არ მესმის, – ლენინა შეუვალი იყო. – ვიცი, რომ არ გესმის. სწორედ ამიტომ გავატარეთ გუშინდელი ღამე ერთად, ბავშვებივით, იმის მაგივრად, რომ მოგვეცადა, როგორც მოზრდილებს. – გუშინდელი ღამე ხომ ძალიან სასიამოვნო იყო, – არ უთმობდა ლენინა. – არა? – უაღრესად სასიამოვნო, – ბერნარდის სევდიანმა ხმამ და პირქუშმა გამომეტყველებამ ლენინას საბოლოოდ დაუკარგა გამარჯვების იმედი. ეტყობა, მაინც ზედმეტად მსუქანი ვერჯენეო, გაიფიქრა. – ხომ გეუბნებოდი, – თქვა ფანიმ, როდესაც ლენინამ თავისი განცდა გაანდო. – ისევ ალკოჰოლი და სისხლის სუროგატი. – ჰო, მაგრამ მე მაინც მომწონს, – დაიჟინა ლენინამ. – უზომოდ ალერსიანი ხელები აქვს და მხრების მოძრაობაც ისეთი მიმზიდველი, – მერე ამოიოხრა. – რა იქნება, ასეთი უცნაური რომ არ იყოს! დირექტორის კაბინეტთან ბერნარდი ერთხანს შეყოვნდა, ღრმად ჩაისუნთქა, მხრები გაშალა და ძალა მოიკრიბა. კეთილგანწყობილ შეხვედრას არც ელოდა, უფრო მეტიც, საპირისპიროში იყო დარწმუნებული. დააკაკუნა და შევიდა. – საშვზე თქვენი ხელმოწერაა საჭირო, – შეეცადა დირექტორისთვის თავი რაც შეიძლება უზრუნველად მოეჩვენებინა და მაგიდაზე ფურცელი დაუდო. დირექტორმა უქმურად ახედა. მაგრამ მაკონტროლებლის კანცელარიის ბეჭდის და ტექსტის ბოლოში მუსტაფა მონდის შავი, მსხვილი ხელმოწერის დანახვაზე შეცბა. ყველაფერი სრულ წესრიგში იყო. სხვა გზა არ ჰქონდა, მაკონტროლებლის შთამბეჭდავ ხელმოწერას ქვეშ ორი პატარა, უღიმღამო ინციალი დაუსვა და ის-ის იყო ფურცელი უნდა დაებრუნებინა ყოველგვარი კომენტარის და გამომშვიდობების გარეშე, რომ მისი ყურადღება ნებართვის ტექსტმა მიიქცია. – ნიუ მექსიკოს რეზერვაცია? – გაკვირვებით იკითხა, სახეზე აშკარად დაეტყო აღელვება. თავის მხრივ, ამ რეაქციით გაკვირვებულმა ბერნარდმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მერე ერთხანს ორივე დუმდა. დირექტორი სკამის საზურგეზე გადაწვა, მოიღუშა. „რამდენი წელი იქნება გასული?“ უფრო თავის თავს მიმართავდა. – ალბათ ოცი, შეიძლება ოცდახუთიც. მაშინ შენი ასაკის ვიქნებოდი... – ამოიოხრა და თავი ჩაქინდრა. მდგომარეობა ძალიან უხერხული იყო. ისეთი გაწონასწორებული, ზედმიწევნით კორექტული ადამიანი, როგორც დირექტორია და ასეთი სამარცხვინო შეცდომა! ბერნარდს უკანმოუხედავად მოუნდა გაქცევა. თვითონ შორეულ წარსულზე ლაპარაკი მაინცდამაინც საძრახისად არ მიაჩნდა – ასეთი ჰიპნოპედიური შეხედულებებისგან, მისი აზრით, დიდი ხნის წინ გათავისუფლდა. მაგრამ უხერხულობის მიზეზი ის იყო, რომ უნებლიე მოგონებებს მიეცა დირექტორი, რომლისთვისაც წარსული აბსოლუტურად ტაბუდადებული იყო. რა ხდება? უხერხულობის მიუხედავად ბერნარდი სმენად გადაიქცა. – მეც იგივე მიზანი მქონდა, – განაგრძობდა დირექტორი. – ველურების ნახვა მინდოდა. ნებართვა მივიღე და ჩემს მაშინდელ პარტნიორ გოგონასთან ერთად, საზაფხულო შვებულებით ნიუ მექსიკოში გავემგზავრე. ბეტა-მინუსი იყო და, მგონი...

(თვალეები დახუჭა), მგონი ქერა თმა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, სექსუალური კი იყო, ძალიან სექსუალური. ეს კარგად მახსოვს. მოკლედ, წავედით, ველურები ვნახეთ, ცხენებით ვიჯირითეთ და ყველაფერი. მერე, ჩემი შვებულების ბოლო დღეს... მერე... მოკლედ, ის დაიკარგა. იმ დაწყევლილ მთაზე ცხენებით ავედით, სიცხისგან სული გვეხუთებოდა და სადილის შემდეგ დასაძინებლად მივწექით. ყოველ შემთხვევაში, მე ჩამეძინა. გაღვიძებულს იქ აღარ დამხვდა. როგორც ჩანს, ამდგარიყოდა მარტო წასულიყო სასეირნოდ. საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. კოკისპირულად გაწვიმდა. ცა კინაღამ ჩამოიქცა. გრგვინავდა და ელავდა. ცხენებმა აიწყვიტეს და გაიქცნენ. დავედევნე, მაგრამ დავეცი და მუხლი ისე დავიშავე, რომ სიარული ძლივს შევძელი. მაინც ვეძებდი, ვყვიროდი, ვეძახდი და ვეძებდი. მაგრამ ის არსად ჩანდა. ვიფიქრე, ალბათ ტურისტულ პუნქტში დაბრუნდა-მეთქი თავისით. ხოხვით ჩავედი ველზე იმავე გზით, აქეთობისას რომ გამოვიარე. მუხლი საშინლად მტეხდა, სომის ტაბლეტები სადღაც დავკარგე. ჩასვლას რამდენიმე საათი მოვანდომე და ტურისტულ პუნქტს ნაშუალამევს მივაღწიე. მაგრამ იქაც არ დამხვდა. არ დამხვდა. – გაიმეორა. ერთხანს დუმდა, ბოლოს ისევ დაიწყო. – მეორე დღეს ძებნა გამოვაცხადეთ, მაგრამ ამაოდ. შეიძლება ხევში გადაიჩეხა სადმე, ან კუგუარმა დაგლიჯა. ფორდმა იცის! შემზარავი ამბავი იყო, მწყობრიდანაც კი გამომიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ ყველას შეიძლებოდა შემთხვეოდა. სოციალური ორგანიზმი ხომ უკვდავია – მისი შემადგენელი უჯრედები იცვლებიან მხოლოდ. – ეს ჰიპნოპედიური სიბრძნე ვერაფერი ნუგეში აღმოჩნდა. – ზოგჯერ კიდეც მესიზმრება, – განაგრძობდა დაბალ ხმაზე. – მესიზმრება, რომ ჭექა-ქუხილისგან მეღვიძება და მას ველარ ვპოულობ. მესიზმრება, რომ გაუთავებლად დავეძებ ტყეში. – დადუმდა და მოგონებებში ჩაიძირა. – საშინელი შოკი გადაგიტანიათ, – ბერნარდს თითქოს შურდა კიდეც მისი. ხმის გაგონებაზე დირექტორი შეკრთა და გამოერკვა, ბერნარდს შეხედა, მერე მზერა აარიდა, წამოწითლდა, ისევ შეხედა დაეჭვებით და გაბრაზებულმა წარმოთქვა: – ხომ არ გგონია, მე და იმ გოგოს რაიმე სხვა გვაკავშირებდა? არავითარი გრძნობები და ხანგრძლივი ურთიერთობა, ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო. – ბერნარდს ნებართვა გაუწოდა. – არც კი ვიცი, რატომ მოგიყევი ეს უმნიშვნელო და მოსაწყენი ამბავი. – და თავის თავზე გულმოსულმა სამარცხვინო საიდუმლოს გამჟღავნების გამო, რისხვა თავს ბერნარდს დაატეხა. – მინდა შემთხვევით ვისარგებლო, მისტერ მარქს, – უკვე დაუფარავი ღვარძლით შეჰყურებდა, – და გითხრათ, რომ ძალიან არასასიამოვნო ინფორმაციებს მაწვდიან თქვენი საქციელის შესახებ სამსახურისგან თავისუფალ დროს. შეიძლება მითხრათ, რომ ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ცენტრის რეპუტაციაზე ფიქრი ჩემი მოვალეობაა. ჩემი თანამშრომლების საქციელი ყოველგვარი ეჭვის გამომრიცხავი უნდა იყოს. ეს განსაკუთრებით უმაღლეს კასტებს ეხება. ალფების აღზრდა არ გულისხმობს ქცევის ნორმებისადმი გაუცნობიერებელ დამოკიდებულებას. მით უფრო გააზრებულად და გულმოდგინედ უნდა დაიცვან ქცევის ეს ნორმები. მათი პირდაპირი მოვალეობაა, იყვნენ ინფანტილურები, თუნდაც საკუთარი მიდრეკილებების საწინააღმდეგოდ. ასე რომ, მისტერ მარქს, მე საბოლოოდ გაგაფრთხილეთ. – დირექტორს ხმა სიბრაზისგან უკანკალებდა. მრისხანება სამართლიანი იყო და მიუკერძოებელი, რადგან ბერნარდს მთელი საზოგადოების სახელით კიცხავდა. – კიდეც ერთხელ რომ გაბედოთ ბავშვური ქცევის წესების დარღვევა, მაშინვე მოვითხოვ თქვენს გადაყვანას ცენტრის რომელიმე ფილიალში, ალბათ უფრო ისლანდიაში. კარგად ბრძანდებოდეთ. – მერე თავის სატრიალებელ სკამზე შებრუნდა, ბერნარდს ზურგი შეაქცია,

კალამი აიღო და წერას შეუდგა. „კარგი გაკვეთილი მივეციო“, ასე ფიქრობდა დირექტორი. თუმცა ცდებოდა, რადგან ბერნარდმა ამაყად დატოვა კაბინეტი, კარი გაიჯახუნა იმ შეგრძნებით, რომ მართო იყო მთელი სისტემის წინააღმდეგ, საკუთარი მნიშვნელობის და ღირსების დამატარებელი შეგრძნებით. დევნის და ისლანდიაში გადასახლების ფიქრიც კი არ აშინებდა, პირიქით, ახალისებდა და აქეზებდა კიდევ. საკმაო ძალას გრძნობდა გაჭირვებასთან საბრძოლველად, მის დასამარცხებლად. თავდაჯერებას იმის ურყევი რწმენა უმყარებდა, რომ საფრთხე უმნიშვნელო იყო. ასეთი სულელური მიზეზების გამო არავის ასახლებდნენ. ისლანდია მუქარა იყო მხოლოდ, სტიმულის მომცემი, მაცოცხლებელი მუქარა. და როდესაც დერეფანს დაუყვავა, სტვენაც კი წამოიწყო. საღამოს ეს ამბავი ჰელმპოლცს მოუყვა. დირექტორთან დაპირისპირების საკუთარი, გამირული ვერსია ასე დაასრულა: – ბოლოს ჯანდაბაში გავგზავნე წარსულთან შესახვედრად და ოთახიდან დემონსტრაციულად გამოვედი. სულ ეს იყო. – ჰელმპოლცისგან თანაგრძნობას, აღტაცებას და გამხნევებას ელოდა, ის კი იჯდა და იატაკს უხმოდ ჩაშტერებოდა. ბერნარდი უყვარდა, ემაღლიერებოდა, როგორც ერთადერთ ადამიანს, ვისთვისაც შეეძლო გული გადაეშალა. მაგრამ მეგობრის ზოგიერთი თვისება საშინლად აღიზიანებდა. თუნდაც ეს ყოყლოჩინობა და საკუთარი თავის შეცოდების სულმდაბლური შემოტევები, ყოყლოჩინობას რომ ენაცვლებოდა ხოლმე. ან თუნდაც ჩხუბის შემდეგ ტრაბახის ეს დამთრგუნველი ჩვევა, ვაჟკაცობის გამოჩენა საქმის შემდეგ და არა საქმეში. ბერნარდი უყვარდა და ამ საქციელს სწორედ ამიტომ ვერ იტანდა. გავიდა რამდენიმე წუთი. ჰელმპოლცი ისევ თავჩაქინდრული იჯდა. ბერნარდი უცებ აიღეწა და მეგობარს ზურგი შეაქცია. მოგზაურობისას მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. „წყნარი ოკეანის ლურჯი რაკეტა“ ნიუ-ორლეანში ორწუთნახევრით ადრე ჩაფრინდა, ოთხი წუთი ტორნადოში დაკარგა ტეხასის თავზე, მაგრამ 95-ე მერიდიანზე დასავლეთის მიმართულების ზურგის ქარმა აიტაცა და სანტა ფეში ჩასვლა მხოლოდ ორმოცი წამით დააგვიანდა. – ორმოცი წამი ექვსსაათნახევრიან რეისზე. არცთუ ისე ცუდია, – დაასკვნა ლენინამ. ის ღამე სანტა ფეში გაატარეს. სასტუმრო შესანიშნავი იყო, შეუდარებლად უკეთესი იმ საშინელ „ჩრდილოეთის ციალზე“, შარშანდელი ზაფხული რომ გაატარა ტანჯვით, ჩრდილოეთ პოლუსზე. ყველა საძინებელ ოთახში იყო თხევადი აირი, ტელევიზორი, ვიბრო-ვაკუუმის მასაჟი, რადიო, მდულარე კოფეინის ხსნარი, შემთხარი კონტრაცეპტივები და რვა სხვადასხვა სახის სუნამო. ჰოლში ისეთი სინთეზური მუსიკა უკრავდა, უკეთესს ვერ ინატრებდი. ლიფტში გაკრული განცხადებიდან შეიტყვეს, რომ სასტუმროში ესკალატორ-ჩოგბურთის სამოცი კორტი იყო და რომ ელექტრომაგნიტური და დაბრკოლებებიანი გოლფის თამაში პარკში შეიძლებოდა. – საუცხოო სასტუმროა, – წამოიძახა ლენინამ, – შეგვიძლია აქ დავრჩეთ და არსადაც არ წავიდეთ. წარმოგიდგენია? სამოცი კორტი! – იცოდე, რეზერვაციაში არც ერთი არ იქნება, – გააფრთხილა ბერნარდმა. – არც სუნამო და ტელევიზორი, ცხელი წყალიც კი. თუ უამისობას ვერ აიტან, ჩემს ჩამოსვლამდე აქ დარჩი. ლენინა განაწყენდა. – ავიტან, რა თქმა უნდა. აქ მხოლოდ იმიტომ მომწონს, რომ... იმიტომ, რომ „პროგრესი მაგარი რამეა“, ასე არ არის? – ხუთასი გამეორება კვირაში ერთხელ ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, – თავისთვის ჩაიბურტყუნა ჰიპნოპედიით თავმოებურებულმა ბერნარდმა. – რა თქვი? – ვთქვი, რომ პროგრესი მაგარი რამეა. სწორედ ამიტომ შეგიძლია სასტუმროში დარჩე, თუ მართლა ძალიან არ გინდა რეზერვაციაში წამოსვლა. – წამოსვლა ძალიან მინდა. – ჰოდა, მივდივართ, – ეს მუქარას ჰგავდა. ნებართვას რეზერვაციის ზედამხედველის ხელმოწერაც სჭირდებოდა და



მეორე დილით ბერნარდი და ლენინა მასთან გამოცხადდნენ. ეფსილონპლუს შავკანიანმა მცველმა ბერნარდის სავიზიტო ბარათი კაბინეტში შეიტანა. ორივე ზედამხედველთან მიიწვიეს. ქერა, დაბალ, ჩასკვნილ, მხარბეჭიან ალფა-მინუს ზედამხედველს მთვარესავით გაბადრული, წითელი სახე ჰქონდა და სავსე, მოგუგუნე ხმა, ჰიპნოპედიური სიბრძნის გამოსათქმელად ზედგამოჭრილი. არამკითხე მოამბესავით, ყოვლად უსარგებლო ინფორმაციას და კეთილ რჩევებს გაუთავებლად აფრქვევდა. – ...ხუთას სამოცი კვადრატული კილომეტრი ოთხ განსხვავებული სახის რეზერვაციად იყოფა. თითოეული მაღალი ძაბვის მავთულის ღობითაა შემოსაზღვრული. აქ ბერნარდს უცაბედად გაახსენდა, რომ შინ, სააბაზანოში ოდეკოლონის ონკანი დარჩა მოშვებული. – ...ელექტროდენით გრანდ-კანიონის ჰიდროელექტროსადგურიდან მარაგდება. „სახლში დაბრუნებამდე კოლოსალურ ციფრებამდე ავა“, და თვალწინ ოდეკოლონის მრიცხველის წრეზე დაულაღავად მოძრავი ისარი წარმოუდგა. „სასწრაფოდ ჰელმპოლცს უნდა დაეწერე“. – ...ხუთი ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის მესერი, რომელშიც ექვსი ათასი ვოლტი გადის. – რას ამბობთ! – ლენინას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ზედამხედველის მიერ გაკეთებული დრამატული პაუზის შესავსებად რეპლიკის ჩართვა საჭიროდ ჩათვალა. კაბინეტში შესვლისთანავე შეუმჩნევლად ჩაყლაპა ნახევარი აბი სომა, ახლა კი სულგანაბული იჯდა და ზედამხედველს ინტერესით აღსავსე ლურჯი თვალებით მიშტერებოდა, თუმცა მის თავში არაფერი შედიოდა. – მესერთან მიკარება გარდაუვალი სიკვდილია, – საზეიმოდ გამოაცხადა ზედამხედველმა. – ველურების რეზერვაციიდან გაქცევა შეუძლებელია. „გაქცევის“ გაგონებაზე ბერნარდმა დრო იხელთა და წამოდგა. – ალბათ, ჩვენი წასვლის დროა. – პატარა შავი ისარი გაუჩერებლად ითვლიდა დროს და უმოწყალოდ აცარიელებდა მის საფულეს. – გაქცევა შეუძლებელია, – გაიმეორა ზედამხედველმა და ბერნარდს სკამზე მიუთითა. ნებართვა ჯერაც ხელმოუწერიელი იყო და ბერნარდი დაემორჩილა, – ის, ვინც რეზერვაციაში დაიბადა – დაიმახსოვრეთ, ჩემო მშვენიერო, – ლენინას ურცხვად შეხედა და უხამსი ჩურჩული განაგრძო, – დაიმახსოვრეთ, რომ რეზერვაციაში ბავშვები დღესაც იბადებიან, დიახ იბადებიან, რა საზიზღრობადაც არ უნდა მოგეჩვენოთ... – (ეგონა, ამ საჩოთირო თემის ხსენებაზე ლენინა უხერხულობისგან გაწითლდებოდა; მომდომარმა ლენინამ კი თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ყველაფერი ესმოდა და „რას ამბობთ“, წამოიძახა. იმედგაცრუებული ზედამხედველი მაინც არ ცხრებოდა). – ვიმეორებ, ვინც რეზერვაციაში დაიბადა, აუცილებლად იქვე სიკვდილი უწერია. სიკვდილი უწერია... ოდეკოლონის დეცილიტრი წუთში. ექვსი ლიტრი საათში. ბერნარდი კვლავ ასადგომად წამოიმართა. – ახლა კი ნამდვილად უნდა... ზედამხედველი წინ გადაიხარა და საჩვენებელი თითი მაგიდაზე დააკაკუნა, – თქვენ მეკითხებით, რამდენი ადამიანი ცხოვრობს რეზერვაციაში, მე კი გპასუხობთ, რომ... – გამარჯვებულის ტონით, – მე კი გპასუხობთ, რომ არ ვიცით. მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია. – რას ამბობთ! – სწორედ ასეა, მშვენიერო ქალბატონო. ექვსჯერ ოცდაოთხი, უფრო სწორად, ექვსჯერ ოცდათექვსმეტი. ბერნარდი გაფითრდა და მოუთმენლობისგან აკანკალდა. შეუბრალებელი გუგუნე არ წყდებოდა. – ...სამოც ათასამდე სრულიად ველური ინდიელი და მეტისი... დროდადრო ჩვენი ინსპექტორები ჩადიან... არავითარი სხვა კავშირი ცივილიზებულ სამყაროსთან... გულისამრევ წეს-ჩვეულებებს ინარჩუნებენ... ქორწინებები, თუკი იცით, რას ნიშნავს ეს, ჩემო კარგო. ოჯახები... არავითარი აღზრდა, ბავშვის ფორმირება... შემადრწუნებელი ცრურწმენები... ქრისტიანობა, ტოტემიზმი,

წინაპრების თაყვანისცემა... მკვდარი ენები – ზუნი, ესპანური, ატაპასკური... პუმები, მაჩვზღარბები და სხვა მძვინვარე მხეცები... ინფექციური დაავადებები... ქურუმები... შხამიანი ხვლიკები... – რას ამბობთ?! ბოლოს თავი დააღწიეს, როგორც იქნა. ბერნარდი ტელეფონს მივარდა. ჩქარა, ჩქარა! ჰელმჰოლც უოტსონთან დაკავშირებას მთელი სამი წუთი დასჭირდა. – ეტყობა, უკვე ველურებში ვართ, – ეწუწუნებოდა ლენინას. – პროფესიონალიზმის ნიშანწყალიც არ იგრძნობა! – დალიე ერთი გრამი. ბერნარდმა იუარა, გაბრაზება არჩია. ბოლოს და ბოლოს, მაღლობა ფორდს, ჰელმჰოლცთან დაკავშირება მოხერხდა. აუხსნა, რაც ხდებოდა და ისიც შეპირდა, რომ მაშინვე წავიდოდა ონკანის გადასაკეტად; თანაც შემთხვევით ისარგებლა და ინკუბატორის დირექტორის გუმინდელი საჯარო გამოსვლის შესახებ ამცნო... – რა თქვი? თანამშრომელს ეძებს ჩემს ადგილზე? – შემლილივით ყვიროდა ბერნარდი. – უკვე გადაწყვეტილია? ისლანდიაც ახსენა? ახსენა? ფორდ! ისლანდია!.. – ყურმილი დაკიდა და ლენინას მიუბრუნდა. გაფითრებული იყო, განადგურებული. – რა მოხდა? – ჰკითხა ქალმა. – რა მოხდა? – სკამზე მოწყვეტით დაეშვა. – ისლანდიაში მიპირებენ გადაყვანას. ადრე ხშირად უფიქრია, რა იქნებოდა რაღაც მძიმე განსაცდელი, ტკივილი, დევნა რომ გამოეცადა (ყოველგვარი სომის გარეშე, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად). ბედის უკუღმართობაზე ოცნებობდა კიდევ. სულ რაღაც ერთი კვირის წინ, დირექტორის კაბინეტში, ეგონა, უსიტყვოდ, მედგრად გადაიტანდა ყოველგვარ ტანჯვას, ყოველგვარ გასაჭირს; დირექტორის მუქარა ფრთებს ასხამდა, სიცოცხლის ზებუნებრივ ძალას ანიჭებდა. დღეს მიხვდა ამის მიზეზს მხოლოდ – დირექტორის მუქარას ზერელედ აღიქვამდა, მისი პრაქტიკული განხორციელება ვერაფრით წარმოედგინა. ახლა კი, როცა რეალობას თვალეზში შეხედა, თავზარი დაეცა. მისი წარმოსახვითი სტოიციზმი და თეორიული სიმამაცე სადღაც უკვალოდ გაქრა. გაცოფებული იყო. საკუთარ თავზე ბრაზობდა, საკუთარ უგუნურებაზე! ბრაზობდა დირექტორზე, რომელმაც გამოსწორების შანსიც კი არ დაუტოვა. ახლა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ შანსს თუკი მისცემდნენ, აუცილებლად გამოიყენებდა. და ისლანდია... ისლანდია... – „რა იყო და რა იქნება, ტვინის ჭყლეტა არ გჭირდება. სომის ერთი აბი და აწმყოთი დატკბი“, – ლენინამ უნივერსალური გამოსავალი იპოვა. ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა კიდევ, ოთხი აბი სომა დაეღია. ხუთი წუთის შემდეგ წარსულიც გაქრა და მომავალიც. ირგვლივ საამურმა ვარდისფერმა აწმყომ დაისადგურა. სასტუმროს მორიგისგან შეტყობინება მიიღეს, რომ ზედამხედველის განკარგულებით რეზერვაციის მცველი ვერტმფრენით მოსულიყო და სახურავზე იცდიდა. მაშინვე ზემოთ ავიდნენ. მწვანეფორმიანი გამა-ოქტორონი ორივეს მიესალმა და დილის პროგრამა გააცნო. ექსკურსია ვერტმფრენიდან ათი-თორმეტი მთავარი დასახლების – პუებლოს დათვალეირებით დაიწყებოდა. სადილად მალპაისის დაბლობზე დაეშვებოდნენ. იქ მათ კომფორტული სასტუმრო ელოდა, საიდანაც პუებლოში ასვლა იყო დაგეგმილი, ველურების საზაფხულო დღესასწაულის სანახავად. გადაწყვიტეს ღამეც იქ გაეთიათ. ვერტმფრენში ჩასხდნენ. ათი წუთის შემდეგ უკვე ცივილიზაციისა და ველურების რეზერვაციის გამყოფი საზღვრის თავზე მიფრინავდნენ. მავთულისმესრიანი ზღუდის გადაულახავი ზოლი – ადამიანის ნების ტრიუმფის გეომეტრიული სიმბოლო – ამაყად მიუყვებოდა მთებს და ველებს, მარილისა და ქვიშის უდაბნოებს, კვეთდა ტყეებს, კანიონების ლურჯად მოელვარე უფსკრულებს, კლდეებს, მესას1 ბრტყელ ზედაპირებს, ბორცვებსა და მწვერვალებს. ზღუდის ძირში თეთრი ძვლები და ცხოველის ჩაშავებული, ჯერაც გაუხრწნელი ნარჩენები მოზაიკურად ეყარა თიხისფერ მიწაზე

იმ ადგილის მოსანიშნად, სადაც მომაკვდინებელ მავთულს ირემი, ხარი, კუგუარი ან კოიოტი შეხებოდა უნებლიედ და სადაც ლემის სუნზე მოფრენილ გრიფს თითქოს ღვთის რისხვა დასტეხოდა თავს გაუმადლობისთვის. – ჭკუას ვერ სწავლობენ, – მწვანეფორმიანმა მულატმა მიწაზე დაყრილ ჩონჩხებზე მიუთითა. – ვერც ვერასდროს ისწავლიან, – დაამატა და ისე გაიცინა, კაცი იფიქრებდა, ელექტროდენით დახოცილ ცხოველებზე კიდევ ერთი გამარჯვება მითვალაო. ბერნარდმაც სიცილი დაიწყო. ორი გრამი სომის შემდეგ მულატის ხუმრობა რატომღაც თავშესაქცევად ეჩვენა. იცინა, იცინა და ჩაეძინა. ძილში გადაუფრინა ტაუსს და ტესუკის, ნამბეის, პიკურისს და პოპოაკვეს, სიას და კოჩიტის, ლაგუნას, აკომას და მოჯადოებულ მესას, ზუნის, სიბოლას და ოხოკალიენტეს.<sup>1</sup> გაღვიძებისთანავე, უკვე დედამიწაზე, ჩემოდნით ხელში პატარა კვადრატული შენობისკენ მიმავალი ლენინა და პირქუშ ახალგაზრდა ინდიელთან გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე მწვანეფორმიანი პილოტი დაინახა. – მალპაისში ვართ, – პილოტი ვერტმფრენიდან გადმოსულ ბერნარდს მიუბრუნდა. – ეს ტურისტული სასტუმროა. სადამო ხანს პუებლოში ცეკვები იმართება, ეს კაცი წაგიყვანთ. – ინდიელზე მიუთითა. – იმედია, კარგად გაერთობით, – გაიკრიჭა, – ამათთან ვერ მოიწყენთ. – მერე ვერტმფრენში ჩაჯდა და ძრავი აამუშავა. – ხვალ ვბრუნდებით. ნუ იღელვებთ, – მიმართა ლენინას, – ველურები არაფერს დაგიშავებენ, ძალიან მშვიდები არიან. ქიმიურმა ბომბებმა მათ ოინბაზობის ყოველგვარი ხალისი დაუკარგა, – თქვა სიცილით, პროპელერი ჩართო, აქსელერატორს ფეხი დააჭირა და გაფრინდა.

## თავი მეშვიდე

მესა უქარო ამინდში გაჩერებულ გემს ჰგავდა მოყვითალო მტვრის ვიწრო სრუტეში, რომლის ფლატეებიან ნაპირებს შორის დაბლობზე მწვანე ზოლად მიედინებოდა მდინარე. სრუტის ცენტრში, ქვის გემის ცხვირზე დასახლება პუებლო მალპასი იდგა. მისი სწორი კიდეები თითქოს კლდიდან იყო ამოზრდილი და გაშიშვლებული ქანებისგან სწორად ნაკვეთი. სოფლის სახლები ერთმანეთზე წამოდგმული სართულებით, რომლებიც ზემოთ თანდათან პატარავდებოდა, საფეხურებიანი წაკვეთილი პირამიდის მსგავსად იყო ცისკენ აწვდილი. სახლები ძირში დაბალი, უღიმღამო მიწურების წყებით და გადაქცეული ღობეებით იყო შემოჯარული. დანარჩენი სამი მხრიდან ფლატე ციცაბოდ ეშვებოდა დაბლობზე. კვამლის რამდენიმე სვეტი შვეულად ადიოდა ცაში და ჰაერში აბლაბუდებდად იფანტებოდა. – უცნაურია, – თქვა ლენინამ. – ძალიან უცნაური. – ამ სიტყვას, როგორც წესი, გაკიცხვის მნიშვნელობით იყენებდა. – არ მომწონს. არც ეს კაცი მომწონს. – ინდიელ გამცილებელზე მიუთითა, მათი პუებლოში აყვანა რომ ევალეობოდა. როგორც ჩანს, წინ მიმავალ ინდიელსაც მსგავსი გრძნობები ჰქონდა, რადგან მტრობა და ზიზღი მის ზურგზეც კი იკითხებოდა. – თანაც საშინლად ყარს, – დაამატა ხმადაბლა. ბერნარდიც ასე ფიქრობდა. სიარულს განაგრძობდნენ. უეცრად ჰაერი გამოცოცხლდა და ფეთქვა დაიწყო, გულისცემასავით დაუოკებელი ფეთქვა. პუებლო მალპასიდან დოლების გამაყრუებელი ბრაგუნ ჩამოესმათ. სიარულის ტემპი იდუმალი გულისცემის რიტმს აჰყვა. სიჩქარეს უმატეს. ბილიკი ფლატეს ძირში მიუყვებოდა. უზარმაზარი ქვის გემის კედლები კომპივით წამოდგომოდათ თავს სამასი ფუტის სიმაღლეზე. – ვერტმფრენით მაინც წამოვსულიყავით, – გულმოკლულმა ლენინამ თავზემთ გადმოკიდებულ კლდეს ახედა. – ვერ ვიტან სიარულს. მთის ძირას ისეთი პატარა ჩანხარ. ერთხანს მესას ჩრდილში მიდიოდნენ, კლდის შვერილს შემოუარეს და ვიწრო გზას მიადგნენ, რომელიც ხეობიდან მთის კალთაზე ადიოდა, ძალიან ციცაბო ღარტაფში მიიკლავნებოდა გველივით. ბილიკს ისე აუყვნენ, როგორც გემის ტრაპს. დოლების ბრაგაბრუგი ხან წყდებოდა, ხან კი შორიახლო ისმოდა. შუა გზაზე არწივმა ისე ახლოს გადაიფრინა, რომ მისი ფრთებით შერხეული ჰაერის სიგრილე სახეზე შეიგრძნეს. კლდის ნაპრალში ძვლების გროვა ეყარა. ყველაფერი დამთრგუნველად უცნაური იყო, ინდიელი კი სულ უფრო და უფრო ყარდა. ბოლოს ღარტაფიდან მზის სინათლეზე ამოვიდნენ და მესას ზედაპირი მათ წინ ბრტყელი გემზანივით გადაიშალა. – თითქოს ჩარინგ-7 კომპზე ვართ, – გაუხარდა ლენინას. თუმცა ამ შედარებით მოგვრილმა სიამოვნებამ დიდხანს არ გასტანა. ყრუ ნაბიჯების ხმა მოესმათ, შებრუნდნენ და ბილიკზე მათკენ სირბილით მომავალი ორი ინდიელი დაინახეს. მკერდმოშიშვლებულებს მუქი ყავისფერი სხეულები თეთრი ზოლებით ჰქონდათ მოხატული („ასფალტის ჩოგბურთის კორტებივით“, – განმარტავდა მოგვიანებით ლენინა), მეწამული, შავი და ჟანგისფერი საღებავით დათხაპნილი სახეები რიტუალურ ნიღბებს მიუგავდათ. შავ თმაში მელიის ბეწვი და წითელი ნაჭრები ჰქონდათ ჩაწნული. მხრებზე მოგდებულ ინდაურის ბუმბულის მოსასხამებს ქარი უფრიალებდა; თავს ორივეს უზარმაზარი ფრთებისგან გაკეთებული გვირგვინი უმშვენებდა, ჭყეტელა შარავანდედივით. ვერცხლის სამაჯურებს, ძვლის მძიმე ყელსაბამებს და ფირუზის მძივებს ფეხის ყოველ გადადგმაზე ზანზარი და ჟღარუნი გაუდიოდა. უსიტყვოდ, უჩუმრად მოაბიჯებდნენ ირმის ტყავის მოკასინებში. ერთს ბუმბულის კონა ჩაებლუჯა, მეორეს კი ორივე ხელში რამდენიმე სქელი თოკი ეჭირა. უცებ ერთი თოკი უცნაურად გაიკლავნა და ლენინამ ახლადა შენიშნა, რომ

ეს თოკები კი არა, გველები იყო. კაცები თანდათან უახლოვდებოდნენ; შავი თვალებით ლენინას ისე შეჰყურებდნენ, როგორც გამჭვირვალე კედელს, თითქოს მის ადგილას არავინ და არაფერი მდგარიყო. დაკლაკნილი გველი მოეშვა და ისევ თოკივით ჩამოეკიდა. ინდიელებმა გვერდით ჩაირბინეს. – არ მომწონს ეს ამბავი, – დაიჟინა ლენინამ, – არ მომწონს. კიდევ უფრო ნაკლებად მოეწონა ის, რაც პუებლოში დახვდა, როცა გამცილებელმა ისინი ცოტა ხნით დატოვა და მითითებების მისაღებად სოფელში შევიდა. ჭუჭყის, ნაგვის გროვების, მტვრის, ძაღლების და ბუზების დანახვაზე ლენინას სახე ზიზღისგან დაემანჭა. ცხვირზე ხელსახოცი აიფარა. – ასე ცხოვრება როგორ შეუძლიათ? – აღშფოთებული იყო, თვალებს არ უჯერებდა (ეს შეუძლებელი იყო). ბერნარდმა მხრები აიჩეჩა და ფილოსოფიურად წარმოთქვა: – როგორღაც. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი ხუთი-ექვსი ათასი წელია, ასე ცხოვრობენ. უკვე მიჩვეულებიც არიან ალბათ. – სისუფთავე ხომ ფორდის პირველი მცნებაა, – არ ცხრებოდა ლენინა. – ჰოდა „ცივილიზაცია სტერილიზაციაა“, – ბერნარდმა დამცინავად გაიმეორა ფრაზა ჰიგიენის საფუძვლების მეორე ჰიპნოპედიური გაკვეთილიდან. – თუმცა ამ ხალხს არც ფორდის შესახებ სმენია რამე და არც ცივილიზაციის. ამიტომაც არ აქვს აზრი... – ბერნარდ! – ქალმა მკლავზე სტაცა ხელი. – შეხედე! მეზობელი სახლის პირველი სართულის ტერასიდან ინდიელი ჩამოდიოდა. თითქმის შიშველი, ბებრული სიფრთხილით მოლოდავდა, კანკალით მოუყვებოდა კიბის საფეხურებს. ღრმა ნაოჭებით დაღარული სახე ობსიდიანის ნიღაბს მიუგავდა. უკბილო პირი ჩავარდნოდა და ტუჩის კუთხეებში, ნიკაპის ორივე მხარეს, მუქი კანის ფონზე, თხის წვერივით ეკიდა თეთრი, მეჩხერი თმის ბეწვები. ჭაღარა, გრძელი თმა ფაფარივით ეყარა მხრებზე. წელში მოხრილიყო. უხორცო, გამვალტყავებული, ძალიან ნელა მოძრაობდა, ყველა საფეხურზე ჩერდებოდა და ისვენებდა. – რა სჭირს? – ჩურჩულით იკითხა ლენინამ. თვალები ზიზღნარევი გაკვირვებით გაუფართოვდა. – მოხუცია, ეს არის და ეს, – აგდებულად მიუგო ბერნარდმა. ისიც შეძრწუნებული იყო, თუმცა ამის დაფარვას ყოველნაირად ცდილობდა. – მოხუცი? ჩვენი დირექტორიც მოხუცია; უამრავი მოხუცი მინახავს, მაგრამ ასეთი? – იმიტომ, რომ ვცდილობთ, ამ მდგომარეობამდე არ მივიყვანოთ. ავადმყოფობისგან ვიცავთ, შინაგან სეკრეციას და მაგნიუმ-კალციუმის თანაფარდობას ოცდაათი წლის ახალგაზრდის დონეზე ვუნარჩუნებთ ხელოვნურად. ახალგაზრდა სისხლს ვუსხამთ და ნივთიერებათა ცვლის განუწყვეტელ სტიმულაციას ვუტარებთ. ამიტომაც გამოიყურებიან კარგად. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, – დაამატა, – რომ უმრავლესობა ამ ბებრუხანას ასაკამდე ვერ აღწევს, გაცილებით ადრე კვდება. სამოც წლამდე ახალგაზრდობას უცვლელად ინარჩუნებენ, მერე კი ბაც! და უცებ კვდებიან. ლენინა აღარ უსმენდა. მოხუცს შესჩერებოდა, რომელიც ძირს ძლივსძლიობით ჩამობოზდდა, ფეხი მიწას დააბჯინა და მისკენ მობრუნდა. ღრმად ჩამჯდარი თვალები არაჩვეულებრივად უბრწყინავდა. ქალს დიდხანს უყურებდა არაფრისმთქმელი გამომეტყველებით, გაკვირვების გარეშე, თითქოს ისიც ვერაფერს ხედავდა იმ ინდიელებივით. მერე ორად მოკაკულმა ნელა, კოჭლობით ჩაიარა და თვალს მიეფარა. – საშინელებაა, – აღმოხდა ლენინას. – რა შემზარავია ყველაფერი. აქ არ უნდა ჩამოვსულიყავით. – ჯიბეში ხელი ჩაიყო სომის ტაბლეტების ამოსაღებად, მაგრამ აღმოაჩინა, რომ რაღაც გაუგებარი დაუდევრობის გამო – ასეთი რამ უწინ არასოდეს მოსვლია – სომის აბებით სასვე კოლოფი სასტუმროში დარჩენოდა. წამალი არც ბერნარდს აღმოაჩნდა. მიხვდა, რომ მალპაისის საშინელებების გადატანა ყოველგვარი დახმარების გარეშე მოუწევდა. საშინელებები კი ელვის სისწრაფით ატყდებოდა თავს. აი, თუნდაც ეს ორი ახალგაზრდა

ქალი, ბავშვებს ძუძუს რომ აწოვებენ. სახეზე ალმური აუვიდა – ასეთ უხამსობას ცხოვრებაში პირველად წააწყდა. ბერნარდი კი, იმის მაგივრად, რომ ტაქტიანად გაჩერებულიყო, მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავდა; ცოცხალშობიარეთა ყოფის ამ გულისამრევ სცენას ხმამაღალი კომენტარები მოაყოლა. მიღებული სომის მოქმედება გასულიყო და დილით სასტუმროში გამოჩენილი სისუსტისგან დარცხვენილ ბერნარდს სურდა, თავისი განსაკუთრებული სიმამაცე და ორიგინალური აზროვნება გამოეჩინა. – რა მშვენიერია ეს სიახლოვე, – ცდილობდა განგებ გადაჭარბებულად შეურაცხყოფელი ყოფილიყო. – და წარმომიდგენია, რა ძლიერ ემოციებს იწვევს! ხშირად მიფიქრია, რამდენს უნდა კარგავდეს ქალი, რომელსაც დედობა არ განუცდია. ალბათ, შენც ბევრს კარგავ იმით, რომ დედა არასოდეს ყოფილხარ, ლენინა. წარმოიდგინე შენი თავი ბავშვით ხელში, ზიხარ და ძუძუს აწოვებ... – ბერნარდ, გრცხვენოდეს! – ამ დროს წინ მოხუცმა ქალმა ჩაუარა. დაწითლებული, წირპლიანი თვალები და კანის რაღაც დაავადება ჰქონდა. მის დანახვაზე ლენინა აღშფოთებისგან გამოერკვა. – წავიდეთ აქედან, – ემუდარებოდა ბერნარდს. – მძულს აქაურობა, მძულს! ამასობაში მათი მეგზური დაბრუნდა, ხელით ანიშნა, მომყევითო და სახლებს შორის გამავალი ვიწრო ქუჩით წინ წაუძღვა. კუთხეში გზიდან გადაუხვიეს. ნაგვის გროვაზე დაგდებული მკვდარი ძაღლი და ჩიყვიანი ქალი დაინახეს, რომელიც პატარა გოგონას თმას უხილავდა. მეგზური სახლის კართან მიდგომული კიბის ძირში შეჩერდა, ხელი ჯერ ზემოთ ასწია, მერე წინ გაიშვირა. მის უსიტყვო ბრძანებას დაემორჩილნენ – კიბეზე აძვრნენ და კარის ჭრილით გრძელ, ვიწრო ოთახში შევიდნენ. ოთახში ბნელოდა და ჰაერი კვამლის, დამწვარი ქონის და დიდი ხნის ნახმარი, გაურეცხავი ტანსაცმლის სუნით იყო გაჟღენთილი. ოთახის ბოლოში, კარის მეორე ჭრილიდან მზის შუქი შემოდის და დოლის ყურისწამლები ხმაური ისმოდა ძალიან ახლო მანძილიდან. მეორე ზღურბლს გადააბიჯეს და ფართო ტერასაზე აღმოჩნდნენ. ქვემოთ მაღალი სახლებით გარშემორტყმული, ინდიელებით გაჭედილი სოფლის მოედანი გადაიშალა – ჭყეტელა მოსასხამები, შავ თმაში ჩაწული ბუმბულები, ფირუზის ელვარება და ინდიელების სიცხისგან ალაპლაპებული შავი კანი. ლენინამ ცხვირზე ისევ აიფარა ხელსახოცი. მოედნის შუაგულში ნათალი ქვის წყობა ორ მრგვალ შემადლებას ქმნიდა, რაც მიწისქვეშა ოთახები უნდა ყოფილიყო ბრტყელი გადახურვით, რადგან ორივე შემადლების დატკეპნილი თიხისგან გაკეთებულ სახურავში ჩასადრომი ხვრელი მოჩანდა, ხოლო ბნელი მიწისქვეშეთიდან ხის კიბეები იყო ამოჩრილი. მიწისქვეშა ოთახიდან ფლეიტის ხმა ამოდიოდა და დოლების უმოწყალო, დაუოკებელ ბრაგუნში იკარგებოდა მაშინვე. ლენინას დოლის ხმა მოეწონა. თვალები დახუჭა და მათ გრგვინვას დაჰყვა, ნება მისცა, თანდათანობით სრულად დაუფლებოდნენ მის ცნობიერებას, სანამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი არ გაქრა და ღრმა, მფეთქავი ბგერა არ დარჩა მხოლოდ, რომელიც ერთობის თავყრილობების და ფორდის დღესასწაულის სინთეზურ მუსიკას აგონებდა და ამით ამშვიდებდა. „ორგი-პორგი“, ჩურჩულებდა თავისთვის, დოლების ბრაგაბრუგი კი იგივე რიტმს იმეორებდა. უეცრად სიმღერამ დაიჭექა – ასობით მამაკაცის ფოლადისებური, მკვეთრი ხმა მჭახე უნისონში აყვირდა. რამდენიმე გრძელ ნოტს სიჩუმე ჩაენაცვლა, დოლების მგრგვინავი სიჩუმე, მერე გამკვივანი დისკანტი გაისმა – ქალების გამოჰასუხება. ისევ დოლები. და მამრების კიდევ ერთი ველური, ულმობელი შეკვივლება – მამაკაცური ძალის დასტურად. უცნაური – დიახ. ძალიან უცნაური ადგილი იყო, უცნაური იყო მუსიკაც, ტანსაცმელიც, ჩიყვიც, დაავადებული კანიც და დაჩაჩანაკებული ბებერიც.

თუმცა თვით მუსიკალური წარმოდგენა განსაკუთრებულად უცნაური არ ყოფილა. – დაბალი კასტების საზოგადოებრივი სიმღერის ჯგუფს მაგონებს, – უთხრა ლენინამ ბერნარდს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, წარმოდგენა უწყინარ დღესასწაულს უკვე აღარ ჰგავდა, რადგან უეცრად მრგვალი მიწისქვეშეთიდან ჯგროდ ამოვიდა საზარელი ურჩხულების ჯგუფი – შემზარავი ნიღბებით ან საღებავით არაადამიანურად მოთხუპნილი სახეებით. მოედნის ირგვლივ უცნაური ცეკვა წამოიწყეს. წრეს კოჭლობით უვლიდნენ გარს სიმღერით, ისევ და ისევ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ისევ და ისევ, ყოველ ჯერზე ცოტა უფრო სწრაფად. დოლების გრუხუნის რიტმიც შეიცვალა და აჩქარდა, ყურებში გამალებით დაიწყო ფეთქვა. ბრბოც მოცეკვავეებთან ერთად ამღერდა, სულ უფრო ხმამაღლა. ჯერ ერთმა ქალმა შეჰკვივლა თავზარდამცემად, მერე მეორემ, მესამემ, ისე გაჰკვიოდნენ, თითქოს სასაკლავოზე მიჰყავთო. მერე უცებ რიგს მოცეკვავეების წინამძღოლი გამოეყო, მოედნის კიდეებთან მდგარ ხის უზარმაზარ სკივრთან მიიბრინა, სახურავი ახადა და იქიდან ორი შავი გველი ამოიყვანა. ბრბო ხმამაღალი ყვირილით გამოეხმაურა, დანარჩენი მოცეკვავეები კი წინ გაწვდილი ხელებით მისკენ გაიქცნენ. მოცეკვავეების წინამძღოლმა გველები პირველად მოსულებს ესროლა და ისევ სკივრისკენ დაიხარა. ამოჰყავდა და ამოჰყავდა შავი, ყავისფერი, დაწინწკლული გველები და მოცეკვავეებს ესროდა. ცეკვა ისევ დაიწყო, ახლა სხვა რიტმში. წრეს უვლიდნენ და უვლიდნენ გარს გველებით ხელში, გველებივით იკლავდნენ, რბილად, ტალღებივით არწევდნენ მუხლებს და თემოებს. კიდეც ერთი წრე, მეორე. მერე წინამძღოლის ნიშანზე ერთიმეორის მიყოლებით ყველა გველი მოედნის შუაგულში დაყარეს. მიწისქვეშეთიდან მოხუცი ამოვიდა და გველებს სიმინდის ფქვილი მოაფრქვია, მეორე ხვრელიდან ამოსულმა ქალმა კი წყალი დააპკურა შავი ქილიდან. მოხუცმა ხელი ასწია და მყისიერად სრული, შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა. დოლების ბრაგუნის შეწყდა, ყველაფერი გაჩერდა. მოხუცმა სახურავის ხვრელებისკენ, მიწისქვეშეთის კარიბჭისკენ მიუთითა. და ნელა, თითქოს უხილავი ხელით, ქვემოდან ორი მოხატული ფიგურა ამოიზარდა, ერთი ხვრელიდან – არწივის, მეორიდან – შიშველი, ჯვარზე მილურსმული კაცის. ორივე ფიგურა ისე დაეკიდა, თითქოს ჰაერში თვითონვე იცავდნენ წონასწორობას და ბრბოს მიჩერებოდნენ. მოხუცმა ტაში შემოჰკრა. ბრბოდან თვრამეტიოდე წლის ბიჭი გამოვიდა, რომელსაც თემოზე შემოხვეული ნაჭრის გარდა, არაფერი ეცვა და მოხუცის წინ გულხელდაკრებილი და თავდახრილი გაჩერდა. მოხუცმა პირჯვარი გადასახა და შებრუნდა. ბიჭმა ნელ-ნელა დაიწყო სიარული გველების გროვის გარშემო. ერთი წრე და მეორის ნახევარი ჰქონდა შემოვლილი, როდესაც მოცეკვავეებს კოიოტისნიღბიანი მაღალი კაცი გამოეყო ტყავისგან მოწნული მათრახით ხელში და მისკენ გაემართა. ბიჭი წრეზე მოძრაობას განაგრძობდა, თითქოს კოიოტისნიღბიანს ვერც ამჩნევდა. კაცმა მათრახი ასწია, მერე მოლოდინის გრძელი წამები, მკვეთრი მოძრაობა, შოლტის ტყელაშუნი და მისი ყრუ ხმა ადამიანის სხეულზე. ბიჭი შეკრთა, აკანკალდა, მაგრამ ხმისამოუღებლად, ნელი ნაბიჯით განაგრძო წრეზე სიარული. კოიოტმა მათრახი კიდეც გადაუჭირა, კიდეც და კიდეც. შოლტის ყოველ გატყელაშუნებაზე ბრბოდან ჯერ ოხვრა, მერე კი ყრუ გმინვა ისმოდა. ბიჭი სიარულს განაგრძობდა. წრეს ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ შემოუარა. სისხლი სდიოდა. მეხუთე წრე, მეექვსე. ლენინამ სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. – უთხარი გაჩერდნენ, უთხარი, გესმის?! – გაიძახოდა მუდარით. შოლტი შეუბრალებლად ტყელაშუნებდა. მეშვიდე წრეზე ბიჭი უცებ შეტორტმანდა, წაიბორძიკა და ხმისამოუღებლად დაეცა პირქვე. კოიოტისნიღბიანი დაიხარა, ბიჭის ზურგს გრძელი თეთრი

ბუმბულით შეეხო, მერე სისხლით ალისფრად შეღებილი ბუმბული ხალხის დასანახად ზემოთ ასწია და გველებს თავზე სამჯერ დაიქნია. რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა და ისევ დოლების ველური გრუხუნი ატყდა, გაისმა ხმამალაი ყვირილი. მოცეკვავეები წინ გაიჭრნენ, გველები აიტაცეს და მოედნიდან გაიქცნენ. მთელი ბრბო ქალიან-კაციანად მათ დაედევნა. მოედანი წუთში დაცარიელდა, მხოლოდ ბიჭი ეგდო გაუნძრევლად იქ, სადაც დაეცა. ახლომდებარე სახლიდან სამი დედაბერი გამოვიდა, ბიჭი გაჭირვებით ასწიეს და სახლში შეიყვანეს. დაცლილი მოედანი ერთხანს ორი მცველის – არწივის და ჯვარცმული კაცის ამარა დარჩა. მერე, თითქოს ყურებით გული იჯერესო, ორივე ნელა ჩაეშვა ქვესკნელში და თვალს მიეფარა. ლენინა ისევ ქვითინებდა. – აუტანელია, – განუწყვეტლივ იმეორებდა. ბერნარდი ვერაფრით ამშვიდებდა. – აუტანელია! ეს სისხლი! – გააჟრჟოლა. – სომა მაინც მქონოდა. მათ ზურგსუკან, ოთახში, ნაბიჯების ხმა გაისმა. ლენინა არ განძრეულა, ხელებში თავჩარგული იჯდა, განცდებში ჩაფლული. მხოლოდ ბერნარდი შებრუნდა. ტერასაზე გამოსულ ახალგაზრდას ინდიელის ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ ჩალისფერი ნაწნავები, ცისფერი თვალები და თეთრი კანი ჰქონდა, ბრინჯაოსფრად მზემოკიდებული. – დილა მშვიდობისა, გამარჯობა, – თქვა უცნობმა გამართული, მაგრამ უჩვეულო ინგლისურით. – თქვენ ცივილიზებული ხართ, არა? რეზერვაციაში სხვა ქვეყნიდან მოხვედით? – ო, ფორდ! ვინა ხარ?.. – ბერნარდი თვალს არ უჯერებდა. ახალგაზრდამ ამოიოხრა, თავი გააქნია. – ყველაზე უბედური ადამიანი. – სისხლის ლაქებზე მიუთითა მოედნის ცენტრში. – „გამშორდი, წყეულო ლაქავ, გამშორდი-მეთქი!“ – აღელვებულს ხმა უკანკალებდა. – „უმჯობესია გრამი, ვიდრე ჩხუბი და დრამა“, – მექანიკურად გამოეპასუხა ლენინა, თავი არ აუწევია. – სომა მაინც მქონოდა. – იქ მე, მე უნდა ვყოფილიყავი, – განაგრძობდა უცნობი. – რატომ არ მომცეს მსხვერპლად შეწირვის ნება? ათ, თორმეტ, თხუთმეტ წრეს შემოვუვლიდი. პალოპტივამ შვიდზე მეტი ვერ შეძლო. „ნუთუ დიდი ნეპტუნის მთელ ოკეანეს ძალუმს გარეცხოს ჩემნი ხელნი იმ სისხლისგან“?! – სასოწარკვეთილმა ხელები ფართოდ გაშალა და ისევ ძირს დაუშვა მოწყვეტით. – ნებას არ მამლევენ. თეთრი კანის გამო ამითვალწუნეს დაბადებიდან. – ახალგაზრდა კაცს თვალები ცრემლით აევსო; შერცხვა და შებრუნდა. გაცეხამ ლენინას სომაც კი დაავიწყა. თავი ასწია და უცნობს პირველად შეხედა. – თქვენ ამბობთ, რომ გერჩივნათ თქვენ გაერთიანებინეთ? ახალგაზრდამ თანხმობის ნიშნად თავი ისე დაუქნია, არც შემობრუნებულა. – მერჩივნა, მერჩივნა პუებლოს გულისთვის – წვიმა რომ მოსულიყო და სიმინდის დიდი მოსავალი. პუკონგისა და ქრისტეს საამებლად. და რომ მეჩვენებინა, რომ ტკივილს უსიტყვოდ გავუძლებდი, დიახ, – მისმა ხმამ ახალი ჟღერადობა შეიძინა, მხრები ამაყად გაშალა, ნიკაპი ურჩად, გამომწვევად ასწია. – ჩემი კაცობა რომ დამემტკიც... ოჰ! – სუნთქვა შეეკრა და პირდაღებული გაშეშდა. ცხოვრებაში პირველად დაინახა გოგონა, რომელსაც არ ჰქონდა შოკოლადისფერი ან უხეში კანი, ჰქონდა ხელოვნურად დახვეული წაბლისფერი თმა და რომლის სახე (წარმოუდგენელია!) გულითად ინტერესს გამოხატავდა. ლენინა უღიმოდა. „რა მიმზიდველი ბიჭია, – ფიქრობდა, – და რა მშვენიერი სხეული აქვს“. ახალგაზრდას სახეზე სისხლი მოაწვა, მზერა აარიდა, მერე ისევ შეხედა და მომღიმარი სახის დანახვაზე ისე შეცბა, რომ შებრუნდა და თავი მოაჩვენა, თითქოს მოედნის მეორე მხარეს რაღაცის თვალყურებით იყო გართული. უხერხულობიდან ბერნარდმა გამოიყვანა თავისი შეკითხვებით. ვინ? როდის? როგორ? საიდან? ბერნარდისთვის თვალი არ მოუშორებია (ლენინას ღიმილი ისეთი ვნებით იზიდავდა, მისკენ გახედვასაც კი ვერ



ბედავდა), ისე აუხსნა ყველაფერი. ის და ლინდა – ლინდა მისი დედა იყო (ლენინა შეკრთა, მოიბუზა) – აქაურებისთვის უცხოები არიან. ლინდა იმ სხვა ქვეყნიდან დიდი ხნის წინ, მის დაბადებამდე მოვიდა კაცთან ერთად, რომელიც მამამისი იყო (ბერნარდმა ყურები ცქვიტა). მთებში სასეირნოდ მარტო წავიდა, იქით, ჩრდილოეთისკენ, ციცაბო კლდეზე დაეცა და თავი დაიზიანა. („განაგრძეთ, განაგრძეთ“, აჩქარებდა აღელვებული ბერნარდი). მალპაისიდან მოსულმა მონადირეებმა იპოვეს და პუებლოში ჩამოიყვანეს. ის კაცი კი, ბიჭის მამა, ლინდას მას მერე აღარ უნახავს. თომასი ერქვა („ასეა, ასე, დირექტორსაც ხომ თომასი ჰქვია“). ალბათ უკან დაბრუნდა, სხვა ქვეყანაში, ლინდა კი მიატოვა – ცუდი კაცია, ბოროტი და უგულო. – მე კი აქ, მალპაისში დავიბადე, – ამოიხრა. – მალპაისში. – და თავი ჩაღუნა. რა უზადრუკი, ჭუჭყიანი ქოხმახი იდგა პუებლოს განაპირას! სოფლისგან მტვრით და ნაგვით სავსე უდაბური ველი ჰყოფდა. სახლის კართან ორი მშვიერი, გამვალტყავებული ძალი იქექებოდა ნარჩენებში. შიგნით – სიმყრალე, სიბნელე და ბუხების ბუხილი. – ლინდა! – დაიძახა ახალგაზრდამ. მეორე ოთახიდან ქალის ხრინწიანი ხმა გაისმა, – მოვდივარ. ელოდნენ. იატაკზე დაყრილ თასებში საჭმლის ნარჩენები იყო, ალბათ რამდენიმე დღისაგ. კარი გაიღო. ზღურბლზე ძალიან მსუქანი, ქერა ინდიელი ქალი გამოჩნდა და სტუმრებს პირდაღებული და გაოგნებული შეაჩერდა. ლენინამ შენიშნა, რომ წინა ორი კბილი არ ჰქონდა, დანარჩენი კბილების ფერი კი... ზიზღისგან გააჟრჟოლა. ქალი იმ მოხუცზე უფრო შემზარავი იყო. რამსისქეა! დაღარული, დანაოჭებული სახე, მომჩვარული კანი. ეს ჩამოკიდებული ლოყები მოლურჯო, დამუწუკებული ლაქებით; ცხვირზე წითელი სისხლძარღვები, ჩასისხლიანებული თვალები. და ეს ყელი, დაბაბი; თავზე წამოხურული დაფლეთილი, ბინძური საბანი. ყავისფერი ტომარასავით კაბის ქვეშ ჩამოშვებული უზარმაზარი მკერდი, ეს ღიპი და თეძოები. იმ ბებერზე გაცილებით, გაცილებით უარესია! და უცებ ეს ადამიანის მსგავსი ქმნილება ალაპარაკდა, წინ გაწვდილი ხელებით მისკენ გამოექანა და ო, ფორდ! ფორდ! ლენინას კინაღამ ისევ აერია გული – გაფუებულ მკერდზე მიიკრა და კოცნა დაუწყო. ფორდ! კოცნა, დორბლიანი ტუჩებით ლოშნა. ისე იყო აქოთებული, ეტყობა, ტანს არასოდეს იბანდა. პირიდან ამოსულ სიმყრალეს კი იმ შხამის სუნი ჰქონდა, დელტებს და ეფსილონებს რომ უსხამენ ბოთლებში (არა, არ სჯერა, რომ ბერნარდსაც...), აშკარად ალკოჰოლის სუნი იყო. ლენინამ შემოჰკდობილი მკლავებიდან თავისასწრაფოდ გაითავისუფლა. დასიებული, დამახინჯებული სახე შემოსცქეროდა; ადამიანისმაგვარი ქმნილება ტიროდა. – ოჰ, ჩემო კარგო, ჩემო კარგო. – მოთქვამდა და ზღუქუნებდა. – რომ იცოდეთ, როგორ მიხარია! რამდენი წელია ცივილიზებული სახე არ მინახავს. არც ცივილიზებული ტანსაცმელი. მეგონა, ნამდვილ აცეტატურ აბრეშუმს ვედარასოდეს ვნახავდი. – ლენინას ბლუზის სახელო თითებით მოსინჯა. ფრჩხილები შავი ჰქონდა. – ეს მშვენიერი, ნაკეცებიანი ვისკოზის შორტი! იცი, ჩემო კარგო, ჩემი ტანსაცმელი ისევ სკივრში მაქვს შენახული, აი ის, ჩამოსვლისას რაც მეცვა. მერე გიჩვენებ. თუმცა აცეტატი გაცვდა და ნაფლეთებად იქცა. ისეთი ლამაზი თეთრი სავაზნე ქამარი მქონდა, მხარზე გასაკეთებელი; მე შენი მწვანე ტარსიკონის უფრო მომწონს. ჩემი დიდად ვერც ვერაფერში გამომადგა. – სახეზე ისევ ღვარად წამოუვიდა ცრემლები. – ჯონი ალბათ მოგიყვებოდათ უკვე. რა ტანჯვა გადავიტანე, თანაც სომის გარეშე, ნამცეცივ კი არ მქონდა თან. მხოლოდ მესკალს ვსვამდი, რომელიც პოპეს მოჰქონდა ხანდახან. პოპე აქაური კაცია, ჩემთან დადიოდა ხოლმე. მესკალის შემდეგ ძალიან ცუდად ხარ, პეიოტლის<sup>1</sup> შემდეგ გული გერევა, ფხიზლდები და საშინელი სირცხვილის გრძნობა მეორე დღეს უარესად

გტანჯავს. ოჰ, ისე მრცხვენოდა! წარმოიდგინე – მე, ბეტამ, ბავშვი გავაჩინე. საკუთარი თავი წარმოიდგინე ჩემს ადგილას. – (ამის გაფიქრებაზე ლენინას ისევ გააჟრჟოლა). – გეფიცებით, ჩემი ბრალი არ ყოფილა, ახლაც არ ვიცი, ეს როგორ დამემართა. მალთუსიანურ ინსტრუქციებს ზუსტად ვიცავდი, თვლის მიხედვით, ხომ იცით – ერთი, ორი, სამი, ოთხი. გეფიცებით, ყოველთვის ზუსტად ვიცავდი, მაინც დავორსულდი. აქ კი აბორტის შესახებ არაფერი გაეგებათ. ჩელსიში ისევ ფუნქციონირებს აბორტარიუმი? – ლენინამ თავი დაუქნია. – ისევ ისეა განათებული პროექტორებით სამშაბათობით და პარასკევობით? – ლენინამ ისევ თავი დაუქნია. – რა მშვენიერი ვარდისფერი მინის კოშკი იყო! – საცოდავმა ლინდამ თავი ასწია, თვალები დახუჭა და ალტყინებული მიეცა ტკბილ მოგონებას აბორტარიუმზე. – მდინარე ღამით, – ჩაიჩურჩულა. ლოყაზე მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა. – როცა სტოკ-პოჯესიდან ქალაქში მოვფრინავდით. მერე ცხელი აბაზანა და ვიბრო-ვაკუუმის მასაჟი... ეს ყველაფერი იქ იყო. – ღრმად ამოიოხრა, თვალები გაახილა, ერთი-ორჯერ დაისრუტუნა, მერე ცხვირი ხელით მოიხოცა და თითები კაბის კალთაზე შეიწმინდა. – ოჰ, მაპატიეთ, – წამოიძახა ლენინას ზიზღისგან უნებლიეთ დამანჭული სახის დანახვაზე. – ეს არ უნდა მექნა, მაპატიეთ. მაგრამ რას იზამ, თუ ცხვირსახოცი არ არსებობს? მახსოვს, როგორ განვიცდიდი თავიდან, ყველაფერი ბინძური და არასტერილური რომ იყო. მთიდან აქ რომ ჩამომიყვანეს თავგატეხილი, ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელებას მადებდნენ ჭრილობაზე – ჭუჭყს და სიბინძურეს. „სტერილიზაცია ცივილიზაციაა“-მეთქი, ვეუბნებოდი. ბავშვებივით ვუჩიჩინებდი: „ბაქტერიებს – არა, დაიბანე ჩქარა!“ მაგრამ ვერაფერს გავხდი, ვერაფერი გავაგებინე. როგორ უნდა გაეგოთ? ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, მეც შევეჩვიე. აბა, როგორ გინდა დაიცვა სისუფთავე ცხელი წყლის ონკანის გარეშე? აქაურ ტანსაცმელს შეხედეთ. ეს საშინელი შალი აცეტატი კი არ არის, უცვეთია. თუ დაიხა, უნდა დააკერო. მე კი ბეტა ვარ, განაყოფიერების დარბაზში ვმუშაობდი. ასეთი რამ ჩემთვის არავის უსწავლებია. სულ სხვა საქმეს ვიყავი მიჩვეული. თანაც ჩვენთან დაკემსილი ტანსაცმელი მიუღებელია. თუ გაცვდება, უნდა გადაყარო და ახალი იყიდო. „კემსავს მხოლოდ ღარიბი, კემსავს მხოლოდ ღარიბი“. ასე არ არის? ძველმანების კემსვა ანტისაზოგადოებრივი საქციელია. აქ კი ყველაფერი თავდაყირაა, ნამდვილი საგიჟეთია. ყველაფერს არანორმალურად აკეთებენ. – მიიხედ-მოიხედა, დაინახა, რომ ჯონი და ბერნარდი გასულიყვნენ და ნაგვის გროვებს შორის იდგნენ შორიახლო. მაგრამ ხმას მაინც დაუწია, წინ გადაიხარა და ზიზღისგან მოკუნტულს ისე მიუახლოვდა, რომ ემბრიონული შხამის – ალკოჰოლის ოხშივარმა ლენინას ლოყაზე თმა აუფრიალა. – აი, მაგალითად, – ხრინწიანი ხმით დაიწყო ჩურჩული, – ავიღოთ აქაური ურთიერთობები. საგიჟეთია, ნამდვილი საგიჟეთი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ცივილიზებულ სამყაროში ერთი ყველას ეკუთვნის, ასე არ არის? ხომ ასეა? – ჯიუტად იმეორებდა და თან ლენინას სახელოზე ექაჩებოდა. ლენინამ თავი დაუქნია, მიბრუნდა სუნთქვაშეკრული, ამოისუნთქა და შედარებით სუფთა ჰაერის ჩაყლაპვას შეეცადა. – აქ კი, – განაგრძობდა ლინდა, – აქ ერთი ქალი მარტო ერთ კაცს უნდა ეკუთვნოდეს და მეტს არავის. თუ ცივილიზებულ ურთიერთობებს ამყარებ, გარყვნილად გთვლიან, ყველას სძულხარ და ეზიზღები. ერთხელ გამმაგებული ქალები მომივარდნენ და აურზაური ამიტეხეს, რადგან მათი კაცები ჩემთან ადადიოდნენ. რატომაც არ უნდა ევლოთ? ქალები ისე მომცვიდნენ... გახსენებაც კი მზარავს. – ლინდა შეკრთა და სახეზე ხელები აიფარა. – ბოროტი, ულმობელი, სასტიკი ქალები არიან. მალთუსიანური სწავლების, ბოთლების, ამოყვანის შესახებ, რა თქმა

უნდა, არაფერი გაეგებათ. ამიტომაც ბავშვებს ძაღლებით ყრიან. გულისამრევია ეს ყველაფერი. და როცა ვფიქრობ, რომ მეც... ო, ღმერთო, ფორდ, ფორდ! ისე, ჯონი მაინც დიდი ნუგეში იყო ჩემთვის. არც კი ვიცი, მის გარეშე რა მეშველებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის საშინლად განიცდიდა, როცა კაცები... მაშინაც კი, სულ პატარა რომ იყო. ერთხელ (უკვე დიდი ბიჭი იყო) საწყალი ვაიჰუსივას მოკვლა სცადა. თუ პოპესი? მხოლოდ იმიტომ სცადა, რომ ჩემთან დადიოდა ხოლმე. ვერაფრით გავაგებინე, რომ ეს ცივილიზებული ადამიანების ცხოვრების წესია. სიგიჟე გადამდებია, როგორც ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ჯონს ინდიელებისგან გადაედო. სულ მათ გვერდით არის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ღორულად ექცეოდნენ და იმის კეთებას უკრძალავდნენ, რის უფლებასაც სხვა ბიჭებს აძლევდნენ. იქნებ ასე ჯობდა კიდევ, მის აღზრდას ოდნავ მაინც მიადვილებდა. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია. ყველაფერი ხომ არ შეიძლება იცოდე. ყველაფრის ცოდნა არც მომეთხოვებოდა. მაგალითად, როცა ბავშვი გეკითხება, ვერტმფრენი როგორ დაფრინავს, ან სამყარო ვინ შექმნაო, რა უნდა უპასუხო, თუ მთელი ცხოვრება ბეტა იყავი და განაყოფიერების დარბაზში მუშაობდი? მითხარი, რა უნდა უპასუხო?

## თავი მერვე

ჯონი და ბერნარდი მტვრითა და ნაგვით სავსე ეზოში სცემდნენ ბოლთას (ნაგავში ახლა ოთხი ძალი იქეჭებოდა უკვე). – ჩემთვის ძალიან ძნელია ამის წარმოდგენა, ამაში ჩაწვდომა, – ამბობდა ბერნარდი, – თითქოს სხვადასხვა პლანეტებიდან ვართ, სხვადასხვა საუკუნეებიდან. დედა, მთელი ეს სიბინძურე, ღმერთები, სიბერე და ავადმყოფობა... – თავი გაიქნია. – დაუჯერებელია. ვერასოდეს გავიგებ, თუ არ ამიხსნი... – რა ამიხსნა? – ეს. – პუბლოსკენ მიუთითა. – ესეც. – და ეს იყო სოფლის განაპირა ქოხი. – ყველაფერი. მთელი თქვენი ცხოვრება. – რა არის აქ ასახსნელი? – ყველაფერი თავიდან. ყველაფერი, რაც გახსოვს, პირველი მოგონებიდან. – პირველი მოგონებიდან. – ჯონი მოიღუმა. დიდხანს დუმდა. ძალიან ცხელოდა. ტორტილიებით და ტკბილი სიმინდით გამოძინებულ. ლინდამ უთხრა, – მოდი აქ, დაწეი, პატარავ. – ერთად დაწვენ დიდ საწოლზე. – იმდერე, – და ლინდა მღეროდა. „დაიბანე ხელი, დაიბანე მალე, ფორდმა ხომ გამოგვიგზავნა საპონი და წყალი“; „მშვიდობით ჩემო პატარავ, შენ ბოთლად უკვე აღარ ხარ“, – მღეროდა ლინდა. მისი ხმა კი თანდათან წყდებოდა, ილეოდა... ხმაურისგან კრთება და იღვიძებს. საწოლთან კაცი დგას და ლინდას რაღაცას ეუბნება. ლინდა იცინის, საბანს ნიკაპამდე იფარებს, კაცი ისევ ხდის. თმა შავ თოკებს მიუგავს, მკლავზე ლამაზი ცისფერთვლებიანი ვერცხლის სამაჯური უკეთია. ბიჭს სამაჯური მოსწონს, მაგრამ ეშინია, თავს ლინდას სხეულში რგავს. ლინდა ხელს ხვევს და ახლა ისე აღარ ეშინია. იმ სხვა სიტყვებით, რომლებიც კარგად არ ესმის, ამათებურად, ლინდა კაცს ეუბნება, – არა, არ გინდა, ბიჭთან ერთად არა. – კაცი ჯერ მას უყურებს, მერე ისევ ლინდას და რაღაცას ეჩურჩულებს. ლინდა პასუხობს, – არა. მაგრამ კაცი ლოგინზე იხრება, უზარმაზარი, პირქუში სახე აქვს; შავი თოკები საბანს ეფინება. ლინდა ისევ ამბობს, – არა, – და ჯონს უფრო მაგრად იკრავს გულში. – არა, არა! – მერე კაცი ბიჭს მკლავზე ჰკიდებს ხელს, მკლავი სტკივა. ყვირის. კაცი მეორე ხელს იწვდის და ბიჭს იყვანს. ლინდას ბიჭი ისევ უჭირავს, გაიძახის, – არა, არა. – კაცი რაღაცას ამბობს მოკლედ, ბრაზით და ლინდა უცებ ხელს უშვებს. – ლინდა, ლინდა. – ბიჭი კაცს ურტყამს, ცდილობს დაუსხლტეს, მაგრამ მას მეორე ოთახში გაჰყავს, იქ იატაკზე სვამს, ტოვებს, თვითონ კი ლინდასთან ბრუნდება და კარს კეტავს. ბიჭი დგება, კართან მირბის. ფეხის წვერებზე დგება და ხის ურდულს სწვდება მხოლოდ. ზემოთ სწევს და კარს აწვება. კარი დაკეტილია. – ლინდა! – ყვირის. ლინდა არ პასუხობს. უზარმაზარი ბნელი ოთახი აგონდება; იქ დიდი ხის ჩარჩოები დგას, ძაფებმომარებული, ირგვლივ უამრავი ქალი ფუსფუსებს – საბნებს ქსოვენო, ეუბნება ლინდა. მერე ეუბნება, წყნარად იჯექიო კუთხეში, სხვა ბავშვებთან ერთად, სანამ ის ქალებს ეხმარება. დიდხანს ეთამაშება პატარა ბიჭებს. უცებ ქალები ძალიან ხმამაღლა იწყებენ ლაპარაკს, ლინდას აგდებენ, ის კი ტირის და კარისკენ მიდის. ბიჭი ლინდას მისდევს. ქალების გაბრაზების მიზეზს ეკითხება. – იმიტომ, რომ რაღაც გავტეხე. – ამბობს და თვითონაც ბრაზობს. – საიდან უნდა ვიცოდე ამ საზიზღარი საბნების ქსოვა? ბინძური ველურები! – ველური რა არისო, ეკითხება ბიჭი. სახლში მისულელებს კართან პოპე ხვდებათ და მათთან ერთად შედის ოთახში. გოგრის დიდი ბოთლი უჭირავს, წყალივით სითხით სავსე. უფრო სწორად, რაღაც მყრალი სითხით, რომლის დაღვევისას პირი ისე გეწვება, რომ ხველა გეწყება. ლინდამ დალია, პოპემაც, ლინდა ბევრს იცინის და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობს; მერე ის და პოპე მეორე ოთახში გადიან. როცა პოპე მიდის, ბიჭი იმ ოთახში შედის. ლინდა ლოგინზე წევს და ისე მაგრად სძინავს, რომ ვერაფრით აღვიძებს. პოპე ხშირად მოდიოდა. გოგრის ბოთლში ჩასხმულ წყალს მესკალს ეძახდა, მაგრამ ლინდა

ამბობდა, სომა უნდა ერქვას, დალევის მერე თავს ასე რომ არ გტკენდესო. ბიჭს პოპე სძულდა, სძულდა ყველა კაცი, ვინც ლინდასთან მოდიოდა. ერთხელ, საღამოს, ბავშვებთან თამაშის შემდეგ – ახსოვს, ციოდა, მთებზე თოვლი იდო – სახლში დაბრუნდა და საძინებლიდან ბრაზიანი ხმები მოესმა. ქალები იყვნენ, ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ილანძღებოდნენ. უცებ ძირს რაღაც დავარდა. ჩოჩქოლი ატყდა, კიდეც დავარდა რაღაც. მერე ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ჯორს ურტყამენო მათრახს, არა, უფრო რბილ სხეულს. და ლინდას კვილი. – ო, არა, არა, არა! – ოთახში შევარდა. იქ შავსაბანმოსხმული სამი ქალი იყო. ლინდა ლოგინზე ეგდო. ერთი ქალი მაჯებში ჩაფრენოდა, მეორე გარდიგარდმო აწვა ფეხებზე, რომ არ დასხლტომოდა, მესამე მათრახს ურტყამდა. ერთი, ორი, სამი! ლინდა ყველა დარტყმაზე კიოდა. ბიჭი ტირილით ჩამოეკიდა ქალს სახნის კიდეზე. – თავი დაანებე, დაანებე თავი! – ქალმა თავისუფალი ხელით მოიშორა. ისევ მათრახის ხმა და ლინდას კვილი. ბიჭმა ქალის უზარმაზარი ყავისფერი ხელი ორივე ხელით ჩაბლუჯა და გამეტებით უკბინა. ქალმა იყვირა, ხელი გამოსტაცა და ისე ჰკრა, რომ ბიჭი დაეცა. ძირს დაგდებულს სამჯერ გადაუჭირა მათრახი. ასეთი ტკივილი არასოდეს განუცდია, თითქოს ცხლად ამოშანთესო. მათრახმა ისევ გაიტყლამუნა, სხეულზე დაეშვა. და ამჯერად ლინდა კიოდა. – რას გერჩოდნენ, ლინდა? – ჰკითხა იმ დამეს. ტიროდა, რადგან მათრახის წითელი ნაკვალევი ზურგზე ისევ საშინლად სტკიოდა. მაგრამ კიდეც იმიტომ ტიროდა, რომ ადამიანები ასეთი მხეცები, ასეთი უსამართლოები იყვნენ, ის კი პატარა იყო და წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ლინდაც ტიროდა. ლინდა დიდი იყო, მაგრამ არც ისე დიდი, სამ ქალს რომ გამკლავებოდა. სამი ერთზე – ესეც უსამართლობა იყო. – რას გერჩოდნენ, ლინდა? – არ ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე? – მუცელზე იწვა ბალიშში თავჩარგული, ბიჭს მისი სიტყვები ცუდად ესმოდა. – ეს კაცები ჩვენი კაცები არიანო, ამბობენ, – ლინდა ბიჭს კი არა, ვიღაცას ელაპარაკებოდა თავის თავში, დიდხანს ელაპარაკებოდა და არაფერი ესმოდა. ბოლოს კი უფრო ხმამაღლა მორთო ტირილი. – ო, ნუ ტირი, ლინდა, ნუ ტირი. ლინდას მიეკრო. ყელზე მოეხვია. ლინდამ იყვირა. – ფრთხილად, ნუ მეხები, ოჰ. მხარი! – და ხელი ჰკრა, ძალიან მაგრად. ბიჭი თავით კედელს მიენარცხა. – იდიოტო! – დაუყვირა. მერე უცებ სილა გააწნა. ერთხელ, ორჯერ... – ლინდა, – ყვიროდა ბიჭი. – დედა, ნუ მირტყამ! – მე დედაშენი არ ვარ. არც არასოდეს ვიქნები! – მაგრამ, ლინდა... ოჰ! – ლინდამ ლოყაში სტკიცა. – ველურად ვიქეცი, – ყვიროდა ქალი. – მშობიარობა დავიწყე ცხოველივით... შენ რომ არა, ინსპექტორთან წავიდოდი, აქაურობას მოვშორდებოდი. მაგრამ ბავშვით?! რა სამარცხვინო იქნებოდა! ბიჭმა დაინახა, რომ ისევ დარტყმას უპირებდა და ხელი აიფარა. – ნუ მირტყამ, ლინდა, გთხოვ, ნუ მირტყამ. – პატარა ველურო! – ხელი ჩამოაშვებინა; ბიჭს სახე გამოუჩნდა. – ნუ მირტყამ, ლინდა. – თვალები დახუჭა სილის გაწნის მოლოდინში. ლინდას აღარ დაურტყამს. ცოტა ხნის შემდეგ თვალი გაახილა და დაინახა, რომ ლინდა უყურებდა. საცოდავად გაუღიმა. ლინდამ გულში ჩაიკრა და კოცნა დაუწყო. ზოგჯერ ლინდა რამდენიმე დღის განმავლობაში იწვა ლოგინში. იწვა მოწყენილი. ან პოპეს მოტანილ წყალს სვამდა, ბევრს იცინოდა და იძინებდა. ზოგჯერ გული ერეოდა. ბიჭის დაბანა ხშირად ავიწყდებოდა და საჭმელადაც გამხმარი სიმინდის კვერების მეტი არაფერი ჰქონდათ ხოლმე. გაახსენდა ლინდას მოთქმა და კვილი, თმში ის პატარა მწერები როცა უპოვა პირველად. ყველაზე ბედნიერად თავს მაშინ გრძნობდა, რონცა ლინდა იმ სხვა სამყაროზე უამბობდა. – მართლა შეგიძლია გაფრინდე, როცა მოგესურვება? – მართლა შეგიძლია. – მერე უამბობდა უმშვენიერეს მუსიკაზე, ყუთიდან რომ ისმოდა, მშვენიერ თამაშებზე, უგემრიელეს

საჭმელ-სასმელზე, სინათლეზე, რომელიც კედელზე ხელის დაჭერით ინთებოდა; სურათებზე, დანახვის გარდა მათი მოსმენა, შეგრძნება და დაყნოსვა რომ შეგეძლო; სურნელებიან ყუთზე; მთასავით მაღალ ვარდისფერ, მწვანე, ლურჯ და ვერცხლისფერ სახლებზე; იმაზე, რომ ყველა ბედნიერი იყო, არავინ იყო სევდიანი ან ბოროტი, რომ თითოეული ყველა დანარჩენს ეკუთვნოდა; უამბობდა ყუთზე, რომელშიც დედამიწის მეორე მხარის ამბები ჩანდა და ისმოდა; ჩვილებზე ლამაზ პატარა ბოთლებში – ყველაფერი ისეთი სუფთა იყო, სიმყრალე და ჭუჭყი არ არსებობდა, ადამიანები არასოდეს იყვნენ მარტო, ცხოვრობდნენ ერთად ბედნიერად და მხიარულად, როგორც საზაფხულო ცეკვების დღესასწაულზე აქ, მაღპაისში. არა, გაცილებით უფრო ბედნიერად. და ეს ბედნიერება უსასრულოდ გრძელდებოდა... ამ ამბების მოსმენა არასოდეს სწყინდებოდა. ზოგჯერ ბიჭს და სხვა ბავშვებს, გართობითა და თამაშით დაქანცულებს, რომელიმე პუბლოელი მოხუცი დაუჯდებოდა ხოლმე და ინდიელების ენაზე უყვებოდა ამბებს სამყაროს დიად გარდასახვაზე, ხანგრძლივ ბრძოლებზე მარჯვენასა და მარცხენა ხელს, წყალსა და ხმელეთს შორის; ავონავილონაზე<sup>1</sup>, რომელმაც საკუთარი დამეული ფიქრისგან ნისლი გააჩინა, მერე კი ამ ნისლისგან სამყარო შექმნა; დედა-მიწასა და მამაზეციერზე; ომისა და იღბლის ტყუპებზე – აჰაიუტასა და მარსაილემაზე; იესოსა და პუკონგზე; მარიამსა და ეთსანათლეაზე – მარად ახალგაზრდა ქალზე; ლაგუნას შავ ქვაზე, დიდ არწივსა და აკომას ღვთისმშობელზე. აქაურ ენაზე თხრობა ამ გასაოცარ ამბებს კიდევ უფრო მიმზიდველს, უჩვეულოს და იდუმალს ხდიდა, რადგან ეს ენა ბოლომდე არ ესმოდა. ჩამინების წინ ბიჭი წარმოსახვით ცასა და ლონდონს, აკომას ღვთისმშობელს და გაკრიალებულ ბოთლად მყოფ პატარებს ხედავდა გაუთავებელ მწკრივებად; ზეცად აღმავალ ქრისტესდა ლინდას ხედავდა, ხედავდა მსოფლიო ინკუბატორების ზვიად დირექტორს და ავონავილონას. ლინდასთან ბევრი კაცი დადიოდა. ბავშვები ბიჭს უკვე დასცინოდნენ, ლინდას სახელებით ამკობდნენ აქაურ, უცნაურ ენაზე. ბიჭს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს სალანძღავი სიტყვები იყო. ერთხელ ლინდაზე სიმღერა წამოიწყეს, არა და არ ჩერდებოდნენ. ბიჭმა ბავშვებს ქვები დაუშინა, მათაც დაუწყეს სროლა და ბასრი ქვით ლოყა გაუჭრეს. სისხლი დიდხანს სდიოდა, მთლად ამოისვარა სისხლში. ლინდამ კითხვა ასწავლა. ნახშირით უხატავდა კედელზე სურათებს – ცხოველებს, ბავშვებს ბოთლებში; მერე ასობს უწერდა. „კატა წევს. წვეთები ცვივა“. ბიჭი სწრაფად და ადვილად სწავლობდა. როცა ყველაფრის წაკითხვა შეძლო, რაც კედელზე ეწერა, ლინდამ დიდი ხის სკივრი გააღო და სასაცილო წითელი შარვლის ქვემოდან, რომელიც არასოდეს სცმია, თხელი, პატარა წიგნი გამოამჯრინა. ეს წიგნი ადრეც ენახა. – გაიზრდები და წაიკითხავ, – ეუბნებოდა ხოლმე ლინდა. „აი, გავიზარდე კიდევ“, ფიქრობდა ამაყად. – არა მგონია, ამ წიგნმა გაგიტაცოს, – უთხრა ლინდამ. – მაგრამ სხვა არა მაქვს. – ამოიოხრა. – რომ განახა, რა მშვენიერი საკითხავი მანქანები გვექონდა ლონდონში! – ბიჭმა კითხვა დაიწყო. – „ჩანასახის ქიმიური და ბიოლოგიური დამუშავება. პრაქტიკული სახელმძღვანელო ემბრიონარული ბეტალაბორანტებისთვის“. – თხუთმეტი წუთი მარტო სათაურის კითხვას მოანდომა. მერე წიგნი იატაკზე მოისროლა. – საშინელი, საშინელი წიგნია! – და ტირილი მორთო. ბავშვები ისევ მღეროდნენ უხამს სიმღერას ლინდაზე. ზოგჯერ ბიჭს დაძონძილი ტანსაცმლის გამოც დასცინოდნენ. ლინდამ არ იცოდა დახეული ტანსაცმლის დაკერება. იმ სამყაროში, ეუბნებოდა ლინდა, გაცვეთილ ტანსაცმელს ნაგავში ყრიან და ახალს იცვამენო. ბავშვები დაძონძილს ეძახდნენ. „სამაგიეროდ კითხვა ვიცი, – ამბობდა თავისთვის, – მათ კი

არ იციან. ისიც კი არ იციან, კითხვა რას ნიშნავს“. კითხვაზე ფიქრი ამშვიდებდა და უადვილებდა მათთვის თავის მოჩვენებას, თითქოს დაცინვას არაფრად აგდებდა. ლინდას ისევ სთხოვა პატარა წიგნი. რაც უფრო მეტად დასცინოდნენ ბავშვები, მითუფრო გულმოდგინედ განაგრძობდა კითხვას. მალე სიტყვებსაც თავისუფლად არჩევდა. ყველაზე გრძელ სიტყვებსაც კი. მაგრამ მათი მნიშვნელობა არ ესმოდა. ლინდას ეკითხებოდა; თუმცა ეს დიდი საშველი მაშინაც კი არ იყო, როცა ლინდას პასუხის გაცემა შეეძლო. ისე კი პასუხი თითქმის არასოდეს ჰქონდა. – რა არის ქიმიკატები? – ეკითხებოდა ლინდას. – ეს არის მაგნიუმის მარილები, ასევე ალკოჰოლი, რომელსაც დელტა და ეფსილონ ჩანასახებს უსხამენ ზრდის და გონებრივი განვითარების შესაფერხებლად; კალციუმის კარბონატი ძვლების გასამაგრებლად და სხვა ასეთი ნივთიერებები. – ლინდა, ქიმიკატებს როგორ აკეთებენ? საიდან მოაქვთ? – არ ვიცი. ჩვენ ფლაკონებიდან ვიღებდით. როცა ფლაკონი იცლებოდა, ქიმიკატების საწყობიდან მოგვქონდა. ალბათ იქვე აკეთებენ. ან ქარხნიდან მოჰქონდათ ქიმიკატების საწყობში. არ ვიცი. ქიმიასთან კავშირი არ მქონია. მე ყოველთვის ჩანასახებზე ვმუშაობდი. სულ ასე იყო, რაც არ უნდა ეკითხა. ეტყობა, ლინდამ ბევრი არაფერი იცოდა. პუბლოელ მოხუცებს უფრო ზუსტი პასუხები ჰქონდათ ყველაფერზე. „ადამიანის და ყველა ქმნილების თესლი, მზის, ცისა და მიწის თესლი ავონავილონამ შექმნა ზრდა-განვითარების ნისლიდან. ახლა სამყაროს ოთხი საშო აქვს. ჰოდა, თესლი მან ქვედა საშოში ჩაყარა. თესლმა აღმოცენება დაიწყო თანდათანობით“... ერთხელ (მოგვიანებით ჯონმა გამოითვალა, რომ ეს მისი დაბადებიდან მეცამეტე წელს მოხდა) სახლში დაბრუნებულმა საძინებლის იატაკზე წიგნი იპოვა, რომელიც მანამდე არასოდეს ენახა. სქელი წიგნი იყო და ეტყობოდა, ძალიან ძველიც. ყდა თაგვებს დაეღრღნათ, თვითონ კი დაგლეჯილდაჭმუჭნულ ფურცლებად იყო დაშლილი. აიღო და დახედა; წიგნის ყდაზე ეწერა: „უილიამ შექსპირის თხზულებების სრული კრებული ერთ ტომად“. ლინდა საწოლზე იწვა და ჭიქიდან იმ საზიზღარ, მყრალ მესკალს წრუპავდა. – პოპემ მოიტანა, – თქვა დაბალი, ხრინწიანი ხმით, მის ხმას რომ აღარც ჰგავდა. – ანტილოპას კივაში<sup>1</sup> ეგდო ერთ-ერთ სკივრში. როგორც ამბობენ, საუკუნეზე მეტია, რაც იქ გდია. ალბათ მართალია, რადგან გადავხედე და აბდაუბდით არის გამოტენილი, არაცივილიზებული აბდაუბდით. შენ მაინც გამოგადგება კითხვაში სავარჯიშოდ. – ჭიქა გამოცალა, საწოლთან დადო იატაკზე, გადაბრუნდა, ერთი-ორჯერ დაასლოკინა და ძილს მიეცა. ჯონმა წიგნი ალაღბედზე გადაშალა. „...უნდა იწვე ჭუჭყიან საწოლს, ქონსა და ოფლში უწმინდურად ითხუპნებოდე, უნდა ტკბებოდე მურტალს გუბეს გარყვნილებისას“.

გასაოცარმა სიტყვებმა ზარივით დარეკა მის გონებაში, მეხივით გავარდა, საზაფხულო ცეკვების დოლივით დაიქუხა, ოღონდ მოლაპარაკე დოლივით; მომღერალი ინდიელების გუნდით, მოსავლის განსადიდებელ ულამაზეს სიმღერას რომ მღეროდა, რომელიც ისე გწვდებოდა სულში, უცრემლოდ ვერ მოუსმენდი. მოხუცი მიტსიმას გრძნეულებასავით სალოცავ ბუმბულზე, ნაკვეთ დანებზე, ძვლისა და ქვის პატარა ფიგურებზე – კიატლა ტსილუ სილოკვე სილოკვე სილოკვე. კიაი სილლუ სილლუ, ტსიტლ – მაგრამმიტსიმას გრძნეულებაზე უკეთესი იყო ეს სიტყვები, უფრო მეტს ნიშნავდა და ბიჭს მიმართავდა; არაჩვეულებრივად, თუმცა ნახევრად გასაგებად გადმოსცემდა საშინელ, უმშვენიერეს ჯადოსნობას ლინდას შესახებ; ლინდას შესახებ, რომ წამოწოლილა და ხვრინავს, გამოცლილი ჭიქა რომ დაუგდია საწოლთან; ლინდას და პოპეს, ლინდას და პოპეს შესახებ. პოპე სულ უფრო მეტად სძულდა. კაცი შეიძლება ღიმილით გხვდებოდეს, მაგრამ მაინც არამზადა იყოს.

უმოწყალო, ვერაგი, ავხორცი არამზადა. სიტყვების მნიშვნელობა ბოლომდე არ ესმოდა. მაგრამ ისინი მაგიურად მოქმედებდნენ და მის გონებაში ზარივით რეკდნენ ისევ. თითქოს პოპეს ნამდვილი სიძულვილი ახლად იგრძნო მხოლოდ, რადგან მხოლოდ ახლა შეძლო ამ სიძულვილისთვის სიტყვიერი გამოსახულების მიცემა. ახლა ამ სიტყვებს ფლობდა, დაფდაფების, სიმღერის მსგავს ჯადოსნურ სიტყვებს. სიტყვებს და გასაოცარ ამბავს, საიდანაც სიტყვები იყო ამოღებული (ამბავს თავი და ბოლო ვერ გაუგო, მაგრამ ის მაინც მშვენიერი, უმშვენიერესი იყო), რომლებმაც პოპეს სიძულვილი დაასაბუთეს და უფრო რეალურად აქციეს; თვითონ პოპეც კი აქციეს უფრო რეალურად. ერთხელ, თამაშის მერე სახლში დაბრუნებულს, საძინებლის კარი ღია დახვდა და საწოლში ორივე ერთად მწოლიარე დაინახა, მძინარე – თეთრი ლინდა და მის გვერდით თითქმის შავი პოპე. პოპეს ერთ მკლავზე ლინდა ეწვინა, მეორე მის მკერდზე ედო. ინდიელის გრძელი ნაწნავი ქალს ყელზე გველივით შემოხვეოდა, თითქოს დახრჩობას უპირებსო. საწოლთან პოპეს მოტანილი გოგრა და ჭიქა ეგდო. ლინდა ხვრინავდა. გული გაუჩერდა, გაქრა და სიცარიელე დაუტოვა. გამოფიტული იყო, სციოდა, გული ერეოდა და თავბრუ ესხმოდა. კედელს მიეყრდნო, რომ არ დაცემულიყო. უმოწყალო, ვერაგი, ავხორცი... დაფდაფებივით, კაცების გუნდივით, მაგიურად გრგვინავდა სიტყვები მის გონებაში. ახლა აღარ სციოდა, ახლა დასცხა, სახეზე აღმური მოედო. ოთახი ბნელმა მოიცვა და მის თვალწინ დატრიალდა. კბილები გააღრჭიალა. „მოვკლავ, მოვკლავ, მოვკლავ“, გაუჩერებლად იმეორებდა და გონებაში ისევ გაისმა. „...ოდეს ლოთობდეს, შფოთსა და ბრახს მისცემოდეს, ან როს ეძინოს, ან მემავობდეს თვის საწოლში სისხლის შერევით... მაგია მის მხარეზეა, მაგია ყველაფერს ნათელს ჰფენს და ბრძანებას აძლევს. წინა ოთახში დაბრუნდა. „ოდეს ლოთობდეს... ან როს ეძინოს“... ბუხართან იატაკზე ხორცის საჭრელი დანა ეგდო. დანა აიღო და ფეხაკრეფით შევიდა საძინებელში. „ოდეს ლოთობდეს... ან როს ეძინოს, როს ეძინოს“... ოთახი გადაჭრა და დანა დაარტყა – ოჰ, სისხლი! – ისევ დაარტყა. პოპე ძილიდან გამოერკვა. მესამედაც უნდა დაერტყა, მაგრამ იგრძნო, რომ მაჯაში სტაცა ხელი, მოუჭირა – ოჰ! – გადაუტრიალა. ხაფანგში გაება, ვედარ მოძრაობს, პოპეს წვრილი, შავი თვალეები თვალეებში დაჟინებით ჩაშტერებია. თვალი აარიდა. პოპეს მარცხენა მხარზე ორი ჭრილობა შენიშნა. – სისხლი, სისხლი მოსდის, – აყვირდა ლინდა. – სისხლი, სისხლი! – სისხლის დანახვას ვერასოდეს იტანდა. პოპემ მეორე ხელი ასწია – დამარტყამსო, ეგონა. მოლოდინში დაიძაბა. მაგრამ ხელმა ნიკაპი აუწია და სახე მოუტრიალა, ისევ თვალეებში რომ შეეხედა პოპესთვის. დიდხანს, დიდხანს უყურებდა. მერე უცებ – თავს ვერაფრით სძლია, თუმცა ძალიან ცდილობდა – ატირდა. პოპემ გადაიხარხარა. – წადი, – თქვა ინდიელების ენაზე. – წადი, ჩემო მამაცო აჰაიუტა. – მეორე ოთახში გავარდა, სირცხვილის ცრემლები რომ დაემალა. – თხუთმეტი წლის ხარ, – უთხრა მოხუცმა მიტსიმამ ინდიელების ენაზე. – ახლა შეიძლება თიხაზე მუშაობა გასწავლო. მდინარის პირას იყვნენ ჩაცუცქულები, ერთად მუშაობდნენ. – პირველ რიგში, – თქვა მიტსიმამ და სველი თიხის გუნდა ხელისგულებში მოიქცია, – პატარა მთვარეს ვაკეთებთ. – მოხუცმა გუნდა მთვარესავით დაამრგვალა, გააბრტყელა, მერე კიდევები აუკვეცა და მთვარე დაბალ ფინჯნად გადაიქცა. ნელა, მოუხერხებლად გაიმეორა მოხუცის ხელების ნატიფი მოძრაობა. – მთვარე, ფინჯანი, ახლა გველი. – მიტსიმამ თიხის მეორე გუნდისგან გრძელი ზოლი გამოძერწა, მერე რგოლად შეკრა და ფინჯნის პირზე ჩამოაცვა. – კიდევ ერთი გველი, კიდევ ერთი და კიდევ. – რგოლზე რგოლი, რგოლზე რგოლი; მიტსიმამ ფინჯნის კედლები ამოაშენა. ჯერ ვიწრო, შუაში



გაბერილი და ყელთან ისევ ვიწრო. მიტსიმა ზელდა, უტყაპუნებდა თიხას, ეფერებოდა. და აი, ბოლოს მალპაისური წყლის ჭურჭელი დგას მათ წინ, მაგრამ შავი კი არა, ნაღებივით თეთრი და შეხებისას ჯერ ისევ რბილი. გვერდზე კი მისი ნახელავი, მიტსიმას დოქის გვერდმოქცეული, გულისამაჩუყებელი ასლი. ჯონმა დოქებს შეხედა და უნებურად გაეცინა. – მეორე უკეთესი გამოვა, – თქვა და თიხის ახალი გუნდა დაასველა. ძერწვა, ფორმის მიცემა, თითებში თანდათანობით ოსტატობის და სიმარჯვის შეგრძნება არაჩვეულებრივ სიამოვნებას გვრიდა. „ა, ბე, ცე, ვიტამინი დე“, ლილინებდა მუშაობის დროს. „ქონი ვირთევზას ღვიძლშია, ვირთევზა კიდევ – ზღვაში“. მიტსიმაც მღეროდა, დათვებზე მონადირის სიმღერას მღეროდა. მთელი დღე მუშაობდნენ და მთელი დღე უსაზღვრო ბედნიერებით იყო სავსე. – მომავალ ზამთარს, – უთხრა მოხუცმა მიტსიმამ, – სანადირო მშვილდის გაკეთებას გასწავლი. სახლთან დიდხანს იდგა; ბოლოს და ბოლოს იქ, შიგნით, რიტუალი დამთავრდა. კარი გაიღო და გამოსვლა დაიწყო. პირველი კოტლუ გამოვიდა, მარჯვენა ხელი წინ ჰქონდა გაწვდილი და მუშტი შეკრული, თითქოს რაღაც ძვირფას სამკაულს ბლუჯავდა. უკან კიაკიმე მოჰყვა, ისიც მუშტიკრული წინ გაწვდილი ხელით. უსიტყვოდ მიდიოდნენ, უკან უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ ძმები, დები, ბიძაშვილები და მოხუცი ნათესავების მთელი გუნდი. პუებლოდან გავიდნენ, მესა გაიარეს. ქარაფის კიდესთან შეჩერდნენ, პირით ამომავალი დილის მზისკენ. კოტლუმ მუშტი გაშალა. ხელისგულზე სიმინდის ფქვილის გროვა ეყარა, სული შეუბერა, რამდენიმე სიტყვა ჩაიბუტბუტა და თეთრი მტვრის გროვა მზეს მიაფრქვია. კიაკიმემ იგივე გაიმეორა. მერე წინ კიაკიმეს მამა გამოვიდა ბუმბულით მორთული სალოცავი ჯოხით ხელში, გრძელი ლოცვა წარმოთქვა და ჯოხიც ამომავალი მზისკენ სტყორცნა. – მორჩა, – ხმამაღლა გამოაცხადა მოხუცმა მიტსიმამ. – ამიერიდან დაქორწინებულები ხართ. – რა საჭიროა, – ამბობდა ლინდა უკან, პუებლოში დაბრუნებისას, – რა საჭიროა ამდენი აურზაური არაფრის გამო? ცივილიზებულ სამყაროში თუ ბიჭს გოგოსთან ყოფნა უნდა, უბრალოდ... ჯონ, ჯონ, სად მიდიხარ? მისი ყვირილისთვის ყურადღება არ მიუქცევია. გარბოდა, გარბოდა იქ, სადაც ვერავის ნახავდა, სადაც მარტო იქნებოდა. მორჩა. მოხუცი მიტსიმას ხმა ზარივით რეკდა თავში. მორჩა, გათავდა... წყნარად, შორიდან, მაგრამ თავდავიწყებით, უიმედოდ უყვარდა კიაკიმე. ახლა ყველაფერი მორჩა. თექვსმეტი წლის იყო. სავსემთვარობისას, ანტილოპას კივაში საიდუმლოებების გამხელა, აღსრულება და თავიდან დაბადება ხდება. კივაში ბიჭებად ჩავლენ, იქიდან კი კაცებად ამოვლენ. ყველა ბიჭს ეშინოდა და თან მოუთმენლად ელოდა. ეს დღევ დადგა. მზე ჩავიდა და მთვარე ამოვიდა. ის ბიჭებს მიჰყვებოდა. კივას შესასვლელთან კაცები იდგნენ ჯგუფად, შავები იყვნენ. კიბე ქვემოთ, წითლად განათებულ სიღრმეში ეშვებოდა. უცებ ჯგუფს ერთი კაცი გამოეყო, მკლავში ხელი სტაცა და რიგიდან გამოათრია. დაუსხლტა და ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა ბიჭების რიგში. კაცმა დაარტყა, თმაში სწვდა. – შენ აქ რა გინდა, თეთრთმიანო! – ძუკნის შვილს აქ არაფერი ესაქმება, – თქვა მეორემ. ბიჭებმა სიცილი დააყარეს. – მოწყდი აქაურობას. მერე დაინახეს, რომ ფეხს ითრევდა, შორიახლო ტრიალებდა და კაცებმა ისევ ყვირილი დაუწყეს: „წაეთრიე! წაეთრიე!“ ერთი მათგანი დაიხარა, ქვა აიღო და ესროლა. – წაეთრიე აქედან! წაეთრიე! – ქვები წვიმასავით დაუშინეს. დასისხლიანებულმა თავი სიბნელეს შეაფარა. კივას წითელი სიღრმიდან სიმღერა ისმოდა. კიბეზე ბოლო ბიჭიც ჩავიდა. სულ მარტო დარჩა. სულ მარტო იყო პუებლოს განაპირას, მესას მოშიშვლებულ ვაკეზე. კლდე გამოთეთრებულ ძვალს ჰგავდა მთვარის შუქზე. ქვემოთ, დაბლობში კოიოტები შეყმუოდნენ მთვარეს.

დალილავებული ადგილები სტკიოდა, ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა. მაგრამ ტკივილის გამო როდი ტიროდა. მარტოობისგან ტიროდა; ტიროდა, რადგან კლდისა და მთვარის სამარისებურ სამყაროში იყო განდევნილი. უფსკრულის პირას ჩამოჯდა, მთვარისკენ ზურგმუქცეული. მესას შავ ჩრდილს ჩახედა ქვემოთ, სიკვდილის შავ ჩრდილს. ერთი ნაბიჯი მხოლოდ, ერთი ნახტომი... მარჯვენა ხელი მთვარის შუქს მიუშვია. მაჯაზე სისხლი ისევ ჟონავდა ჭრილობიდან. რამდენიმე წამში ერთხელ თითო წვეთი, მუქი, თითქმის უფერო სიკვდილისფერ შუქზე. წამი, წამი, წვეთი, წვეთი, წვეთი... ხვალ, ისევ ხვალ, ისევ ხვალ... დრო, სიკვდილი და ღმერთი აღმოაჩინა. – მარტო, სულ მარტო, ყოველთვის, – იმეორებდა ჯონი. ბერნარდს ამ სიტყვებმა სევდიანი მოგონება გაუღვიძა. მარტო, სულ მარტო... – მეც მარტო ვარ, – აღმოხდა. – საშინლად მარტო. – მართლა? – ჯონი გაკვირვებული უყურებდა. – მე მეგონა იქ, სხვა ქვეყანაში... ლინდა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ იქ მარტო არავინ არის, არასოდეს. ბერნარდი შეცბა, გაწითლდა. – იცი, – ჩაილაპარაკა და თვალი აარიდა, – ეტყობა, სხვებისგან განვსხვავდები. თუ ბოთლიდან სხვანაირად ამოგიყ... – ჰო, სწორედ ესაა საქმე, – დაეთანხმა ახალგაზრდა. – თუ სხვებისნაირი არ ხარ, მარტოობისთვის ხარ განწირული. ყველას ეზიზღები. იცი, გზა ყველაფრისკენ მოჭრილი გაქვს. როცა სხვა ბიჭები მთებში გაგზავნეს ღამისთევით – იქ შენი წმინდა ცხოველი უნდა გამოგეცხადოსო – მათთან ერთად არ გამიშვებს. არც თავიანთ საიდუმლოებებს მანდობენ არასდროს. ჩემით მაინც წავედი მარტო. ხუთი დღე არაფერი მიჭამია და მერე ერთ ღამეს მარტო ავედი, აი, იმ მთებზე. – ხელით აჩვენა. ბერნარდმა მფარველივით გაიღიმა. – გქონდა გამოცხადება? – ჰო, – მიუგო ჯონმა, – მაგრამ არ შემიძლია გითხრა, რა იყო. – ცოტა ხანს დუმდა, მერე ხმადაბლა განაგრძო, – ერთხელ გაუგონარი რაღაც გავაკეთე: ზაფხულის პაპანაქება მზეში კლდეს ავეკარი ხელებგაშლილი და ვიდექი როგორც ჯვარცმული იესო... – ო, ფორდ! რისთვის? – მინდოდა გამეგო, რას ნიშნავს ჯვარზე გაკვრა, რას გრძნობ, მზის გულზე როცა ჰკიდიხარ... – ჰო მაგრამ, რატომ? – რატომ? – ჯონი შეეყოყმანდა. – ვგრძნობდი, რომ ეს უნდა გამეკეთებინა. იესომ ხომ გაუძლო. თან თუ რამე ცუდი გაქვს ჩადენილი... და კიდევ იმიტომ, რომ სევდით ვიყავი შეპყრობილი, ეს იყო მეორე მიზეზი. – სევდისგან განკურნების უცნაური საშუალებაა, – შენიშნა ბერნარდმა. მერე ჩაფიქრდა და ამაში გარკვეული აზრი დაინახა. სომის ყლაპვას მაინც ჯობს... – გონების დაკარგვამდე ვიდექი, – განაგრძო ჯონმა. – პირქვე დავეცი. ხედავ ჭრილობას? – შუბლიდან სქელი ქერა თმა გადაიწია. მარჯვენა საფეთქელზე ნაიარევი აჩნდა, მკრთალი, უსწორმასწორო. ბერნარდმა შეხედა, შეკრთა და თვალი სწრაფად აარიდა. მიღებულმა აღზრდამ შებრალებისა და თანაგრძნობის უნარის ნაცვლად, უკიდურესობამდე მისული ზიზღიანობა ჩამოუყალიბა. ავადმყოფობის და ჭრილობის გადაკვრით ხსენებაც კი გულს ურევდა, როგორც სიბინძურე, სიმახინჯე ან სიბერე. საუბრის თემა ნაჩქარევად შეცვალა. – ჩვენთან ერთად ლონდონში წამოსვლაზე რა აზრის ხართ? – ეს კითხვა იყო იმ ოპერაციის პირველი ნაბიჯი, რომლის სტრატეგიის შემუშავებას საიდუმლოდ შეუდგა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ველურის „მამის“ ვინაობა ამოიცნო იქ, პატარა სახლში. – წინააღმდეგი ხომ არ იქნები? ახალგაზრდა კაცს სახე გაუნათდა. – მართლა შეიძლება რომ წამოგყვით? – რა თქმა უნდა, თუკი ნებართვას მივიღებ. – ლინდასაც წავიყვანთ? – ჰოო... – ბერნარდი შეეყოყმანდა. ისევ ეს საზიზღარი ქმნილება! არა, წარმოუდგენელია. თუმცა, თუმცა... უცებ თავში გაუელვა, რომ სწორედ ასეთი შემზარავი ლინდა იქნებოდა ყველაზე მომგებიანი სვლა მის მიერ დაგეგმილ თამაშში. – რა თქმა უნდა! – ბერნარდმა ხმამაღალი აღტაცებით სცადა ყოყმანის

შენიღბვა. ჯონს სუნთქვა შეეკრა, ღრმად ამოისუნთქა. – ვინ იფიქრებდა! საცაა მთელი ცხოვრების ოცნება ამისრულდება! ხომ გახსოვს, რას ამბობს მირანდა! – მირანდა ვინ არის? მაგრამ ჯონმა, როგორც ჩანს, შეკითხვა ვერ გაიგო. – „ო საოცრებავ“! – თვალები გაუბრწყინდა, გაწითლდა. – „ერთად ვხედავ ამდენ ლამაზ არსს! რა მომხიბლავი არის თურმე ადამიანი“! – სულ მთლად წამოჭარხლდა. ლენინაზე გაიფიქრა, მწვანე ვისკოზის ტანსაცმელში გამოწყობილ, ახალგაზრდო ბით და კანის მკვებავი საცხით გასხივოსნებულ ანგელოზზე, მის მეგობრულ ღიმილზე და მიმზიდველ ფორმებზე. – „ან ის ქვეყანა რა იქნება, სადაც“1... – გაუბედავად განაგრძო, მაგრამ მოულოდნელად შეკრთა და ქალადივით გაფითრდა. – თქვენი ცოლია? – ძლივს ამოღერდა. – რაო, რა არის? – ცოლი. დაქორწინებულები ხართ? იცით, როგორ ამბობენ ამას ინდიელები თავის ენაზე? „აწ და მარადის“. ეს ქორწინება ურღვევია. – ფორდ, არა, არა! – ბერნარდს უნებლიეთ გაეცინა. ჯონსაც გაეცინა, მაგრამ მისი სიცილის მიზეზი უსაზღვრო სიხარული იყო. – „ან ის ქვეყანა რა იქნება, – გაიმეორა, – სადაც ამდენი ადამიანი ცხოვრობს ერთად“. – ახლავე, ახლავე მივდივართ! – ხანდახან ძალიან უცნაურად ლაპარაკობ, – ბერნარდი ახალგაზრდა კაცს გაოგნებული და დაბნეული შეჰყურებდა. – იქნებ ჯობდა, ცოტა მოგეცადა და ის საოცარი სამყარო შენი თვალით გენახა?

## თავი მეცხრე

ამასობაში ფართოდ თვალეზგახედილი ბერნარდი სიბნელეში იწვა და ფიქრობდა. გამთენიისას ჩაეძინა, თუმცა უძილო ღამეს ამაოდ არ ჩაუვლია. სამოქმედო გეგმა მოიფიქრა. მეორე დილით, ზუსტად ათ საათზე, მწვანე უნიფორმაში გამოწყობილი პუნქტუალური გამა-ოქტორონი ვერტმფრენიდან გადმოვიდა. ბერნარდი აგავას ბუჩქთან ელოდა. – მის კრაუნი სომ-არდადეგებზეა, – მიმართა პილოტს, – და ხუთ საათამდე არ დაბრუნდება. ჩვენს განკარგულებაში შვიდი საათია. ეს იმას ნიშნავდა, რომ სანტა-ფეში გაფრენას, ყველა საჭირო საქმის მოგვარებას და მალპაისში დაბრუნებას ლენინას გაღვიძებამდე კარგა ხნით ადრე მოასწრებდნენ. – აქ მარტო უსაფრთხოდ იქნება? – ისე როგორც ვერტმფრენში, – დაამშვიდა პილოტმა. მანქანაში ჩასხდნენ და მაშინვე დაიძრნენ. ათ საათსა და ოცდაათოთხმეტ წუთზე სანტა-ფეს ფოსტის შენობის სახურავზე დაემშენ; ათ საათსა და ოცდაჩვიდმეტ წუთზე ბერნარდი მსოფლიოს მაკონტროლებლის ოფისთან დააკავშირეს უაითჰოლში; ათ საათსა და ოცდაცხრამეტ წუთზე მისი უფორდესობის მეოთხე პირად მდივანს უხსნიდა საქმის ვითარებას; ათ საათსა და ორმოცდაათ წუთზე – პირველ მდივანს, ხოლო ათ საათსა და ორმოცდაშვიდწუთნახევარზე ყურმილში თვით მუსტაფა მონდის დაბალი, სავსე ბანი გაისმა. – გავკანდიერდი და ვიფიქრე, – ბერნარდს ენა ებმოდა, – რომ მეცნიერული თვალსაზრისით, თქვენი უფორდესობა ამ საქმეს საკმაოდ საინტერესოდ ჩათვლიდა... – დიახ, მიმაჩნია, რომ საქმე ნამდვილად საინტერესოა მეცნიერული თვალსაზრისით, – წარმოთქვა ბანმა. – ორივე თან წამოიყვანეთ ლონდონში. – თქვენო უფორდესობავ, მოგეხსენებათ, რომ ამისთვის სპეციალური ნებართვა დამჭირდება... – ყველა საჭირო ბრძანება რეზერვაციის ზედამხედველთან გაგზავნის პროცესშია, – თქვა მუსტაფა მონდმა. – სწორედ მას მიმართეთ, მისტერ მარქს, კარგად ბრძანდებოდეთ. ბერნარდმა ყურმილი დაკიდა და სახურავზე აირბინა. – ზედამხედველის ოფისში, – უბრძანა მწვანეფორმიან გამა-ოქტორონს და ათ საათსა და ორმოცდაათოთხმეტ წუთზე უკვე ზედამხედველს ართმევდა ხელს. – მოხარული ვარ, მისტერ მარქს, მოხარული ვარ, – მოწიწებით ამბობდა ზედამხედველი, – ეს წუთია საგანგებო განკარგულება მივიღეთ... – ვიცი, – გააწყვეტინა ბერნარდმა. – მის უფორდესობას ახლა ვესაუბრე ტელეფონით. – ინდიფერენტული ტონით მიანიშნა, რომ მის უფორდესობასთან საუბარი მისთვის ჩვეული ყოველდღიურობა იყო. მერე სავარძელში ჩაეშვა. – კეთილი ინებეთ და დაუყოვნებლივ მიიღეთ ყველა საჭირო ზომა. დაუყოვნებლივ, – გაიმეორა ხაზგასმით. მდგომარეობით სრულ ტკბობას განიცდიდა. თერთმეტ საათსა და სამ წუთზე ყველა საჭირო დოკუმენტი ჯიბეში ედო. – ნახვამდის, – მფარველივით დაუქნია თავი ზედამხედველს, რომელმაც ლიფტის კარამდე მიაცილა. – კარგად იყავით. მერე შორიახლო მდებარე სასტუმროში მივიდა, სადაც აბაზანა მიიღო, ვიბროვაკუმის მასაჟი გაიკეთა, წვერი ელექტროლიზური სამართებლით გაიპარსა, დილის ახალ ამბებს მოუსმინა, ნახევარი საათი ტელევიზორს უყურა, აუჩქარებლად ისადილა და სამის ნახევარზე ოქტორონ პილოტთან ერთად ისევ მალპაისში გაფრინდა. ახალგაზრდა კაცი ტურისტული სასტუმროს წინ იდგა. – ბერნარდ, – დაიძახა. – ბერნარდ! – არავინ გამოეპასუხა. მერე ირმის ტყავის მოკასინებით კიბეზე უხმაუროდ აირბინა და კარის სახელური ჩამოსწია. კარი დაკეტილი იყო. წასულან! წასულან! ღმერთო, ეს ყველაზე უარესი რამ იყო, რაც კი ცხოვრებაში დამართნია. ლენინამ ხომ თვითონ მიიპატიჟა ლონდონში, ახლა კი წასული დახვდა. ჯონი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და ატირდა. ნახევარი საათის შემდეგ ფანჯარაში შეხედვა მოისაზრა. პირველი, რაც დაინახა,

მწვანე ჩემოდანი იყო, სახურავზე ამოტვიფრული ინიციალებით „ლ. კ.“ სიხარული ხანძარივით მოედო. ქვას ხელი სტაცა. მინის ნამსხვრევებმა იატაკზე გაიღო წკრიალი. წამიც და უკვე ოთახში იყო. მწვანე ჩემოდანი გახსნა და მაშინვე შეიგრძნო ლენინას სუნამოს სურნელი, ფილტვები მისი არსებით აევსო. გული ველურად უცემდა; იყო წამი, როცა გონების დაკარგვას აღარაფერი უკლდა. ძვირფას ყუთზე დაიხარა, შიგთავსს ხელით შეეხო, გადასინჯა, სინათლეზე შეათვალიერა. ლენინას პლისე შორტების ელვამესაკრავმა ჯერ გააოცა, მერე კი, როცა მის დანიშნულებას მიხვდა, მოიხიბლა. გახსნა, შეკრა, გახსნა ისევ შეკრა. აღფრთოვანებული იყო. ლენინას მწვანე ქოშების მსგავსი სილამაზე არასოდეს ენახა. ტრუსები გაშალა, გაწითლდა და სასწრაფოდ დადო თავის ადგილზე. სუნამონაპკურებ აცეტატის ცხვირსახოცს აკოცა, შარფი ყელზე შემოიხვია. პატარა კოლოფიდან პუდრი გადმოიბნა და არომატული მტვრის ღრუბელში გაახვია. დასვრილი ხელები მკერდზე, მხრებზე, შიშველ მკლავებზე შეიწმინდა. უნაზესი სურნელია! თვალეები დახუჭა; ლოყა შეპუდრულ მკლავს გაუსვა. გლუვი კანის შეხება სახეზე, მუშკის მტვრის სუნის შეგრძნება – ლენინა თითქოს აქვე იყო. – ლენინა, – წაიჩურჩულა. – ლენინა! უცებ ხმაური მოესმა, შეკრთა და დამნაშავესავით მიმოიხედა. ქურდულად ამოღებული ნივთები ჩემოდანში ჩაჩურთა და სახურავი დაახურა. მიაყურადა, ისევ მიმოიხედა. ჩქამიც კი არ ისმოდა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ იყო. მაგრამ რაღაც ხომ ნამდვილად გაიგონა? ამოიხვრა თუ იატაკის ჭრიალი? ფეხის წვერებზე მივიდა კართან, ფრთხილად გააღო და კიბის ფართო ბაქანზე აღმოჩნდა, რომლის მეორე მხარეს შეღებული კარი დაინახა. კარს ხელი ჰკრა და შეიხედა. ოთახში, დაბალ საწოლზე, ელვამესაკრავიან ვარდისფერ კომბინეზონპიჟამოში გამოწყობილი ლენინა იწვა. საბანგადახდილს ღრმად ეძინა. ისეთი მშვენიერი იყო წაბლისფერი კულულების შარავანდედში, ისეთი ამაღელვებლად ბავშვური, ვარდისფერი ფეხის თითებით და მძინარე სახეზე სერიოზული გამომეტყველებით, ხელები კი ისე უმწეოდ ეყარა ლოგინზე, რომ ჯონს თვალზე ცრემლი მოადგა. გადაჭარბებული და სრულიად უადგილო სიფრთხილით – ლენინას სომარდადეგების ძილიდან დროზე ადრე თოფის გასროლა თუ გამოიყვანდა მხოლოდ – შევიდა ოთახში და საწოლთან დაიჩოქა. მოჯადოებული შეაცქერდა მლოცველის პოზაში მდგომი, და აჩურჩულდა. „მისი ხმა, თვალეები, თმები, მისი ღაწვები, მიხრა-მოხრა და სიარული. ნუ მეუბნები, თვითონ ვიცი, მისი ხელები ისე თეთრია, რომ მათ გვერდით შავად ჩანს ყველა თეთრი სხეული და სირცხვილი სწავს ყოველ მათგანს. მათი შეხების შემდეგ გედის ნაზი ბუმბული გლეხკაცის უხეშ და ტლანქ ხელად მოგეჩვენება“. საწოლს თავს ბუზი დაბუზოდა. ჯონმა მოსაგერიებლად ხელი აიქნია. ბუზიო, გაიფიქრა, და გაიხსენა: „მწერს შეუძლია, რომ შეეხოს მის სპეტაკ ხელებს, თვით უკვდავების სიტკბოება წარსტაცოს ბაგეთ, ბაგეთ, რომელნიც ღვთაებრივის უმანკოებით სირცხვილეულნი წითლდებიან მარტოდენ იმით, თითქოს ერთურთის შეხებით და კოცნით სცოდავდნენ“. ნელა, ძალიან ნელა, გაუბედავად გასწია წინ აკანკალებული ხელი, თითქოს მფრთხალ, მაგრამ საშიშ ფრინველს უნდა მოფერებოდა. ასე ეჭირა ჰაერში, ცოტაც და ქალის სხეულს თითქმის შეეხებოდა. გაბედავს? გაბედავს კი უღირსი ხელით შებღალოს... არა, ვერ გაბედა. ფრინველი ძალიან საშიში იყო. ხელი ჩამოუვარდა. ო, რა მშვენიერი იყო! რა მშვენიერი! მერე თავის თავი იმის გაფიქრებაზე დაიჭირა, რომ მის ყელთან ელვამესაკრავზე ხელმოკიდებულს ერთი ენერგიული მოძრაობა სჭირდებოდა და... თვალეები დახუჭა, გააჟრჟოლა. რა ბინძური აზრები მოსდის თავში! სირცხვილის გრძნობამ მოიცვა – ო, სუფთა, უმანკო მოკრძალებავ!.. ჰაერში

ისევ ბზუილი გაისმა. კიდევ ერთ ბზუს უნდა ეს ნეტარება წაართვას? თუ კრაზანას?  
მიმოიხედა და ვერაფერი შენიშნა. ბზუილი ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა და აშკარად  
დარაბებს მიღმა, გარედან ისმოდა. ვერტმფრენი! ფეხზე ელდანაკრავივით წამოხტა, მერე  
ოთახში გავარდა, ღია ფანჯრიდან ისკუპა, აგავებს შორის გამავალი ბილიკი გადაჭრა და  
ბერნარდ მარქსს სწორედ იმ დროს მიუსწრო, ვერტმფრენიდან რომ გადმოდიოდა.

## თავი მეთე

ბლუმბერგის ცენტრის ოთხი ათასი დარბაზის ოთხი ათასი ელექტროსაათი სამის ოცდაშვიდ წუთს უჩვენებდა. „ჩვენს შრომისმოყვარე სკას“, როგორც დირექტორს უყვარდა ხოლმე თქმა, ხმაურიანი ზუზუნი გაუდიოდა. ყველა დაკავებული იყო, ყველაფერი მოწესრიგებულად მოძრაობდა. მიკროსკოპების ქვეშ სპერმატოზოიდები შოლტების ენერგიული მოძრაობით იჭრებოდნენ კვერცხუჯრედებში; განაყოფიერებული კვერცხუჯრედები იზრდებოდნენ და იყოფოდნენ, ბოკანოვსკიზებული კვერცხუჯრედები იკვირტებოდნენ და ტყუპი ემბრიონების მთელ პოპულაციებს აძლევდნენ დასაბამს. სოციალური ხვედრის განსაზღვრის დარბაზიდან ესკალატორები გუგუნით ეშვებოდნენ სარდაფში. იქ კი, ემბრიონარიუმის მეწამულ ბინდბუნდში, თბილ და ბალიშივით რბილ პერიოტონეუმის საფენებზე იზრდებოდნენ სისხლის სუროგატით და ჰორმონებით გაჭყეპილი ემბრიონები, სპირტით მოწამლულები კი უბადრუკ ეფსილონებად ვითარდებოდნენ. წყნარი ხმაურით წინ შეუმჩნეველად მიიწევდა კონვეიერის ლენტი – ეს მოძრაობა კვირებს, წლებს, მარადისობას გასდევდა – ამოყვანის დარბაზისკენ, სადაც ბოთლებიდან დაბადებული, სამყაროს ახლად მოვლენილი ჩვილების ყვირილი ისმოდა, ელდისა და განცვიფრების პირველი ყვირილი. სარდაფში ძრავები გუგუნებდნენ, ლიფტები გამალებით დაქროდნენ ზევით-ქვევით, ბავშვთა ოთახების თერთმეტ სართულზე სადილს არიგებდნენ. ეტიკეტებით საგულდაგულოდ მარკირებული ათას რვაასი ბავშვი ათას რვაასი ბოთლიდან სინქრონულად წოვდა პასტერიზებულ საკვებს. მათ ზემოთ, კიდევ ათ სართულზე, იმ ასაკის გოგონებსა და ბიჭებს ეძინათ, ვისაც ჯერ კიდევ სჭირდებოდა შუადღის ძილი. უქმად „მკვდარი საათიც“ კი არ იკარგებოდა – დროის ამ მონაკვეთში პატარები ჰიგიენისა და სოციალიზაციის, კლასობრივი ცნობიერებისა და საბავშვო სექსის ანაბანის ჰიპნოპედიურ გაკვეთილებს ითვისებდნენ – შეუგნებლად, მაგრამ საფუძვლიანად. კიდევ უფრო ზემოთ სათამაშო დარბაზები იყო, სადაც უამინდობის მიზეზით, ცხრაასი მოზრდილი ბავშვი კუბებით, ძერწვით, „დაიჭირე ელვათი“ და ეროტიული თამაშებით ირთობდა თავს. „სკაში“ საქმიანი და მხიარული განწყობა სუფევდა. სინჯარებთან მოფუსფუსე გოგონები უდარდელად ღიღინებდნენ, სტვენა-სტვენით მუშაობდა სოციალური ხვედრის განსაზღვრის პერსონალი; მახვილგონიერ ხუმრობებს ფეიერვერკივით ისროდნენ ამოყვანის დარბაზში, გამოცარიელებულ ბოთლებთან! სასტიკი, მკაცრი და პირგამეხებული მხოლოდ დირექტორი იყო, რომელიც განაყოფიერების დარბაზში ჰენრი ფოსტერის თანხლებით შევიდა. – საჯაროდ, დიახ, საჯაროდ, – ამბობდა ის, – ამ დარბაზში, რადგან მთელი ცენტრის მაღალი კასტის თანამშრომლების უმრავლესობა აქ არის თავმოყრილი. სამის ნახევარზე სწორედ აქ დავიბარე ჩემთან შესახვედრად. – თუმცა თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია, – ფარისევლური სულგრძელობა გამოიჩინა ჰენრიმ. – ვიცი. და ეს კიდევ უფრო ამართლებს სასჯელის სიმკაცრეს, რადგან მისი გამორჩეული ინტელექტი განსაკუთრებულ მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს. რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, მით უფრო ძლიერია მისი გამხრწნელი ზემოქმედება სხვებზე. უმჯობესია ერთი დაისაჯოს, თუკი ეს სხვებს გარყვნისგან იხსნის. საქმე მიუკერძოებლად განსაჯეთ, მისტერ ფოსტერ, და დამეთანხმებით, რომ ამქვეყნად არ არსებობს ქცევის აღიარებული ნორმების დარღვევაზე უარესი დანაშაული. მკვლელობა – ეს არის ერთი ინდივიდის სიკვდილი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რა არის ერთი ინდივიდი? – დირექტორმა ხელები ფართოდ გაშალა მიკროსკოპების, სინჯარებისა და ინკუბატორების მწკრივებისკენ. – ახალ ინდივიდს თვალის

დახამხამებაში შევქმნით, თანაც რამდენსაც გვინდა, იმდენს. აღიარებული ნორმების რღვევა კი განუზომლად უფრო დიდ საფრთხეს მოიცავს, ვიდრე ერთი ინდივიდის სიკვდილი – ის საზოგადოების კეთილდღეობას ემუქრება. დიახ, თვით საზოგადოების კეთილდღეობას, – გაიმეორა ხაზგასმით. – აი, ისიც. მოსულა უკვე. ბერნარდი დარბაზში შევიდა, მიკროსკოპების მწკრივებს ჩაუარა და მათკენ გაემართა. მოჩვენებითი სითამამით და თავდაჯერებულობით მღელვარებას არცთუ ისე კარგად ნიღბავდა. – გამარჯობა, ბატონო დირექტორო, – თქვა ზედმეტად ხმამაღლა, ძალიან სულელურად გამოუვიდა. მერე შეცდომის გამოსასწორებლად ხმას ისე დაუწია, რომ სასაცილო კნავილი აღმოხდა: – მთხოვეთ, აქ მოვსულიყავი თქვენთან სალაპარაკოდ. – დიახ, მისტერ მარქს, – ავისმომასწავებლად წამოიწყო დირექტორმა. – დიახ, გთხოვეთ აქ მოსვლა ჩემთან შესახვედრად. შვებულებიდან წუხელ დაბრუნებულხართ, მისტერ მარქს, ხომ ასეა? – სწორედ ასეა. – ა-ს-ს-ს-ეა, – გველივით წაისისინა დირექტორმა. მერე ხმას მკვეთრად აუწია და დასჭექა: – პატივცემულო საზოგადოებავ, ქალბატონებო და ბატონებო! სინჯარებზე დახრილი გოგონების ღიღინი და მიკროსკოპისტიების სტვენა იმწამსვე შეწყდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა; ყველა დირექტორს მიაჩერდა. – ქალბატონებო და ბატონებო, – კიდევ ერთხელ გაიმეორა, – ბოდიშს გიხდით, რადგან იძულებული ვარ მუშაობა შეგაწყვეტინოთ. უმძიმესი პასუხისმგებლობა მიბიძგებს ამისკენ. საზოგადოების უსაფრთხოებასა და სტაბილურობას საშიშროება ემუქრება. დიახ, საშიშროება, ბატონებო და ქალბატონებო. ამ კაცმა, – თითი ბერნარდისკენ ბრალმდებელივით გაიშვირა, – ამ კაცმა, რომელიც აქ, თქვენ წინაშე დგას, ალფა-პლუსმა, რომელმაც ძალიან ბევრი მიიღო საზოგადოებისგან და რომლისგანაც, შესაბამისად, ძალიან ბევრს ველოდით, თქვენმა კოლეგამ – ან შეიძლება ითქვას, თქვენმა ექს-კოლეგამ – საზოგადოებას ნდობა და მოლოდინი სასტიკად გაუცრუა. ერეტიკული შეხედულებებით სპორტსა და სომაზე, სქესობრივი ცხოვრების ნორმების სკანდალური დარღვევით, ჩვენი ღმერთის – ფორდის მცნებების უარყოფით და სამსახურიდან თავისუფალ დროს „ბოთლად მყოფი ბავშვის“ საქციელით (დირექტორმა ნიშანი თ პირჯვარივით გადაისახა), მან თავი გამოააშკარავა, ბატონებო და ქალბატონებო, როგორც საზოგადოების მტერმა, როგორც წესრიგისა და სტაბილურობის დამამხობელმა, როგორც ამბოხებულმა თვით ცივილიზაციის წინააღმდეგ. ამის გამო გადავწყვიტე მისი გაძევება, ამ ცენტრში დაკავებული თანამდებობიდან მისი სამარცხვინოდ გათავისუფლება; ვაპირებ დაუყოვნებლივ გადავიყვანო მესამეხარისხოვან ფილიალში, რომელიც, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მსხვილი დასახლებული ცენტრებიდან მაქსიმალურად იქნება დაშორებული. ისლანდიაში თავისი ფორდისმგმობი მაგალითით სხვების გზიდან გადაცდენის საშუალება ნაკლებად ექნება. – დირექტორმა შეისვენა, მერე ხელები გულზე დაიკრიფა და ბერნარდს მედიდურად მიუბრუნდა. – მარქს, შეგიძლიათ საფუძვლიანად დაგვისაბუთოთ და დაგვარწმუნოთ, თუ რატომ არ უნდა აღვასრულო თქვენთვის გამოტანილი სასჯელი? – დიახ, შემძლია, – კი არ თქვა, იყვირა ბერნარდმა. დირექტორი ოდნავ შეცბა, თუმცა ნირი არ შეუცვლია, ზვიადად განაგრძო: – ჰოდა, დაგვისაბუთეთ. – სიამოვნებით. საბუთი დერეფანში მელოდება. ახლავე წარმოგიდგენთ. – აჩქრებით გაემართა კარისკენ, ფართოდ გააღო და განკარგულება გასცა: – შემოდით. – „საბუთი“ დარბაზში შემოვიდა და გაჩერდა. დარბაზს თავზარდაცემის და გაოგნების დრტვინვამ გადაუარა. გაისმა ქალის შეკვივლება. ვიღაც სკამზე ახტა შემოსულის უკეთ დასანახად და სპერმატოზოიდებით სავსე ორი სინჯარა გადააყირავა. დარბაზში



შეშუპებული და ფორმადაკარგული ლინდა შემოვიდა – სიბერის უცნაური და შემზარავი განსახიერება ჯანმრთელი, მკვრივი სხეულებისა და ახალგაზრდა სახეების ფონზე. უკბილო პირზე კეკლუცი ღიმილი ეფინა და უზარმაზარ, ქონმოდებულ თეძოებს განზრახ „ვნებიანად“ მთარხევდა. ბერნარდი გვერდით მოჰყვებოდა. – ის არის, – გადაულაპარაკა ბერნარდმა და დირექტორზე მიუთითა. – როგორ? გეგონა ვერ ვიცანი? – აღშფოთებით წამოიძახა ლინდამ, მერე დირექტორს მიუბრუნდა, – რა თქმა უნდა ვიცანი, თომას! ათას კაცში გამოგარჩევი, სადაც არ უნდა მენახე. შენ კი მგონი დამივიწყე. აღარ გახსოვარ? ველარ მიცანი, თომას? მე ხომ შენი ლინდა ვარ! – გვერდზე თავგადახრილი იდგა, უყურებდა და კვლავ იღიმებოდა, მაგრამ დირექტორის გაქვავებულ სახეს ისეთი ზიზღი ეწერა, რომ ღიმილს თანდათან დაბნეულობა და ტკივილი ჩაენაცვლა. – აღარ გახსოვარ, თომას? – გაიმეორა ათრთოლებული ხმით. თვალეში უსაზღვრო სევდა ჩაუდგა. მომჩვარული, ლაქებით დაფარული სახე ტანჯვამ დაუმანჭა. – თომას! – ხელები გაუწოდა. დარბაზში ხითხითი გაისმა. – რას ნიშნავს, – დაიწყო დირექტორმა, – ეს ბოროტი... – თომას! – ლინდა მიუახლოვდა – მხრებზე მოსხმული საბანი უკან მისთრევა – დირექტორს ხელები კისერზე შემოხვია და სახე მის მკერდში ჩამალა. დარბაზში დაუოკებელი ხარხარი ატყდა. – ...ეს ბოროტი ხუმრობა, – დაიყვირა დირექტორმა. სახე აელეწა, ლინდას მკლავებიდან თავის დახსნას შეეცადა, ის კი თავგანწირვით ებლაუჭებოდა. – მე ხომ ლინდა ვარ, შენი ლინდა. – ქალის ხმა საერთო აურზაურში ჩაინთქა. – მე ხომ ბავშვი მეყოლა შენგან, – ისეთ ხმაზე იკვილა, რომ ახლა მან გადაფარა დარბაზის ღრიანცელი. და უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ხმა ყველას ერთბაშად ჩაუწყდა, უხერხულობისგან მზერა ყველას ერთბაშად გაეყინა. დირექტორი გაფითრდა, ბრძოლა შეწყვიტა და გაჩერდა; ლინდას მაჯებში ჩასჭიდებოდა და დაჰყურებდა გაშტერებული. – ჰო, ბავშვი, და მე მისი დედა გავხდი. – ეს სიბილწე გამოწვევასავით ისროლა ელდანაკრავ დარბაზში, მერე უცებ დირექტორს მოსწყდა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა, შერცხვენილი და განადგურებული. – ჩემი ბრალი არ არის, თომას. მე ხომ ყველაფერს ზუსტად ვიცავდი, ყოველთვის... არაფერი დამირღვევია. არც კი ვიცი, როგორ მოხდა... რომ იცოდე, თომას, რა საშინლად... მაგრამ იცი, ის ჩემი ნუგეშიც იყო. – მერე კარისკენ შებრუნდა და დაიძახა: – ჯონ! ჯონ! ჯონი მაშინვე შემოვიდა, ერთხანს კარის ზღურბლთან შეყოვნდა, მიმოიხედა, მერე ირმის ტყავის მოკასინებით რბილად, სწრაფად გადაჭრა ოთახი, დირექტორის წინაშე მუხლებზე დაეცა და მკაფიოდ წარმოთქვა: – მამაჩემო! ამ სიტყვამ (სალანძლავი სიტყვა „მამა“ არ იყო ისეთი უწმაწური, როგორც დედა“ – რადგან ნაკლებად უკავშირდებოდა შვილოსნობის და მშობიარობის გულისამრევ, ამორალურ აქტს – და ამიტომ ვულგარული უფრო იყო, ვიდრე ბილწი და პორნოგრაფიული); ამ კომიკურად უხამსმა სიტყვამ განმუხტა საერთო დამაბულობა, რომელიც უკვე აუტანელი გამხდარიყო. ატყდა ისტერიული სიცილი და გამაყრუებელი და გაუთავებელი გნისი. „მამაჩემო“ – და ეს მამა დირექტორი იყო! მამაჩემო! ო, ფორდ, ფორდ! წარმოდგენელია! ხმაური და ყვირილი არ ცხრებოდა, დარბაზს სიცილის ახალ-ახალი ტალღა უვლიდა შეტევებივით. ჩაბჭირებისგან სახედამანჭულებს თვალეებიდან ცრემლები სცვიოდათ. სპერმატოზოიდებით სავსე კიდე ექვსი სინჯარა გადაყირავდა. მამაჩემო! გაფითრებული, დამცირებული დირექტორი იდგა თავზარდაცემული და შეშლილ თვალეებს აქეთ-იქით უაზროდ აცეცებდა. მამაჩემო! სიცილი თითქოს უკვე ცხრებოდა, მაგრამ უცებ ისევ იფეთქა ახალი ძალით, კიდეც უფრო ძლიერად. დირექტორმა ყურებზე ხელები აიფარა, ადგილსმოსწყდა და დარბაზიდან გავარდა.

## თავი მეთერთმეტე

განაყოფიერების დარბაზში ატეხილი სკანდალის შემდეგ ლონდონის მაღალი კასტის საზოგადოება თავგამოდებით ილტვოდა უცნაური არსების სანახავად, რომელმაც ინკუბატორისა და აღმზრდელობითი ცენტრის დირექტორის წინაშე მუხლი მოიდრიკა (უფრო სწორად, ყოფილი დირექტორის, რადგან იმ უბედურმა დაუყოვნებლივ დატოვა თანამდებობა და მას შემდეგ ცენტრში ფეხიც აღარ მიუდგამს), იატაკზე დაემხო და „მამა“ უწოდა (ხუმრობა თუ იყო, ისიც გაუგონარი და დაუჯერებელი!). სამაგიეროდ ლინდა არავის აინტერესებდა და მისი ნახვაც აღარავის უნდოდა. როცა საკუთარ თავს „დედას“ უწოდებ – ეს უკვე ხუმრობა კი არა, სიბილწეა. თანაც ლინდა ნამდვილი ველური არ იყო: ბოთლიდან ამოყვანილი და ჩვეულებრივად აღზრდილი ორიგინალური აზროვნებით ვერავის გააკვირვებდა. მაგრამ უმთავრესი, რის გამოც საბრალო ლინდას ნახვას ყველა გაურბოდა, მისი გარეგნობა იყო. მსუქანი ბებრუხანა, საშინელი კბილებით და დამუწუკებული სახის კანით. ფიგურა? (ო, ფორდ!) მის შემხედვარეს გულისრევა ეწყებოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამიტომ საზოგადოების ნაღებს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ლინდას არ შეხვედროდა. თავის მხრივ, არც ლინდა იწვოდა მათი ნახვის სურვილით. ცივილიზაციაში დაბრუნება მისთვის სომასთან დაბრუნებას ნიშნავდა. ახლა უკვე შეეძლო ლოგინში წოლა და გამუდმებული სომ-თავდავიწყებით ტკბობა ყოველგვარი თავის ტკივილისა და ღებინების შეტევების გარეშე; იმ შეგრძნების გარეშე, პეიოტლის დალევის მერე რომ ჰქონდა და რომლის გამოც თავი სამარცხვინო, ანტისაზოგადოებრივ არსებად მიაჩნდა. სომა არ გვრიდა არავითარ უსიამოვნებას, სომ-თავდავიწყება სრულყოფილ დასვენებას ნიშნავდა. ხოლო გამოღვიძების შემდგომი უსიამოვნო შეგრძნება უსიამოვნო იყო არა თავისთავად, არამედ სომით მოგვრილ ნეტარებასთან შედარებით. ამის გამოსწორება მხოლოდ უწყვეტი სომ-არდადეგებით შეიძლებოდა. ლინდაც, დახარბებული, წამლის მზარდ დოზებს უფრო ხშირად და უფრო დაჟინებით ითხოვდა. ექიმი შოუ თავიდან ეწინააღმდეგებოდა, მერე კი ხელი ჩაიქნია და დღიური დოზა ოც გრამამდე აიყვანა. – ეს ორიოდ თვეში მოუღებს ბოლოს, – გაანდო ექიმმა ბერნარდს. – ერთხელაც იქნება, სუნთქვის ცენტრი დაუდამბლავდება, სუნთქვას ვეღარ შეძლებს და მოკვდება, რაც, ალბათ, უკეთესიც კია. გაახალგაზრდავება რომ შეგვეძლოს, სხვა საქმე იქნებოდა. სამწუხაროდ, არ შეგვიძლია. ყველას გასაკვირად (ლინდას სომ-თავდავიწყებაში დაკარგვა თითქოს ყველასთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო) ჯონმა პროტესტი გამოთქვა. – ასეთი დოზებით ხომ სიცოცხლეს უსწრაფებთ! – ერთის მხრივ, დიახ, – დაეთანხმა ექიმი. – მაგრამ მეორეს მხრივ, ფაქტობრივად, ვუგრძელებთ. – ჯონი ექიმს მისჩერებოდა, არაფერი ესმოდა. – სომა რამდენიმე წლით ამოკლებს სიცოცხლეს, – განაგრძო ექიმმა. – სამაგიეროდ კი გჩუქნით განუზომელსა და უსასრულოს დროის მიღმა. ყოველი სომთავდავიწყება ხომ იმის ნაწილია, რასაც ჩვენი წინაპრები საუკუნო ცხოვრებას – მარადისობას უწოდებდნენ. ჯონმა ვითარების არსში წვდომა დაიწყო. – „ჩემ ტუჩ-თვალებში ისახებოდა საუკუნო ცხოვრების ხატი“, პენიტენტეს1 – წაიჭურჩულა.

– რა თქვით?

– არაფერი.

– რა თქმა უნდა, – განაგრძობდა ექიმი შოუ, – ადამიანებს, რომლებიც სერიოზულ საქმეს აკეთებენ, ვერ მისცემთ წამდაუწუმ მარადისობაში გადასვლის უფლებას. მაგრამ რამდენადაც ღინდას ასეთი საქმე არ აქვს...

– და მაინც, – ჯიუტობდა ჯონი, – არ მგონია, ეს სწორი იყოს.

– ექიმმა მხრები აიჩეჩა. – ჰო, რა თქმა უნდა, თუ მისი გიჟური კვილი და გაუთავებელი ალიაქოთი გირჩევენიათ... ბოლოს და ბოლოს, ჯონი იძულებული გახდა დაეთმო. ღინდამ თავისი გაინაღდა. და მას შემდეგ ბერნარდის სახლის ოცდამეჩვიდმეტე სართულის ერთი პატარა ოთახიდან აღარც გამოსულა. იწვა ლოგინში, დღე და ღამე ჩართული ჰქონდა რადიო და ტელევიზორი, მოშვებული ჰქონდა პაჩულის<sup>1</sup> ონკანი და სომის აბები ხელის გაწვდენაზე ეყარა. იწვა თავისთვის ოთახში და იმავე დროს სადღაც სხვაგან იყო, უსასრულოდ შორს. თავდავიწყებით სხვა სამყაროში იყო, სადაც რადიოდან მომავალი მუსიკა ხმოვანი ფერების ლაბირინთად გარდაიქმნებოდა, მორთოლვარე, მოლივლივე ლაბირინთად, რომელიც (ო, ულამაზესად კლავნილი და გარდაუვალი) აბსოლუტური, სრულყოფილი ბედნიერების კამკაშა შუაგულისკენ მიაქანებდა; სადაც ტელევიზორის მოცეკვავე გამოსახულებები აუწერელი, უმშვენიერესი გრძნობათა ფილმ-ოპერის შემსრულებლები იყვნენ; სადაც პაჩულის წვეთები სუნამო კი არა, მზე იყო; იყო მილიონი სექსოფონი და პოპეს ხორციელი სიყვარული, რეალურზე განუზომლად უფრო ძლიერი, ტკბილი და დაუსრულებელი.

– არა, გაახალგაზრდავება ნამდვილად არ შეგვიძლია, – დაასკვნა ექიმი შოუმ, – მაგრამ მოხარული ვარ, რომ ადამიანის სიბერეზე დაკვირვების საშუალება მომეცა. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი მოწვევისთვის, – და ბერნარდს ხელი გულითადად ჩამოართვა. სამაგიეროდ, ახლა ყველა ჯონის სანახავად ილტვოდა. ხოლო რადგან ამის მოხერხება მხოლოდ მისი ოფიციალური მეურვის, ბერნარდის საშუალებით შეიძლებოდა, ამ უკანასკნელმა ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ ექცეოდნენ არა უბრალოდ ნორმალურად, არამედ როგორც გამორჩეულ, უმნიშვნელოვანეს პიროვნებას. ალკოჰოლს სისხლის სუროგატში აღარავინ ახსენებდა, გარეგნობის გამოც აღარავინ იგდებდა მასხრად. ჰენრი ფოსტერი ტყავიდან ძვრებოდა კეთილგანწყობის გამოსახატად, ბენიტო ჰუვერმა ექვსი კოლოფი სექს-ჰორმონიანი საღებავი რეზინა აჩუქა, მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანამემწე ფიანდაზად ეგებოდა, ოღონდ ბერნარდის წვეულებებზე მოხვედრილიყო. რაც შეეხება ქალებს, მიპატიჟებაზე გადაკრული მინიშნებაც კი საკმარისი იყო, რომ რომელსაც მოისურვებდა, ის ჩაეწვინა ლოგინში. – მომავალ ოთხშაბათს ბერნარდმა ველურის სანახავად დამპატიჟა, – საზეიმოდ გამოაცხადა ფანიმ. – ძალიან მიხარია, – თქვა ლენინამ. – ახლა კი გამოტყედი, რომ ბერნარდის შეფასებაში ცდებოდი. ხომ მართლა ძალიან საყვარელია? – უნდა ვაღიარო, – დაეთანხმა ფანი, – რომ სასიამოვნოდ ვარ გაოცებული. უფროსი ჩამომსხმელი, მთავარი ხვედრგანმსაზღვრელი, გენერალური ფერტილიზატორის ასისტენტის სამი მოადგილე, გრძნობათა ტექნოლოგიის კოლეჯის ემოციათა ხელოვნების პროფესორი, ვესტმინსტერის საზოგადოებრივი საგალობლების ტაძრის დეკანი, ბოკანოვსკიზაციის პროცესის ხელმძღვანელი – ბერნარდის საპატიო სტუმართა სია უსასრულო იყო. – იცი, გასულ კვირას ექვსი ქალი მყავდა, – წაიტრახა ბერნარდმა ჰელმჰოლცთან. – ერთი ორშაბათს, ორი – სამშაბათს, ორი – პარასკევს და ერთიც შაბათს. შეტევაზე კიდევ თორმეტი

მანც იყო, მაგრამ არც დრო მქონდა და აღარც სურვილი... – ჰელმჰოლცის პასუხი ამ ბაქიბუქზე ისეთი პირქუში და გამკიცხავი სიჩუმე იყო, რომ ბერნარდი გაბრაზდა. – გმურს, – თქვა მან. ჰელმჰოლცმა თავი გააქნია. – უბრალოდ, სევდა შემომაწვა, ეს არის და ეს. ბერნარდი გაღიზიანებული წავიდა. თავისთავს პირობა მისცა, ჰელმჰოლცს აღარასოდეს დალაპარაკებოდა. დღეები ერთმანეთს მისდევდა. წარმატება ბერნარდს თავში ისე აუვარდა, როგორც შუშუნა ღვინო, და ბოლომდე შეარიგა სამყაროსთან, რომელიც ველურის ჩამოყვანამდე მისთვის სრულიად მიუღებელი იყო. ახლა ეს სამყარო მოსწონდა, რადგან მან ბერნარდის პიროვნება აღიარა და დააფასა. თუმცა წარმატებული და პატივმოყვარეობადაკმაყოფილებული, ამ სამყაროს წესების კრიტიკის უფლებაზე ხელის აღებას მანც არ აპირებდა. საზოგადოების კრიტიკა საკუთარ თვალში კიდევ უფრო ამაღლებდა და წონას მატებდა. თანაც გულწრფელად სჯეროდა, რომ გასაკრიტიკებელი ბევრი იყო (ასევე გულწრფელად ელტვოდა წარმატებას და მოსწონდა, ყველა ქალი მისი რომ იყო, რომელსაც მოისურვებდა). თავი საკუთარი ორიგინალურობით მოჰქონდა მათ წინაშე, ვინც ახლა ველურის გამო ემლიქვნელებოდა. ისინი თავაზიანად უსმენდნენ, ზურგსუკან კი ქირქილებდნენ. „ეს ახალგაზრდა ცუდად დაამთავრებს“, წინასწარმეტყველებდნენ დაბეჯითებით, რადგან იცოდნენ – დადგებოდა დრო და ამ ცუდი დასასრულის თანაავტორები თავადვე გახდებოდნენ. „მეორედ თავის გადასარჩენად მეორე ველურს ვეღარ იპოვის“, ამბობდნენ ისინი. ჯერჯერობით კი ბერნარდს პირველი ველური ჰყავდა და თავაზიანი მოპყრობაც გარანტირებული ჰქონდა. ამ თავაზიანობისგან განდიდების მანიით შეპყრობილი კარგად გრძნობდა საკუთარ წონას საზოგადოებაში და იმავე დროს ეიფორიით ისე იყო ატაცებული, რომ ღრუბლებში დაფრინავდა, ჰაერზე უფრო მსუბუქი. – ჰაერზე უფრო მსუბუქია, – თქვა ბერნარდმა და ცისკენ მიუთითა. ზემოთ, ღრუბლებში, ამინდის ბიუროს მისაბმელი აეროსტატი ციური მარგალიტით ვარდისფრად ბრწყინავდა მზეზე.

„...ზემოხსენებულ ველურს, – იუწყებოდა ბერნარდისთვის განკუთვნილი ინსტრუქცია, – უნდა გააცნოთ ცივილიზებული ცხოვრება და მისი ყველა ასპექტი“... ახლა ველური ამ ცხოვრების თვალუწვდენელ პანორამას ჩარინგ-ტკომპის ბაქნის სიმაღლიდან აკვირდებოდა. გიდობას კომპის აფრენადაშვების სადგურის უფროსი და მეტეოროლოგიის ექსპერტი უწევდნენ. მაგრამ ლაპარაკით, ძირითადად, ბერნარდი ლაპარაკობდა. თავბრუდახვეული ისე იქცეოდა, თითქოს, სულ ცოტა, მოვლინებული მთავარმართებელი მანც იყო. ღრუბლებში დაფრინავდა, ჰაერზე უფრო მსუბუქი. ღრუბლებიდან „ბომბეის მწვანე რაკეტა“ გამოჩნდა და ბაქანზე დაეშვა. მგზავრები გადმოსხდნენ. სალონის რვა ილუმინატორიდან ხაკისფერში ჩაცმულმა რვა ბორტგამცილებელმა – რვა იდენტურმა ტყუპმა დრავიდმა გამოიხედა. – ათას ორას ორმოცდაათი კილომეტრი საათში, – ხაზი გაუსვა სადგურის უფროსმა. – რას იტყვით, ბატონო ველურო? კარგი შედეგიაო, უპასუხა, – არიელი1 კი დედამიწას ორმოც წუთში შემოუფრენდაო, – დასძინა. „ველური, – წერდა ბერნარდი მუსტაფა მონდისთვის წარსადგენ ანგარიშში, – გასაოცრად უმნიშვნელო გაკვირვებას და შიშს ამჟღავნებს ცივილიზაციის გამოგონებების მიმართ. უდავოა, ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ მან ყველაფერი იცოდა ქალისგან, რომელსაც ლინდა ჰქვია და რომელიც მისი დ---“. (მუსტაფა მონდმა წარბები აზიდა. „ამ იდიოტს ჰგონია, ისეთი სუსტი ნერვები მაქვს, რომ სრულად დაწერილი სიტყვის დანახვაზე ცუდად გავხდები“?) „ნაწილობრივ კი იმით, რომ ველური ძირითადად დაინტერესებულია ცნებით, რომელსაც „სულს“ უწოდებს და რომლის ფიზიკური გარემოსგან

დამოუკიდებელ არსებობას დაჟინებით ამტკიცებს. როდესაც ვცადე მიმეთითებინა“... მაკონტროლებელმა მომდევნო წინადადებები გამოტოვა და ის იყო გვერდი უნდა გადაეფურცლა რაიმე უფრო კონკრეტულის და უფრო საინტერესოს პოვნის იმედით, რომ უცებ რამდენიმე უცნაურ ფრაზას წააწყდა. „...თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ვეთანხმები ველურს და ვთვლი, რომ ჩვენი ცივილიზებული ინფანტილიზმი ძალიან პრიმიტიულია, ან, როგორც ის ამბობს, საკმაოდ იაფფასიანი. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი უფორდესობის ყურადღება მივაპყრო“... მუსტაფა მონდი ჯერ კინაღამ გაცოფდა, მერე კი უცებ ყველაფერმა ძალიან გაამხიარულა. ეს არარაობა ოფიციალურად უკითხავს ლექციას საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ მას – მას – მუსტაფა მონდს! ნამდვილი ანეგდოტია! ეტყობა, მთლად გაგიჟებულა. „ჭკუა უნდა ვასწავლო“, ჩაილაპარაკა, მერე თავი უკან გადააგდო და გულიანად გადაიხარხარა. თუმცა არა, ჭკუის სწავლების დრო ჯერ არ დამდგარა... ეს იყო ვერტმფრენების გამანათებელი ხელსაწყოების მწარმოებელი პატარა ქარხანა, ელექტროტექნიკური კორპორაციის ფილიალი. სახურავზე დახვდნენ (მაკონტროლებლის სარეკომენდაციო წერილცირკულარს მაგიური ძალა ჰქონდა) მთავარი ტექნიკოსი და საკადრო ელემენტების მენეჯერი. კიბით საამქროებისკენ დაეშვნენ. – ყოველგვარ პროცესზე, – განმარტავდა საკადრო ელემენტების მენეჯერი, – შეძლებისდაგვარად, ბოკანოვსკის ერთი ჯგუფი მუშაობს. მართლაც, ცივ წნეხვას ოთხმოცდასამი თითქმის უცხვირო შავი ბრტყელთავა დელტა ასრულებდა. ორმოცდათექვსმეტ ოთხშობინდელიან სახარატო ავტომატს ორმოცდათექვსმეტი წითური, ცხვირკეხიანი გამა ემსახურებოდა. სამსხმელო საამქროს პერსონალს შეადგენდა სიცხეს ბოთლად ყოფნიდანვე მიჩვეული ას შვიდი სენეგალელი ეფსილონი. ჭანჭიკებზე ჭრას ოცდაცამეტი გრძელთავა, მოწითურო-ქერა, ვიწრომენჯიანი მდედრი-დელტა ასრულებდა. სიმაღლით ყველა მეტრი და სამოცდაცხრა სანტიმეტრი იყო (გადახრა – 20 მილიმეტრის ფარგლებში). სამონტაჟოში გენერატორების აწყობაზე გამა-პლუს ქონდრისკაცების ორი შემადგენლობა მუშაობდა. ერთმანეთის პირისპირ ჩალაგებულ დაბალ სამუშაო მაგიდებს შორის სათადარიგო ნაწილებით დატვირთული კონვეიერის ლენტი მიიზღაზნებოდა. ერთმანეთის პირისპირ იდგა ორმოცდაშვიდი ქერა და ორმოცდაშვიდი შავგვრემანი ჯუჯა. ორმოცდაშვიდი ცხვირკეხიანი, ორმოცდაშვიდი – ცხვირპაჭუა; ორმოცდაშვიდი წინ ნიკაპწამოწეული, ორმოცდაშვიდი – ნიკაპწაკვეთილი. აწყობილ გენერატორებს მწვანე გამაფორმაში გამოწყობილი თვრამეტი ახალგაზრდა მდედრი ამოწმებდა, ხვეული წაბლისფერი თმა ჰქონდათ და გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. შეფუთვაზე ოცდათოთხმეტი მოკლეფეხება ცაცია დელტა-მინუსი მუშაობდა, სატვირთო მანქანებსა და ფურგონებში ჩატვირთვაზე – სამოცდასამი ცისფერთვალეა, ჩალისფერთმიანი, დაჭორფლილი ეფსილონ-კრეტინოიდი. „ო, საოცარი ახალი სამყარო“... ჯონის მზაკვარ მესხიერებაში მირანდას სიტყვები ამოტივტივდა. „ო, საოცრებავ, ერთად ვხედავ ამდენ ლამაზ არსს, რა მომხიბლავი არის თურმე ადამიანი“!1 – გარწმუნებთ, – აღნიშნა საკადრო ელემენტების მენეჯერმა ქარხნიდან გამოსვლისას, – მუშებთან დაკავშირებული პრობლემები პრაქტიკულად არ გვაქვს. ჩვენთან ყოველთვის... ჯონი უეცრად მოწყდა მეგზურებს, დაფნის ხეებს ამოეფარა და ისეთი გულისრევა დაეწყო, თითქოს დედამიწაზე კი არ იდგა მყარად, არამედ ვერტმფრენში იჯდა, ქარბორბალაში მოხვედრილ ვერტმფრენში. „ველური, – წერდა ბერნარდი, – უარს აცხადებს სომის მიღებაზე და, როგორც ჩანს, ძალიან დარდობს, რომ

ლინდა, მისი დ----, გამუდმებულ სომთავდავიწყებაშია. საგულისხმოა, რომ ამ ქალის სიბერის და საზიზღარი გარეგნობის მიუხედავად, ველური ხშირად დადის მის სანახავად და, ეტყობა, ძალიან უყვარს – ეს საინტერესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ფსიქიკაზე ნაადრევი ზემოქმედებით ბუნებრივი იმპულსების (მოცემულ შემთხვევაში არასასიამოვნო ობიექტისთვის თავის არიდების იმპულსი) დასუსტება და დათრგუნვა კი“. იტონში სკოლის სახურავზე დაეშვნენ. სკოლის ეზოს მეორე მხარეს ლაპტონის კომპის ორმოცდათორმეტი სართული მზეზე თეთრად ქათქათებდა. მათგან მარცხნივ კოლეჯის, მარჯვნივ კი სკოლის საზოგადოებრივი საგალობლების ტაძრის რკინაბეტონისა და ვიტაგლასის<sup>1</sup> უძველესი, უზარმაზარი შენობები იყო აღმართული. კვადრატული ფორმის ეზოს შუაგულში ფორდის ქრომირებული ფოლადის ქანდაკება იდგა, რაღაც უცნაური და ძველმოდური. კაბინიდან გადმოსულებს კოლეჯის რექტორი დოქტორი გეფნი და სკოლის დირექტორი მის კიტი შეეგებნენ. – აქაც ბევრი ტყუპი გყავთ? – შემფოთებით იკითხა ჯონმა ექსკურსიის დაწყებისთანავე. – ო, არა, – მიუგო რექტორმა. – იტონში მხოლოდ გამორჩეულ, უმაღლესი კასტის გოგონებსა და ბიჭებს ვღებულობთ. ერთი კვერცხუჯრედი – ერთი ზრდასრული ადამიანი. ეს, რაღა 1. ულტრაიისფერი სხივების გამტარი მინა. თქმა უნდა, ართულებს საგანმანათლებლო პროცესს. მაგრამ სხვაგვარად ვერაფერს გავხდებით, ჩვენს აღსაზრდელებს ხომ გაუთვალისწინებელ და გადაუდებელ სიტუაციებშიც მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილებების მიღება. – რექტორმა ამოიოხრა. ამასობაში ბერნარდს ძალიან მოეწონა მის კიტი. – თუ თავისუფალი ხართ, ნებისმიერ საღამოს ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს, – ეუბნებოდა ქალს. – ძალიან უცნაური ვინმეა, – დაამატა მერე და ცერით ველურზე მიანიშნა, – უცნაური და ძველმოდური. მის კიტმა გაიღიმა (ღიმილი მართლაც ძალიან უხდება, გაიფიქრა ბერნარდმა), მაღლობა გადაუხადა და მიწვევას სიამოვნებით დათანხმდა. რექტორმა აუდიტორიის კარი შეაღო. ალფა პლუს-პლუს მოსწავლეების მეცადინეობის ხუთმა წუთმა ჯონს, ცოტა არ იყოს, თავგზა აურია. – რას ნიშნავს ელემენტარული ფარდობითობა? – წასჩურჩულა ბერნარდს. ბერნარდი შეეცადა აეხსნა, მაგრამ გადაიფიქრა და სხვა მეცადინეობაზე დასწრება შესთავაზა. ბეტა-მინუსების გეოგრაფიის კაბინეტისკენ მიმავალ დერეფანში ერთ-ერთ კარს მიღმა ხმამაღალი სოპრანო გაისმა: – ერთი, ორი, სამი, ოთხი, – რომელსაც თავმოებურებული და გაღიზიანებული ტონით გაცემული მითითება მოჰყვა, – საკმარისია. – მალთუსიანური ინსტრუქცია, – განმარტა მის კიტმა. – ჩვენი გოგონების უმრავლესობა, რაღა თქმა უნდა, უნაყოფოა. ისევე როგორც მე, – გაუღიმა ბერნარდს. – თუმცა გვყავს რვაასიოდე გოგონა, რომლებსაც სტერილიზაცია არ ჩატარებიათ და რომლებიც გამუდმებულ წვრთნას საჭიროებენ. ბეტა-მინუსების გეოგრაფიის კაბინეტში ჯონმა შეიტყო, რომ „ველურების რეზერვაცია არის ადგილი, რომლის არახელსაყრელი კლიმატური და გეოლოგიური პირობების, ასევე მწირი ბუნებრივი რესურსების გამო, არ ღირდა ცივილიზაციაზე ფულის ფლანგვა“. დარბებმა გაიჩხაკუნა, ოთახში ჩამოხნელდა და უეცრად მასწავლებლის თავს ზემოთ, ეკრანზე ღვთისმშობლის წინ პირქვე დამხობილი აკომას Penitentes გამოჩნდნენ, ჯონისთვის კარგად ნაცნობი გოდებით ინანიებდნენ ცოდვებს ჯვარცმული ქრისტეს წინაშე, არწივში განსახიერებული პუკონგის წინაშე. დარბაზში მყოფმა იტონის სტუდენტობამ ამ სურათის დანახვაზე ხმამაღალი სიცილი ატეხა. მონანულები გმინვა-გოდებით წამოდგნენ ფეხზე, წელზემოდ გამოიშვლდნენ და კვანძებიანი მათრახებით შეუდგნენ თვითგვემას, თავდაუზოგავად, თავგამოდებით.

დარბაზში ატეხილი სიცილი კი ისე გაძლიერდა, რომ მონანულების გმინვა-გოდების ელექტროაპარატურით გაძლიერებული ჩანაწერი მთლიანად გადაფარა. – რა აცინებთ? – ტკივილნარევი შეცბუნებით იკითხა ჯონმა. – რა აცინებთ? – რექტორმა სიცილისგან დამანჭული სახე ჯონისკენ მიაბრუნა. – რა აცინებთ? აცინებთ ის, რომ ეს არანორმალურად სასაცილოა. ხოლო ბერნარდმა კინემატოგრაფიულ ბინდბუნდში ისეთი რამ მოიმოქმედა, სრულ სიბნელეშიც რომ ვერასოდეს გაბედავდა ადრე. თავისი ახალი მდგომარეობით ფრთაშესხმულმა სკოლის დირექტორს წელზე ხელი მოხვია. ქალიც დაემორჩილა, ტირიფივით დაჰყვა. ბერნარდი ის-ის იყო აპირებდა ეკოცნა და ნაზადაც ეჩქმიტა, რომ დარაბების ხმა გაისმა და ოთახი ისევ განათდა. – ალბათ, ჯობს, შემოვლა განვაგრძოთ, – თქვა მის კიტმა და კარისკენ გაემართა. – აქ კი, – რექტორმა ერთ-ერთ ოთახზე მიუთითა, – ჰიპნოპედიის მართვის ცენტრი გვაქვს. ოთახის სამი კედლის გაყოლებით ჩამწკრივებულ თაროებზე ასობით ფირსაკრავი იდო – თითო ფირსაკრავი თითო სამინებლისთვის. მეოთხე კედელი ღია უჯრებიან კარადას ეკავა. უჯრე ბი ქალაღდის რულონებით იყო გამოტენილი, რომლებზეც ჰიპნოპედიური გაკვეთილების ფონოგრამები იყო ჩაწერილი. – რულონს ვათავსებთ აქ, – შეაწყვეტინა ბერნარდმა რექტორს, – ვაჭერთ ამ ღილაკს... – არა, აი იმ ღილაკს, – შემფოთდა რექტორი.

– ჰო, იმ ღილაკს. რულონი იშლება. სელენის ფოტოელემენტები სინათლის იმპულსს ბგერით ტალღებად გარდაქმნის და...

– და ჰიპნოპედია იწყება, – დაასკვნა დოქტორმა გეფნიმ.

– შექსპირს კითხულობენ? – იკითხა ველურმა, როდესაც გზად ბიოქიმიური ლაბორატორიისკენ სკოლის ბიბლიოთეკას ჩაუარეს.

– რა თქმა უნდა, არა, – მის კიტი გაწითლდა.

– ჩვენს ბიბლიოთეკაში, – აღნიშნა დოქტორმა გეფნიმ, – მხოლოდ ცნობარები ინახება. თუუ განტვირთვა დასჭირდათ, ახალგაზრდებს სენსოფილმზე წასვლა შეუძლიათ. ჩვენ ხელს არ ვუწყობთ გართობას, რომელიც განმარტობას მოითხოვს. მინისსაფარიან გზაზე გოგონებით და ბიჭებით დატვირთულმა ხუთმა ავტობუსმა ჩაიარა. ბავშვებიდან ზოგი მღეროდა, დანარჩენები წყნარად ისხდნენ, ერთმანეთს გადახვეულები.

– სლაუს კრემატორიუმიდან ბრუნდებიან, – განმარტავდა დოქტორი გეფნი, სანამ ბერნარდი მის კიტს ჩურჩულით უნიშნავდა პაემანს, თანაც იმავე საღამოს. – აღზრდა სიკვდილის საკითხებზე წლინახვერის ასაკიდან იწყება. ყველა პატარა კვირაში ორ დილას მომაკვდავთა საავადმყოფოში ატარებს. იქ საუკეთესო სათამაშოებია, სიკვდილის დღეებში კი ბავშვებს შოკოლადის კრემით უმასპინძლებიან. ამრიგად, ბავშვები სიკვდილის ჩვეულებრივ მოვლენად აღქმას ეჩვევიან.

– ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ფიზიოლოგიური პროცესისას, – კომპეტენტურად ჩაურთო მის კიტმა. რვა საათზე, „სავოიში“. ყველაფერი შეთანხმებულია. ლონდონში დაბრუნებისას, უკანა გზაზე ბრენტფორდის ტელეკორპორაციის ქარხანაში შეჩერდნენ.

– გთხოვ, ერთი წუთით დამელოდე, დავრეკავ და ახლავე მოვალ, – სთხოვა ბერნარდმა ველურს. ჯონი ელოდა და თან იქაურობას ათვალიერებდა. დილის ძირითადმა ცვლამ მუშაობა დაამთავრა. მონორელსური სადგურის შესასვლელთან რიგში დაბალი კასტის მუშები გამწვრივებულიყვნენ – ორივე სქესის გამა, დელტა და ეფსილონი – შვიდასი ან რვაასი ტყუპი – მხოლოდ თორმეტი სახე, თორმეტი სიმადლე. ბილეთთან ერთად მოლარისგან თითოეული მათგანი პატარა მუყაოს კოლოფს იღებდა. ქალებისა და მამაკაცების მწკრივი წინ მუხლუხოსავით მიიწევდა. – რა არის ამ... („ვენეციელი ვაჭარი“ გაახსენდა) ამ პატარა ზარდახშებში? – ჰკითხა ველურმა დაბრუნებულ ბერნარდს. – სომის დღიური დოზა, – ბერნარდის პასუხი გაურკვეველად გაისმა, პირი ბენიტო ჰუვერის ნაჩუქარი სექს-ჰორმონიანი საღეჭი რეზინით ჰქონდა გამოტენილი. – „მორჩი შრომას – მიიღე სომა“. ოთხი ნახევარგრამიანი ტაბლეტი. შაბათობით – ექვსი. ჯონს ხელი მეგობრულად გადახვია და ვერტმფრენისკენ გაუძღვა. ლენინა სიმღერით შევიდა გასახდელში. – კმაყოფილი და ნასიამოვნები ჩანხარ, – მიმართა ფანიმ. – ჰო, ნამდვილად ასეა! – მიუგო ლენინამ და ბზზზ!!! ელვა შესაკრავი გაიხსნა. – ნახევარი საათის წინ ბერნარდმა დამირეკა. – ბზზზ, ბზზზ! შორტები გაიხადა. – დღეს საღამოს გაუთვალისწინებელი შეხვედრა აქვს და ველურის სენსო-ფილმზე წაყვანა მთხოვა. – ბზზზ! – სასწრაფოდ უნდა გავფრინდე. – თქვა და სააბაზანოსკენ გაიქცა. – რა ბედი აქვს ამ გოგოს, – ჩაილაპარაკა ფანიმ და თვალი გააყოლა. შურით არ უთქვამს, გულკეთილმა ფანიმ, უბრალოდ, ის აღნიშნა, რაც უტყუარი ფაქტი იყო. ლენინას მართლაც ბედმა გაუღიმა, რადგან ველურის უზარმაზარი პოპულარობის მოზრდილი წილი ბერნარდთან ერთად მანაც გაიზიარა. ბედმა გაუღიმა, რადგან ყველაზე მოდურმა სენსაციამ მისი უმნიშვნელო პიროვნება დიდების ზენიტში აიყვანა. განა თვით ქალთა ახალგაზრდული ფორდიანული ასოციაციის<sup>1</sup> მდივანმა არ მიიწვია ლექციის წასაკითხად რეზერვაციაში მოგზაურობის შესახებ? განა კლუბ „აფროდიტეუმში“ არ მიიპატიჟეს ყოველწლიურ საზეიმო ვახშამზე? „ახალ სენს-ამბებშიც“ ხომ გამოვიდა და პლანეტის მილიონობით მცხოვრებისთვის მხედველობით, სმენითა და შეხებით გახდა მისაწვდომი? არანაკლებ სასიამოვნო იყო მის მიმართ ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ყურადღება. მაკონტროლებლის მეორე მდივანმა საუზმეზე და ვახშამდ მიიპატიჟა. ერთი შაბათ-კვირა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, ხოლო მეორე კენტერბერისსიმღერთუხუცესთან<sup>2</sup> გაატარა. შიდა და გარე სეკრეციის კორპორაციის პრეზიდენტი ყოველდღე ურეკავდა, ევრობანკის მმართველის მოადგილესთან ერთად კი დოვილში დაისვენა. – ასე მგონია, ზღაპარში ვარ. და მაინც, – გამოუტყდა მეგობარს, – მგონია, რომ ყველაფერ ამას დაუმსახურებლად ვიღებ, რადგან ჩემგან განსაკუთრებით ის აინტერესებთ, თუ როგორია სექსი ველურთან. მე კი იძულებული ვარ ვადიარო, რომ არ ვიცი. – თავი ჩალუნა. – მამაკაცების უმრავლესობას ჩემი, რა თქმა უნდა, არ სჯერა. მაგრამ ეს მართალია. სამწუხაროდ მართალია, – დაამატა სევდიანად და ამოიოხრა. – ძალიან ლამაზია, არა? – ჰო, მაგრამ დავიჯერო არ მოსწონხარ? – გაიკვირვა ფანიმ. – ხან მგონია, რომ მოვწონვარ, ხან – არა. ყოველმხრივ ცდილობს, თავი ამარიდოს; ოთახიდან გადის, როდესაც მე შევდივარ; არასოდეს მეხება, არც კი მიყურებს. მაგრამ ზოგჯერ, თუ მოულოდნელად მოვტრიალდი, მის მზერას ვაწყდები და ვხვდები... ხომ იცი, როგორ გიყურებს კაცი, რომელსაც მოსწონხარ. ფანიმ, ცხადია, იცოდა. – ვერაფერი გავიგე, – თქვა ლენინამ. ვერაფერი გაიგო. და მარტო გაკვირვებული კი არა, შეწუხებულიც იყო. – იმიტომ რომ, მე მომწონს, ფანი. „სულ უფრო



მეტად მომწონს, ახლა კი შანსი მომეცა“, – ფიქრობდა აბაზანის შემდეგ სუნამონაკურები ლენინა. ყველგან, ყველგან უნდა იპყროს. მშვენიერი განწყობა ჰქონდა და ამღერდა: „ოჰ, ბაჭიავ, მომეფერე, მკოცნე და მომგვარე კომა, მომანდომე სიყვარული, უფრო ტკბილი, ვიდრე სომა“. სურნელოვანი ორდანი მშვენიერ, მხიარულ „ბალახის კაპრიჩოს“ უკრავდა – იღვრებოდა ბეგქონდარასა და ლავანდის, როზმარინის, რეჰანის, მირტის, ტარხუნის არპეჯიოები, ამბრისკენ სვლა თამამი მოდულაციებით, სანელებლების მთელი გამის გავლით. მერე სანდალოზის, ქაფურის, კედრის და ახალმოთიბული თივის სურნელით (აქა-იქ შემოტანილი ფაქიზი დისონანსები – თირკმლის პუდინგისა და ღორის ნაკელის მსუბუქი არომატების კვალი) ნელი დაბრუნება ბალახოვან სამყაროში, რითაც კაპრიჩო დაიწყო. აი, ბეგქონდარას უკანასკნელი ბგერაც მიიღია. გაისმა აპლოდისმენტები. დარბაზი განათდა. სინთეზური მუსიკის აპარატში ფონოგრამა დატრიალდა. ჰაერი ახლა ექსტრავიოლინოს, სუპერვიოლონჩელის და ჰობოი-სუროგატის ტრიოს მომთენთავმა ნეტარებამ გააჯერა. ოცდაათი ან ორმოცი ტაქტი, მერე კი ინსტრუმენტულ ფონზე, ზეადამიანის ხმამ დაიწყო გალობა: ხან გულის სიღრმიდან, ხან თავიდან ამოსული, ხანაც ფლეიტასავით სუფთა, ან ვნებიანად ჰარმონიული ხმა მუსიკალური ტონების ზღვრული, რეკორდულად დაბალი რეგისტრიდან დაუმაზავად გადადიოდა თითქმის ზებგერით ტრელებამდე და იმ გამკვივან დო-საც კი გადააჭარბა, რომელიც მუსიკის ისტორიაში ერთადერთმა მომღერალმა ლუკრეცია აიუგარიმ გამოსცა (მოცარტის გასაკვირად) 1770 წელს პარმის საჰერცოგო ოპერაში. პნევმატურ სავარძლებში ღრმად ჩაფლული ლენინა და ველური სურნელს ისუნთქავდნენ და მუსიკას უსმენდნენ. მერე აღქმაში თვალები და კანი ჩაერთო. სინათლე ჩაქრა. მსხვილი ცეცხლოვანი ასოები აინთო და სიბნელეში დაეკიდა: „სამი კვირა ვერტმფრენში. სუ პერმუსიკალური, სინთეზურმეტყველი, ფერადი სტერეო სკოპული სენსოფილმი სურნელოვანი ორდანის სინქრონული თანხლებით“. – ხელი ლითონის ბურთულეებს მოკიდე სავარძლის სახელურზე, – წასჩურჩულა ლენინამ. – სხვანაირად შეგრძნების ეფექტს ვერ მიიღებ. ჯონმა მითითება შეასრულა. ცეცხლოვანი ასოები ჩაქრა, სრულმა სიბნელემ ათ წამს გასტანა. მერე უცებ ორი თვალისმომჭრელი გამოსახულება გამოჩნდა – სისხლხორცეულზე შეუდარებლად უფრო ცოცხალი, რეალურზე გაცილებით რეალური – ეს იყო ერთმანეთის მკლავებში მყოფი გოლიათი შავკანიანის და ოქროსთმიანი ბრაქიცეფალი ბეტა-პლუს ლამაზმანის სტერეოსკოპული გამოსახულება. ველური შეკრთა. ეს რა ელამუნება ტუჩებზე! ხელი პირთან მიიტანა. ღიტინისმაგვარი შეგრძნება გაქრა. მერე ხელი ისევ ლითონის ბურთულას დაადო – ტუჩებზე ისევ ღიტინი იგრძნო. ორდანიდან მუშკის სურნელოვანი ბგერები ქროდა. ფონოგრამიდან მომავალი მტრედის ალერსიანი ღულუნი – „ოოო-ოჰ“ – თანდათან მისუსტდა. პასუხად აფრიკულ ბანზე უფრო დაბალი გუგუნის გაისმა, წამში ოცდათორმეტი რხევით: „აა-აჰ“! „ოოჰაჰ“! „ოოჰ-აჰ“! სტერეოსკოპული ტუჩები ერთმანეთს ისევ შეეწება და „ალჰამბრაში“ მოსული ექვსი ათასი მყურებლის სახის ეროგენული ზონები თითქმის აუტანლად სასიამოვნო გაღვანურმა ჟრუტელმა ისევ მოიცვა. „ოოჰ“... ფილმის სიუჟეტი უკიდურესად მარტივი იყო. პირველი ოხვრა - კვნესიდან რამდენიმე წუთის შემდეგ (წყვილმა დუეტი შეასრულა, ისიყვარულა ცნობილ დათვის ტყავზე, რომლის თითოეული ბეწვი – ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწეარ ცდებოდა – სათითაოდ და ცოცხლად შეიგრძნობოდა) შავკანიანი ვერტმფრენის კატასტროფაში მოჰყვა და თავით მიწას დაასკდა. ბუმ! ეს რა ტკივილმა გაუხვრიტა მყურებელს შუბლი! დარბაზს გმინვა ერთხმად აღმოხდა.

ტვინის შერყევამ შავკანიანის აღზრდა-ფორმირების შედეგი ნულზე დაიყვანა და კაცი ქერა ბეტა-ლამაზმანის მიმართ მანიაკალური ვნებით აღავსო. ქალი პროტესტს აცხადებდა, ის კი თავისას არ იშლიდა. იყო ბრძოლა, დევნა, თავდასხმა და ბოლოს, თავბრუდამხვევი მოტაცება. მოძალადის მიერ დატყვევებულმა ქერათმიანმა ბეტამ სამი კვირა ცაში, კიდეების რეჟიმში მყოფ ვერტმფრენში გაატარა. სამი კვირა გრძელდებოდა ველური, ანტისაზოგადოებრივი ტტეტე-ბ-ტტეტე შავ მანიაკთან. ბოლოს, მთელი რიგი თავგადასავლებისა და საჰაერო აკრობატიკის შემდეგ, სამმა ულამაზესმა ჭაბუკმა ალფამ ქალის გათავისუფლება მოახერხა. შავკანიანს მოზრდილთა მეორადი აღზრდაფორმირების ცენტრში უკრეს თავი, ფილმი კი ბედნიერად და ღირსეულად დასრულდა – ქერა ლამაზმანი სამივე გადამრჩენის საყვარელი გახდა. კულმინაციური ეროტიული სცენა მხოლოდ წუთით შეწყდა სინთეზური კვარტეტის შესასრულებლად სრული სუპერსაორკესტრო აკომპანემენტით და გარდენიების საორღანო სურნელით. ფინალურ კადრში – ისევ დათვის ტყავი, სექსოფონების თანხლებით ეკრანზე გაჩნდა და მერე სიბნელეში გაუჩინარდა უკანასკნელი სტერეოსკოპული კოცნა, მაყურებლის ტუჩებს მომაკვდავი ფარვანას თრთოლვასავით დაედო უკანასკნელი ელექტროჟრუანტელი, უფრო და უფრო ნაზად და სუსტად, ბოლოს კი თანდათან მიწყდა და საბოლოოდ ჩაკვდა. მაგრამ ლენინასთვის ფარვანა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სინათლე აინთო, ველურთან ერთად ნელა დაიძრა ლიფტისკენ მაყურებლების ბრბოში, აჩრდილი კი ისევ ტუჩებზე თრთოდა, არ ცხრებოდა კანქვეშ ტკბილი და სანეტარო ჟრჟოლა, ლოყები უხურდა. ველურს ხელი გამოსდო, მისი იდაყვი ნაზად მიიკრა გვერდზე და ახედა. ჯონს ფერი არ ედო, სახეზე ტკივილი და ვნება ეწერა და ამ ვნების საშინლად რცხვენოდა. ღირსი არ არის, ღირ... მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, სულ ერთი წამით. ო, რას ჰპირდება თურმე ეს მზერა! სიყვარულის მეფურ საგანძურს! თვალი სწრაფად აარიდა და ხელი გაითავისუფლა. ქვეცნობიერმა დღევამ შეიპყრო, შიშობდა, ლენინაც ისეთი არ გამხდარიყო, ვის ღირსადაც თავის თავის ჩათვლას შეძლებდა. – ჩემი აზრით, ასეთ რამეებს არ უნდა უყურებდეთ, – ჩაილაპარაკა. უნდოდა ლენინასთვის სრულყოფილებიდან წარსული ან შესაძლო მომავალი იოტისოდენა გადახრაც კი მიეტევებინა და გარემოებებისთვის გადაებრალებინა. – როგორ რამეებს, ჯონ? – მაგალითად, ამ საშინელ ფილმს. – საშინელ ფილმს? – ლენინას გულწრფელად გაუკვირდა. – ჩემი აზრით ფილმი მშვენიერი იყო. – ეს იყო მდარე ფილმი, – თქვა აღშფოთებულმა, – მდარე, გარყვნილი და სამარცხვინო. ლენინამ ამოიოხრა. – ვერ ვხვდები, რას გულისხმობ. – რატომ არის ასეთი უცნაური და ახირებული? რატომ ცდილობს ყოველთვის ყველაფერს ხაზი გადაუსვას? ვერტ-ტაქსიში ლენინასკენ არც კი გაუხედავს. მტკიცე აღთქმებით შებორკილი (რომლებიც არასოდეს დაუდვია), იმ კანონების მორჩილი, რომლებმაც ძალა დიდი ხნის წინ დაკარგა, ხმაამოუღებლად იჯდა თავდახრილი. მხოლოდ დროდადრო, თითქოს უხილავი ხელი გაწყვეტამდე დაჭიმულ სიმს ეხებო, მთელ სხეულში უეცარი ნერვული კრთომა უვლიდა. ვერტ-ტაქსი ლენინას სახლის სახურავზე დაეშვა. „როგორც იქნა“! სიხარულით გაიფიქრა ქალმა კაბინიდან გადმოსვლისას. როგორც იქნა! მიუხედავად იმისა, რომ ახლაც ასე უცნაურად იქცევა. ფარნის ქვეშ გაჩერდა და პატარა სარკეში ჩაიხედა. ჰო, ცხვირი ოდნავ უპრიალებს. ჩანთიდან პუდრი და ღრუბელი ამოიღო. დრო აქვს, სანამ ჯონი ტაქსისტს ფულს გადაუხდის. მერე ცხვირზე პუდრი გადაისვა და გაიფიქრა: „ძალიან ლამაზია. რატომ უნდა იყოს ბერნარდით მორცხვი? და მაინც... სხვა მის ადგილზე ამას დიდი ხნის წინ გააკეთებდა. ახლა კი, როგორც იქნა“. და უცებ პატარა მრგვალი

სარკიდან საკუთარი სახის ფრაგმენტმა გაუღიმა. – ღამე მშვიდობისა, – ზურგს უკან შეკავებული ხმა მოესმა. შებრუნდა. ჯონი კაბინის ზღურბლთან იდგა, თვალს არ აშორებდა. როგორც ჩანს, ასე იდგა და უყურებდა, როგორ იპუდრავდა ცხვირს. იდგა და ელოდა – მაგრამ რას? ან ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, ფიქრობდა. რაზე? ო, რა უცნაურია და ახირებული! – ღამე მშვიდობისა, ლენინა, – გაიმეორა. სახეზე ღიმილის მსგავსი გრიმასა გამოესახა. – ჰო, მაგრამ, ჯონ, მე მეგონა... მეგონა... ანუ, ხომ არ?... ჯონი კაბინაში შევიდა, კარი დახურა და პილოტს მიუბრუნდა რაღაცის სათქმელად. ვერტმფრენი ცაში აიჭრა. ვერტმფრენის ფსკერზე ამოჭრილი სარკმლიდან ლენინას სახეს ხედავდა, მისკენ მიმართულს, ფერმკრთალს ფარნების მოცისფრო შუქზე. პირი ღია აქვს, ეტყობა, ეძახის. მერე ქალის ფიგურა თანდათან დაპატარავდა, დაშორდა და ბოლოს სახურავის კვადრატთან ერთად შთაინთქა სიბნელეში. ხუთი წუთის შემდეგ თავის ოთახში იყო უკვე. მაგიდის უჯრიდან თავგების დაღრღნილი ტომი ამოიღო, ფრთხილად, მოწიწებით გადაშალა დალაქავებული, დაჭმუჭნულ-დანაფლეთებული გვერდები და „ოტელოს“ კითხვა დაიწყო. ახსოვდა, რომ ოტელო, სენსო-ფილმის გმირის მსგავსად, შავკანიანი იყო. ლენინამ ცრემლები მოიწმინდა, სახურავი გადაჭრა და ლიფტისკენ გაემართა. ოცდამეშვიდე სართულზე დაშვებისას ჯიბიდან სომის ბოთლი ამოიღო. ერთი გრამი არ ეყოფა. მისი სევდა ერთგრამიანზე მეტია. ორი გრამი რომ დალიოს, დილით ვეღარ გაიღვიძებს თავის დროზე. მერე გადაწყვეტილება მიიღო და ხელისგულზე სამი ნახევარგრამიანი აბი გადმოიბერტყა.

## თავი მეთორმეტე

ბერნარდი იძულებული გახდა ყვირილი აეტეხა. ოთახში ჩაკეტილი ჯონი კარს არ უღებდა.

– ჯონ, ყველა აქ არის, მხოლოდ შენ გელოდებიან.

– მელოდონ, რამდენიც უნდათ, – ყრუდ მოისმა ოთახიდან.

– ჰო, მაგრამ, ჯონ, შენ ხომ მშვენივრად იცი, – (რა ძნელია ვინმე რამეში დაარწმუნო, როცა უკანასკნელ ხმაზე გაჰყვირი!) –

– რომ ისინი შენთან შესახვედრად მოვიწვიე.

– ჯერ ჩემთვის უნდა გეკითხა, მინდოდა თუ არა მათთან შეხვედრა.

– ჯონ, შენ ხომ შეხვედრებზე უარი არასოდეს გითქვამს.

– ჰოდა ყელში ამომივიდა, მეტი აღარ მინდა.

– ჩემი გულისთვის, ჯონ, – ბერნარდმა მოახერხა და ყვირილში მლიქვნელობა შეაპარა. – გთხოვ, მხოლოდ ჩემი ხათრით!

– არა.

– ამას სერიოზულად მეუბნები?

– ჰო.

– მერე მე რაღა ვქნა? – ამოიგმინა სასოწარკვეთილმა.

– ჯანდაბამდე გზა გქონია! – მოისმა გაღიზიანებული ხმა კარს უკან.

– ჯონ, დღეს თვით კენტერბერის სიმღერთუხუცესი გვეწვია.

– ტირილს აღარაფერი უკლდა.

– აი იაა ტაკვა! – მხოლოდ ზუნის ენაზე შეეძლო ზუსტად გამოეხატა თავისი გრძნობები კენტერბერის სიმღერთუხუცესის მიმართ. – ჰანი! – დაამატა ცოტა ხნის შემდეგ. მერე კი (დაცინვით, თანაც ბრაზით): – სონსესო ცე ნა. – და იატაკზე დააფურთხა, პოპე რომ იზამდა, სწორედ ისე. ბოლოს და ბოლოს, პირშიჩალაგამოვლებული ბერნარდი მოუთმენლად მომლოდინე თავყრილობას დაუბრუნდა და ამცნო, რომ ველური არ მოვიდოდა. მამაკაცები საშინლად აღშფოთდნენ. ბერნარდმა, ამ ცუდი რეპუტაციის და ერეტიკული შეხედულებების მქონე უბადრუკობამ, ჯერ თავაზიანი მოპყრობა გამოსტყუა ყველას, მერე კი ყველა ასე გააბითურა. რაც უფრო მაღალი იყო სტუმრის სოციალური სტატუსი, მით უფრო ძლიერი იყო მისი რისხვა. – ჩემი ასეთი აბუჩად აგდება? – არ ცხრებოდა კენტერბერის სიმღერთუხუცესი. – ჩემი?! ქალები კი იმან გააგულისა, რომ ამ საცოდავმა სუბიექტმა მათი გაიძვერულად გამოყენება შეძლო, ამ არარაობამ, ბოთლში სპირტი რომ ჩაუსხეს შეცდომით, ამ გამა-მინუსის გარეგნობის მქონე კაცუნამ. ეს უმსგავსობაა – ქალები გულისწყრომას უფრო და უფრო ხმამაღლა გამოხატავდნენ. განსაკუთრებული გესლიანობით მის კიტი გამოირჩეოდა, იტონის

სკოლის დირექტორი. მხოლოდ ლენინა დუმდა. კუთხეში იჯდა ფერმკრთალი, ყველასგან მოწყვეტილი და გარიყული და ცისფერ თვალებში უჩვეულო სევდა ჩადგომოდა.

წვეულებაზე უცნაური, გაურკვეველი სიხარულის განცდით აღსავსე მივიდა. ოთახში შემესული თავის თავს ეუბნებოდა: „რამდენიმე წუთში ვნახავ, დაველაპარაკები, ვეტყვი (გადაწყვეტილება აქ მოსვლამდე ჰქონდა მიღებული), რომ მომწონს – მომწონს ყველაზე მეტად, ვისაც კი ცხოვრებაში შევხვედრივარ. და მერე ალბათ ისიც მეტყვის“... რას ეტყვის? სახეზე სისხლი მოაწვა, ლოყები აუწითლდა. „რატომ იქცეოდა ასე იმ დამით, ფილმის შემდეგ? რა უცნაურია. და მაინც, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მოვწონვარ. ამაში ეჭვი არ მეპარება“... სწორედ ამ დროს იყო ბერნარდი რომ დაბრუნდა და სტუმრებს ამცნო, ველური წვეულებაზე არ მოვაო. ლენინას უეცრად დაეუფლა ყველა ის გრძნობა, ძლიერი ვნების ჩანაცვლებითი თერაპიის დასაწყისში რომ ეუფლებოდა ხოლმე ჩვეულებრივ – სამინელი სიცარიელე, სულისშემხუთველი, სევდიანი წინათგრძნობა და გულისრევის შეგრძნება. გული თითქოს გაუჩერდა. „ალბათ იმიტომ, რომ არ მოვწონვარ“, – გაიფიქრა. და ეს შესაძლებლობა იმწამსვე უტყუარ ფაქტად მიიღო: ჯონი იმიტომ არ მოვიდა, რომ ლენინა არ მოსწონს. არ მოსწონს... – ხედავთ, თავის თავს რის უფლებას აძლევს, – ეუბნებოდა მის კიტი კრემატორიუმებისა და ფოსფორის უტილიზაციის საწარმოს დირექტორს. – როცა ვფიქრობ, რომ მე მართლაც... – დიახ, დიახ, – ისმოდა ფანი კრაუნის ხმა, – სპირტის შესახებ ყველაფერი სრული ჭეშმარიტებაა. ჩემი ნაცნობის ნაცნობი სწორედ იმ დროს მუშაობდა ემბრიონარიუმში. იმან ჩემს მეგობარს უთხრა, ჩემმა მეგობარმა კი – მე... – ძალიან ცუდი, ძალიან ცუდი, – მხარი აუბა კენტერბერის სიმღერთუხუცესს ჰენრი ფოსტერმა. – ალბათ დაგაინტერესებთ ის ფაქტი, რომ ჩვენს ყოფილ დირექტორს ბერნარდის ისლანდიაზე გადაყვანის საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მაგიდაზე ედო, ხელმოწერილი. ეს სიტყვები ბერნარდის უზომოდ გაბერილ ამპარტავნების ბუშტს ნემსებივით ესობოდა და ისიც თვალსა და ხელს შუა იჭმუხნებოდა, თანდათან იცლებოდა ათასობით ნასვრეტიდან. გაფითრებული, დამცირებული, აკანკალებული და თავგზააზნეული ბერნარდი დარბაზში დაბორილებდა, სტუმრებს აწყდებოდა, უთავბოლო ბლუკუნით ითხოვდა პატიებას, ირწმუნებოდა, შემდეგ შეხვედრაზე ველური აუცილებლად მოვა, ოღონდ ახლა დასხედით და კაროტინის სენდვიჩი და ა-ვიტამინის ღვეხელი გასინჯეთ, სუროგატული შამპანური მიირთვითო. სტუმრები ჭამა-სმას არ იკლებდნენ, ბერნარდს კი ადამიანად არ აგდებდნენ, სვამდნენ და ან პირში ლანძღავდნენ, ან ისე ხმამაღლა და შეურაცხყოფელად იხსენიებდნენ, თითქოს იქ არც კი ყოფილიყო. – მეგობრებო, ახლა კი, – გამოაცხადა გვარიანად დანაყრებულმა კენტერბერის სიმღერთუხუცესმა თავის მშვენიერი, მოგუგუნე ხმით, რომლითაც ფორდის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს წარმართავდა ხოლმე. – ახლა კი, მგონი, დროა... – და წამოდგა, ჭიქა დადო, მეწამული ვისკოზის ჟილეტიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა და კარისკენ გაემართა. ბერნარდი გაექანა და გზა გადაუჭრა. – თქვენო უფორდესობავ, ჯერ ძალიან ადრეა. იქნებ ცოტა ხნით... ო, რა იმედებს ამყარებდა, როცა ლენინამ საიდუმლოდ გაანდო, სიმღერთუხუცესი სტუმრად მოსვლას დათანხმდება, თუკი მოწვევას გაუგზავნიო. „იცი, რა კარგი ვინმეა?“ და ბერნარდს თ-ს ფორმის პატარა ოქროს კულონი უჩვენა, რომელიც სიმღერთუხუცესმა ლამზეთში ერთად გატარებული დღეების სამახსოვროდ აჩუქა. „წვეულება კენტერბერის სიმღერთუხუცესისა და ბ-ნი ველურის პატივსაცემად“ – გამარჯვების ნიშნად ასე დააწერა ბერნარდმა მოსაწვევებს. ველურმა კი ზუსტად ეს საღამო ამოარჩია ოთახში

ჩაკეტვისა და „ჰანის“ და (მადლობა ღმერთს, ბერნარდს ზუნის ენა არ ესმოდა) „სონსესო ცე ნას“ საყვირლად. შეხვედრა, რომელიც კარიერის მწვერვალად წარმოედგინა, მტანჯველი დამცირების წუთებად ექცა. – მე კი იმედი მქონდა... – უზენაეს ფორდმსახურს მუდარით შეხედა და შემცბარმა ამოილულლულა. – ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, – ხმამაღლა, საზეიმო, მაგრამ მკაცრი ტონით წამოიწყო სიმღერთუხუცესმა. სიჩუმე ჩამოწვა. – ნება მიბოძეთ, ერთი რჩევა მოგცეთ. – და გაფრთხილების ნიშნად ბერნარდს თითი დაუქნია. – მიიღეთ ჩემი კეთილი რჩევა. სანამ გვიან არ არის. – (ხმა ახლა სამგლოვიაროდ აჟღერდა). – მონანიება, შვილო ჩემო, მონანიება და მოქცევა. – მერე თ გარდასახა პირჯვარივით და ზურგი აქცია. – ლენინა, ძვირფასო, – დაუძახა დამთბარმა. – წავიდეთ. დათრგუნული და დაღვრემილი (საერთოდ ვერ აცნობიერებდა, თუ რა პატივი ხვდა წილად) ლენინა მორჩილად გაჰყვა უკან. კენტერბერის სიმღერთუხუცესის პატივისცემის ნიშნად, დანარჩენი სტუმრები ოდნავ შეყოვნდნენ. ბოლოს კარი უკანასკნელმაც გაიჯახუნა და ბერნარდი მარტო დარჩა. გამოფიტული და განადგურებული სკამზე დაეშვა, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. ცოტა ხანს იტირა, მერე დასამშვიდებლად უკეთეს ხერხს მიმართა – ოთხი აბი სომა დალია. ზემოთ კი, თავის ოთახში, ველური „რომეო და ჯულიეტას“ კითხულობდა. ლენინა და სიმღერთუხუცესი ლამბეთის სასახლის სახურავზე დაეშვნენ. – ცოცხლად, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ჰო, ანუ ლენინა, – მოუთმენლად დაუძახა ლიფტის კართან მდგომმა სიმღერთუხუცესმა. ლენინამ, რომელიც ერთი წუთით შეყოვნდა, რომ მთვარისთვის შეეხედა, თვალები დახარა და ლიფტისკენ აჩქარებით წავიდა. „ახალი ბიოლოგიური თეორია“ – ასე ერქვა სამეცნიერო ნაშრომს, რომლის კითხვაც მუსტაფა მონდმა ახლახან დაამთავრა. ერთხანს იჯდა, მოღუშული და ჩაფიქრებული, მერე კალამი აიღო და სატიტულო ფურცელს გარდიგარდმო წააწერა: „ცხოვრების მიზნის ცნების ავტორისეული მათემატიკური განმარტება ახალია და ძალზე გონივრული, მაგრამ ერეტიკული, და რამდენადაც საზოგადოებრივ წყობას ეხება, ის სახიფათო და პოტენციურად დამღუპველია. გამოქვეყნებას არ ექვემდებარება“. ამ ფრაზას ხაზი გაუსვა. „ავტორზე დაწესდეს მკაცრი მეთვალყურეობა. შესაძლოა საჭირო გახდეს მისი გადაყვანა წმ. ელენეს კუნძულზე, საზღვაო ბიოლოგიურ სადგურში“. „დასანანი“, გაიფიქრა, როდესაც ხელს აწერდა. ძალზე ნიჭიერად შესრულებული ნაშრომია. მაგრამ სიცოცხლის საწყისზე ფიქრის უფლება რომ მისცე, სადამდე მივლენ, კაცმა არ იცის. ასეთმა იდეებმა შედარებით გონებადაუმჯდარ უმაღლესკასტელებზე შეიძლება ჩვენთვის უკიდურესად არასასურველი ზემოქმედება მოახდინოს, დააკარგვინოს მათ ბედნიერების, როგორც უზენაესი სიკეთის რწმენა, ამის მაგივრად მიზნის ძიება სადღაც დღევანდელი მდგომარეობის მიღმა დააწყებინოს და აფიქრებინოს, სიცოცხლის აზრი კეთილდღეობის შენარჩუნებაში კი არა, ცნობიერების გაფართოებასა და დახვეწაში, ცოდნის გაღრმავებაშიაო. და ალბათ, გაიფიქრა მაკონტროლებელმა, სიცოცხლის აზრი მართლაც ესაა. თუმცა დღევანდელ პირობებში ამის დაშვება წარმოუდგენელია. ისევ კალამი აიღო და სიტყვებს „გამოქვეყნებას არ ექვემდებარება“ ქვეშ მეორე ხაზი გაუსვა, პირველზე უფრო მუქი და მსხვილი. მერე ამოიოხრა, „რა კარგი იქნებოდა, – გაიფიქრა, – ადამიანს ბედნიერებაზე ფიქრი რომ არ სჭირდებოდეს!“ თვალდახუჭული, ალტაცებისგან გაცისკროვნებული ჯონი ლექსს წყნარად უკითხავდა სიცარიელეს: „მისმა კამკამმა ჩირაღდნებსაც წაართვა ძალა. ტოლი არა ჰყავს ქვეყანაზე, მარტოა, ცალად! შავს ეთიოპელს ბრილიანტის საყურე ჰშვენი, ღამის დაწვეს კი – ეს მშვენება, სინათლის მფენი.“<sup>1</sup> ლენინას მკერდზე T-ს ფორმის ოქროს კულონი

უბრწყინავდა. სიმღერთუხუცესმა კულონს ხელი წაავლო და წაეთამაშა, ხუმრობით რამდენჯერმე მოქაჩა. – მე მგონი, – ლენინამ ხანგრძლივი სიჩუმე დაარღვია, – აჯობებს ორი გრამი სომა დავლიო. ამ დროს კი შუა ძილში მყოფი ბერნარდი საკუთარ სიზმრებს უღიმოდა. უღიმოდა ბედნიერი და ნეტარი. მის თავთან დაკიდებული ელექტროსათის წუთების ისარი კი ყოველ ოცდაათ წამში ერთ დაუნდობელ ნახტომს აკეთებდა წინ, ოდნავ გასაგონი წიკწიკით. ტიკ, ტაკ, ტიკ, ტაკ... და აი, გათენდა. ბერნარდი ისევ მძიმე განცდებით აღსავსე დროსა და გარემოს დაუბრუნდა. უკიდურესად დათრგუნული წავიდა სამსახურში, აღმზრდელობით ცენტრში. ბოლოდროინდელმა ეიფორიამ გაიარა, თავი ძველ ბერნარდად იგრძნო. ღრუბლებიდან ისევ დედამიწაზე დაეშვა ისეთი დამძიმებული, როგორც არასდროს. ამძველი, დამძიმებული ბერნარდის მიმართ ჯონმა მოულოდნელი თანაგრძნობა გამოავლინა. – ახლა ისევ ისეთი ხარ, მალპაისში რომ იყავი, – თქვა მან წვეულების სავალალო დასასრულის მოსმენის შემდეგ. – გახსოვს, პირველად რომ ვისაუბრეთ პატარა სახლის ეზოში? ზუსტად ისეთი ხარ ახლა. – იმიტომ, რომ თავს ისევ უბედურად ვგრძნობ. – უბედურება მირჩევნია იმ ყალბ და მოჩვენებით ბედნიერებას, რომლითაც ბოლო ხანებში იყავი გარემოცული. – ამას შენ მეუბნები? – გამწარებით წამოიძახა ბერნარდმა. – ყველაფერი შენი ბრალია! წვეულებაზე არ მოხვედი, ყველა შენ ამიძხედრე და გადამკიდე! – ბერნარდმა იცოდა, რომ მისი სიტყვები აბსურდამდე უსამართლო იყო. გულშიც აღიარა და ბოლოს ხმამაღლაც, რომ ველური მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რა ფასი აქვს იმ მეგობარს, უმნიშვნელო მიზეზის გამო მოსისხლე მტრად რომ მოგეკიდებაო. თუმცა ამ ცოდნის და აღიარების მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ მეგობრის მხარდაჭერა და თანაგრძნობა ახლა მისი ერთადერთი ნუგეში იყო, იმის მიუხედავადაც, რომ მეგობარი გულწრფელად უყვარდა, გაჯიუტებული ბერნარდი ველურზე ისევ განაწყენებული იყო და მისთვის სამაგიეროს გადახდას გეგმავდა. სიმღერთუხუცესზე განაწყენებას აზრი არ ჰქონდა. ჩამოსხმის საამქროს ხელმძღვანელისა და მთავარი ხვედრგანმსაზღვრელის თანაშემწისთვის სამაგიეროს გადახდა არ შეეძლო. ველური კი ასეთ შესაძლებლობას აძლევდა და ეს მისი, როგორც მსხვერპლის, უდიდესი უპირატესობა იყო სხვებთან შედარებით. მეგობრის ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულებაა იმ სასჯელის ატანა (ოდნავ შერბილებული, სიმბოლური ფორმით), რომელიც გვინდა, რომ მტერს დავატეხოთ თავს, მაგრამ არ შეგვიძლია. ბერნარდის მეორე მეგობარი-მსხვერპლი ჰელმჰოლცი იყო. წარმატებით თავბრუდახვეული ჰელმჰოლცს აღარაფრად აგდებდა, მაგრამ როცა დამარცხებულმა ისევ მას მიაკითხა, ჰელმჰოლცს საყვედური არ დასცდენია. ისე გულითადად შეხვდა, თითქოს უსიამოვნება არც არასდროს მოსვლოდათ. ბერნარდზე ამან ძლიერ იმოქმედა; მაგრამ თავი ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნო მეგობრის დიდსულოვნების გამო, რომელიც არაჩვეულებრივიც იყო და ორმაგად დამამცირებელიც, რადგან მისი საფუძველი ჰელმჰოლცის ხასიათი იყო და არა სომის ზემოქმედება. ეს იყო კეთილშობილი და მიმტევებელი, ფხიზელი და ჩვეულებრივი, და არა სომით გაბრუებული ჰელმჰოლცი. ბერნარდი მაღლიერიც იყო (მეგობარი ისევ გვერდით ჰყავდა – ეს დიდი შვება იყო) და გაბოროტებულიც (კარგი იქნება, ამ სულგრძელობისთვის ჰელმჰოლცს როგორმე საკადრისი მიუზღოს!). ურთიერთობის აღდგენის პირველივე შეხვედრაზე გადმონათხია თავისი უსიამოვნებების ამბავი და სამაგიერო ნუგეშიც მიიღო. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყო, თავისდა გასაკვირად და სამარცხვინოდ, რომ გასაჭირში მარტო არ იყო. ხელისუფლებასთან ჰელმჰოლცსაც უთანხმოება ჰქონდა. – ყველაფერი ლექსის გამო მოხდა, –

უყვებოდა ჰელმჰოლცი. – მესამე კურსის სტუდენტებს გრძნობათა ტექნოლოგიის სპეციალურ კურსს ვუკითხავ. სულ თორმეტი ლექციაა, აქედან მეშვიდე – ლექსებზეა; უფრო სწორად, „ლექსების როლზე ზნეობრივ პროპაგანდასა და რეკლამაში“. ლექციებზე ყოველთვის უამრავი მაგალითი მომყავს ხოლმე. ამჯერად ვიფიქრე, სტუდენტებს ჩემს დაწერილ ლექსს შევთავაზებ-მეთქი. სიგიჟე იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი. – გაეცინა. – აუდიტორიის რეაქცია მაინტერესებდა. გარდა ამისა, – დაამატა უფრო სერიოზულად, – ამაში პროპაგანდის ელემენტაც ჩავდე: ვცდილობდი მათში იგივე გრძნობა გამომეწვია, ლექსის წერის დროს რომ მეუფლება. ო, ფორდ! – ისევ გაეცინა. – რა ამბავი ატყდა! რექტორმა გამომიძახა და გათავისუფლებით დამემუქრა. მოკლედ, შავ სიაში ვარ. – ასეთი რა ლექსი იყო? – მარტოობაზე დაწერილი ლექსი. ბერნარდს თვალეები გაუფართოვდა. – თუ გინდა, წაგიკითხავ. – და ჰელმჰოლცმა დაიწყო: „სხდომა დამთავრდა, სითიში შუალამეა უკვე; ორკესტრი დუმს, და ფლეიტა დოლების სიჩუმეს უსმენს. ღრმა ძილით სძინავს ყველაფერს, ბრბო აღარ გუგუნებს გარეთ, მის ადგილს სიჩუმე იკავებს, სიჩუმემ დათრგუნა ქარი. სიჩუმე ტირის და იცინის ხმამაღლა, ხანდახან ჩუმად, მომმართავს, მაგრამ ვისი ხმით? არ ვიცი, მივყვები გუმანს. ჩემი მშვენიერი ქალების მკლავებს და ვნებიან ბაგეთა ანარეკლს, უზადო მკერდს და სხეულის სიმრგვალებს ვიღაცის არყოფნა ანაცვლებს. ვიღაცის არყოფნა? რაღაცის არყოფნა? ვკითხულობ, მინდოდა გამეგო, ღამეულ ქალაქში აბსურდი, ქიმერა და სიცარიელე თარეშობს. აბსურდი ავსებს ადგილს და გარემოს, აძევებს ყველას, ვისთანაც ვწოლილვარ, აძევებს უზადრუკ სურვილს და ლტოლვას – სიბნელემ, სიცივემ და ძრწოლამ მომიცვა.“ – ეს ლექსი მაგალითად მოუყვანე, იმათ კი რექტორთან დამაბეზდეს. – სულ არ მიკვირს, – თქვა ბერნარდმა. – ეს ლექსი ძილში ათვისებულ მთელ ცოდნას თავდაყირა აყენებს. დაგავიწყდა, რომ მინიმუმ მილიონის მეოთხედი ჰიპნოპედიური შეგონება აქვთ მოსმენილი მარტოობის მავნებლობაზე? – ვიცი. მაგრამ მსმენელებზე ლექსის ზემოქმედების გამოცდა მაინტერესებდა. – ჰოდა, კარგად გამოგიცდია! ჰელმჰოლცს გაეცინა. – ისეთი გრძნობა მაქვს, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ, – თითქოს თანდათან ვხვდები, რის შესახებაც ღირს წერა. თითქოს შინაგანი, გამოუყენებელი ენერგიის გამოღვიძლებას ვგრძნობ – ფარული, განსაკუთრებული ენერგიის. ჩემში რაღაც ხდება. „ყველაფრის მიუხედავად, – გაიფიქრა ბერნარდმა, – აბსოლუტურად ბედნიერი ჩანს“. ჰელმჰოლცი და ჯონი გაცნობისთანავე დამეგობრდნენ, თანაც ისე გულითადად, რომ ბერნარდმა ეჭვიანობა დაიწყო. მთელი ამ კვირების განმავლობაში ვერ მოახერხა ველურთან ისე დაახლოება, როგორც ეს ჰელმჰოლცმა პირველი დღიდანვე შეძლო. უსმენდა მათ საუბარს და თავის თავზე ბრაზობდა, ერთმანეთს რატომ გავაცანიო. თან რცხვენოდა და ეჭვიანობის დათრგუნვას ხან ნებისყოფის დამაბვით ცდილობდა, ხან – სომით. მაგრამ ნებისყოფის მოშველიება ამაო იყო, სომით მოგვრილი ნეტარება კი განუწყვეტელი ვერ იქნებოდა. ამიტომ შურსა და ეჭვიანობას თავი ვერა და ვერ დააღწია. ჯონთან მესამე შეხვედრისას ჰელმჰოლცმა მარტოობაზე დაწერილი ლექსები წაუკითხა. – როგორ მოგწონს? – ჰკითხა, როდესაც კითხვა დაამთავრა. ველურმა თავი გააქნია. „ამას მოუსმინეო“, უთხრა; მერე კომოდის უჯრიდან ძველი წიგნი ამოიღო, თავების დაღრღნილი ფურცლებით, გადაშალა და კითხვა დაიწყო: „დე, დასტვინოს პალმის მკვიდრმა ხმაკრიალა ჩიტმა სისხამ და უბიწო გულმა მისმა ამცნოს ფრთოსნებს სირთა სიტყვა!“<sup>1</sup> ჰელმჰოლცი უსმენდა და თანდათან მღელვარება ერეოდა. პირველმა სიტყვებმა „პალმის მკვიდრმა“ შეაკრთო. „ყრანტალას“ გაგონებაზე მოულოდნელობისგან გაიღიმა:



„მტაცებელისგან“ სახეზე აღმური მოედო, ხოლო „სიკვდილის წინ გალობამ“ სულიერად ისე შეძრა, რომ გაფითრდა და აკანკალდა. ველური კითხვას განაგრძობდა: „ჰოდა, ქვეყნად ვის ვაუწყოთ, რომ აიძვრა მზერა სწორი: ერთი რარიგ გახდა ორი, მსგავსად როგორც იცნეს უცხო? ო, ჩვენც გვინდა ვიყოთ ბრძენნი, მაგრამ როგორ გავწვრთნათ გონი“... „ორგი-პორგი“! ბერნარდის ხმამაღალმა, უსიამოვნო სიცილმა ჯონს კითხვა შეაწყვეტინა. „ერთიანობის ღვთისმსახურების ჰიმნს არ ჰგავს“? მეგობრებს სამაგიეროს უხდიდა იმის გამო, რომ ერთმანეთთან მეტ საერთოს პოულობდნენ, ვიდრე მასთან. შემდეგი ორი თუ სამი შეხვედრის დროსაც გამოიყენა შურისძიების ეს პატარა იარაღი, რომელიც საკმაოდ მარტივი და უაღრესად ეფექტური აღმოჩნდა, რადგან ჰელმჰოლცი და ველურიც მტკიცებულად განიცდიდნენ მათი სათაყვანებელი პოეზიის მუზის ლაფში ამოსვრას. ბოლოს ჰელმჰოლცი დაემუქრა, თუ არ გაჩერდები, ოთახიდან გაგაგდებო. და მით უფრო საკვირველი იყო, რომ ჯონს ლექსის კითხვა ცოტა ხნის შემდეგ თავად შეაწყვეტინა, თანაც უფრო სამარცხვინოდ, ვიდრე ბერნარდმა. ველური „რომეო და ჯულიეტას“ კითხულობდა; კითხულობდა ხმამაღლა, ღრმა ვნებით ათრთოლებული, რადგან თავი რომეოდ წარმოედგინა, ლენინა – ჯულიეტად. პირველი შეხვედრის სცენამ ჰელმჰოლცი დააინტერესა, მაგრამ საგონებელში ჩააგდო. ბაღის ეპიზოდის პოეზიამ აღაფრთოვანა, აღწერილ გრძნობებზე კი გაეღიმა. გოგოსთან დაწოლის გამო თავის ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება, ცოტა არ იყოს, სასაცილო ეჩვენა. თუმცა, თუ ყველა სიტყვას კარგად ჩაუკვირდებოდი, ეს იყო გრძნობათა ტექნოლოგიის შედეგები! – ბებერ შექსპირთან შედარებით ჩვენი პროპაგანდის საუკეთესო სპეციალისტიც კი არარაობაა, – თქვა ბოლოს. ველურმა გამარჯვებულის ღიმილით გაიღიმა და კითხვა განაგრძო.

ყველაფერი ასატანად მიდიოდა მესამე აქტის იმ სცენამდე, სადაც ცოლქმარი კაპულეტები ჯულიეტას პარისზე გათხოვებას აძალებენ. ჰელმჰოლცი მთელი სცენის განმავლობაში მოუსვენრად ცმუკავდა. მერე ჯონმა პათეტიკურად დაიწყო ჯულიეტას ვედრების კითხვა: „ნუთუ აღარ აქვს ზეცას გრძნობა სიბრალულისა? იგი ხომ ხედავს ჩემს სატანჯველს! ტკბილო დედილო, ნუ მომიბულებ, გთხოვთ, გადასდოთ ეს ჯვარისწერა ერთი თვით, ანდა ერთი კვირით, ან თუ არ ძალგიძს, შენ საქორწინო სარეცელი მაშინ მომიწყვე იქ, ბნელსა და ცივს აკლდამაში, ტიბალტის გვერდით“. ამის გაგონებაზე კი ჰელმჰოლცი თავშეუკავებლად ახარხარდა. დედა და მამა (რა გროტესკია!) ქალიშვილს აძალებენ, დაწვეს არასასურველ მამაკაცთან! გამოშტერებული ქალიშვილი კი ძალავს, რომ წევს იმასთან, ვისთანაც უნდა (ყოველ შემთხვევაში, ახლა). ყოვლად უაზრო, აბსურდული, უხამსი სიტუაცია, თანაც უკიდურესობამდე კომიკური. არაადამიანური ძალისხმევით ცდილობდა მოძალებული მხიარულების ჩახშობას. მაგრამ „ტკბილმა დედამ“ (და სულის გვემამ ველურის მთრთოლვარე ხმაში) და ბნელ აკლდამაში მწოლიარე მკვდარმა ტიბალტმა (ალბათ კრემაციის გარეშე, გვამის ფოსფორი ფუჭად იკარგება), მოკლედ, დედამ და ტიბალტმა სულ მთლად მოუღეს ბოლო. გაუჩერებლად ხარხარებდა, სიცილისგან ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, სანამ შეურაცხყოფილი და გაფითრებული ჯონი წიგნის ზემოდან გადმოჰყურებდა. მერე, რადგან სიცილი არ შეწყდა, გაცოფებული ჯონი ადგა, წიგნი დაკეცა და – თითქოს ღორთა წინაშე დაფენილ მარგალიტს იღებსო – ისევ კომოდის უჯრაში ჩაკეტა. – და მაინც, – ჰელმჰოლცმა სული მოითქვა, ველურს მოუბოდიშა და მისი გულის მოსალობად თავის მართლებას შეუდგა, – განა არ მესმის, რომ ასეთი აბსურდული, შლეგური ვნებათაღელვა მწერლისთვის აუცილებელია. კარგად წერა მხოლოდ ასეთ რამეზე შეიძლება. რატომ იყო შენი

ბებერი პოეტი გრძნობათა ტექნოლოგიის დიდოსტატი? იმიტომ, რომ მტანჯველი განცდების გარემოცვაში ცხოვრობდა. რაღაც თუ არ გეტკინა, რაღაცამ სული თუ არ აგიფორიაქა, ისე გულში ჩამწვდომ ფრაზებს ვერ დაწერ. ეს გასაგებია. მაგრამ დედა და მამა?! საზღვარი ხომ აქვს ყველაფერს? ვის აწუხებს დღეს, ბიჭი გოგოს იხმარს თუ არა? – (ჯონი შეკრთა. იატაკს ჩამტერებულმა ჰელმჰოლცმა ვერაფერი შეამჩნია). – არა, – დაასკვნა და ამოიოხრა, – ასე არაფერი გამოვა. ჩვენ სხვანაირი სიგიჟე, სხვანაირი სიმძაფრე გვჭირდება. მაგრამ რა? როგორი? სად ვიპოვო? საიდან მოვიტანო? – დადუმდა, თავი ჩაკიდა, – არ ვიცი, – თქვა ბოლოს, – არ ვიცი.

## თავი მეცამეტე

ჰენრი ფოსტერის სილუეტი ლანდივით გამოკრთა ემბრიონარიუმის ბინდბუნდში. – ამაღამ სენსოფილზე წამოხვალ? ლენინამ უარის ნიშნად თავი გააქნია. – საღამოს ვისთან ერთად ატარებ? – მისი მეგობრებიდან ვინ ვისთან იყო, ყოველთვის აინტერესებდა. – ბენიტოსთან? თავის მოძრაობა განმეორდა. ჰენრიმ ლენინას მეწამულ თვალებში დაღლილობა ამოიკითხა. მის სიფერმკრთალეს „მგლურას“ ნიღაბიც ვერ ფარავდა, ალისფერი ტუჩის კუთხეები სევდიანად ჰქონდა დაშვებული. – ავად ხომ არ ხარ? – ცოტა არ იყოს, აღელვებულმა ჰკითხა, შეეშინდა, აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი ინფექციური დაავადება არ ჰქონდესო. ლენინამ თავი კიდევ ერთხელ გააქნია. – ექიმთან მაინც აუცილებლად უნდა წახვიდე. „თავი გტკივა თუ გაქვს სიცხე, წამსვე ექიმს მიაკითხე“, – ჰიპნოპედიური ანდაზა მოიშველია და გასამხნეველად მხარზე ხელი მოუთათუნა. – შეიძლება ფსევდოორსულობა გესაჭიროება, ან დ.ვ.ს.1-ს ინტენსიური თერაპიის კურსი. იცი, ზოგჯერ სტანდარტული ვნების სუროგატი არ არის საკმ... – ო, თუ ფორდი გწამს, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო ლენინამ, – მოკეტე რა! – და ისევ თავის ემბრიონებს მიუბრუნდა. რა თქმა უნდა, დ.ვ.ს.-თერაპია! რა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! თითქოს საკუთარი დ.ვ. აკლია! ღრმად ამოიოხრა და შპრიცით ხსნარი ამოიღო. – ჯონ, – წაიჩურჩულა, – ჯონ... „ო, ფორდ, ნეტავ უკვე გავუკეთე ამ ემბრიონს ძილის საწინააღმდეგო ნემსი თუ არა?“ საერთოდ აღარ ახსოვდა. ბოლოს გადაწყვიტა, არ გაერისკა მეორე დოზის შეყვანა და შემდეგ ბოთლს დაელოდა. ოცდაორი წლის, რვა თვის და ოთხის დღის შემდეგ, ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა ალფა-მინუს ადმინისტრაციული მოხელე მვანზა-მვანზადან ტრიპანოსომით გამოწვეული ძილის სინდრომით მოკვდება, რაც დაავადების პირველი შემთხვევა იქნება ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ლენინამ ამოიოხრა და მუშაობა განაგრძო. ერთი საათის შემდეგ, ქალების გასახდელში ფანი ენერგიულად აპროტესტებდა ლენინას საქციელს. – თავის ამ მდგომარეობამდე მიყვანა უაზრობაა, ნამდვილი უაზრობა, – დაჟინებით იმეორებდა. – მერედა რის გამო? კაცის – ერთი კაცის! – მაგრამ მე სწორედ ეს კაცი მინდა. – თითქოს ამქვეყნად მილიონობით სხვა კაცი არ იყოს! – მაგრამ ისინი არ მინდა. – საიდან იცი, გინდა თუ არა, თუ სხვა არ გყოლია? – მყოლია. – რამდენი? – ფანიმ მხრები დაცინვით აიჩეჩა, – ერთი თუ ორი? – უამრავი, – თავი გააქნია ლენინამ, მერე დაამატა, – სიამოვნება – ნული. – უნდა განაგრძო, არ უნდა გაჩერდე, – არიგებდა ფანი. თუმცა საკუთარი რეცეპტის უტყუარობაში აშკარად დაეჭვებული იყო. – შეუპოვრობის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. – მაგრამ ამასობაში... – თავიდან ამოიგდე. – ვცდილობ და არაფერი გამომდის. – მაშინ სომა დალიე. – ვსვამ. – ჰოდა, განაგრძე დალევა. – მაგრამ შუალედებში მაინც ის მომწონს. და ვიცი, რომ ყოველთვის მომეწონება... – ჰოოო, თუ ასეა, – მტკიცედ განაცხადა ფანიმ, – უნდა წახვიდე და დაუწვე. სულ ერთია, თვითონ უნდა თუ არა. – რომ იცოდე, რა უცნაურად იქცეოდა! – მით უმეტეს, გადაჭრით უნდა იმოქმედო. – სათქმელად რა ადვილია! – სისულელეებს მოეშვი და იმოქმედე. – რუპორივით გაიძახოდა ფანი; გეგონებოდათ, ახალგაზრდა ფორდიანელ ქალთა ასოციაციის პედაგოგია და თინეიჯერ ბეტა-მინუს გოგონებს საღამოს ლექციას უტარებსო. – დიახ, იმოქმედე დაუყოვნებლივ, ახ-ლა-ვე! – გამბედაობა არ მყოფნის. – ამიტომ ჯერ ნახევარი გრამი სომა მიიღე. ახლა კი წავედი, უნდა ვიბანაო, – და პირსახოცის ქნევით სააბაზანო კაბინისკენ გაეშურა. ზარის ხმაზე ველური წამოხტა და კარის გასაღებად გაიქცა. იმ საღამოს ჰელმჰოლცის მოსვლას მოუთმენლად ელოდა, რადგან, როგორც იქნა, გადაწყვიტა, მეგობარს ლენინას შესახებ

დალაპარაკებოდა. – ჰელმჰოლც, გულმა მიგრძნო, რომ მოხვიდოდი, – დაიძახა და კარი გამოაღო. ზღურბლზე ლენინა იდგა. აცეტატური ატლასის თეთრი მატროსული კოსტიუმი ეცვა და მრგვალი ქუდი კეკლუცად ჰქონდა გვერდზე მოქცეული. – ოჰ, – ჯონს თითქოს სილა გააწნეს, თანაც მთელი ძალით. სომის ნახევარმა გრამმა კი შიში და უხერხულობა ლენინას უკვალოდ გაუქრო. – ჯონ, გამარჯობა, – წარმოთქვა ღიმილით და ოთახში შეაბიჯა. ჯონმა კარი ავტომატურად დახურა და შემობრუნდა. ლენინა ჩამოჯდა. კარგა ხანს ორივე დუმდა. – ჩემი დანახვა თითქოს არც კი გაგხარებია, ჯონ, – ბოლოს სიჩუმე ლენინამ დაარღვია. – არ გამხარებია? – ჯონმა საყვედურით შეხედა. მერე უცებ ლენინას წინ მუხლებზე დაეცა, მისი ხელი აიღო და მოწიწებით აკოცა. – არ გამხარებია? ო, რომ იცოდე, – ჩაიჩურჩულა, გამბედაობა მოიკრიბა და თვალეში შეხედა, – ო, სათაყვანებლო ლენინა, შენ ღირსი ხარ ყველაფრის, რაც კი ამქვეყნად საუკეთესო არსებობს. – ლენინამ ნაზად და მიმზიდველად გაიღიმა. – თავად სრულყოფილება ხარ, – (ლენინამ ტუჩები ვნებიანად გააპო და ჯონისკენ გადაიხარა.) – შეუდარებელი სრულყოფილება – (ახლოს, კიდევ უფრო ახლოს); – ამქვეყნად ყველა ქმნილებაზე უკეთესი. – კიდევ უფრო ახლოს. ველური უცებ ფეხზე წამოხტა, – ამიტომ მინდოდა, – სახე მიაბრუნა და განაგრძო, – ჯერ მინდოდა ისეთი რამ ჩამედინა... მეჩვენებინა, რომ შენი ღირსი ვარ. რა თქმა უნდა, შენი ღირსი ვერასოდეს გავხდები. მაგრამ მაინც მინდოდა მეჩვენებინა, რომ მთლად უ-ღირსიც არ ვარ. მინდოდა რაღაც განსაკუთრებულ ლი ჩამედინა. – რა აუცილებელია... – დაიწყო ლენინამ და გაჩერდა. ხმაში გაღიზიანება შეეპარა. თუ კაცისკენ მიიწევ, თანდათან უახლოვდები და ვნებიან ტუჩებს უწვდი, ის კი უცაბედად ბრიყვივით ხტება ფეხზე და ხვდები, რომ სულ ტყუილად გაისარჯე – მოთმინებიდან ისე გამოხვალ, რომ სისხლში მოცირკულირე ნახევარი გრამი სომაც ვერაფერს გიშველის. – მაღაპისში, – არეულად ბუტბუტებდა ველური, – მთის ლომის ტყავი უნდა მიგერთმია, მისი ცოლად შერთვა თუ გინდოდა. ან მგლის. – ინგლისში ლომები არ არიან, – ცივად გამოსცრა ლენინამ. – რომ იყვნენ კიდევაც, – განაგრძობდა ველური ზიზღნარევი გულისწყრომით, – მათ ალბათ ვერტმფრენებიდან დახოცავდნენ მომწამლავი აირებით ან რაიმე სხვა საშუალებით გაანადგურებდნენ. მე ასე არასოდეს მოვიქცევი, ლენინა. – მხრები გაშალა, ისევ გამბედაობა მოიკრიბა და შეხედა. გაბუტულ და დაბნეულ მზერას წააწყდა. – რას არ გავაკეთებდი შენთვის, – განაგრძობდა თავგზააზნეული, სიტყვების დალაგება უფრო და უფრო უჭირდა. – ოღონდ მითხარი. „ზოგჯერ გართობა-თამაშიც მომქანცველია, მაგრამ საამო“. შენი გულისთვის იატაკის დაგვასაც არ დავიზარებდი. – ამისთვის მტვერსასრუტი არსებობს, – წამოიძახა გაოგნებულმა ლენინამ, – იატაკის დაგვა აუცილებელი არ არის. – აუცილებელი, რა თქმა უნდა, არ არის. „მძიმე საქმეს, დამამცირებელს, ჩვენ ღირსეული სიამაყით ვასრულებთ ხშირად“. მე ამგვარ ღირსეულ სიამაყეს ვისურვებდი. ნუთუ ეს გაუგებარია? – მაგრამ თუ მტვერსასრუტი არსებობს... – აქ მტვერსასრუტი ხომ არ არის მთავარი! – და თუ მტვერსასრუტებით ეფსილონ-კრეტინოიდები მუშაობენ, მაშინ დაგვა რაღაში გჭირდება? – შენთვის მჭირდება, ლენინა. მხოლოდ იმისთვის, რომ დაგანახო, რომ მე... – ჯონ, ლომები და მტვერსასრუტები ერთმანეთთან რა კავშირშია... – იმის საჩვენებლად, თუ რა ძლიერ... – და თუ ჩემი ნახვა გაგეხარდა, ლომები აქ რა შუაშია? – ლენინას გაღიზიანება ერეოდა. – თუ რა ძლიერ მიყვარხარ, ლენინა, – აღმოხდა სასოწარკვეთილებამდე მისულ ველურს. უეცრად მოზღვავებული სიხარულისგან ლენინას სახეზე სისხლი მოაწვა, ლოყები აუწითლდა. – ჯონ, შენ მეუბნები, რომ გიყვარვარ? – ო, არა, ჯერ არ უნდა მეთქვა, – ველურმა გაწბილებისგან

ხელების მტვრევა დაიწყო. – არ უნდა მეთქვა, სანამ... მისმინე, ლენინა, მაღპაისში შეყვარებულები ქორწინდებიან. – რას აკეთებენ? – ლენინას ხმაში ისევ გაღიზიანება შეეპარა. ახლა რაღას მიედ-მოედება? – სამუდამოდ. ერთმანეთს საუკუნოდ ერთად ყოფნის ფიცს აძლევენ. – რა საშინელება! – ლენინა გულწრფელად შეძრწუნდა. – „ანდა მშვენების დაჭკნობის შემდეგ სიყვარული კვლავ აღორძინოს, როდესაც სისხლის მღელვარება დაცხრება მარღვიში“. – რა თქვი? – შექსპირიც ამას გვიქადაგებს: „ღვთისმსახურების წმინდა წესის შესრულებამდე შენ რომ მოსწყვიტო ქალწულების კოკორი იმას“... – ჯონ, ფორდს გაფიცებ, ადამიანურად ილაპარაკე. შენი ვერაფერი გავიგე. ჯერ იყო და მტვერსასრუტებიო, მერე კოკორიო. გინდა ჭკულიდან შემშალო? – ლენინა ფეხზე წამოხტა და თითქოს შეემინდა, ველურის სხეულიც ველურის სიტყვებით ხელიდან არ დასხლტომოდა, მაჯაზე ჩაებლაუჭა. – მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხე: მართლა მოგწონვარ თუ არა? ველური ერთხანს დუმდა; მერე ძალიან, ძალიან წყნარი ხმით წარმოთქვა: – მიყვარხარ ისე, როგორც ამქვეყნად არავინ მყვარებია. – მერედა, რატომ არაფერს მეუბნებოდი? – იყვირა ლენინამ. იმდენად იყო წონასწორობიდან გამოსული, რომ ჯონს ხელში ბასრი ფრჩხილები ჩაასო. – რაღაც სისულელეებს ჩმახავ კოკრებზე, მტვერსასრუტებზე და ლომებზე. ამდენი კვირაა სიცოცხლეს მიმწარებ! ჯონის ხელი ბრაზიანად მოისროლა გვერდზე და თქვა: – ასე რომ არ მომწონდე, შენზე ძალიან გაჯავრებული ვიქნებოდი. და უცებ კისერზე მოეხვია. ჯონმა ტუჩებზე მისი რბილი ტუჩები იგრძნო. ისეთი ნაზი და თბილი, ისეთი ტკბილი და ამგზნები, რომ შეუძლებელი იყო, სენსოფილში ნანახი ხვევნა-კოცნა არ გახსენებოდა. სტერეოსკოპული ქერა ლამაზმანის კვნესა და ცოცხალივით რეალური შავკანიანის ხვნემა. ო, რა საზიზღრობაა... თავის გათავისუფლება სცადა, მაგრამ ლენინამ მკლავები უფრო ძლიერად შემოაჭდო. – რატომ არაფერს მეუბნებოდი! – ჩაიჩურჩულა და თავი უკან გადააგდო, რომ აღერსიანი საყვედურით აღსავსე მზერით ჯონის თვალებში ჩაეხედა. – „ვერც ბნელი ღამე, ვერც ადგილი მოხერხებული“ – (სინდისის ხმამ პოეტურად დაიქუხა), – „ვერცა ბოროტი ანგელოზის ცთუნება ავი პატიოსნებას ვერ წარმტაცებს, ჟინს ვერ აღმიძრავს“.<sup>1</sup> არასოდეს, არასოდეს! – გადაწყვეტილება მტკიცე იყო. – სულელო ბიჭო, – არ ცხრებოდა ლენინა. – ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდოდა შენთან. თუ შენც გინდოდა, რატომ არ?... – ჰო, მაგრამ, ლენინა... – შეეცადა შეწინააღმდეგებოდა. და ლენინა მაშინვე მოეშვა, გვერდზე გადასა და ჯონს წამიერად გაუელვა, უსიტყვოდ გამიგოო. მაგრამ როდესაც ქალმა თეთრი ლაკის მალთუსიანური სავაზნე ქამარი მოიხსნა და სკამის საზურგეზე ფრთხილად გადადო, ეჭვი შეეპარა, რომ ცდებოდა. – ლენინა! – გაიმეორა ავი წინათგრძნობით შეპყრობილმა. ლენინამ ხელი ყელთან მიიტანა, ელვა შესაკრავი ჩამოსწია და თეთრი მატროსული ბლუზა თავიდან ბოლომდე ჩახსნა. წინათგრძნობა ზედმიწევნით მყარ გარდუვალობად ჩამოყალიბდა. – ლენინა, რას აკეთებ?! ბზზზ! გაისმა პასუხად. ლენინამ კლოში შარვალის გაიხადა და მოკლე, ბაცი ვარდისფერი კომბინაციის ამარა დარჩა. მკერდზე სიმღერთუხუცესის ნაჩუქარი T-ს ფორმის ოქროს კულონი უბრწყინავდა. „რადგან აკოკრილ მათ ძუძუებს, რომლებიც კაცებს მზერას სტაცებენ უბეთაგან გამომზირალნი“, ჟღერადი, მქუხარე, ჯადოსნური სიტყვების შარავანდედში გაცილებით საშიში, გაცილებით მაცდუნებელი ეჩვენა. ნაზი, დამყოლი, მაგრამ როგორი ბასრი! პირდაპირ ტვინში გესობა, შეუპოვრად გიბურღავს ნებისყოფას. „ვნებათაღელვას არ მოუშვა სადავეები. როცა სისხლი დუღს, აღმოდებულ ჩალას გავს ფიცი. თავშეკავებით მოიქეცი, ანდა“... ბზზზ! ვარდისფერი სიმრგვალე შუაზე გაჭრილი ვაშლივით

გადაიხსნა. ხელების მოქნევა, მერე ფეხების – ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა... და ვარდისფერი კომბინაცია ჩაჩუტული ბუმბივით დაეშვა იატაკზე. წინდებსა და ფეხსაცმელებში გამოწყობილი, გვერდზე მოქცეული ქუდით – ლენინა ჯონისკენ გაემართა. „ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო! დღემდე რატომ არაფერს მეუბნებოდი“? და მისკენ გაწვდილი ხელები გაშალა. ჯონმა კი იმის მაგივრად, რომ თვითონაც „საყვარელო“ დაეძახა და ქალი გულში ჩაეკრა, თავზარდაცემულმა ისე დაიწყო უკან-უკან დახევა და ხელების ქნევა, თითქოს საშიში მხეცის შემოტევას იგერიებდა. ოთხი ნაბიჯი უკან, და ზურგით კედელს მიეხრია. – საყვარელო! – თქვა ლენინამ, მხრებზე ხელები დააწყო და ჯონს მთელი სხეულით აეკრო. – მომეხვიე, – გასცა ბრძანება. „ოჰ, ბაჭიავ, მომეფერე, მკოცნე და მომგვარე კომა“. პოეზია არც ლენინასთვის იყო უცხო, მის განკარგულებაში იყო სასიმღერო სიტყვები, მაგიური სიტყვები, დაფდაფებივით რომ გაისმოდა რიტუალების დროს. – მკოცნე, – თვალეხი დახუჭა და ვნებიანი, ძილმორეული ჩურჩულით განაგრძო, – „მკოცნე და მომგვარე კომა, მომანდომე სიყვარული, უფრო ტკბილი“... ველურმა ორივე მაჯაში ჩაავლო ხელები, მხრებიდან უხეშად მოიგლიჯა და ასე ეჭირა, გაწვდილი მკლავის მანძილზე. – ვაი, მტკივა, ხომ ხედავ, მტკივ... ოჰ! – და უცებ გაჩუმდა. ტკივილი შიშმა დააფარა. თვალეხის გახელისთანავე ჯონის სახე დაინახა – თუმცა არა, ეს მისი სახე არ ყოფილა, ეს იყო გამძვინვარებული უცნობის გაფითრებული და დამახინჯებული სახე, შლეგური, გაუგებარი მრისხანებისგან დამანჭული. ელდანაკრავმა ჩაიჩურჩულა: – ჯონ, რა დაგემართა? – ველური პასუხს არ სცემდა, გიჟურად მიშტერებოდა მხოლოდ. ხელები, რომლითაც მისი ორივე მაჯა ეჭირა, უკანკალებდა. მძიმედ და არათანაბრად სუნთქავდა. ლენინას მისი კბილების სუსტი, ძლივს გასაგონი, მაგრამ შემამრწუნებელი ღრჭიალი მოესმა. – რა გჭირს? – ლენინა უკვე ყვიროდა. და თითქოს ყვირილმა გამოაფხიზლაო, ჯონმა მხრებში ხელი ჩაავლო და შეაჯანჯღარა. – კახპა! – დაიყვირა, – მემძავო! ურცხვო კახპა! – ო, არ გინდა, ა-რ-ა, – განუწყვეტელი ჯანჯღარისგან ლენინა სასაცილოდ აკიკინდა. – კახპა! – ჯონ, გეხ-ვე-წე-ბი! – საზიზღარო კახპა! – „უმ-ჯო-ბე-სია გრა-მი, ვიდრე“... – წამოიწყო ლენინამ. ველურმა ისეთი ძალით მოისროლა, რომ ლენინა წაბორძიკდა და დაეცა. ჯონი თავს წამოადგა: – გაეთრიე, – ემუქრებოდა, – აღარ დამენახო, თორემ მოგკლავ, იცოდე. – და მუშტები შეკრა. ლენინამ სახეზე მკლავი აიფარა. – ჯონ, გთხოვ, არ გინდა. – აქედან გაეთრიე! ახლავე! თავზე ხელწაფარებული, დაზაფრული აკვირდებოდა ჯონის ყოველ მოძრაობას, მერე ფეხზე წამოხტა და წაკუზული, ისე რომ თავიდან ხელი არ ჩამოუღია, ადგილს მოწყდა და აბაზანისკენ გაიქცა. დარტყმის ხმა, ველურმა გაქცეულს რომ მიაყოლა, ისეთი იყო, გეგონებოდათ, ტყვია გავარდაო. – ვაი! – ლენინა კინაღამ ისევ წაიქცა. მერე აბაზანაში უსაფრთხოდ ჩაკეტილი მიღებული ტრავმების თვალთვრებას შეუდგა. სარკისკენ ზურგმექცეულმა თავი უკან მიატრიალა და სარკეში მხარს ზემოდან ხავერდოვან კანზე წითელი ხელისგულის მკვეთრი მოხაზულობა დაინახა. დაზიანებული ადგილი ფრთხილად დაისრისა. გარეთ, ოთახში ველური ბოლთას სცემდა, თავში კი დოლები გრგვინავდა მაგიური სიტყვების რიტმში. „აგერა ჩიტიც, აგერ მწერიც ოქროს ფრთოსანი... აგერ ჩემ თვალწინ ცოდვილობენ, მემავ-მრუმობენ“1... ჭკუიდან შემშლელი გუგუნი გაჰქონდათ ყურებში. „მაშინ თვით ძაღლის და ულაცის ცხენის ხურვებას მის თავგასული მსუნაგობა გადააჭარბებს. ცხენ-ქალა არის. წელზემოდამ ქალია ევა, წელქვემოდ კი ცხენი არის... ერთი შეხედე, – რაც წელზევით აქვს, – ყოველივე ღვთაებრივია, და რაც წელქვევით, – სულ ყოველი ეშმაკეული... წელქვევით საბნელეთია, ჯოჯოხეთია!..

გოგირდის ორმოა!.. დუღს! ყარს! ფუჰ, ფუჰ, ფუჰ!.. მომეცი, ექიმო, ერთი დრამი მუმკამბარი, – ჩემს გონებას ეს მყრალი სუნი მოვაშორო“.2 – ჯონ! – გაისმა ნაზი, გაუბედავი და შემპარავი ხმა სააბაზანოდან. – ჯონ! „ოჰ, შენ ყვავილო მშვენიერო, სურნელოვანო! გრძნობა მეშლება, როს მაგ სუნსა ვყნოსავ, ვგემოვნებ“... „ოჰ ეს ეტრატი მშვენიერი, ეს უცხო წიგნი განა იმისთვის გაჩენილა, რომ ზედ ეწეროს „უნამუსო“!.. „შენი ცოდვის გახსენებაზედ ზეცა ხელს იჭერს ნესტოებზედ“... ნესტოებში კი ისევ მისი სუნამოს სუნი უტრიალებდა; ქურთუკზე, სადაც ხავერდის კანი შეეხო, სურნელოვანი პუდრის ნაკვალევი აჩნდა. „ურცხვი კახპა, ურცხვი კახპა, ურცხვი კახპა“. შეუბრალებელი რეკვასავით გაისმოდა გონებაში. „ურცხვი“... – ჯონ, ტანსაცმელს ხომ არ მომაწოდებდი. ველურმა იატაკზე დაყრილი შარვალი, ბლუზა და კომბინაცია აკრიფა. – გააღე! – დაიყვირა და კარს ფეხი მიარტყა. – ვერ გავაღებ. – გაისმა შიშნარევი, გაკაპასებული ხმა. – აბა როგორ გინდა, რომ მოგაწოდო? – სავენტილაციო ხვრელიდან, კარს ზემოთ. ტანსაცმელი მიაწოდა და ბოლთის ცემა განაგრძო. „ურცხვი კახპა, ურცხვი კახპა, „ავხორცობის ეშმაკი თავისი სქელი გავითა და კოტიტა თითებით“... – ჯონ. არ უპასუხა. „სქელი გავითა და კოტიტა თითებით“. – ჯონ. – რა გინდა? – ჰკითხა უკმეხად. – თუ შეიძლება, ჩემი მალთუსიანური სავაზზე ქამარი მომაწოდე. ლენინა სააბაზანოში იჯდა, კარს უკან ჯონის ნაბიჯებს ითვლიდა და თან ფიქრობდა, კიდევ რამდენ ხანს ივლისო ასე ზევით-ქვევით. აქ უნდა იჯდეს გამოკეტილი, სანამ ჯონს სახლიდან გასვლა არ მოეპრიანება? ხომ არ ჯობია ცოტა ხანს დაელოდოს, როდის გაუვლის სიშმაგე, მერე კარი გააღოს და სააბაზანოდან გასასვლელისკენ გავარდეს? ამ ფიქრებში იყო, როდესაც ოთახში ტელეფონის ზარი გაისმა. ბოლთის ცემა უეცრად შეწყდა და ლენინას სიჩუმესთან მოლაპარაკე ჯონის ხმა მოესმა. – გისმენთ. . . . – დიახ. . . . – თუ ვილაც თვითმარქვია არა ვარ, კი. . . . – დიახ. ვერ გაიგეთ რა გითხარით? ბატონი ველური გელაპარაკებათ. . . . – რა? ვინ არის ავად? რა თქმა უნდა, მაინტერესებს. . . . – მდგომარეობა სერიოზულია? მძიმედ არის? ახლავე მოვდივარ... . . . – სახლში არ არის? სად გადაიყვანეთ? . . . – ღმერთო ჩემო, მისამართი მომეცით! . . . . – პარკ-ლეინი, სულ ეს არის? ნომერი სამი? გმადლობთ. ლენინამ ჯერ ყურმილის დადების ხმა გაიგო, მერე აჩქარებული ნაბიჯების. კარი გაჯახუნდა. სიჩუმე ჩამოწვა. მართლა წავიდა? უსაზღვროდ დამფრთხალმა კარი ნახევარ სანტიმეტრზე გააღო, ღრიჭოდან გაიხედა. ვერავინ დაინახა და გამხნედა. კარი ცოტა უფრო ფართოდ გააღო და სააბაზანოდან თავი გამოყო. მერე ფეხისწვერებზე გავიდა ოთახში. რამდენიმე წამის განმავლობაში იდგა და აყურადებდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. მერე გასასვლელ კარს მივარდა, გააღო და თავკუდმოგლეჯილი გავარდა. მხოლოდ ქვემოთ მიმავალ ლიფტში იგრძნო თავი სამშვიდობოზე.

## თავი მეოთხე

პარკ-ლეინის მომაკვდავთა საავადმყოფო ბაცი მოყვითალო კერამიკული ფილებით მოპირკეთებულ სამოცსართულიან კოშკში მდებარეობდა. ველურმა ვერტ-ტაქსიდან გადმოსვლისთანავე შენიშნა მხიარულად აჭრელებული საჰაერო კატაფალკების პროცესია, რომელიც სახურავიდან აფრინდა, პარკს გადაუფრინა და დასავლეთის მიმართულებით, სლაუს კრემატორიუმისკენ აიღო გეზი. მერე ლიფტის კართან მჯდარი კარისკაცისგან საჭირო ინფორმაცია მიიღო და მეთვრამეტე სართულზე, 81-ე პალატაში (სწრაფი მოკვდინების პალატა, როგორც კარისკაცმა აუხსნა) ჩავიდა. ყვითლად შეღებილ დიდ და მზიან პალატაში ოცი საწოლი იდგა, ოცივე დაკავებული. ლინდა სულაც არ კვდებოდა სიმარტოვეში და კომფორტის ყოველგვარი თანამედროვე საშუალებითაც იყო გარემოცული. ოთახში მხიარული სინთეზური მელოდიები ისმოდა განუწყვეტლივ. ყველა მომაკვდავს ფეხებთან დილიდან დადამებამდე ჩართული ტელევიზორი ედგა. ოთახში მდგომი არაჩვეულებრივი სურნელი თხუთმეტ წუთში ერთხელ ავტომატურად იცვლებოდა ახლით. – ჩვენი მიზანია, – უხსნიდა მედდა, რომელიც ველურს პალატის კართან შეეგება, – ჩვენი მიზანია ზედმიწევნით სასიამოვნო გარემოს შექმნა – ეს უნდა იყოს რაღაც საშუალო პირველი კლასის სასტუმროსა და სენსო-კინოლარბაზს შორის. იმედია, გასაგებად აგიხსენით. – სად არის? – ველურმა თავაზიანი დახვედრა არაფრად ჩააგდო. – როგორც გატყობთ, გეჩქარებათ, – მედდა შეურაცხყოფილი ჩანდა. – იმედი საერთოდ არ არის? – იკითხა. – რას გულისხმობთ? გადარჩენის იმედს? – (ჯონმა თავი დაუქნია). – არა, რა თქმა უნდა, არავითარი. ჩვენთან მომართვა იმას ნიშნავს, რომ არავითარი... – ველურს სახეზე ისეთი მწუხარება გამოეხატა, რომ გაოგნებულმა მედდამ ლაპარაკი შეწყვიტა და რა დაგემართათო, ჰკითხა. მომსვლელისგან ამგვარი რეაქცია უჩვეულო იყო. (თუმცა აქ არც არავინ მოდიოდა და არც მოსვლის მიზეზი ჰქონდა არავის). – ცუდად ხომ არ ხართ? ველურმა თავი გააქნია. – ეს დედაჩემია, – თქვა ძალიან ჩუმად. განცვიფრებული მედდა შეხტა, შეშინებულმა შეხედა და თვალები სასწრაფოდ დახარა. სახეზე და და ყელზე ალმური მოედო. – მიმიყვანეთ მასთან, – ველური ცდილობდა ჩვეულებრივი ტონით ელაპარაკა. სირცხვილისგან ჯერ ისევ გაწითლებული მედდა პალატაში შეუძღვა. საწოლების გრძელი მწკრივიდან ველურს სრულიად ახალგაზრდა, დაუჭკნობელი სახეები შემოჰყურებდნენ (მოკვდინების პროცესი ისეთი სწრაფი იყო, რომ ლოყების დასაბერებლად დრო აღარ რჩებოდა, მხოლოდ ტვინი და გული კვდებოდა თანდათან). ლინდას საწოლისკენ ისევ ბავშვებად ქცეული მომაკვდავების ჩლუნგი, ინდიფერენტული მზერა აცილებდა. ველური ძრწოლამ აიტანა. ლინდა რიგის ბოლოს, კედელთან მდგარ საწოლზე იწვა. ბალიშებზე ნახევრად მისვენებული, ტელევიზორის მდუმარე ეკრანს მიშტერებოდა. ტელევიზორში სამხრეთ ამერიკის ჩოგბურთის ჩემპიონატის ნახევარფინალი მიმდინარეობდა რიმანის კორტებზე. ჩოგბურთელების ფიგურები უხმაუროდ ეხეთქებოდნენ მიწის განათებულ კვადრატს, ისე როგორც აკვარიუმის კედლებს თევზები – პარალელური სამყაროს მუნჯი, მაგრამ ბოზოქარი ბინადრები. ლინდა წინ იყურებოდა, დაბნეულად და უაზროდ მომლიმარი. ფერმკრთალ, შესიებულ სახეზე იმბეცილის ბედნიერი გამომეტყველება აღბეჭდვოდა. თვალები წარამარა ეხუჭებოდა, თითქოს რული ერევაო. მერე უცებ კრთებოდა, იღვიძებდა, შეჰყურებდა აკვარიუმის ჩოგბურთის ჩემპიონატის ფიგურებს, ვურლიცერის სუპერხმოვანი ორლანიდან „ოჰ, ბაჭიავ, მომეხვიე, მკოცნე და მომგვარე კომა“ ესმოდა, თავს ზემოთ გადმოკიდებული



ვენტილატორიდან მობერილ ვერბენას თბილ არომატს სუნთქავდა და ეს ყველაფერი, სომით გარდასახული და გამშვენიერებული, განსაცვიფრებელ სიზმარეულ განცხრომაში ამყოფებდა. და ლინდა ისევ ილიმებოდა, ილიმებოდა დაბეჩავებული, გამოხუნებული, ბავშვურად უდრტვინველი ღიმილით. – მე დაგტოვებთ, – თქვა ექთანმა. – ბავშვების ჯგუფს ველოდები. თანაც ნომერ სამს უნდა მივხედო, – და პალატის კართან მდგარი საწოლისკენ მიუთითა. – წუთი-წუთზე შეიძლება მოკვდეს. მოკლედ, დაბრძანდით და თავი მოხერხებულად იგრძენით, – თქვა და გასასვლელისკენ ენერგიული ნაბიჯით გაემართა. ველური საწოლთან ჩამოჯდა. – ლინდა, – დაიჩურჩულა და ხელზე ხელი დაადო. თავისი სახელის გაგონებაზე ლინდა შემობრუნდა. მზერა გაუნათდა, ჯონი იცნო. ხელი მოუჭირა, გაიღიმა, ტუჩები აამოძრავა. მერე უცებ თავი ჩამოუვარდა. ჩაეძინა. ჯონი იჯდა და აკვირდებოდა, ეძებდა და დაღლილი გარსის მიღმა ხედავდა ახალგაზრდა, ცოცხალ სახეს, მის ბავშვობას სანთელივით რომ ანათებდა. თვალდახუჭული იხსენებდა მის ხმას, მოძრაობას, ყველაფერს, რაც მალპაისში ერთად ცხოვრების მანძილზე გადაიტანეს. „დაიბანე ხელი, დაიბანე მალე, ფორდმა ხომ გამოგვიგზავნა საპონი და წყალი“! რა მშვენიერი იყო ეს სიმღერა! და ეს ბავშვური ლექსები, ჯადოსნური, საოცარი და იდუმალებით აღსავსე! „ა, ბე, ცე, ვიტამინი დე: ქონი ვირთევზას ღვიძლშია, ვირთევზა კიდევ – ზღვაში“. ცრემლები მოაწვა, როცა ლინდას სიტყვები გაახსენდა და მისი ხმა, ამ სიტყვებს რომ იმეორებდა. მერე კითხვის გაკვეთილები: „კატა წევს, წვეთები ცვივა“. და „პრაქტიკული სახელმძღვანელო ემბრიონარიუმის ბეტალაბორანტებისთვის“. გრძელი საღამოები ბუხრის პირას, ან ზაფხულში, პატარა სახლის სახურავზე, როდესაც ლინდა შორეულ, სხვა სამყაროზე უამბობდა. იმ მშვენიერი უცხო სამყაროს მოგონებას ჯონი უცვლელად ატარებდა გულში, როგორც სამოთხის, ღვთაებრივი სიკეთის, სიყვარულის ქვეყნის მოგონებას; მოგონებას, რომელსაც ნამდვილილონდონის რეალობასთან, რეალურად ცივილიზებულ ქალებთან და მამაკაცებთან შეხებამაც კი ვერაფერი დააკლო. ზურგს უკან მწივანა ხმები მოესმა. თვალი გაახილა, ცრემლები სწრაფად მოიწმინდა და მიიხედა. მამრობითი სქესის რვა წლის იდენტური ტყუპების ჯგუფმა პალატაში უწყვეტ ნაკადად დაიწყო შემოდინება. ტყუპი ტყუპს მოსდევდა, ტყუპი ტყუპს – როგორც კომმარულ სიზმარში. სახე ყველას ერთნაირი ჰქონდა. უფრო სწორად, ეს იყო ერთი სახე, გაუთავებლად რომ მეორდებოდა – გამორეცხილი, გადმოკარკლული თვალებით და ნესტობჭაკვეთილი, მიჭყლეტილი ცხვირით. ყველა ხაკისფერ უნიფორმაში, ყველა ფართოდ პირდაღებული. შემოცვივდნენ ხმაურით, გაუთავებლად ყბედობდნენ და პალატა თვალის დახამხამებაში მატლების ბუდეს დაამსგავსეს. ფუთფუთებდნენ საწოლებს შორის, ძვრებოდნენ ლოგინებზე და ლოგინების ქვეშ, იჭვრიტებოდნენ ტელევიზორებში, პაციენტებს ემანჭებოდნენ. ლინდას დანახვამ ყველას განცვიფრება და შეშფოთება გამოიწვია. საწოლთან შეჯგუფდნენ და ქალს იმ შემინებული ცხოველის ჩლუნგი ცნობისმოყვარეობით მიაშტერდნენ, რაღაც გამოუცნობს პირისპირ რომ შეეჩეხება. – ნახე, ნახე, – ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს დაზაფრულები. – რა სჭირს? რატომ არის ასეთი სქელი? ლინდას მსგავსი არსება არასოდეს ენახათ – არასოდეს ენახათ დაბერებული და მომჩვარული სახე, ქონმოდებული და მხრებში მოხრილი სხეული. სწრაფი მოკვდინების პალატაში მწოლარე სამოცი წლის ქალები პატარა გოგონებს ჰგვანდნენ, ორმოცდაოთხი წლის დამქნარი და დამახინჯებული ლინდა კი სიბერის შემზარავ გამოსახულებას წარმოადგენდა. – რა სიმახინჯეა, – არ წყდებოდა ჩურჩული. – შეხედე, როგორი კბილები აქვს! უცებ საწოლის ქვემოდან, ჯონის სკამსა და კედელს შუა,

ცხვირმიჭყლეტილი ტყუპისცალი ამოდვრა და ლინდას მძინარე სახეს ჩააშტერდა. – ეს რა... – დაიწყო და დამთავრება არ დასცალდა, წივილი ატეხა. ჯონი ქეჩოში სწვდა, სკამს ზემოდან გადაატარა, თან ერთი კარგად წაუთაქა და მოისროლა. ყვირილზე, დასახმარებლად უფროსი ექთანი მოიჭრა. – რას ბედავთ? – გაცხარებული იყო. – ვინ მოგცათ ბავშვების ცემის უფლება? – მაშინ ამ საწოლთან მოახლოება აუკრძალეთ. – ველურს ხმა სიბრაზისგან უკანკალებდა. – აქ რა ჯანდაბას აკეთებენ? ეს აღმაშფოთებელია! – როგორ თუ აღმაშფოთებელი? რას გულისხმობთ? აქ მათ სიკვდილის უნარ-ჩვევებს ვუყალიბებთ. იცით რას გეტყვით? – დაემუქრა უფროსი მედდა, – თუ კიდევ ერთხელ შეუშლით ხელს საგანმანათლებლო პროცესს სიკვდილის საკითხებზე, კარისკაცებს დავუძახებ და აქედან მიგაბრძანებენ. ველური წამოდგა და უფროსი ექთნისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მისი მოძრაობა და სახის გამომეტყველება ისეთი ავისმომასწავებელი იყო, რომ შეშინებულმა მედდამ უკან დაიხია. ჯონს უზარმაზარი ძალისხმევა დასჭირდა თავის ხელში ასაყვანად. მერე უხმოდ მიბრუნდა და ისევ საწოლთან ჩამოჯდა. ცოტათი გამხნეებულმა, მაგრამ ჯერ ისევ შეშფოთებულმა მედდამ გაუბედავად ამოდერდა: – მე გაგაფრთხილეთ. ასე რომ, მხედველობაში იქონიეთ. – მაგრამ ზედმეტად ცნობისმოყვარე ტყუპები იქაურობას მაინც მოაშორა და პალატის მეორე ბოლოსკენ წაიყვანა, სადაც მისი კოლეგა წრეში მდგომ ბავშვებს „დაიჭირე ელვას“ ათამაშებდა. – გაიქეცი და ერთი ჭიქა კოფეინის ხსნარი დალიე, ჩემო კარგო, – ბრძანების კილოზე მიმართა კოლეგას. ძალაუფლების შეგრძნებამ თავის რწმენა აღუდგინა, თავი უკეთ იგრძნო. – აბა, ბავშვებო, – და თამაში გაგრძელდა. ლინდა მოუსვენრად შეიშმუშნა, თვალები ერთი წუთით გაახილა, იქაურობას დაბინდული მზერა მოავლო და კვლავ ძილს მისცა თავი. საწოლთან მჯდარი ჯონი კი ცდილობდა ისევ სასიამოვნო მოგონებები მოეხმო. „ა, ბე, ცე, ვიტამინი დე“, შელოცვასავით იმეორებდა თავისთვის, თითქოს ამ მაგიურ სიტყვებს მკვდარი წარსულის გაცოცხლება შეეძლო. მაგრამ ამაოდ. ლამაზი მოგონებები აღარსად იყო. მეხსიერებას მხოლოდ სიძულვილი, ეჭვი, ტკივილი და უბედურება შემორჩენოდა. პოპეს დაჭრილი, სისხლიანი მხარი; საზიზღრად მთვრალი, მძინარე ლინდა და ბუზების ბზუილი საწოლთან, იატაკზე დაღვრილი მესკალის ირგვლივ; ბიჭების შეძახილები, მიმავალ ლინდას რომ ამკობდნენ... ო, არა, არა! მოგონებებისგან თავის დასალწევად თვალები დახუჭა. „ა, ბე, ცე, ვიტამინი დე“... შეეცადა იმ დროზე ეფიქრა, ლინდა მუხლებზე რომ ისვამდა, მკლავებს მოხვევდა და უმღეროდა, უმღეროდა და დასაძინებლად არწევდა. „ა, ბე, ცე, ვიტამინი დე, ვიტამინი დე, ვიტამინი დე“... უეცრად ვურლიცერის ელექტრონულ-სინთეზური კრემჩენდოს ფონზე არომატიზატორმა ვერბენას ნაკადი პაჩულის მძაფრი სურნელით შეცვალა. ლინდა ისევ შეიშმუშნა, შეიღვიძა, ცოტა ხანს გაოგნებული შეჰყურებდა ნახევარფინალს ტელევიზორში, მერე თავი ასწია, ახლად არომატიზებული ჰაერი ერთი-ორჯერ ცხვირით შეისუნთქა და უცებ ბავშვურად, ნეტარი ღიმილით გაიღვიძა. – პოპე! – წაიჩურჩულა და თვალები მილულა. – ო, რა კარგი ხარ, რა კარ... – მერე ამოიოხრა და ბალიშებზე მიესვენა. – ლინდა, ლინდა! – ემუდარებოდა ველური, – ნუთუ ვეღარ მცნობ? – რატომ უნდა ისევ იმ საზარელ წარსულში დააბრუნოს, რომლის დავიწყებას ასე თავდაუზოგავად ცდილობს? ისევ პოპე? რატომ? მომჩვარულ ხელზე ხელი ისეთი ძალით მოუჭირა, თითქოს სამარცხვინო სიამოვნების ჭაობიდან ამოთრევას უპირებდა, თითქოს ამ უკადრისი, მდაბალი და საძულველი მოგონებებიდან აწმყოში, რეალობაში აბრუნებდა; საშინელ, მაგრამ ამაღლებულ და დიდებულ, მოახლოებული შემადრწუნებელი გარდაუვალობის გამო უკიდურესად

მნიშვნელოვან რეალობაში. – ნუთუ ვედარ მცნობ, ლინდა? პასუხად ხელზე ხელის სუსტი მოჭერა იგრძნო. თვალები ცრემლებით აევსო. დაიხარა და აკოცა. ლინდამ რაღაც წაიჩურჩულა. – პოპე! – მოესმა ჯონს და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სახეში შეაფურთხესო. სიბრაზემ უცბად მთელი მისი არსება მოიცვა. კიდევ ერთხელ შეკავებულმა უსაზღვრო მწუხარებამ ახალი გამოსავალი იპოვა – უსაზღვრო მძვინვარებად იქცა. – მე ხომ ჯონი ვარ, ჯონი! – დაიყვირა, მერე კი დატანჯულმა, გააფთრებულმა ლინდას მხრებში ხელები ჩაავლო და შეანჯღრია. ლინდამ თვალი გაახილა, ველური დაინახა, იცნო – ჯონ! – მაგრამ რეალური სახე და მოძალადე ხელები წარმოსახვით სამყაროში გადაიტანა, პაჩულის არომატისა და სინთეზური მუსიკით გაჯერებულ შინაგან სამყაროში, გარდასახულ მოგონებებსა და უცნაურად აღრეულ შეგრძნებებს შორის – ეს მისი ოცნების სამყარო იყო. ჰო, ეს ჯონია, მისი შვილი, რომელიც მალპაისურ სამოთხეში შემოიჭრა, სადაც ლინდა პოპესთან ერთად სომ-არდადეგებით ტკბება. ჯონი ბრაზობს, რადგან ლინდას პოპე უყვარს. ლინდას ანჯღრევს, რადგან პოპე გვერდით უწევს საწოლში – თითქოს ლინდა რამეს აშავებდეს, თითქოს მთელი ცივილიზებული სამყარო ზუსტად ასე არ იქცეოდეს! „თითოეული ხომ ყველას ეკუთვნის“... ლინდამ უცებ სუნთქვა შეწყვიტა და ჩუმად ახროტინდა. ფართოდ პირდაღებული, სასოწარკვეთით ცდილობდა ჰაერის ჩასუნთქვას, მაგრამ ამაოდ, თითქოს სუნთქვაც კი დავიწყებოდა. უნდოდა ეყვირა და ხმას ვერ იღებდა, ფართოდ გახელილ თვალებში სასტიკი ტანჯვა ეწერა. ხელები ყელისკენ წაიღო, დაკრუნჩხული თითებით ჰაერს ჩაებლაუჭა, ჰაერს, რომელსაც ვედარ სუნთქავდა, ჰაერს, რომელმაც მისთვის არსებობა შეწყვიტა. ველური წამოხტა, ლინდასკენ დაიხარა. – რა მოგივიდა, ლინდა? რა მოგივიდა? – მუდარით იძახდა, თითქოს გამხნევენას და დამშვიდვენას ითხოვსო. ლინდას თვალებში ენით აუწერელი შიში ამოიკითხა; შიში, და როგორც მოეჩვენა, საყვედური. ლინდა შეეცადა წამომჯდარიყო, მაგრამ ისევ ბალიშზე დაეცა. სახე საშინლად ჰქონდა დამანჭული, ტუჩები – გალურჯებული. ველური მობრუნდა და პალატის ბოლოსკენ გაქანდა. – ჩქარა, ჩქარა! – ყვიროდა. – ჩქარა!@ ტყუპების სათამაშო წრის ცენტრში მდგარი უფროსი მედდა ჯონისკენ მოტრიალდა. სახეზე ჯერ გაკვირვება დაეწერა, რომელიც წამსვე გამკიცხავმა გამომეტყველებამ შეცვალა. – ნუ ყვირით! პატარებზე იფიქრეთ, – თქვა მკაცრად. – ასე ხომ შეიძლება აღზრდის... რას სჩადით? – ჯონი წრეში შეიჭრა. – ფრთხილად! – აყვირდა მედდა. ბავშვები აწივლდნენ. – ჩქარა, ჩქარა! – ველური მედდას სახელოზე ჩაებლაუჭა და შეეცადა ლინდას საწოლისკენ წაეთრია. – ჩქარა! უბედურება მოხდა. მე ის მოვკალი! და პალატის მეორე ბოლოში, ლინდას საწოლთან დაბრუნდნენ, მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო. ველური ერთხანს დუმდა, გაშეშებული, მერე საწოლთან მუხლებზე დაეცა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. მედდა გაუბედავად იდგა და ხან მუხლმოყრილ ველურს უყურებდა (ეს იყო აღმაშფოთებელი სურათი!), ხანაც – ტყუპებს (საცოდავი ბავშვები!), რომლებმაც „ელვაზე ნადირობა“ შეწყვიტეს და თვალებდაჭყეტილები და ნესტოებაწეულები პალატის მეორე ბოლოდან მიშტერებოდნენ მეოცე საწოლთან გათამაშებულ სკანდალურ სანახაობას. დაელაპარაკოს? თავაზიანი ქცევის ნორმებისკენ მოუხმოს? შეახსენოს, თუ სად იმყოფება და შეაგნებინოს, რა საშინელ ვნებას აყენებს პატარებს? როგორ ყრის წყალში უაღრესად მაღალზნეობრივ აღზრდას სიკვდილის საკითხებზე თავისი გულისამრევი ემოციებით... თითქოს სიკვდილი რაღაც საშინელებაა, თითქოს ერთი ადამიანის სიცოცხლე ღირდეს ყველაფერ ამაღ! ასეთი საქციელით შეიძლება სიკვდილზე ბავშვების წარმოდგენა თავდაყირა

დააყენოს და მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი საბედისწერო, უკიდურესად ანტისაზოგადოებრივი გახადოს. ველურს მიუახლოვდა და მხარზე შეეხო. – არ შეიძლება ნორმალურად მოიქცეთ? – თქვა ჩუმად გაბრაზებულმა. მერე მიმოიხედა და დაინახა, რომ სათამაშო წრე იშლებოდა. რამდენიმე ტყუპისცალი ფეხზე წამოიჭრა და ველურისკენ გაემართა. ერთი წუთიც და... არა, რისკი ძალიან დიდი იყო. ბავშვების ჯგუფს სიკვდილის სასწავლო პროგრამაში ექვსი-შვიდი თვით ჩამორჩენა ემუქრებოდა. ამიტომ საფრთხეში მყოფი აღსაზრდელებისკენ აჩქარებით გაემურა. – აბა, ვის უნდა შოკოლადის ეკლერი? – ხმამაღლა, მხიარულად იკითხა. – მე! – ერთ გუნდად აყვირდა ბოკანოვსკის მთელი ჯგუფი. მეოცე საწოლი ყველას უცებ დაავიწყდა. „ო, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო“... იმეორებდა ველური თავისთვის. ეს იყო ერთადერთი მკაფიო სიტყვა მწუხარებისა და სინანულის ქაოსით მოცულ გონებაში. – ღმერთო... – რას ამბობს? – ელექტრონული მუსიკის ფონზე ძალიან ახლოს, გამკვივანი ხმა გაისმა. ველური შეკრთა, სახიდან ხელები ჩამოიღო და მიმოიხედა. ხაკისფერში გამოწყობილი ხუთი ტყუპისცალი, ხუთივე ეკლერის ნარჩენით მარჯვენა ხელში და შოკოლადის კრემით სახემოთხვრილი, დამწკრივებულიყვნენ და თვალებდაჭყეტილები ამოჰყურებდნენ, როგორც მოპსები. ველურმა შეხედა თუ არა, ხუთივე ერთდროულად გაიკრიჭა. ერთმა ეკლერისნარჩენით ლინდასკენ მიუთითა. – უკვე მკვდარია? – იკითხა. ველურმა ტყუპებს უსიტყვოდ შეხედა. მერე უსიტყვოდ ადგა და ნელა წავიდა კარისკენ. – უკვე მკვდარია? – არ მოეშვა ცნობისმოყვარე ტყუპისცალი და კუდში დაედევნა. ველურმა ზემოდან დახედა, ისევ ხმაამოუღებლად ჰკრა ხელი და გვერდზე მოისროლა. ტყუპისცალი იატაკზე დაეცა და აკივლდა. ველურს უკან აღარ მოუხედავს.

## თავი მეოთხეთმეტე

პარკ-ლეინის მომაკვდავთა საავადმყოფოს მომსახურე პერსონალი – ას სამოცდაორი დელტა – ბოკანოვსკის ტყუპების ორ ჯგუფს წარმოადგენდა: ოთხმოცდაოთხ წითურ ქალსა და სამოცდათორმეტ შავგვრემან დოლიქოცეფალ მამაკაცს. ექვს საათზე, სამუშაო დღის დასასრულს, ტყუპების ორივე ჯგუფი საავადმყოფოს ვესტიბიულში იკრიბებოდა, სადაც მეორე ფინანსისტის თანაშემწისგან სომის დადგენილ დღიურ დოზას იღებდნენ. ლიფტიდან გამოსული ველური ამ გროვის შუაგულში აღმოჩნდა. თუმცა ფიქრით ჯერ კიდევ სხვაგან იყო, მისი გონება სიკვდილს, დარდს და სინანულს მოეცვა. მექანიკურად, გაუცნობიერებლად დაიწყო ბრბოში გზის გაკვლევა. – ხელს რას იკვრევენები? საით მიდიხარ? მხოლოდ ორი სხვადასხვა სიმაღლიდან უამრავი მბგერავი იოგის მიერ გამოცემული მხოლოდ ორ ხმა ისმოდა – წრიპინა და უხეში. მხოლოდ ორი სახე მეორდებოდა უსასრულოდ, ისე, როგორც სარკეებიან დერეფანში – ერთი უთმო, დაჭორფლილი მთვარე ნარინჯისფერი თმის შარავანდედით და მეორე – წაგრძელებული, ნისკარტიანი, ჩიტისმაგვარი, ორი დღის გაუპარსავი ჯაგრით. და ეს უამრავი ორი სახე ჯონს გაბრაზებით შემოჰყურებდა ყოველი მხრიდან. მერე კი სიტყვებმა და აქეთიქიდან ფერდებქვეშ დაძგერებულმა იდაყვებმა მის დაბინდულ ცნობიერებაშიც შეაღწია. კიდევ ერთხელ გამოფხიზლებული რეალობაში აღმოჩნდა, ირგვლივ მიმოიხედა და თავზარდაცემულმა იგრძნო, რომ ისევ იმ გულისამრევი, გაუთავებელი, დღე-ღამეული ბოდვით იყო გარემოცული – მოფუთფუთე, აბსოლუტური ერთგვაროვნების კომმარით. ტყუპები, ტყუპები, ტყუპები... მატლებივით მოფუთფუთე ტყუპებმა შერყვნეს ლინდას სიკვდილის საიდუმლოება. ახლა კი დიდი, ზრდასრული მატლებივით შესეოდნენ მის მწუხარებას და სინანულს. ველური შეჩერდა, შემოიღობა თვალები მოავლო ხაკისფერ ბრბოს, რომლის შუაგულშიც იდგა, ბრბოზე მთელი თავით მაღალი. „ო, საოცრებავ, ერთად ვხედავ ამდენ ლამაზ არსს!“ დაცინვასავით გაუელვა გონებაში. „რა მომხიბლავი არის თურმე ადამიანი! ან ის ქვეყანა რა იქნება“... – იწყება სომის დარიგება! – გაისმა ხმამაღლა. – გთხოვთ, დაიცვათ რიგი. ნუ შეფერხდებით. კარი გაიღო და ვესტიბიულში მაგიდა და სკამი შემოიტანეს. განცხადების გამკეთებელი მკვირცხლი ახალგაზრდა ალფა იყო, რომელიც შავი სეიფით ხელში შემოვიდა. მომლოდინე ტყუპების ბრბოს კმაყოფილების ტალღამ გადაუარა. ველური აღარავის ახსოვდა. მთელი ყურადღება შავი სეიფისკენ იყო მიპყრობილი. ალფამ სეიფი მაგიდაზე დადო და სახურავი ახადა. – ოოჰ! – ერთდროულად გაისმა ას სამოცდაორი ადამიანის ხმა, თითქოს მათ თვალწინ ფეიერვერკი აინთო. ახალგაზრდამ სეიფიდან მუჭით პაწაწინა კოლოფები ამოიღო. – აბა, – გაისმა ბრძანება, – მომიახლოვდით, ოღონდ სათითაოდ, რიგის დაცვით! ტყუპები უახლოვდებოდნენ, სათითაოდ, რიგის დაცვით. პირველი ორი მამაკაცი, მერე ქალი, მერე ისევ მამაკაცი, მერე სამი ქალი, მერე ისევ... ველური იდგა და უყურებდა. „ო, საოცარი ახალი სამყარო, ო, საოცარი ახალი სამყარო“... სიტყვები ახლა სხვანაირად ისმოდა მის გონებაში. ეს აღარ იყო საზიზღარი ცინიზმი, მისი ტანჯვის და სინანულის მასხრად აგდება, აღარც ბოროტი სიცილი, გარემომცველი კომმარის ბინძურ უზადრუკობასა და გულისამრევე სიმახინჯეზე რომ ღაღადებდა. სიტყვები უეცრად საბრძოლო მოწოდებად იქცა. მირანდა აცხადებს, რომ სილამაზე შესაძლებელია, რომ კომმარიც შეიძლება რაღაც მშვენიერსა და ამაღლებულში გარდაისახოს. „ო, საოცარი ახალი სამყარო!“ ეს გამოწვევა იყო, ეს იყო ბრძანება. – რიგი, რიგი დაიცავით! – გაბრაზებით დაიყვირა მეორე ფინანსისტის თანაშემწემ და სეიფის სახურავი

ხმაურით დახურა. – თუ წესრიგს არ დაიცავთ, სომის დარიგება შეწყდება! დელტები აბუტბუტდნენ, აირ-დაირივნენ, მაგრამ მალევე დაწყნარდნენ. მუქარამ გაჭრა. სომის გარეშე დარჩენა წარმოუდგენელია! – აი, ასე, – თქვა ახალგაზრდამ და სეიფს სახურავი ისევ ახადა. ლინდა მონა იყო და მონადვე მოკვდა. სხვებმა თავისუფლად უნდა იცხოვრონ, სამყარო მშვენიერი უნდა გახდეს. ეს მოვალეობაა. ეს არის ცოდვების გამოსყიდვა. ველურს უეცრად გონება გაუნათდა, მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა – თითქოს დარაბები გაიხსნა, თითქოს ბნელს ფარდა აეხადა. – აბა, – დაიძახა მეორე ფინანსისტის თანაშემწემ. რიგს ერთი ხაკისფერტანსაცმლიანი ქალი გამოეყო. – შეჩერდით! – ველურის ხმა ქუხილივით გაისმა. – შეჩერდით! მაგიდისკენ გზა გაიკვლია. დელტები გაკვირვებული უყურებდნენ. – ფორდ! ეს ხომ ველურია, – ჩაიბუტბუტა მეორე ფინანსისტის თანაშემწემ. ცოტა არ იყოს, შეშინდა. – გევედრებით, მომისმინეთ, – ყვიროდა გულანთებული ველური. – ყური მომაპყარით... – ადრე საჯაროდ არასოდეს ულაპარაკია და საჭირო სიტყვების პოვნა ძალიან უჭირდა. – არ მიეკაროთ ამ საშინელებას. ეს საწამლავია, შხამია, შხამი! – ბატონო ველურო, გთხოვთ, – წარმოთქვა მეორე ფინანსისტის თანაშემწემ შემრიგებლური ღიმილით. – ნება მომეცით... – საწამლავია სხეულისთვის, საწამლავია სულისთვის! – ჰო, მაგრამ ნება მომეცით, ჩემი მოვალეობა შევასრულო. ხომ გესმით. – და იმ ადამიანის სიფრთხილით, რომელმაც იცის, რომ სასტიკ მხეცთან აქვს საქმე, ველურს ხელზე ხელი მოწიწებით გადაუსვა. – ნება მომეცით მხოლოდ... – არავითარ შემთხვევაში! – დაიყვირა ველურმა. – მომისმინეთ, მეგობარო... – გადაყარეთ ეს საშინელი საწამლავი, მთლიანად გადაყარეთ! სიტყვებმა „გადაყარეთ“ და „მთლიანად“ სიჩლუნგის შრეებში გააღწია და დელტების ცნობიერებამდე დავიდა. ბრბო სიბრაზით აგუგუნდა. – მე მოვედი, რომ თავისუფლება მოგიტანოთ, – თქვა ველურმა და ისევ ბრბოს მიუბრუნდა. – მოვედი, რომ... მეორე ფინანსისტის თანაშემწეს მეტი არაფერი გაუგონია. ვესტიბულიდან უჩუმრად გაიძურწა და ტელეფონების წიგნში ნომრის ძებნა დაიწყო. – მოკლედ, სახლში არ არის, – დაასკვნა ბერნარდმა. – არც ჩემთან არის და არც შენთან. არც „აფროდიტუმშია“, არც ცენტრშია და არც კოლეჯში. სად უნდა წასულიყო? ჰელმჰოლცმა მხრები აიჩიქა. სამსახურიდან დაბრუნებულებს ეგონათ, ველური შეხვედრისთვის დათქმულ რომელიმე ადგილას დახვდებოდათ, მაგრამ მისი კვალიც არსად ჩანდა. დასანანი იყო, რადგან ცოტა ხნით ბიარიცში გაფრენას აპირებდნენ ჰელმჰოლცის ოთხადგილიანი სპორტმფრენით და თუ ველური დროზე არ გამოჩნდებოდა, სადილს ვეღარ მიუსწრებდნენ. – ხუთი წუთიც მოვიცადოთ, – თქვა ჰელმჰოლცმა. – თუ არ გამოჩნდა, მაშინ... ლაპარაკი ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა. ჰელმჰოლცმა ყურმილი აიღო. – ალო, გისმენთ. – და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ – ჯანდაბა! – დაიძახა, – ახლავე მოვდივარ! – რა ხდება? – ჰკითხა ბერნარდმა. – ნაცნობი მირეკავს პარკ-ლეინის საავადმყოფოდან, – უპასუხა ჰელმჰოლცმა. – ველური იქ არის, როგორც ჩანს, ჰკუიდან არის გადასული. დასაკარგი დრო არ გვაქვს. მოდიხარ? და ორივე ლიფტისკენ გაიქცა. – ნუთუ მონობა მოგწონთ? – საავადმყოფოში შესულებს ველურის ხმა შემოესმათ. სახე გაწითლებოდა, აღშფოთებულს თვალები გზნებით უელავდა. – მოგწონთ, რომ ქვეშაფსია ბავშვებს ჰგავხართ? ქვეშასვრილ აღნაგებულ ჩვილებს რომ ჰგავხართ? – ყვიროდა, მოთმინებიდან გამოსული მათი ცხოველური სიბრიყვით, ვის გადარჩენასაც ელტვოდა. დელტების სქელმა ჯავშანმა შეურაცხყოფა აისხლიტა. იდგნენ და ჩლუნგი, პირქუში სიბრაზით სავსე თვალებით შემოსცქეროდნენ. – დიახ, ქვეშასვრილებს, – კიდევ უფრო ხმამაღლა დაიყვირა. მწუხარება,

სინანული, თანაგრძნობა, მოვალეობა – ყველაფერი დაავიწყდა, ყველაფერი შთანთქა მძაფრმა სიძულვილმა ამ ნახევარ-ადამიანი ურჩხულების მიმართ. – ნუთუ არ გინდათ თავისუფლება, ადამიანობა? ნუთუ არც კი გესმით, რა არის ადამიანობა, რას ნიშნავს, იყო ადამიანი? – გააფთრებამ მჭევრმეტყველება შესძინა, სწრაფად, ძალდაუტანებლად ალაპარაკდა. – ნუთუ არ გესმით? – გაიმეორა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. – ძალიან კარგი, – განაგრძო შეუპოვრად. – მე გასწავლით, მე გაგათავისუფლებთ, სულ არ დავეძებ, გინდათ თუ არა. – მერე საავადმყოფოს შიდა ეზოში გამავალი ფანჯარა ხელისკვრით გააღო და სომით სავსე პატარა კოლოფების გროვებად გადაყრა დაიწყო. ამ თავაშვებული მკრეხელობის შემყურე ხაკისფერი ბრბო ერთხანს ჩუმად იდგა, გაკვირვებისა და შიშისგან გაქვავებული. – გაგიჟდა, – ჩაიჩურჩულა თვალეგაფართოებულმა ბერნარდმა. – მოკლავენ, ნამდვილად მოკლ... – ბრბომ უეცრად დაიღმუვლა და ამომრავებული ზვირთი ველურისკენ ავისმომასწავებლად დაიძრა. – ფორდ, შენ უშველე, – თქვა ბერნარდმა და თვალი აარიდა. – ფორდი გვეუბნება, ხელი გაანძრიე და გიშველიო. – და სიცილით, აღტაცებული, ეგზალტირებული სიცილით, ჰელმჰოლც უოტსონმა ბრბოში გზის გაკვლევა დაიწყო. – თავისუფლება, თავისუფლება! – ყვიროდა ველური, ცალი ხელით სომის ტაბლეტებს ისროდა ფანჯრიდან, მეორე ხელის მუშტს კი თავდამსხმელების უამრავ ერთგვაროვან სახეს უშენდა. – თავისუფლება! – და უცებ მის გვერდით ჰელმჰოლცი გაჩნდა, – ერთგული ჰელმჰოლცი! – ისიც მუშტებს იქნევდა, – ახლა კი ადამიანები ხართ! – და ისიც ბლუჯებით ყრიდა საწამლავს ეზოში. – დიახ, ადამიანები, ადამიანები! – აი, სომის მთელი მარაგი გადაყრილია. ველურმა სეიფს ხელი სტაცა და დელტებს მისი ცარიელი ფსკერი უჩვენა. – თავისუფლები ხართ! გაისმა ღმუილი და დელტები გაორმაგებული გააფთრებით დაიძრნენ მოწინაღმდეგეებისკენ. ბერნარდი გაუბედავად იდგა ბრბოლის ველის შორიახლო. – წასულია საქმე, – აღმოხდა. და უცებ რაღაც ძალამ აიძულა, მეგობრების დასახმარებლად წინ გაჭრილიყო. მერე გონს მოეგო, შეყოვნდა. მერე შერცხვა და ისევ წინ წადგა ნაბიჯი. მერე ისევ გადაიფიქრა და იდგა ასე დარცხვენილი, გატანჯული და ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა – რომ არ მიხმარებოდა, მათ მოკლავდნენ, რომ მიხმარებოდა, შეიძლება თვითონ მოეკლათ – როცა (დიდება შენდა, ფორდ!) დარბაზში დამცავსათვალისანი და ღორისდინგიანი აირწინაღებით აღჭურვილი პოლიციელები შემოგვივდნენ. ბერნარდი მათ შესახვედრად გაექანა. ხელებს იქნევდა – ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა, ისიც საქმეში იყო ჩართული! ყვიროდა, – გვიშველეთ! – უფრო და უფრო ხმამაღლა, იმის ილუზიას იქმნიდა, მეგობრებს ვეხმარებიო. – გვიშველეთ! გვიშველეთ! პოლიციელებმა ბერნარდი გზიდან უხეშად ჩამოიშორეს და საქმეს შეუდგნენ. მხარზე საფრქვეველმოკიდებულმა სამმა პოლიციელმა ოთახში სომის ბოლქვების სქელი ორთქლი დააყენა. ორი მათგანი პორტატული სინთეზური მუსიკის ყუთს უტრიალებდა. მძლავრი საანესთეზიო საშუალებით დატენილი წყლის პისტოლეტებით შეიარაღებული ოთხი ოფიცერი ბრბოში შეიჭრა და ყველაზე მძვინვარე მებრძოლები ერთმანეთის მიყოლებით მეთოდურად მიაწვინა. – ჩქარა, ჩქარა! – გაჰკიოდა ბერნარდი. – მოკლავენ, თუ არ იჩქარეთ. მოკლ... ოჰ! – მისი კივილით თავმოებურებულმა ერთ-ერთმა ოფიცერმა პისტოლეტის ჭავლი მიუშვირა. ბერნარდი შექანდა, ორიოდე წამის განმავლობაში ტორტმანებდა ძვლებგამოცლილ, ჟელედ ქცეულ ფეხებზე და ბოლოს მოცელილივით დაეცა იატაკზე. სწორედ ამ დროს, უეცრად სინთეზური მუსიკალური ყუთი ალაპარაკდა. წესრიგისკენ სინთეზური მოწოდება ნომერი ორის (საშუალო ინტენსივობის) ფონოგრამა

კეთილგონიერებისა და კეთილგანწყობის ხმით აჟღერდა. არარსებული გულის სიღრმიდან ამოხეთქილ პათეტიკურ დარიგებაში – მეგობრებო, მეგობრებო! – ისეთი უსაზღვროდ ნაზი და ალერსიანი საყვედური იყო ჩაქსოვილი, რომ წამიერად პოლიციელებსაც კი ცრემლით დაებინდათ აირწინალებით დაფარული თვალები. – რა აზრი აქვს ყველაფერ ამას? რატომ არ გინდათ ერთმანეთს ბედნიერება და სიკეთე გაუზიაროთ? ბედნიერება და სიკეთე, – გაიმეორა ხმამ. – მშვიდობა და თანხმობა. – ხმა ათრთოლდა, ჩურჩულში გადავიდა და მიიღია. – ო, როგორ მინდა, რომ ბედნიერები იყოთ, – სურვილი წრფელი და გულითადი იყო. – როგორ მინდა, რომ თქვენს გულელებში სიკეთემ დაისადგუროს! გთხოვთ, გევედრებით გაუღეთ სიკეთეს გულის კარები... ზუსტად ორ წუთში სომის ორთქლმა და სინთეზურმა მოწოდებამ შედეგი გამოიღო. ცრემლმორეული დელტები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ, ექვს-ექვსი ტყუპი ერთდროულად იკრავდა ერთმანეთს გულში. ცოტაც და ველური და ჰელმჰოლციც ატირდებოდნენ. საწყობიდან სომის ტაბლეტების ახალი მარაგი ამოიტანეს და ნაჩქარევად გაანაწილეს. ალერსიანი სინთეზური ბარიტონის გამომშვიდობების ფონზე, გულსაკლავად აქვითინებული დელტები თანდათან დაიფანტნენ. – ნახვამდის, ჩემო ძვირფასო, ძვირფასო მეგობრებო, ფორდი გფარავდეთ! ნახვამდის, ჩემო ძვირფასო, ძვირფასო მეგობრებო, ფორდი გფარავდეთ! ნახვამდის, ჩემო ძვირფასო, ძვირფა... უკანასკნელი დელტა წავიდა თუ არა, პოლიციელმა მოწყობილობა გამორთო. ზეციური ხმა შეწყდა. – თქვენი ნებით წამოხვალთ? – იკითხა სერჟანტმა, – თუ ანესთეზია დაგჭირდებათ? – და წყლის პისტოლეტი ხელში მუქარით შეათამაშა. – ჩვენი წამოვალთ, – მიუგო ველურმა, თან ხელით სისხლს ხან გაჭრილი ტუჩიდან იწმენდდა, ხან დაკაწრული კისრიდან და ხან დაკბენილი მარცხენა ხელიდან. ჰელმჰოლცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, გასისხლიანებული ცხვირიდან ცხვირსახოცს არ იშორებდა. გონზე მოსულმა ბერნარდმა კი ფეხქვეშ მიწა იგრძნო თუ არა, დრო იხელთა და გადაწყვიტა გასასვლელისკენ შეუმჩნეველად გაპარულიყო. – ეი, შენ, საით? – დაიძახა სერჟანტმა, ღორისდინგიანმა პოლიციელმა კი ოთახი აჩქარებით გადაჭრა და ახალგაზრდა კაცს მხარზე ხელი დაადო. ბერნარდი შემობრუნდა, უცოდველი და თანაც განაწყენებული გამომეტყველებით. გაქცევა? როგორ გეკადრებათ, არც უფიქრია! – თუმცა მერაღაში გჭირდებით, – უთხრა სერჟანტს, – წარმოდგენა არ მაქვს. – თქვენ დაკავებულის მეგობარი ხართ, არა? – იცით რა... – თქვა ბერნარდმა და შეყოყმანდა. არა, ამის უარყოფა უაზრობა იყო. – მერე რა მოხდა? – გამომყევით, – და სერჟანტი სამივეს პოლიციის მანქანისკენ გაუძღვა, რომელიც გასასვლელთან ელოდათ.



## თავი მეთექვსმეტე

სამივე მაკონტროლებლის კაბინეტში შეიყვანეს. – მისი უფორდესობა ახლავე ჩამოვა. – თქვა გამა-მსახურთუხუცესმა და ოთახიდან გავიდა. – თავი სასამართლოზე კი არა, კოფეინის წვეულებაზე მგონია, – ჰელმჰოლცი სიცილით ჩაეშვა ყველაზე ძვირფას პნევმატურ სავარძელში. – ცხვირი ნუ ჩამოუშვი, ბერნარდ, – მიმართა მეგობარს მისი შიშისგან გამწვანებული სახის დანახვაზე. მაგრამ ბერნარდი ხუმრობის ხასიათზე სულ არ იყო. ჰელმჰოლცისთვის არც კი შეუხედავს, სკამებიდან ყველაზე უარესი ამოარჩია და ჩამოჯდა იმის ბუნდოვანი იმედით, რომ ამით ხელისუფლების რისხვას ოდნავ მაინც შეამსუბუქებდა. ჯონი კი ამ დროს მოუსვენრად დაბორიალებდა ოთახში, ზერელე ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდა თაროებზე დაწობილ წიგნებს, დანომრილ სტელაჟებზე ჩარიგებული აუდიო-რელონებს და საკითხავი მანქანის ბობინებს. ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე უხარმაზარი ტომი იდო. რბილ, შავ დერმატინის ყდაზე დიდი ოქროსფერი თ-ები ჰქონდა ამოტვიფრული. წიგნი აიღო და გადაშალა. ეს იყო ჩვენი ფორდის „ჩემი ცხოვრება და საქმე“, გამოცემული დეტროიტში ფორდიანული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. ველურმა ფურცლებს თვალი გადაავლო, აქა-იქ ამოკითხული ფრაზების და აბზაცების მიხედვით, ის-ის იყო დაასკვნა, წიგნი უინტერესოაო, რომ კარი გაიღო და ოთახში ენერგიული ნაბიჯით შემოვიდა დასავლეთ ევროპის მუდმივი მაკონტროლებელი. მუსტაფა მონდმა ხელი სამივეს ჩამოართვა და ველურს მიუბრუნდა. – ესე იგი, ცივილიზაცია მაინცდამაინც არ მოგწონთ, ბატონო ველურო. ჯონმა მაკონტროლებელს შეხედა. მზად იყო, რომ ეცრუა, ეყვირა, ჯიუტად გაჩუმებულიყო, მაგრამ მუსტაფა მონდის ჰკვიანი სახის კეთილგანწყობილი იერით გამხნევებულმა, გადაწყვიტა სიმართლე ეთქვა, თანაც პირდაპირ და შეულამაზებლად. – არა, არ მომწონს. ბერნარდი შეკრთა, გული გაუსკდა. რას იფიქრებს მაკონტროლებელი? იმ ადამიანის მეგობრების რიცხვში ყოფნა, რომელიც აცხადებს, ცივილიზაცია არ მომწონსო – აცხადებს ღიად და საჯაროდ, თანაც მაკონტროლებლის წინაშე – ნამდვილი საშინელება იყო. – რას ამბობ, ჯონ, – წამოიწყო, მაგრამ მუსტაფა მონდის გამოხედვაზე კუთხეში მიიყუჭა და ხმა ლაჩრულად გაკმინდა. – რა თქმა უნდა, – განაგრძობდა ჯონი აღიარებას, – აქ მოსაწონიც ბევრია. თუნდაც ეს მუსიკა, რომლითაც სავსეა გარემო... – „ხშირად ათასი ჩანგისა და საყვირის ჟღერა გამიზუზუნებს ხოლმე ყურთან, გამომავლიძებს ხანდახან რამე ტკბილი ჰანგი“... უეცარი სიამოვნებისგან ველურს სახე გაუნათდა. – ესე იგი, თქვენც წაკითხული გაქვთ? მე მეგონა აქ, ინგლისში, ამ წიგნის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. – თითქმის არავინ. მხოლოდ მე და კიდევ ორიოდე ადამიანმა. სხვათა შორის, ეს წიგნი აკრძალულია. მაგრამ რადგან აქ კანონებს მე ვაწესებ, მათი დარღვევაც შემიძლია. თანაც გაითვალისწინეთ, ბატონო მარქს, დაუსჯელად, – დაამატა და ბერნარდს გახედა. – რაც თქვენთვის, ვშიშობ, რომ შეუძლებე ღია. ბერნარდის მდგომარეობა უკვე სრულიად უნუგემო იყო. – რატომ არის აკრძალული? – იკითხა ველურმა. ისეთი აღტაცებული იყო იმ ადამიანთან შეხვედრით, ვისაც შექსპირი ჰქონდა წაკითხული, რომ ცოტა ხნით სხვა ყველაფერი გადაავიწყდა. მაკონტროლებელმა მხრები აიჩეჩა. – იმიტომ, რომ ძველია. ეს არის ძირითადი მიზეზი. ჩვენ სიძველეები არ გვჭირდება. – და თუ სიძველე მშვენიერია? – მით უმეტეს. მშვენიერი სიძველე განსაკუთრებით უსარგებლოა. მშვენიერება მიზეზიძველია, ჩვენ კი არ გვინდა, რომ ხალხი სიძველემ მიიზიდოს. ჩვენი მიზანია, მათ ყველაფერი ახალი მოსწონდეთ. – რომელი ახალი? ეს საშინელი, უხამსი სისულელე. ეს ფილმები, სადაც არაფერი ხდება,

მხოლოდ ვერტმფრენები დაქრიან და გრძნობ, როგორ კოცნიან ერთმანეთს ადამიანები. – სახე ზიზღით დაემანჭა. – „მაიმუნები! თხები“!1 – მხოლოდ ოტელოს სიტყვებით მოახერხა გულში დაგროვილი უსაზღვრო სიძულვილის გადმონთხევა. – რას ერჩით ამ უწყინარ ცხოველებს, – ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მუსტაფა მონდმა. – ამ უხამსობის ნაცვლად „ოტელოს“ ნახვის უფლებას რატომ არ აძლევთ? – მე უკვე გითხარით, რომ ჩვენ სიძველეები არ გვჭირდება. თანაც „ოტელოს“ ვერც გაიგებენ. ეს კი მართალი იყო. გაახსენდა, რამდენი იცინა ჰელმჰოლცმა „რომეო და ჯულიეტაზე“. – მაშინ, – თქვა პაუზის შემდეგ, – რაიმე ახალი უჩვენეთ, „ოტელოს“ მსგავსი, მაგრამ ისეთი, რომელიც მათთვის გასაგები იქნება. – რამდენი ხანია, სწორედ ასეთი რამის დაწერა გვინდა, – ჰელმჰოლცმა ხანგრძლივი სიჩუმე დაარღვია. – და სწორედ ასეთ რამეს ვერასოდეს დაწერთ, – თქვა მაკონტროლებელმა. – რადგან ასეთ რამეს, მართლა „ოტელოს“ რომ ჰგავდეს, რა განახლებულიც არ უნდა იყოს, მაინც ვერავინ გაიგებს. სულმთლად ახალი კი „ოტელოს“ მსგავსი, ალბათ, ვეღარ იქნება. – რატომ ვერ იქნება? – ჰო, რატომ ვერ იქნება? – გაიმეორა ჰელმჰოლცმა. მდგომარეობის მთელ სერიოზულობას ვერც ის აცნობიერებდა. ამის აღქმა მხოლოდ შიშისგან გამწვანებულ, საშინელი წინათგრძნობით ატანილ ბერნარდს ჰქონდა, თუმცა მისი აზრი არავის აინტერესებდა. – რატომ ვერა? – იმიტომ, რომ ჩვენი სამყარო „ოტელოს“ სამყარო აღარ არის დიდი ხანია. „ფორდის“ ავტომობილს ფოლადი სჭირდება, ისევე როგორც ტრაგედიას – სოციალური არასტაბილურობა. დღევანდელი სამყარო კი სტაბილურია. ადამიანები ბედნიერები არიან, იღებენ ყველაფერს, რაც უნდათ და არასოდეს უნდათ ის, რასაც ვერასოდეს მიიღებენ. ისინი მდიდრები არიან, ცხოვრობენ უსაფრთხოდ. არ იციან, რა არის ავადმყოფობა. არ ეშინიათ სიკვდილის. ნეტარნი არიან, რადგან არ უწყიან, თუ რა არის ვნება და სიბერე. მათ თავს არ აბეზრებენ დედები და მამები, არ ჰყავთ ცოლი, ქმარი, შვილი, საყვარელი და არ აქვთ მძაფრი განცდები; აღზრდილებიც ისე არიან, რომ ქცევის დადგენილ წესებს, პრაქტიკულად, ვერასდროს დაარღვევენ. და თუ რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს – არსებობს სომა, რომელსაც, თავისუფლების სახელით, ფანჯრიდან გადაუძახეთ, ბატონო ველურო. თავისუფლების! – მუსტაფა მონდს გაეცინა. – და გეგონათ დელტები გაიგებდნენ, რა არის თავისუფლება! ახლა კი გგონიათ, რომ „ოტელოს“ გაიგებენ! ჩემო ბიჭუნო! ველური ცოტა ხანს დუმდა. – და მაინც, – თქვა მერე, – „ოტელო“ ძალიან კარგია, გაცილებით უკეთესი, ვიდრე სენსოფილმები. – რა თქმა უნდა, უკეთესია, – დაეთანხმა მაკონტროლებელი. – მაგრამ ეგ სწორედ ის საფასურია, რის გადახდაც სტაბილურობის მისაღწევად გვიწევს. ჩვენ გვიწევს არჩევანის გაკეთება ბედნიერებასა და იმას შორის, რასაც ოდესღაც მაღალ ხელოვნებას უწოდებდნენ. ჩვენ მსხვერპლად მაღალი ხელოვნება გავიღეთ. სამაგიეროდ კი სენსოფილმები და სურნელოვანი ორდანი გვაქვს. – მაგრამ მათში აზრის ნასახიც კი არ არის. – მათი აზრი ისაა, რომ დამსწრე საზოგადოებას უამრავ სასიამოვნო შეგრძნებას აღუძრავს. – ჰო, მაგრამ ეს ხომ... ეს ხომ „სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის“. მაკონტროლებელს გაეცინა. – დიდი თავაზიანობით არ გამოირჩევით თქვენი მეგობრის, მისტერ უოტსონის მიმართ. ის ხომ გრძნობათა ტექნოლოგიის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია... – ჯონი არ ტყუის, – ჰელმჰოლცს სახე მოექუფრა. – რადგან ეს მართლაც სისულელეა. წერო, როდესაც სათქმელი არაფერი გაქვს... – გეთანხმებით, არაფერი. მაგრამ ეს არაჩვეულებრივ საზრიანობას მოითხოვს. თქვენ „ფორდებს“ ფოლადის მინიმალურზე მინიმალური რაოდენობიდან აკეთებთ, ანუ ხელოვნების ნიმუშებს პრაქტიკულად არაფრიდან ქმნით, გარდა წმინდა

შეგრძნებებისა. ველურმა თავი გააქნია. – მე მგონი, ეს ყველაფერი უბრალოდ საზიზღრობაა. – რა თქმა უნდა, ნამდვილი ბედნიერება ყოველთვის უბადრუკად გამოიყურება სათანადოდ შელამაზებული უბედურების ფონზე. და რა თქმა უნდა, სტაბილურობა გაცილებით ნაკლებ შთამბეჭდავია არასტაბილურობასთან შედარებით. კმაყოფილებას არ ახლავს უბედურებასთან ბრძოლის შარავანდედი, კმაყოფილება მოკლებულია ცდუნებასთან ჭიდილის მაგიურ მიმზიდველობას, ვნების ან ეჭვის დამღუპველ გავლენას. ბედნიერება მოკლებულია გრანდიოზულ ეფექტებს. – არა მგონია, – წარმოთქვა ველურმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. – ასეც რომ იყოს, რა საჭიროა ეს საშინელება – ტყუპები? – თვალზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს უნდოდა მეხსიერებიდან ამოეშალა ერთნაირი ჯუჯების მწკრივი კონვეიერის მაგიდებთან, რიგში ჩამდგარი ტყუპების ჯოგი ბრენტფორდის მონორელსური სადგურის შესასვლელთან, ლინდას სასიკვდილო სარეცელთან მოფუთფუთე ადამიანის ჭუპრები, შეტევაზე გადმოსული ბრბოს ერთი, უსასრულოდ განმეორებადი სახე. მერე შეხვეულ მარცხენა ხელზე დაიხედა და შეაჟრჟოლა. – რა საზიზღრობაა! – სამაგიეროდ რა სასარგებლოა! როგორც ჩანს, ჩვენი ბოკანოვსკის ჯგუფები არ მოგწონთ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს არის ბაზისი და სხვა ყველაფერი ზედნაშენია. ეს არის გიროსკოპი, რომელიც სახელმწიფოს რაკეტშიდს კურსიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევს. – ღრმა ბანი ამაღლელებლად ჟღერდა. ხელების მოძრაობა სივრცის უსაზღვროებას და უძლეველი მანქანის დაუოკებელ წინსვლას გამოხატავდა. მუსტაფა მონდის ორატორული ხელოვნება თითქმის სინთეზურ სტანდარტებს აღწევდა. – მაინც ვერ გამიგია, – დაიჟინა ველურმა, – საერთოდ რა საჭიროა ტყუპები, თუ თქვენი ბოთლებიდან რასაც გინდათ, იმას მიიღებთ? და თუ ასეა, რატომ ყველას პლუს-პლუს ალფებად არ აყალიბებთ? მუსტაფა მონდს გაეცინა. – იმიტომ, რომ სიცოცხლე ჯერ არ მოგვძულებია. ჩვენ ბედნიერებას და სტაბილურობას ვესწრაფით. მხოლოდ ალფებისაგან შემდგარი საზოგადოება კი აუცილებლად არასტაბილური და უბედური იქნება. წარმოიდგინეთ ქარხანა დაკომპლექტებული ალფებით, ანუ დამოუკიდებელი და განსხვავებული ინდივიდებით, რომლებსაც აქვთ კარგი გენეტიკა და თავისუფალი არჩევანის და პასუხისმგებლობის ალების (გარკვეულ საზღვრებში) აღზრდით ჩამოყალიბებული უნარი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ! ველური შეეცადა ამის წარმოდგენას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. – ეს აბსურდია. ბოთლიდან ალფად ამოყვანილი, ალფად აღზრდილი და ჩამოყალიბებული ადამიანი გაგიჟდება, ეფსილონ-კრეტინოიდის საქმე რომ აკეთებინო; ან გაგიჟდება, ან ირგვლივ ყველაფრის განადგურებას დაიწყებს. ალფები, შესაძლოა, საზოგადოების სასარგებლო წევრებად დარჩნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ალფების საქმეს აკეთებინებ. ეფსილონის სამუშაოსთან დაკავშირებული მსხვერპლის გაღება მხოლოდ ეფსილონს შეიძლება მოსთხოვო იმ უბრალო მიზეზით, რომ ეფსილონისთვის ეს მსხვერპლი არარის. ეს არის უმცირესი წინააღმდეგობის გზა, ეფსილონის აღზრდით და განვითარებით დადგენილი ცხოვრებისეული ხაზი და ის განწირულია ამ ხაზზე სამოდროდ – მისი ბედი წინასწარ არის განსაზღვრული. ის ბოთლიდან ამოყვანის შემდეგაც ბოთლში აგრძელებს ცხოვრებას, ემბრიონისა და ჩვილობის სტადიაზე ჩანერგილი თვისებების უხილავ ბოთლში. რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანი, – ჩაფიქრებით განაგრძობდა მაკონტროლებელი, – მთელ ცხოვრებას ბოთლში ატარებს. მაგრამ თუ ჩვენ ალფებად დავიბადეთ, ჩვენი ბოთლები დაბალი კასტის ბოთლებთან შედარებით გაცილებით დიდია. პატარა ბოთლში ჩვენი ტანჯვა განუზომელი იქნებოდა. შეუძლებელია მაღალი

კლასის სუროგატული შამპანურის დაბალი კასტის ბოთლში ჩასხმა. ეს ხომ თეორიულადაც ცხადია და პრაქტიკულადაც საბოლოოდ დამტკიცდა კვიპროსის ექსპერიმენტის შედეგებით. – კვიპროსის ექსპერიმენტი? მუსტაფა მონდს გაეღიმა. – თუ გნებავთ, ამას ბოთლში ხელმეორედ ჩამოსხმის ექსპერიმენტი უწოდეთ. ის ფორდის ეპოქის 473 წელს დაიწყო. მსოფლიოს მაკონტროლებლების ბრძანებით, კუნძული კვიპროსი ადგილობრივი მოსახლეობისგან მთლიანად გაწმინდეს და იქაურობა საგანგებოდ გამოზრდილი ოცდაორი ათასი ალფასგან შემდგარი პარტიტ დაასახლეს ხელახლა. ალფებს გადასცეს ყოველგვარი სასოფლოსამეურნეო და სამრეწველო ტექნიკა და საკუთარი საქმეებიც თავადვე მიანდეს სამართავად. მიღებული შედეგები ზუსტად დაემთხვა თეორიულ პროგნოზებს. მიწა წესიერად ვერ დამუშავდა, ყველა ქარხანა გაიფიცა, კანონებს არავინ არაფრად აგდებდა, ბრძანებებს არ ემორჩილებოდნენ. გარკვეული ვადით შავ სამუშაოზე დანიშნული ყველა ალფა გამუდმებით ხლართავდა ინტრიგებს, უკეთეს სამუშაოზე გადასვლის მიზნით, პრესტიჟულ სამსახურებში დასაქმებულები კი, თავის მხრივ, ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდნენ სამუშაოს შესანარჩუნებლად. ექვსი წლის შემდეგ ნამდვილი სამოქალაქო ომი დაიწყო. და როცა ოცდაორი ათასი ალფადან ცხრამეტი ათასი მოკლეს, გადარჩენილებმა მსოფლიოს მაკონტროლებლებთან კუნძულის ძველი ხელისუფლების აღსადგენად ერთხმად შეიტანეს შუამდგომლობა. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ასე დასრულდა ალფების ერთადერთი საზოგადოების არსებობა კაცობრიობის ისტორიაში. ველურმა ღრმად ამოიოხრა. – მოსახლეობის ოპტიმალური შემადგენლობა, – განაგრძობდა მუსტაფა მონდი, – მოდელირებულია აისბერგის მიხედვით, რომლის რვა მეცხრედი წყალქვეშაა, ერთი მეცხრედი კი – წყალს ზემოთ. – მერე წყალქვეშ მცხოვრებნი ბედნიერები არიან? – უფრო ბედნიერები, ვიდრე წყალს ზემოთ ერთი მეცხრედი. უფრო ბედნიერები, ვიდრე თუნდაც თქვენი მეგობრები, – და ბერნარდსა და ჰელმჰოლცზე მიუთითა. – საშინელი სამუშაოს მიუხედავად? – რატომ საშინელი? ისინი ასე არ თვლიან. პირიქით, მათ მოსწონთ თავიანთი სამუშაო. ის ისეთი მსუბუქია, ისეთი მარტივი, თავს ბავშვიც რომ გაართმევს. არც გონების დამაბზვა სჭირდება, არც კუნთების. შვიდნახევარსაათიანი მსუბუქი, არამომქანცველი სამუშაო, მერე კი სომა დოზირებულად და თამაშები, არადოზირებული სექსი და სენსოფილმები. სხვა რაღა უნდა მოისურვონ? მართალია, – დაამატა, – შეიძლება მოისურვონ სამუშაო საათების შემცირება. და ამის გაკეთება მართლაც შეგვიძლია. დაბალი კასტების სამუშაოს სამ-ოთხ საათამდე შემცირება, ტექნიკური თვალსაზრისით, უკიდურესად მარტივია. მაგრამ როგორ გგონიათ, ეს მათ ოდნავ მაინც უფრო გააბედნიერებს? სულაც არა. სამუშაო საათებზე ექსპერიმენტი ჩატარებულია და ასეთი ექსპერიმენტიდან უკვე საუკუნენახევარზე მეტი გავიდა. მთელ ირლანდიაში ოთხსაათიანი სამუშაო დღე დააწესეს. შედეგად რა მივიღეთ? სამოქალაქო მღელვარება და სომის მოხმარების მკვეთრი ზრდა, მეტი არაფერი. მოცლილობის დამატებითი სამსაათნახევარი ბედნიერების წყარო არ გამხდარა, უსაქმურობისგან თავის დასაღწევად ადამიანები სომ-არდადეგებსაც კი იწყობდნენ. გამოგონების ბიურო გაივსო წინადადებებით შრომის ეკონომიის საკითხებზე. ათასობით წინადადებით. – მუსტაფა მონდმა ხელები ფართოდ გაშალა. – რატომ არ გავატარეთ ისინი პრაქტიკაში? ისევ და ისევ მშრომელთა ინტერესების გათვალისწინებით. მეტისმეტი ბოროტება იქნებოდა, მათთვის დასვენების ზედმეტი საათები დაგვეტეხა თავს. ასევეა სოფლის მეურნეობაში. ჩვენ ნებისმიერი საკვები პროდუქტის ინდუსტრიულად

სინთეზირება შეგვიძლია, თუკი მოვინდომებთ. მაგრამ გვირჩევენია, მოსახლეობის ერთი მესამედი მიწაზე იყოს დასაქმებული. ისევ მათივე გულისთვის, რადგან საკვები პროდუქტების სასოფლო-სამეურნეო გზით მიღება უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ქარხნულით. გარდა ამისა, სტაბილურობაზე უნდა ვიზრუნოთ. ჩვენ არ გვინდა ცვლილება. ნებისმიერი ცვლილება სტაბილურობას ემუქრება. ეს არის მეორე მიზეზი, რომლის გამოც ინოვაციებს ასე მოზომილად ვწერავთ. ყოველი წმინდა მეცნიერული აღმოჩენა პოტენციურად დამღუპველია. ზოგჯერ მეცნიერებაც კი პოტენციურ მტრად უნდა ჩავთვალოთ. დიახ, დიახ, მეცნიერებაც კი. მეცნიერება? ველური მოიღუპა. ეს სიტყვა გაგონილი ჰქონდა. მაგრამ მისი ზუსტი მნიშვნელობა არ ესმოდა. შექსპირს და პუბლოელ მოხუცებს მეცნიერება არასოდეს უხსენებიათ, ლინდას მონაყოლიდან კი ძალიან ბუნდოვანი აზრი ჰქონდა გამოტანილი: მეცნიერების საშუალებით აკეთებენ ვერტმფრენებს, მეცნიერებას სასაცილოდ არ ჰყოფნის ინდიელთა რიტუალური ცეკვები, მეცნიერება გიცავთ ნაოჭებისგან და გინარჩუნებთ კბილებს. ველურმა გონება უკიდურესობამდე დაძაბა, მაკონტროლებლის სიტყვების არსს რომ ჩასწვდომოდა. – დიახ, – განაგრძობდა მუსტაფა მონდი, – ესეც იმ საფასურში შედის, რომელსაც სტაბილურობისთვის ვიხდით. მეცნიერება, ისევე როგორც ხელოვნება, ბედნიერებასთან შეუთავსებელია. მეცნიერება საშიში რამაა, იძულებული ვართ, მაგარი ჯაჭვით დავაბათ და ალიკაპი ავაფაროთ. – ალიკაპი? – განცვიფრდა ჰელმჰოლცი. – მაგრამ ჩვენ ხომ გაუთავებლად ვიმეორებთ, რომ მეცნიერება ყველაფერია, რომ მეცნიერება უპირველესია. ეს ხომ ბანალური ჰიპნოპედიური ჭეშმარიტებაა. – კვირაში სამჯერ, ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, – ჩაურთო ბერნარდმა. – ან მეცნიერების მთელი ის პროპაგანდა, რომელიც კოლეჯში მიმდინარეობს... – დიახ, მაგრამ როგორი მეცნიერების? – დამცინავად იკითხა მუსტაფა მონდმა. – თქვენ სამეცნიერო განათლება არ მიგიღიათ, ასე რომ, განსჯის უფლებაც არ გაქვთ. მე კი, თავის დროზე, საკმაოდ კარგი ფიზიკოსი ვიყავი. უფრო სწორად, ძალიან კარგი, რადგან მივხვდი, რომ მთელი ჩვენი მეცნიერება, უბრალოდ, სამზარეულო წიგნი იყო; რომ კულინარიის საყოველთაოდ აღიარებული თეორიის ეჭვქვეშ დაყენების უფლება არავის ჰქონდა, ხოლო სამზარეულო რეცეპტების სიაში არაფრის დამატება არ შეიძლებოდა მთავარი მზარეულის საგანგებო ნებართვის გარეშე. მთავარი მზარეული ახლა მე თვითონ ვარ. ოდესღაც კი მზარეულის თანაშემწე ვიყავი, ახალგაზრდა და ზედმეტად ცნობისმოყვარე. საჭმლის მომზადება დამოუკიდებლად დავიწყე, არატრადიციული, აკრძალული რეცეპტებით; ანუ, ფაქტობრივად, ნამდვილი სამეცნიერო საქმიანობა წამოვიწყე. – მუსტაფა მონდი დადუმდა. – მერე რა მოხდა? – იკითხა ჰელმჰოლციმა. მაკონტროლებელმა ამოიოხრა. – დაახლოებით იგივე, რაც ახლა თქვენს თავს უნდა მოხდეს, ახალგაზრდებო. კინაღამ კუნძულზე გადამასახლეს. ამ სიტყვების გაგონებაზე ბერნარდმა წონასწორობა საბოლოოდ დაკარგა. – მე მასახლებენ კუნძულზე? – წამოხტა, ოთახი გადაჭრა და მაკონტროლებლის წინ დადგა, თან ხელებს იქნევდა. – მე რატომ უნდა გადამასახლოთ? არაფერი დამიშავებია. ყველაფერი ამათი ბრალია. გეფიცებით, ამათი ბრალია ყველაფერი. – და ჰელმჰოლცისა და ველურისკენ მიუთითა. – გევედრებით, ნუ გადამასახლებთ ისლანდიაში. პირობას ვდებ, გამოვსწორდები. კიდევ ერთი შანსი მომეცით. გთხოვთ, მომეცით კიდევ ერთი შანსი. – თვალებიდან ცრემლები წასკდა, – დამიჯერეთ, ამათი ბრალია, – სლუკუნებდა. – ოღონდ ისლანდიაში არა, გთხოვთ, თქვენო უფორდესობავ, გემუდარებით... – და სიმხდალით ატანილი, მაკონტროლებლის წინაშე მუხლებზე დაეხმო. მუსტაფა მონდი

შეეცადა წამოეყენებინა, მაგრამ ბერნარდს დაკნინებული პოზიციდან გამოსვლა არ სურდა. მავედრებელი სიტყვების ნაკადი არ წყდებოდა. ბოლოს მაკონტროლებელი იძულებული გახდა, მეოთხე მდივნისთვის დაერეკა. – გამოიძახეთ სამი მცველი, – გასცა განკარგულება, – წაიყვანეთ მისტერ მარქსი საძინებელ ოთახში. დიდხანს ასუნთქეთ სომის ორთქლი, მერე ლოგინში ჩააწვინეთ და გამოაძინეთ. მეოთხე მდივანი გავიდა და სამი მწვანელივრეიანი ტყუპი ლაქის თანხლებით დაბრუნდა. ჯერ კიდევ მყვირალი და მტირალი ბერნარდი ოთახიდან გაიტანეს. – ადამიანი იფიქრებს, კლავენო, – თქვა მაკონტროლებელმა, როცა კარი დაიხურა. – ოდნავ მაინც რომ აზროვნებდეს, მიხვდებოდა, რომ მისი სასჯელი მართლა სასჯელი კი არა, ჯილდოა. მას კუნძულზე ასახლებენ. ესე იგი ასახლებენ იქ, სადაც მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ქალებისა და მამაკაცების გარემოცვაში იქნება. ეს ის ხალხია, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით იმდენად ინდივიდუალური თვითშეგნება ჩამოუყალიბდა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრებისთვის სრულიად გამოუსადეგარი გახდა. ამ ხალხს არ აკმაყოფილებს საყოველთაოდ აღიარებული დოგმები, მათ ყველაფერზე საკუთარი, დამოუკიდებელი და განსაკუთრებული აზრი აქვთ. მოკლედ, ეს ის ხალხია, ვინც მართლა რაღაცას წარმოადგენს. თითქმის მშურს თქვენი, მისტერ უოტსონ. ჰელმჰოლცს გაეცინა. – მაშინ თქვენ თვითონ რატომ არ ხართ კუნძულზე? – იმიტომ, რომ საბოლოოდ სხვა რამ ვამჯობინე, – მიუგო მაკონტროლებელმა. – მე არჩევანის საშუალება მომცეს: ან კუნძულზე გადასახლება, სადაც წმინდა სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას შევძლებდი, ან მაკონტროლებელთა საბჭოში დასაქმება, გარკვეული დროის შემდეგ მაკონტროლებლის პოსტის დაკავების პერსპექტივით. ასე რომ, მეცნიერებას გამოვემშვიდობე. – და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა: – ზოგჯერ ვნანობ კიდევ. ბედნიერების, განსაკუთრებით სხვა ადამიანების ბედნიერების სამსახური – მიმიე ხვედრია. ბევრად უფრო მიმიე, ვიდრე ჭეშმარიტების სამსახურში ყოფნა, თუკი ისე არ ხარ ჩამოყალიბებული, რომ ყველაფერს თვალდახუჭული აღიარებ. – ამოიოხრა, ისევ დადუმდა, მერე უფრო ენერგიულად განაგრძო, – რას იზამ, მოვალეობა მოვალეობაა. აქ ადამიანის სურვილებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მე მაინტერესებს ჭეშმარიტება, მიყვარს მეცნიერება. მაგრამ ჭეშმარიტება საფრთხის მომცველია, მეცნიერება კი – საზოგადოებისთვის საშიში. იმდენადვეა საშიში, რამდენადაც სასარგებლო იყო. სწორედ მეცნიერებამ დაამყარა ყველაზე მყარი წონასწორობა კაცობრიობის ისტორიაში. ჩინეთი ჩვენთან შედარებით გაცილებით არასტაბილური იყო. ჩვენზე სტაბილური პირველყოფილი მატრიარქატებიც კი არ ყოფილა. და ეს სტაბილურობა, ვიმეორებ, მეცნიერების დამსახურებაა. მაგრამ ჩვენ ვერ მივცემთ მეცნიერებას მისივე სასიკეთო საქმის განადგურების უფლებას. სწორედ ამიტომ მკაცრად ვზღუდავთ სამეცნიერო მუშაობის მასშტაბებს. სწორედ ამიტომ კინალამ კუნძულზე ამოვყავი თავი. ჩვენ მეცნიერებას მხოლოდ დღევანდელი, გადაუდებელი პრობლემების გადასაჭრელად ვიყენებთ. ყველა სხვა სახის სამეცნიერო ძიებებს კი უმკაცრესად ვკრძალავთ. საკვირველია იმის წაკითხვა, – განაგრძო პატარა პაუზის შემდეგ, – რასაც ჩვენი მეუფე ფორდის ეპოქაში მეცნიერულ პროგრესზე წერდნენ. როგორც ჩანს, წარმოედგინათ, რომ ყველაფრის მიუხედავად, მეცნიერებას უსაზღვროდ განვითარების საშუალებას მისცემდნენ. ცოდნა უზენაეს სიკეთედ ითვლებოდა, ჭეშმარიტება – უპირველეს ფასეულობად, ყველაფერი დანარჩენი – მეორეხარისხოვნად და ნაკლებმნიშვნელოვნად. მართალია, შეხედულებების შეცვლა უკვე იმ პერიოდში დაიწყო. თავად ჩვენმა ფორდმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჭეშმარიტებისა და მშვენიერებიდან

კომფორტსა და ბედნიერებაზე აქცენტის გადასანაცვლებლად. ეს გადასანაცვლება მასობრივმა წარმოებამ მოითხოვა. საყოველთაო ბედნიერებას შეუძლია ბორბლები გაუჩერებლად ამუშაოს, ჭეშმარიტებას და მშვენიერებას კი – არა. და რაღა თქმა უნდა, როდესაც პოლიტიკურ ძალაუფლებას მასები იგდებდნენ ხელში, სწორედ ბედნიერებას ენიჭებოდა უპირველესი მნიშვნელობა და არა ჭეშმარიტებას და მშვენიერებას. თუმცა, ამის მიუხედავად, სამეცნიერო კვლევები არ იზღუდებოდა. ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას ისევ უპირველეს ფასეულობებად განიხილავდნენ. ცხრაწლიან ომამდე ასე გაგრძელდა. ომმა კი ყველა სხვანაირად აამღერა. რა აზრი აქვს ჭეშმარიტებას, მშვენიერებას ან ცოდნას, როცა შენ ირგვლივ ჯილხის ბომბები ფეთქდება? პირველი კონტროლი მეცნიერებაზე სწორედ ამ დროს, ცხრაწლიანი ომის დამთავრების შემდეგ დაწესდა. ხალხი მზად იყო, საკუთარი მისწრაფებებიც კი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა. მზად იყო, მშვიდი ცხოვრებისთვის ყველაფერი გაეღო. მას შემდეგ მეცნიერება მარწუხებში გვყავს მოქცეული. თქმა არ უნდა, ჭეშმარიტებისთვის ეს ძალიან ცუდი იყო. ბედნიერებისთვის კი – ძალიან კარგი. ამქვეყნად უფასო არაფერია, და თუკი გინდა ბედნიერი იყო – გადაიხადე. აი, თქვენ გადახდა გიწევთ, მისტერ უოტსონ, რადგან მშვენიერებით ზედმეტად დაინტერესდით. მე კი ჭეშმარიტებამ გამიტაცა ძალიან და ამისთვის მეც საფასური გავიღე. – მაგრამ თქვენ ხომ კუნძულზე არ წასულხართ, – ველურმა ხანგრძლივი სიჩუმე დაარღვია. მაკონტროლებელს გაელიმა. – ჩემი საფასურიც ეგ იყო. არჩევანი ბედნიერების სამსახურში ყოფნის სასარგებლოდ. არა ჩემი, არამედ სხვისი ბედნიერების. კიდევ კარგი, – დაამატა პაუზის შემდეგ, – რომ მსოფლიოში ამდენი კუნძულია. მათ გარეშე არც კი ვიცი, რა გვეშველებოდა. ალბათ, ყველა თქვენნაირს სასიკვდილო კამერებში გავგზავნიდით. ჰო, მართლა, მისტერ უოტსონ, როგორ მოგწონთ ტროპიკული კლიმატი? მაგალითად, მარკიზის კუნძულები ან სამოა? თუ უფრო მკაცრი გარემო გირჩევნიათ? ჰელმჰოლცი პნევმატური სავარძლიდან წამოდგა. – ყველაზე უარესი კლიმატი მირჩევნია. ვფიქრობ, მწერლისთვის ძალიან ცუდი კლიმატი ჯობს. როცა გარეთ სულ ქარიშხალი და შტორმია... მუსტაფა მონდმა მოწონების ნიშნად თავი დაუკრა. – მომწონს თქვენი ენთუზიაზმი, მისტერ უოტსონ. მართლაც ძალიან მომწონს. იმდენადვე მომწონს, რამდენადაც გკიცხავთ, როგორც ოფიციალური ხელისუფალი. – გაილიმა. – ფოლკლენდის კუნძულებზე რას იტყვით? – დიახ, კარგია, თანახმა ვარ, – უპასუხა ჰელმჰოლცმა. – ახლა კი, თუ ნებას მომცემთ, წავალ და საწყალ ბერნარდს მოვიკითხავ, ვნახავ, როგორ არის.

## თავი მეჩვიდმეტე

– ხელოვნება, მეცნიერება – თქვენი ბედნიერება, როგორც ჩანს, ძალიან ძვირი ღირს, – ველური ახლა უკვე მარტო იყო მაკონტროლებლის პირისპირ. – კიდევ რა გაიღეთ მსხვერპლად? – რაღა თქმა უნდა, რელიგია, – თქვა მუსტაფა მონდმა. – ცხრაწლიან ომამდე არსებობდა ასეთი ცნება – ღმერთი, რომელიც თითქმის დამავიწყდა, თქვენთვის კი, მგონი, კარგად უნდა იყოს ცნობილი. – დიახ... – ველური შეეყოყმანდა. უნდოდა ელაპარაკა მარტოობაზე, ღამეზე, კლდისა და მთვარის სამარისებურ სამყაროზე, შავ ჩრდილზე უფსკრულის სიღრმეში, სიკვდილზე. უნდოდა ელაპარაკა და სიტყვებს ვერ პოულობდა. ასეთი სიტყვები შექსპირსაც კი არ ჰქონდა. ამასობაში მაკონტროლებელმა ოთახი გადაჭრა, წიგნის თაროებს შორის ჩაშენებულ დიდ სეიფთან მივიდა და მისი მძიმე კარი ფართოდ გამოაღო. მერე სეიფის ჩაბნელებულ სიღრმეში რაღაცას დაუწყო ძებნა. – ეს თემა ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა, – თქვა და სქელი შავი ტომი გამოიღო. – ვთქვათ, აი ეს წიგნი, რომელიც წაკითხული არ გექნებათ. ველურმა წიგნი გამოართვა. – „ბიბლია, წმინდა წერილი. ძველი და ახალი აღთქმა“, – ხმამაღლა ამოიკითხა სატიტულო ფურცელზე. – არც ეს გექნებათ წაკითხული. – პატარა წიგნი იყო, ყდა გადამძვრალი ჰქონდა. – „ქრისტეს მიბაძვის შესახებ“. – არც ეს. – და კიდევ ერთი ტომი გაუწოდა. – უილიამ ჯეიმსი. „რელიგიური გამოცდილების მრავალფეროვნება“. – ასეთი წიგნები ძალიან ბევრი მაქვს, – განაგრძო მუსტაფა მონდმა, თან ისევ თავის სავარძელს დაუბრუნდა. – ძველი პორნოგრაფიული წიგნების მთელი კოლექცია. სეიფში – ღმერთი, თაროზე – ფორდი. – და სტელაჟებზე დაწყობილ წიგნებზე, აუდიო-რულონებსა და საკითხავი მანქანის ბოზინებზე სიცილით მიუთითა. – თუ იცით ღმერთის შესახებ, რატომ მათ არ ეუბნებით? – აღშფოთებით იკითხა ველურმა. – ღმერთის შესახებ დაწერილ წიგნებს რატომ არ აძლევთ? – ზუსტად იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც „ოტელოს“ არ ვუჩვენებთ: ეს ძველი წიგნებია. ეს წიგნები საუკუნეების წინ არსებულ ღმერთზეა დაწერილი და არა ახლანდელ ღმერთზე. – ჰო, მაგრამ ღმერთი არ იცვლება. – სამაგიეროდ იცვლება ადამიანი. – ამას რა მნიშვნელობა აქვს? – ამას აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა, – მუსტაფა მონდი კიდევ ერთხელ წამოდგა, სეიფთან მივიდა. – ოდესღაც ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად კარდინალი ნიუმენი. – და განმარტება მოაყოლა, – კარდინალი დაახლოებით იგივეა, რაც ჩვენებურად სიმღერთუხუცესი. – „მე, პანდულფი, მშვენიერი მილანის კარდინალი“. ამის შესახებ შექსპირიც წერს, წაკითხული მაქვს. – რა თქმა უნდა, წაკითხული გექნებათ. დიახ, როგორც გითხარით, ცხოვრობდა კაცი, სახელად კარდინალი ნიუმენი. აი, მისი წიგნი. – და სეიფიდან ტომი გამოიღო. – და რადგან ამაზე ელაპარაკობთ, მეორე წიგნსაც გამოვიღებ, რომელიც მენ დე ბირანის დაწერილია. ის ფილოსოფოსი იყო. ალბათ იცით, რას ნიშნავდა ფილოსოფოსი? – ადამიანი, რომელსაც სიზმრად უფრო ნაკლები რამ მოლანდებია, ვიდრე ზეცად და ქვეყნად არის, – სხაპასხუპით მიუგო ველურმა. – სწორედ ასეა. ცოტა ხნის შემდეგ წაგიკითხავთ იმას, რაც მოლანდებია. მანამდე კი მოუსმინეთ, რას ამბობდა ძველი სიმღერთუხუცესი. – წიგნი პატარა ფურცლით დანიშნულ ადგილზე გადაშალა და კითხვა დაიწყო. – „ჩვენ არ ვეკუთვნიტ ჩვენს თავს, ისევე, როგორც ჩვენ არ ვეკუთვნიტ ჩვენი ქონება. ჩვენ ჩვენი თავი არ შეგვიქმნია, არც საკუთარ თავზე ამაღლება შეგვიძლია. ჩვენ ჩვენს თავს არ ვემსახურებით. ღმერთია ჩვენი ბატონპატრონი. და განა სწორედ ეს არ შეადგენს ჩვენს ბედნიერებას? განა არის ბედნიერების და ნუგეშის ნატამალი იმაში, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე მიგვაჩნდეს? ასე შეიძლება ყმაწვილი



და მდიდარი ფიქრობდნენ მხოლოდ. ისინი შეიძლება ბედნიერებიც იყვნენ, როცა თავის ჭკუაზე დადიან (როგორც თვითონ ჰგონიათ), ყველასგან დამოუკიდებლობა – ცხოვრობენ დღევანდელივით, არ სჭირდებათ გამუდმებით ვიღაცის თანხმობა და აღიარება, გამუდმებული ხვეწნა-მუდარა, საკუთარ ქცევის მუდამ სხვის ნებას დაქვემდებარება. მაგრამ დროთა განმავლობაში, როგორც სხვა ყველა, ისინიც ხვდებიან, რომ დამოუკიდებლობა ადამიანისთვის უჩვეულო მდგომარეობაა – წამიერად გვაკმაყოფილებს, მაგრამ ცხოვრების დასასრულამდე, უეჭველია, ის ვერ მიგვიყვანს“... – მუსტაფა მონდმა კითხვა შეწყვიტა, წიგნი დადო, მეორე აიღო და გადაფურცლა. – აი, მაგალითად ეს, – დაიწყო კითხვა თავისი დაბალი ხმით: – „ადამიანი ბერდება, თავს შეუძლოდ გრძნობს; გრძნობს უსაზღვრო სისუსტეს და დამაბუნებას, რომელიც სიბერეს ახლავს თან. და ამის შეგრძნებისას, თავის თავი, უბრალოდ, ავად წარმოუდგენია. თავს იმშვიდებს მდგომარეობის კონკრეტული მიზეზის ძიებით და იმედი აქვს, რომ ისე განიკურნება, როგორც სნეულებისგან. სულ ამაოდ აქვს იმედი! ეს სნეულება სიბერეა, ყველაზე სასტიკი სნეულება. ამბობენ, რომ სიკვდილისა და იმის შიში, რაც სიკვდილის შემდეგ მოდის, აიძულებს ადამიანს ხანდაზმულობისას რელიგიას მიუბრუნდეს. მაგრამ საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ წლების მატება ადამიანში რელიგიურ გრძნობებს აღვიძებს ყოველგვარი შიშისა და წარმოდგენების მიუხედავად; რადგან როცა ვნებები ცხრება, როცა წარმოსახვა და გრძნობები დუნდება, ჩვენი გონებაც უფრო მშვიდად იწყებს მუშაობას. მას აღარ ბინდავს ის სახება, სურვილი ან გზნება, რომლითაც ადრე იყო მოცული. ამ დროს კი, თითქოს ღრუბლებს ზემოდან, ჩნდება ღმერთი. ჩვენი სული გრძნობს, ხედავს საყოველთაო სინათლის წყაროს და მისკენ ბრუნდება. ეს მიბრუნება ბუნებრივია და გარდაუვალი, რადგან ახლა ყველაფერი, რაც გრძნობიერებას სიცოცხლეს და ხიბლს სძენდა, თანდათან გვტოვებს; რადგან ამ არაჩვეულებრივ გრძნობიერ სამყაროს აღარ კვებავს შთაბეჭდილება არც შიგნიდან და არც გარედან. სამაგიეროდ ჩნდება მოთხოვნილება, მივენდოთ რაღაც მყარს, ურყევსა და უტყუარს – რეალობას, აბსოლუტურ და მარადიულ ჭეშმარიტებას. დიახ, ჩვენ ღმერთს ვუბრუნდებით, ეს გარდაუვალია, რადგან ეს რელიგიური გრძნობა თავის ბუნებით ისეთი სუფთაა, მისი განცდა კი სულს ისე ატკბობს, რომ ყოველგვარ დანაკარგს გვინაზღაურებს“. – მუსტაფა მონდმა წიგნი დახურა და სავარძელში გადაწვა. – ზეცად და ქვეყნად იმ ბევრთაგან ერთ-ერთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ, ჩვენ ვართ, – (ხელები გაშალა), – ჩვენ, თანამედროვე სამყარო. „ღმერთის გარეშე ცხოვრება მხოლოდ მაშინ შეგიძლია, თუ ყმაწვილი ხარ და მდიდარი. მაგრამ ცხოვრების დასასრულამდე, უეჭველია, ეს ვერ მიგყვება“. თუმცა ჩვენ, როგორც ხედავთ, ახალგაზრდობა და სიმდიდრე ცხოვრების ბოლომდე მიგვყვება. მერედა რა? რადა ის, რომ ცხოვრება ღმერთის გარეშე შეგიძლია. „რელიგიური გრძნობა ყოველგვარ დანაკარგს გვინაზღაურებს“. მაგრამ ჩვენ არაფერი დაგვიკარგავს, ასანაზღაურებელიც არაფერი გვაქვს. რელიგია აზრს კარგავს ჩვენთვის. რა უნდა ვეძებოთ ახალგაზრდული ვნებების სამაგიეროდ, როდესაც ეს ვნებები ჩვენში არასოდეს ცხრება? ახალგაზრდული სიამოვნების სამაგიეროდ, როდესაც ამ სიამოვნებით ტკბობა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეგიძლია? რაში გვჭირდება შესვენება, როცა სხეულს და გონებას მოქმედება ანიჭებს კმაყოფილებას? ან ნუგეშისცემა, როცა გვაქვს სომა? რად გვინდა რაღაც მყარი და ურყევი, როცა გვაქვს ასეთი საზოგადოებრივი წესრიგი? – ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ღმერთი არ არსებობს? – მე ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია, რომ არსებობს. – მაშ რატომ?..

მუსტაფა მონდმა კითხვა არ დაამთავრებინა. – მაგრამ ადამიანებთან ის თავის არსებობას განსხვავებულად ამჟღავნებს. ფორდის ხანამდე ისე ამჟღავნებდა, როგორც ამ წიგნებშია აღწერილი. ახლა... – ახლა როგორ ამჟღავნებს? – იკითხა ველურმა. – ახლა? ახლა თავისი არარსებობით ამჟღავნებს, თითქოს საერთოდ არ არის. – ეს თქვენი ბრალია. – უფრო სწორად, ცივილიზაციის ბრალია. ღმერთი მანქანებთან, სამედიცინო მეცნიერებასთან და საყოველთაო ბედნიერებასთან შეუთავსებელია. საჭირო ხდება არჩევანის გაკეთება. ჩვენმა ცივილიზაციამ მანქანები, მედიცინა და ბედნიერება არჩია. ამიტომ ეს წიგნები სეიფში უნდა მქონდეს ჩაკეტილი. ეს უხამსი წიგნებია. ისინი ხალხში აღშფოთებას... ველურმა გააწყვეტინა. – მაგრამ განა ბუნებრივი არ არის, როცა ღმერთის არსებობას გრძნობ? – ასევე, შეგიძლიათ იკითხოთ, ბუნებრივია თუ არა შარვლის ელვაშესაკრავით შეკვრა, – სარკასტულად ჩაიღიმა მუსტაფა მონდმა. – თქვენ ძველი ფილოსოფოსებიდან კიდევ ერთს, ბრედლის<sup>1</sup> მაგონებთ. ის ფილოსოფიას განსაზღვრავდა, როგორც უვარგის არგუმენტს იმის დასასაბუთებლად, რისიც ინსტინქტურად გჯერა. თითქოს ინსტინქტური რწმენა შესაძლებელი იყოს! ადამიანს სჯერა იმიტომ, რომ მიღებული აღზრდა აიძულებს სჯეროდეს და არა ინსტინქტი. უვარგისი არგუმენტების ძიება იმის დასასაბუთებლად, რისაც ადამიანს სხვა უვარგისი არგუმენტების გამო სჯერა – ეს არის ფილოსოფია. ადამიანებს ღმერთი იმიტომ სწამთ, რომ ისინი რწმენით აღზარდეს. – და მაინც, – დაიჟინა ველურმა, – ბუნებრივია, იწამო ღმერთი, როცა მარტო ხარ, მარტოდმარტო, ღამით, და როცა სიკვდილზე ფიქრობ... – მაგრამ დღევანდელი ადამიანები არასოდეს არიან მარტო, – თქვა მუსტაფა მონდმა. – ჩვენ მათ ვაძულებთ მარტოობას და ცხოვრებას ისე ვუწყობთ, რომ მათი ოდესმე მარტო დარჩენა თითქმის შეუძლებელია. ველურმა თავი სევდიანად დახარა. მალპასისში იმისგან იტანჯებოდა, რომ პუებლოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან იყო მოკვეთილი, ცივილიზებულ ლონდონში კი იმისგან, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისგან თავის დაღწევის, მარტო დარჩენის საშუალება საერთოდ არ ჰქონდა. – გახსოვთ ეს ნაწყვეტი „მეფე ლირიდან“? – თქვა ბოლოს. – „მართლმსაჯულება ღმერთთა ჩვენთა ეგრედ განაგებს, რომ უტკბოესსაც ბიწსაც ჩვენსას ჩვენს სასჯელად ხდის. შენი გაჩენა იღუმალი და ცოდვიერი თვალების დათხრად დაუჯდა მას“... და ედმუნდი პასუხობს, გახსოვთ, დაჭრილია და კვდება: „შენ მართალი ხარ... სწორეა ყველა, რაც ახლა სთქვი... ეჭა აღსრულდა! ჩემის ბედისა ბრუნვა შედგა!.. აჰა, ხომ ჰხედავ“... 1 ამაზე რას იტყვით? როგორც ჩანს, არსებობს ღმერთი, რომელიც მართავს ყველაფერს, კიდევ სჯის და კიდევ აჯილდოვებს! – არსებობს კი? – კითხვა შეუბრუნა მაკონტროლებელმა. – შეგიძლიათ დატკბეთ მანკიერი სიამოვნებით უნაყოფო გოგონასთან, რამდენიც და როგორც გინდათ, და არ შეგეშინდეთ, რომ მომავალში თქვენი შვილის საყვარელი თვალებს დაგთხრით. „ეჭა აღსრულდა! ჩემის ბედისა ბრუნვა შედგა“!.. დღევანდელ ედმუნდს კი რა ბედი ეწია? ზის თავის პნევმატურ სავარძელში ლამაზმანთან ხელგადახვეული, ღეჭავს სექს - ჰორმონიან საღეჭ რეზინას და სენსოფილმს უყურებს. ღმერთი სამართლიანია. არ გედავებით. მაგრამ მისი კანონთა კოდექსი, საბოლოო ჯამში, იმ ადამიანების კარნახით იწერება, ვინც საზოგადოებას აყალიბებს, განგებაც ადამიანის კარნახით მოქმედებს. – დარწმუნებული ხართ? სავსებით დარწმუნებული ხართ, რომ პნევმატურ სავარძელში მჯდომი ედმუნდი ისევე მკაცრად არ არის დასჯილი, როგორც მისი სასიკვდილოდ დაჭრილი და სისხლისგან დაცლილი სეხნია? ღმერთი სამართლიანია. განა მანკიერება, რომლითაც თანამედროვე ედმუნდი ტკბება, ღმერთმა მისივე გადაგვარების იარაღად არ გამოიყენა? – როგორ თუ

გადაგვარების? საიდან გადაგვარების? ბედნიერი, მშრომელი, მომხმარებელი თანამედროვე ედმუნდი იდეალური მოქალაქეა. თუ ამ საკითხს ჩვენგან განსხვავებული სტანდარტებით მიუდგებით, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ითქვას, რომ ის გადაგვარებულია. მაგრამ ასეთი მსჯელობისას ერთნაირი წესები უნდა იყოს გამოყენებული. ელექტრომაგნიტური გოლფის თამაში წრეში ბურთის წესებით შეუძლებელია. – „ჩვენს კერძო სურვილს მაინც ის არ ემორჩილება. საგნის ღირსება, გინდა ფასი, თვით საგანშია, აგრეთვე მისი დამფასებლის გონების შიგნით“. – მოიცათ, მოიცათ, ცოტა არ იყოს, ზედმეტი ხომ არ მოგდით? – გააპროტესტა მაკონტროლებელმა. – თქვენ რომ თავს ღმერთზე ფიქრის ნებას აძლევდეთ, საკუთარ თავსვე მანკიერებით ტკობით უფლებას არ მისცემდით. მაშინ ყველაფრის მოთმინებით ატანის საფუძველიც გექნებოდათ და ვაჟკაცობისაც. ინდიელებთან ამის ბევრი მაგალითი ვნახე. – ეჭვიც არ მეპარება, რომ ნახავდით. მაგრამ ჩვენ ინდიელები არ ვართ. ცივილიზებულ სამყაროში ადამიანს არ სჭირდება არც მოთმინება და არც ტანჯვის ატანა. სიმამაცისა და გამბედაობისგან კი ფორდმა დაგვიფაროს! ასეთი აზრების თავში გავლებაც წარმოუდგენელია. ყველამ თუ თავის ჭკუაზე დაიწყო სიარული, მთელი საზოგადოებრივი წესრიგი თავდაყირა დადგება. – მერედა თავგანწირვა, თავდადება? თქვენ რომ ღმერთი გწამდეთ, თავგანწირვის საფუძველიც გექნებოდათ. – მაგრამ ინდუსტრიული ცივილიზაციის არსებობა თავგანწირვასთან სრულიად შეუთავსებელია. ის გულისხმობს საკუთარი თავისთვის მაქსიმალური სიამოვნების მინიჭებას, მაქსიმალურის – ჰიგიენით და ეკონომიკით განსაზღვრულ ფარგლებში. სხვა შემთხვევაში ყველაფერი შეწყვეტდა მუშაობას. – და მაშინ ზნეობრიობის საფუძველი გექნებოდათ, – თქვა ველურმა და ამ სიტყვებზე ოდნავ წამოწითლდა. – ზნეობრიობა ნიშნავს ვნებას, ნევრასთენიას. ვნება და ნევრასთენია კი – სტაბილურობის რყევას. სტაბილურობის რყევა, თავის მხრივ, ცივილიზაციის დასასრულის ტოლფასია. მდგრადი ცივილიზაცია მანკიერებით უსაზღვრო ტკობის გარეშე წარმოუდგენელია. – მაგრამ ღმერთია ყოველივე კეთილშობილის და მშვენიერის, ყოველივე გმირულის საფუძველი. თქვენ რომ ღმერთის... – ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, – გაელიმა მაკონტროლებელს, – ცივილიზაციას კეთილშობილება და გმირობა არაფერში სჭირდება, სრულიად არაფერში. ეს პოლიტიკური უმწიფარობის სიმპტომებია. მოწესრიგებულ საზოგადოებაში, ისეთში, როგორც ჩვენია, კეთილშობილების და გმირობის აუცილებლობა არ არსებობს. მათი გამოვლინებისთვის საჭიროა მდგომარეობის სრული დესტაბილიზაცია. კეთილშობილებას და გმირობას, რასაკვირველია, აქვს გარკვეული აზრი იქ, სადაც ომია, სადაც ხელისუფლებასთან კონფლიქტი ჩვეული მოვლენაა, სადაც საჭიროა ცდუნებას გაუძლო, საყვარელი ადამიანებისთვის იბრძოლო ან დაიცვა ისინი. მაგრამ დღესდღეობით ომები აღარ წარმოებს. უდიდესი ძალისხმევა ხმარდება ადამიანის მიერ ვინმეს გადამეტებულად შეყვარების პრევენციას. არც ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის საკითხი დგას და ადამიანიც ისეა ფორმირებული, რომ თავს ვერასოდეს აარიდებს იმას, რისი კეთებაც მოეთხოვება. ხოლო ის, რისი კეთებაც მოეთხოვება, იმდენად სასიამოვნოა, იმდენ ბუნებრივ მიდრეკილებას აძლევს თავისუფლად გამოხატვის საშუალებას, რომ მას, ფაქტობრივად, არავითარი ცდუნება აღარ ემუქრება. და თუ რაღაც გაუთვალისწინებელი შემთხვევითობის წყალობით უსიამოვნება მაინც მოხდა, რეალობისგან თავის დასაღწევად ყოველთვის გვაქვს სომა. ყოველთვის გვაქვს სომა, რომელიც სიბრაზეს გვიცხრობს, მტერთან გვარიგებს, მომთმენ და თვინიერ ადამიანებად გვაქცევს. წარსულში ეს ყველაფერი უდიდესი

ძალისხმევით, ზნეობის მრავალწლიანი, დაძაბული მეცადინეობით მიიღწეოდა. დღეს კი – ორი-სამი აზი და მორჩა! დღეს ყველა სათნო და მაღალზნეობრივია. შენი მორალის, სულ ცოტა, ნახევარი მაინც, შეგიძლია ჯიბით ატარო. ქრისტიანობა ცრემლების გარეშე – აი, ეს არის სომა. – მაგრამ ცრემლები აუცილებლად საჭიროა. არ გახსოვთ ოტელოს სიტყვები? „თუ ყოველ ავდარს მყუდრო დარი მოსდევს ესეთი, დეე, იქროლონ ქარიშხალთა, ვიდრე თვით სიკვდილს არ დაუფრთხოზენ მოსვენებას“. 1 ერთი მოხუცი ინდიელი ხშირად გვიამბობდა ერთი მატასკელი გოგონას ამბავს. გოგონას ცოლად შერთვის მსურველ ახალგაზრდებს დილით მისი ბოსტანი უნდა გაეთოხნათ და გაემარგლათ. ერთი შეხედვით არ იყო ძნელი სამუშაო, მაგრამ ბოსტანი ბუზებით და კოლოებით იყო სავსე, ჯადოსნური ბუზებით და კოლოებით. ახალგაზრდების უმრავლესობა კბენასა და დანესტვრას ვერ უძლებდა. ერთმა კი გაუძლო დაგოგონაც მისი გახდა. – რა მშვენიერი ამბავია! თუმცა ცივილიზებულ ქვეყნებში, შეგიძლიათ გოგონა ბოსტნის გათოხნის გარეშე მიიღოთ, ჩვენ არც მკბენარი ბუზები და კოლოები გვყავს. ჩვენ ეს მწერები ასწლეულების წინ მოვსპეთ. ველური მოიღუშა, თავი დაუქნია. – გაანადგურეთ. თქვენი საქციელია, ტიპური. ყველაფრის განადგურება, რაც არ გსიამოვნებთ, იმის მაგივრად, რომ ამის ატანა ისწავლოთ. „სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის, რომ იტანჯოს და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი“... მაგრამ თქვენ არც ერთს აკეთებთ, არც მეორეს. არც იტანჯებით, არც ებრძვით. თქვენ, უბრალოდ, სპობთ „ბედის ნეშტარს“. ეს ყველაზე ადვილი გამოსავალია. ველური უცებ გაჩუმდა, ლინდა გაახსენდა. თავის ოთახში ოცდამეთვრამეტე სართულზე, მუსიკალურ შუქ-ჩრდილებში და სურნელოვან ალერსში მოტივტივე, დროისა და გარემოს მიღმა, მოგონებებით, ჩვევებით, ბებერი და შემუშებული სხეულით შემოსაზღვრულ საკანს მიღმა. და თომასი, ინკუბატორის და აღმზრდელობითი ცენტრის ყოფილი დირექტორი, რომელიც კვლავ სომ-არდადეგებზე იყო დამცირებისა და ტკივილისგან თავის დასაღწევად; სამყაროში, სადაც ყურს ვედარც ის სიტყვები მისწვდება და ვედარც ირონიული სიცილი; სადაც ის საზიზღარი სახე არ უდგას თვალწინ და წებოვანი, დონდლო მკლავები კისერზე არ ეხვევა. მშვენიერ სამყაროში... – სწორედ ცრემლები გჭირდებათ, რომ რაღაც მაინც შეცვალოთ, – განაგრძო ველურმა, – თორემ აქ არაფერს ფასი არ აქვს. („თორმეტნახევარი მილიონი დოლარი“, შეეპასუხა ჰენრი ფოსტერი, როცა ოდესღაც ველურისგან მსგავსი სიტყვები მოისმინა. „ამდენი დაჯდა ახალი აღმზრდელობითი ცენტრის მშენებლობა – თორმეტნახევარი მილიონი დოლარი და არც ერთი ცენტით ნაკლები“). – „იგი არ ინდობს თვის არსებას სუსტსა და მოკვდავს, და არ არიდებს ფუყე ჩალის ნაფასევისთვის არც შიშს, არც სიკვდილს, არც მუხთალ ბედს დაუდგრომელსა“. განა არ ღირს ასე ცხოვრება? – ველურმა მუსტაფა მონდს შეხედა. – ღმერთს თავიც რომ დავანებოთ. თუმცა, სიმამაცის და თავგანწირვის თავიდათავი ღმერთია სწორედ. განა არ არის ამაში რაღაც განსაკუთრებული, ღირსეული, როცა თავს საფრთხეში იგდებ? – განსაკუთრებულიც არის და აუცილებელიც, – მიუგო მუსტაფა მონდმა. – დროდადრო თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის სტიმულირება ქალებსაც სჭირდებათ და მამაკაცებსაც. – რა სჭირდებათ? – ველურმა ვერაფერი გაიგო. – თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის სტიმულირება. ეს ჯანმრთელობის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამიტომ დავაწესეთ ძ.ვ.ს.-ს მიღება, როგორც სავალდებულო. – ძ.ვ.ს. რა არის? – ძლიერი ვნების სუროგატი. მიიღება რეგულარულად, თვეში ერთხელ. და ადამიანის მთელ ორგანიზმს ადრენალინით

ავსებს. ეს შიშის და მრისხანების სრულყოფილი ფიზიოლოგიური ექვივალენტია. ორგანიზმი ღებულობს მკვლელობის პროცესში განცდილი ემოციების, ანუ დეზდემონას შიშისა და ოტელოს მრისხანების შესატყვის მატონიზებელ ეფექტებს, ყოველგვარი დამატებითი უხერხულობის გარეშე. – მაგრამ მე მინდა უხერხულობა. – ჩვენ არ გვინდა, – თქვა მაკონტროლებელმა. – ჩვენ კომფორტულად ცხოვრება გვირჩევნია. – მე არ მინდა კომფორტი, მე მინდა ღმერთი, პოეზია, მინდა ნამდვილი საფრთხე, მინდა თავისუფლება, მინდა სიკეთე. მე ცოდვა მინდა. – გამოდის, ითხოვთ თქვენს უფლებას, იყოთ უბედური. – დიახ, ვითხოვ, – გამომწვევად განაცხადა ველურმა, – მე ვითხოვ ჩემს უფლებას, ვიყო უბედური. – გარდა ამისა, თქვენ ითხოვთ უფლებას, იყოთ ბებერი, მახინჯი და უძლური; უფლებას, გქონდეთ სიფილისი და კიბო; იყოთ მშიერი, გესეოდეთ ტილები, ცხოვრობდეთ მუდმივ შიშში ხვალინდელი დღის გამო, გქონდეთ ტიფი, იტანჯებოდეთ ყოველგვარი ენით აუწერელი ტკივილით. – ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. – ეს ჩემი უფლებებია და მე მათ მოვითხოვ, – თქვა ბოლოს ველურმა. მუსტაფა მონდმა მხრები აიჩეჩა. – ნება თქვენია.

## თავი მეთვრამეტე

კარი ოდნავ იყო შეღებული და შევიდნენ. – ჯონ! ტუალეტებიდან ხმა გაისმა, რაღაც თავისებური, არასასიამოვნო. – ჯონ, რა მოგივიდა? – დაუძახა ჰელმჰოლცმა. არავინ უპასუხა. არასასიამოვნო ხმა განმეორდა, ორჯერ. და სიჩუმე ჩამოწვა. მერე ტუალეტის კარი ჩხაკუნით გაიღო და ველური გამოვიდა. ძალიან ფერმკრთალი იყო. – ჯონ, ავადმყოფური იერი გაქვს, – თანაგრძნობის ტონით წამოიძახა ჰელმჰოლცმა. – რაიმე ხომ არ შეჭამე ისეთი, რამაც გაწყინა? – ახლა ბერნარდი შეეკითხა. ველურმა თავი დაუქნია. – ცივილიზაცია ვიგემე. – რა? – და მომწამლა, მთლიანად წავიბილწე, მერე კი, – უფრო ხმადაბლა დაამატა, – ჩემი საკუთარი უკეთურობა ვიგემე. – ჰო, მაგრამ კონკრეტულად რა? შენ ხომ ახლა... – ახლა უკვე განწმენდილი ვარ. მდოგვიანი თბილი წყალი დავლიე. – იმის თქმა გინდა, რომ ეს განგებ გააკეთე, ლებინება განგებ გამოიწვიე? – ბერნარდი და ჰელმჰოლცი განცვიფრებული შეჰყურებდნენ. – ეს ინდიელების განწმენდის საშუალებაა. – ჯონი დაჯდა, ამოიოხრა, შუბლზე ხელი გადაისვა. – ცოტას დავისვენებ, ძალიან დავიღალე. – რა გასაკვირია, – თქვა ჰელმჰოლცმა, და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, შეცვლილ კილოზე განაგრძო, – დასამშვიდობებლად მოვედით. ხვალ დილით მივემგზავრებით. – ჰო, ხვალ მივემგზავრებით, – თქვა ბერნარდმა და ჯონმა მის სახეზე ახალი გამომეტყველება შენიშნა, დამშვიდებული იყო, ბედთან შეგუებული. – ჯონ, და კიდევ, – ამ სიტყვებზე დაიხარა, ჯონს ხელი მუხლზე დაადო, – მინდოდა ბოდიში მომეხადა გუშინდელის გამო. – წამოწითლდა. – ძალიან მრცხვენია, – ხმა აუკანკალდა, მაინც არ ცხრებოდა, – მართლა ძალიან... ველურმა სიტყვის დამთავრება არ აცალა, ხელზე ხელი გულითადად მოუჭირა. – ჰელმჰოლცი ძალიან დამეხმარა, – თქვა ბერნარდმა პაუზის შემდეგ. – ის რომ არა, არც კი ვიცი, რა... – კარგი, კარგი, გეყოფა, – გააპროტესტა ჰელმჰოლცმა. მერე ჩუმად იყვნენ, სევდის მიუხედავად, ან იქნებ სევდის გამო, რადგან ეს სევდა მათი ერთმანეთისადმი სიყვარულის გამოხატულება იყო და ამიტომ თავს სამივე ბედნიერად გრძნობდა. – დღეს დილით მაკონტროლებელთან ვიყავი, – თქვა ბოლოს ველურმა. – რისთვის? – კუნძულზე გაშვება ვთხოვე, თქვენთან ერთად. – მერე? – ჰელმჰოლცი გამოცოცხლდა. ჯონმა თავი გააქნია. – უარი მითხრა. – რატომ? – მითხრა, რომ ექსპერიმენტის გაგრძელება უნდა. მაგრამ ღმერთმა დამწყევლოს, – ველურს სიბრაზემ წამოუარა, – ღმერთმა დამწყევლოს, თუ ჩემს თავზე ექსპერიმენტის ჩატარების საშუალება მიცეცე! მსოფლიოს ყველა მაკონტროლებელი ერთად რომ მეხვეწოს, მაინც. ხვალ მეც მივდივარ აქედან. – სად მიდიხარ? – ორივემ ერთხმად იკითხა. ველურმა მხრები აიჩეჩა. – სადმე. სულ ერთია, სად. იქ, სადაც მარტო ვიქნები. გილფორდიდან საავიაციო ტრასა უეის ხეობის გასწვრივ გოდალმინგისკენ მიემართებოდა, მერე მილფორდის და უიტლის თავზე გავლით ჰეიზელმირამდე გრძელდებოდა და პეტერსფილდით პორტსმუტამდე ჩადიოდა. ამ ტრასის თითქმის პარალელური იყო საპირისპირო მიმართულების გზა, რომელიც უორპლესდონზე, ტონგემზე, პატნემზე, ელსტედსა და გრეიშოტზე გადიოდა. ჰოგზბექის თხემსა და ჰაინდჰედს შორის იყო ადგილები, სადაც ეს ორი ტრასა ერთმანეთისგან მხოლოდ შვიდიოდე კილომეტრით იყო დაშორებული. ეს სიახლოვე საფრთხეს უქმნიდა დაუდევარ მფრინავებს, განსაკუთრებით ღამით, ან დოზის ნახევარი გრამით გადაჭარბების შემთხვევაში. ხდებოდა ავარიები. სერიოზულიც კი. ამიტომ მიღებულ იქნა პორტსმუტიდან მიმავალი ტრასის რამდენიმე კილომეტრით დასავლეთისკენ გადატანის გადაწყვეტილება. და ახლა პორტსმუტ-ლონდონის ტრასის ძველი მიმართულების მანიშნებლად გრეიშოტსა და ტონგემს

შორის ოთხი მიტოვებული შუქურა იყო დარჩენილი. ზეცა მათ თავზე წყნარი იყო და უკაცრიელი. სამაგიეროდ, სელბორნის, ბორდონის და ფარნემის თავზე არ წყდებოდა ვერტმფრენების გუგუნის და ბზუილის. ველურმა განდეგილის თავშესაფრად პატნემსა და ელსტედს შორის ბორცვზე მდგარი ძველი შუქურა ამოარჩია. რკინა-ბეტონის მშვენივრად შენახული შენობა ველურს პირველი ნახვით ზედმეტად მდიდრული, ზედმეტად ცივილიზებული ეჩვენა. მერე სინდისი იმით დაიმშვიდა, რომ ამის საკომპენსაციოდ თავს უმკაცრესი თვითდისციპლინის, განწმენდის რიტუალების უფრო სრულად და გულმოდგინედ შესრულების აღთქმა მისცა. პირველ ღამეს, რომელიც თავის საყუდარში გაატარა, განზრახ არ დაუძინა. რამდენიმე საათი იდგა მუხლებზე, ლოცულობდა და ხან იმ ზეცას ევედრებოდა, რომელსაც მიტევებას დამნაშავე კლავდიუსიც სთხოვდა, ხან – ავონავილონას ზუნის ენაზე, ხან იესოს და პუკონგს, ხანაც – მის მფარველ არწივს. დროდადრო ხელებს ისე შლიდა, თითქოს ჯვარზე იყო გაკრული. და ასე იმდენ ხანს ეჭირა ხელები, სანამ ტკივილი თანდათან გაუსაძლის ტანჯვაში არ გადავიდოდა. აკანკალებული, ნებაყოფლობით ჯვარცმული, იდგა ასე და კრიჭაშეკრული იმეორებდა (სახეზე ცივი ოფლი ასხამდა), „ო, მაპატიე! ო, დამეხმარე განვიწმინდო! მომეცი ძალა, რომ გამოვსწორდე“ იმეორებდა გაუთავებლად, სანამ ტკივილისგან გონების დაკარგვამდე არ მივიდა. გამთენიისას იგრძნო, რომ შუქურაში დაბინავების უფლება მოპოვებული ჰქონდა. დიახ, ჰქონდა, იმის მიუხედავად, რომ შუქურის ფანჯრების უმრავლესობა შემინული იყო, იმის მიუხედავად, რომ ზედა ბაქნიდან არაჩვეულებრივი ხედი იშლებოდა. სწორედ ეს იყო შუქურის საცხოვრებლად არჩევის მიზეზი, რომელიც კინალამ აქაურობის მიტოვების მიზეზადაც იქცა. აქ დარჩენა ამ მშვენიერი ხედის გამო გადაწყვიტა, და კიდევ იმის გამო, რომ თვალწინ თითქოს ხორცშესხმული ღვთაება ედგა. თუმცა ვინ მისცა მშვენიერების ყოველდღიური, ყოველწამიერი ხილვით ტკბობის ან ხილულ ღმერთთან თანაარსებობის ნება? ერთადერთი, სადაც ცხოვრებას იმსახურებდა, ბინძური საღორე ან ბნელი ორმო იყო. გრძელი, მტანჯველი ღამის შემდეგ გახევებული, ატკივებული სხეულით და ამ ტანჯვისგანვე დამშვიდებული სულით, შუქურის ზედა ბაქანზე ავიდა და თვალი მოავლო მზის ამოსვლით გაბრწყინებულ სამყაროს, სადაც ცხოვრების უფლება აღიდგინა. ჰორიზონტს ჩრდილოეთით ჰოგზბექის გრძელი კირქვის თხემი მიუყვებოდა, რომლის აღმოსავლეთ კიდის უკან გილფორდის შვიდი ცათამბჯენის კოშკები იყო წამომართული. მათ დანახვაზე ველური მოიღუპა. მაგრამ დროთა განმავლობაში, ალბათ, მათ ხილვას შეეგუებოდა, რადგან ღამდამობით ცათამბჯენები ხან მხიარულად აციმციმებდნენ შუქების გეომეტრიულ თანავარსკვლავედს, ხანაც პროჟექტორებით უზარმაზარი მანათობელი თითებივით გაკაშკაშებულები, საზეიმოდ მიანიშნებდნენ საიდუმლოებით მოცული ზეცისკენ (ამ ჟესტის მნიშვნელობა თანამედროვე ინგლისში ველურის გარდა არავის ესმოდა). ჰოგზბექისა და შუქურის ქვიშრობი ბორცვის ერთმანეთისგან გამყოფ დაბლობზე მოჩანდა პატნემი – პატარა სოფელი ცხრასართულიანი სახლებით, სასილოსე კოშკებით, მეფრინველეობის ფერმით და ვიტამინი დეს მწარმოებელი პატარა ფაბრიკით. შუქურის მეორე მხარეს კი, სამხრეთისკენ, მიწა მანანის ბარდებით დაფარული გრძელი ფერდობებით ტბებისკენ ეშვებოდა. ტბების რიგს მიღმა, მათ შორის შეჭრილი ტყეების თავზე, ელსტედის თოთხმეტსართულიანი კოშკი იდგა. ინგლისური ნისლით დაბინდული ჰაინდჰედი და სელბორნი მნახველის თვალს რომანტიულ, ცისფერ შორეთში იზიდავდა. თუმცა ველური მხოლოდ შუქურიდან

გადაშლილ შორეულ ხედს არ მოუხიბლავს. შემოგარენი არანაკლებ მიმზიდველი იყო. ტყეები, მანანითა და ჯოჯოს ყვითელი ყვავილით დაფარული სივრცეები, ფიჭვის კორომები, მოელვარე ტბორები ნაპირზე არყის ხეებით, წყლის შროშანებით და ლელქაშის ბარდებით – ეს ყველაფერი მშვენიერი იყო და უნაყოფო ამერიკულ უდაბნოს მიჩვეული თვალისთვის – გასაოცარი. და სიმარტოვე! მთელი დღე ისე გადიოდა, ადამიანის ჭაჭანება არსად იყო. შუქურიდან ჩარინგ-თ კომპამდე ფრენას თხუთმეტი წუთი უნდოდა. და მაინც, მალპასის ბორცვებიც კი არ იყო სარეის მანანის ფერდობებივით უკაცრიელი. ხალხის ბრბო, რომელიც ლონდონიდან ყოველდღიურად მგზავრობდა, ელექტრომაგნიტური გოლფის და ჩოგბურთის სათამაშოდ მიდიოდა. პატნემში სათამაშო მოედნები არ იყო. უახლოესი რიმანის კორტები იყო გილფორდში. აქ ადამიანს მხოლოდ ყვავილები და პეიზაჟი თუ მოიზიდავდა და ამიტომ ჩამოსვლის მიზეზიც არავის ჰქონდა. პირველ დღეებში ველური მარტო იყო და შეწუხებითაც არავინ აწუხებდა. ინგლისში ჩამოსვლისას პირადი ხარჯებისთვის მიღებული ფულის უმეტესი ნაწილი საჭირო ნივთებზე დახარჯა. ლონდონიდან წამოსვლის წინ იყიდა ვისკოზის შალის ოთხი საბანი, თოკი და თასმა, ლურსმნები, წებო, ხელსაწყოები, ასანთი (თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, ცეცხლის მოსაპოვებლად ტალკვის მერე თვითონვე გაეკეთებინა), რამდენიმე ქვაბი და ტაფა, ოციოდე პაკეტი თესლი და ათი კილოგრამი ხორბლის ფქვილი. „და არა სინთეზური სახამებლის და ძენძის სუროგატული ფქვილი“, დაიჩინა ყიდვისას. „იმის მიუხედავად, რომ სუროგატი უფრო ყუათიანია“. მაგრამ როცა საქმე პოლიპორმონულ ორცხობილასა და ვიტამინიზებულ სუროგატულ ხორცზე მიდგა, გამყიდველს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ახლა კი უყურებდა კონსერვის ქილებს და გამოჩენილ სისუსტეს მწარედ ნანობდა. ცივილიზებული საკვების გახსენებაზე გული ერეოდა. გადაწყვიტა, მისთვის პირი არ დაეკარებინა, შიმშილითაც რომ მომკვდარიყო. „ჭკუას გასწავლით“, ნიშნისმოგებით გაიფიქრა. თვითონაც ისწავლიდა ჭკუას. ფული დაითვალა. ცოტა დარჩა, მაგრამ იმედი ჰქონდა, ზამთარს გადაატანინებდა. მომავალ გაზაფხულამდე ბოსტანშიც საკმაო პროდუქტს მოიწევდა გარე სამყაროსგან სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამასობაში შეეძლო თავი ნადირობით გაეტანა. ირგვლივ უამრავი კურდღელი შენიშნა, ტბებში – უამრავი წყლის ფრინველი. და მაშინვე მშვილდის და ისრების გაკეთებას შეუდგა. შუქურის გარშემო მშვილდისთვის იფნის ხეები იზრდებოდა, ისრებისთვის კი – ახალგაზრდა თხილნარი მშვენიერი, სწორი ტოტებით. ჯერ პატარა იფანი მოჭრა, ექვსი ფუტის სიგრძის ღერო ამოკვეთა, ტოტები და ქერქი გააცალა, მერე თანდათანობით, ისე როგორც მოხუცი მიტსიმა ასწავლიდა, მთელი მერქანი შემოათალა, სანამ ხელში თავისივე სიმაღლის ჯოხი არ შერჩა, რომელიც შუა ნაწილში მსხვილი და ხისტი იყო, ხოლო ბოლოებში უფრო წვრილი, მოქნილი და დრეკადი. შრომა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. ლონდონში უსაქმურად გატარებული კვირების შემდეგ, სადაც ყველაფერს, რაც უნდოდა, ღილაკზე თითის დაჭერით ან სახელურის გადატრიალებით იღებდა, ნამდვილი შვება იყო ისეთი რამის კეთება, სიმარჯვეს და მოთმინებას რომ მოითხოვდა. მშვილდის გამოთლა თითქმის დამთავრებული ჰქონდა, როცა უცებ თავისთავი იმაზე დაიჭირა, რომ მღეროდა – მღეროდა! დამნაშავესავით გაწითლდა, თითქოს თავი უეცრად დანაშაულის ადგილზე გამოიჭირაო. აქ გასართობად და სასიძღვროდ ხომ არ მოსულა? აქ იმიტომ დასახლდა, რომ ცივილიზაციის სიბინძურისგან განწმენდილიყო, დანაშაული შრომით გამოესყიდა და ამით გამოსწორებულიყო. შემფოთებულმა გაიანზრა, რომ მუშაობაში ჩაფლულს აღარც კი



გახსენებია თავისი ფიცი, არასოდეს დავიწყებოდა საცოდავი ლინდა და ის ბოროტება, მის მიმართ რომ გამოიჩინა, არასოდეს დავიწყებოდა სასიკვდილო სარეცელთან ტილებივით მოფუთფუთე საძაგელი ტყუპები, იქ ყოფნით არა მარტო მის მწუხარებას და სინანულს, ღმერთის სახელსაც რომ შეურაცხყოფდნენ. დაიფიცა, არასოდეს დავიწყებოდა, დაულალავად ეზრუნა გამოსწორებაზე. ის კი დამჯდარა ბედნიერი, თლის მშვილდ-ისარს და მღერის, მღერის... ადგა, შიგნით შევიდა, მდოგვის კოლოფი გახსნა და ჩაიდანი ცეცხლზე შემოადგა. ნახევარი საათის შემდეგ პატნემის ბოკანოვსკის ერთ-ერთი ჯგუფის სამმა დელტა-მინუს მიწის მუშამ, რომლებიც მანქანით ელსტედისკენ მიდიოდნენ, გორაკის თავზე საოცარი რამ შენიშნა: მიტოვებული შუქურის წინ წელამდე შიშველი ახალგაზრდა კაცი იდგა და ზურგზე დანასკვული თოკისგან გაკეთებულ მათრახს ირტყამდა. მთელ ზურგზე მეწამული ზოლები აჩნდა განივად, ნაიარევებიდან სისხლი სდიოდა. მძლოლმა სატვირთო მანქანა გზისპირზე გააჩერა და უჩვეულო სანახაობას სამივე პირდაღებული მიაჩერდა. დარტყმების დათვლა დაიწყო – ერთი, ორი, სამი. მერვე დარტყმის შემდეგ ახალგაზრდა გაჩერდა, ტყის პირისკენ გაიქცა და გული იძულებით აირია. მერე ისევ შოლტი აიღო და თვითგვემა გააგრძელა. ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი... – ფორდ! – ჩაიჩურჩულა მძლოლმა. – ფ-ო-ორდ! – აღმოხდათ მასსავით თავზარდაცემულ ტყუპებს. სამი დღის მერე რეპორტიორები ისე დაესივნენ, როგორც სვავები მძორს. მშვილდი უკვე მზად იყო, ნედლი ტოტებისგან გაჩაღებულ სუსტ ცეცხლზე გამომშრალი და გამაგრებული. ველური ისრების დამზადებას შეუდგა. თხილისგან ოცდაათი ტოტი გამოთალა და გააშრო, ბუნიკებად ბასრი ლურსმნები ჩაარჭო, ბოლოებზე ჭდეები გაუკეთა გულმოდგინედ. დამით პატნემის მეფრინველეობის ფაბრიკას დაესხა თავს და ახლა იმდენი ბუმბული ჰქონდა მომარაგებული, ისრების მთელ არსენალს ეყოფოდა. სწორედ ისრების ბუმბულებით მორთვის დროს მოვიდა პირველი რეპორტიორი. პნევმატურლანჩიანი ფეხსაცმლით ზურგიდან თავს უჩუმრად წამოადგა. – გამარჯობა, ბატონო ველურო, – მიმართა მან. – მე „საათობრივი რადიოუწყებების“ წარმომადგენელი ვარ. ველური გველნაკბენივით წამოხტა, ისრები, ბუმბულები, წებო და ფუნჯი აქეთ-იქით მიმოიფანტა. – ბოდიშს გიხდით, – რეპორტიორი გულწრფელად შეწუხდა. – არ მინდოდა... – მერე ხელი ქუდზე მიიდო – ალუმინის ცილინდრზე, რომელზეც უსადენო მიმღები და გადამცემი ჰქონდა დამონტაჟებული. – მაპატიეთ, ქუდს ვერ ვიხდი, ცოტა არ იყოს, მძიმეა. როგორც გითხარით, მე „საათობრივი“... – რა გინდა? – ველური ავისმომასწავებლად მოიღუშა. რეპორტიორმა გაუღიმა, აშკარა იყო, მისი გულის მოგებას ცდილობდა. – ჩვენი მკითხველები, რა თქმა უნდა, უდიდესი ინტერესით... – თავი გვერდზე გადახარა, ღიმილი თითქმის კეკლუცი გაუხდა. – სულ რამდენიმე სიტყვა, ბატონო ველურო. – და სწრაფად, სტერეოტიპული შესტების დადგენილი თანამიმდევრობით, წელზე დამაგრებულ პორტატულ ბატარეაზე დახვეული ორი მავთული გახსნა, მაშინვე ალუმინის ქუდში ჩართო ორივე მხრიდან. ქუდზე დამაგრებულ ზამბარას თითი დააჭირა და ჰაერში ანტენები აიჭრა; მერე ქუდის ფარფლის კიდეზე მეორე ზამბარას მიაჭირა ხელი და როგორც ეშმაკი ყუთიდან, ისე ამოხტა თხუთმეტსანტიმეტრიანი მიკროფონი, რეპორტიორის ცხვირწინ დაეკიდა და აქანქარდა. მერე ყურებზე ორი მიმღები ჩამოეკიდა. ქუდის მარცხნივ ხელის დაჭერით ცილინდრში კრაზანას ოდნავ გასაგონი ბზუილი გაისმა. კიდევ ერთ ღილაკზე შეხება ქუდის მარჯვნივ – და ბზუილი ხიხინმა, ფრუტუნმა, სლოკინმა და წრიპინმა შეცვალა. – ალო, – ჩაილაპარაკა რეპორტიორმა მიკროფონში, – ალო, ალო... – ცილინდრში უცებ ზარმა დარეკა. –

ედზელ, შენ ხარ? ლაპარაკობს პრიმო მელონი. ჰო, უკვე ჩემს ხელშია. ახლა ბატონი ველური მიკროფონს აიღებს და რამდენიმე სიტყვას გვეტყვის. არა, ბატონო ველურო? – და ველურს ახედა, ისევ მომხიბვლელი ღიმილით. – ორი სიტყვით უთხარით ჩვენს მკითხველს, აქ რატომ დასახლდით, რამ გაიძულათ ლონდონი (ედზელ, დარჩი ხაზზე!) ასე უცებ დაგეტოვებინათ? და რა თქმა უნდა, მათრახის შესახებ (ველური შეკრთა. მათრახზე საიდანღა იციან?). ცნობისმოყვარეობას ვეღარ ვიოკებთ, ისე გვანტერესებს მათრახის ამბავი. მერე კი ორიოდ სიტყვა ცივილიზაციაზე. მაგალითად, ასე: „რა აზრის ვარ ცივილიზებულ გოგონაზე“. ორი სიტყვით, ბევრს არ... ველურმა თხოვნა უკიდურესი სიზუსტით შეასრულა. ორიოდ სიტყვა წარმოთქვა, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ის სიტყვები, კენტერბერისსიმღერთუხუცესთან შეხვედრაზე უარის ნიშნად ბერნარდს რომ მიაძახა – „ჰანი! სონსესო ცე ნა“! რეპორტიორს მხრებში ხელები ჩაავლო, ზურგით თავისკენ შემოატრიალა (ახალგაზრდა უკნიდან მაცდუნებლად ჩასუქებული აღმოჩნდა), დაუმიზნა და ჩემპიონი ფეხბურთელივით, უაღრესად ძლიერი და ზუსტი დარტყმა განახორციელა. რვა წუთის შემდეგ, „საათობრივი რადიოუწყებების“ ახალი ნომერი უკვე ლონდონის ქუჩებში იყიდებოდა. „სარეის სენ საცია“, მიუყვებოდა სათაური მთელ პირველ გვერდს, „იდუ მალი ველური საათობრივი რადიოუწყებების რეპორტიორს აპანდურებს“. – და არ მარტო სარეის, – გაიფიქრა ლონდონში დაბრუნებულმა რეპორტიორმა ამ სიტყვების წაკითხვაზე. თანაც ძალიან მტკივნეული სენსაცია<sup>1</sup>. მერე ძალიან ფრთხილად დაჯდა და სადილს შეუდგა. კოლეგის კუდუსუნზე განხორციელებულმა გამაფრთხილებელმა დარტყმამ არ შეაშინა ოთხი სხვა რეპორტიორი, რომლებიც „ნიუ იორკ თაიმსს“, ფრანკფურტის „ოთხგანზომილებიან კონტინუუმს“, „ფორდიანული მეცნიერების მონიტორსა“ და „დელტა მიროს“ წარმოადგენდნენ. ამიტომაც სადამოს შუქურას მიაკითხეს, სადაც კიდევ უფრო გამძვინვარებული ველური დაუხვდათ. – შე ბნელო, შე სულელო, – დაუყვირა ფორდიანელმა უსაფრთხო მანძილიდან, თან ხელს უკანალზე იფარებდა. – სომას ვერ დალევ? – წაეთრიე, – ველურმა მუშტი მოუღერა. რეპორტიორმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ველურს ისევ უყვირა. – მიიღე ორი გრამი და ბოროტება ილუზიად იქცევა. – კოჰაკვა იატტოკიაი! – მუქარაში ირონიული ნოტები გაერია. – ტკივილი ილუზიაა. – ახ, ილუზია? – ველურმა თხილის ჯოხს წამოავლო ხელი. „ფორდიანული მეცნიერების მონიტორის“ რეპორტიორი ადგილიდან მოწყდა და ვერტმფრენისკენ კისრისტეხით გაექანა. ამის შემდეგ ველურს ცოტა ხნით მოეშვნენ. თუმცა დროგამოშვებით ვერტმფრენები მაინც მოფრინავდნენ და შუქურას ცნობისმოყვარედ დასტრიალებდნენ თავს. ყველაზე ახლო მყოფს და ყველაზე აბეზარს ველურმა ისარი ესროლა. ისარმა კაბინის ალუმინის იატაკი გახვრიტა, იქიდან ხმამაღალი კივილი გაისმა და მანქანა მაქსიმალური სიჩქარით რაკეტასავით აიჭრა ცაში. ამ ამბის მერე მოფრენილი სხვა ვერტმფრენები შუქურამდე დისტანციას საგულდაგულოდ იცავდნენ. ველური ვერტმფრენების მომაბეზრებელ ბზუილს ყურადღებას არ აქცევდა (თავი მატასკელი გოგონას ერთ-ერთ საქმროდ წარმოედგინა, ფრთოსან პარაზიტებს რომ არ ეპუებოდა) და ბოსტანში მუშაობას შეუპოვრად განაგრძობდა. რკინის პარაზიტებს, როგორც ჩანს, სწყინდებოდათ უაზრო ბზუილი და მალე უკანვე ბრუნდებოდნენ. ცა საათობით ცარიელდებოდა და სრულ სიჩუმეს მხოლოდ ტოროლას გალობა არღვევდა. ცხელი დღე იყო, დახუთული, ჰაერში ჭექა-ქუხილის სუნი იდგა. ველური მთელი დილა თოხნიდა, მერე დასასვენებლად იატაკზე წამოწვა. და უცებ ლენინა დაუდგა თვალწინ, ძალიან ცხადად, შიშველი, ხელშესახები.

„საყვარელო, მომეხვიე!“ – ფეხსაცმელებსა და წინდებში, სუნამონაკურები. ურცხვი კახა! მაგრამ ოოო, ეს მკლავები კისერზე, ეს აბურცული მკერდი, ტუჩები! ეს კოცნა, ეს მზერა – მარადისობა იყო... ლენინა... არა, არა, არა! ფეხზე წამოხტა, და ისე, როგორც იყო, ნახევრად შიშველი, სახლიდან გავარდა. მანანით დაფარული მინდვრის განაპირას ვერცხლისფერი ღვიის ბუჩქნარი ხარობდა. მკერდით ღვიაზე დაეცა და ნაზი, სასურველი სხეულის ნაცვლად მკლავებში ეკლიანი ტოტები მოიქცია. ბასრმა წვეტებმა სხეული დაუჩხვლიტა. შეეცადა საცოდავ ლინდაზე ეფიქრა, სუნთქვაშეკრულზე და დამუნჯებულზე, მის დაკრუნჩხულ თითებსა და აუტანელი ტკივილით სავსე თვალებზე. საბრალო ლინდაზე ეფიქრა, არასოდეს დავივიწყებო, რომ დაიფიცა. მაგრამ მის წარმოსახვას ლენინა დაუფლებოდა მთლიანად. ლენინა, რომელიც უნდა დაევიწყებინა – თავის თავს ხომ მისცა ამის პირობა. ღვიის ეკლებით დასერილი, დატანჯული ხორცი კი მაინც მის სხეულს ითხოვდა, ცოცხალს, ისეთს, თავს რომ ვერასოდეს დააღწევდა. „ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო... თუ შენც გინდოდა ჩემთან, დღემდე რატომ არაფერს“... მათრახი ლურსმანზე ეკიდა, კარს უკან, დაუპატიჟებელი სტუმრებისთვის მომზადებული. გამძვინვარებული ველური სახლში შევარდა, მათრახი ჩამოიღო, მოიქნია. სხეულზე კვანძებად დაგრებილი თოკის კვალი დააჩნდა. – ავხორცი, მეძავი! – ყვიროდა ყოველ დარტყმაზე, თითქოს ლენინა იყო (და თანაც გაგიჟებით, თუმცა გაუცნობიერებლად, უნდოდა, რომ ის ყოფილიყო), თეთრი, თბილი და სურნელოვანი, ურცხვი ლენინა, რომელსაც ასე უსწორდებოდა. – ავხორცი! – მერე სასოწარკვეთილმა განაგრძო, – ო, ლინდა, მაპატიე. დმერთო, მაპატიე ჩემი ბოროტება, ჩემი უზნეობა. ჩემი... არა, არა, შენ მეძავი ხარ, მეძავი! შუქურიდან სამასიოდე მეტრის დაშორებით ტყეში საგულდაგულოდ მოწყობილი სამალავიდან ყველაფერ ამას უყურებდა დარვინ ბონაპარტე, სენსოფილმების კორპორაციის ყველაზე გამოცდილი, მსხვილ მსხვერპლზე დაგეშილი ფოტომონადირე. ბოლოს და ბოლოს დაუფასდა მოთმინება და სიმარჯვე. სამი დღე გაატარა ხელოვნური მუხის კუნძის ფულუროში მჯდომმა, სამი დამე ხოხავდა მუცელზე მანანით დაფარულ მინდორზე, მიკროფონებს ღვიის ბუჩქებში მალავდა და მავთულებს წვრილ, რუხ ქვიშას აყრიდა. უკიდურესი დისკომფორტის სამოცდათორმეტი საათი. მაგრამ აი, დადგა იღბლიანი წუთი – დარვინ ბონაპარტეს ფიქრის დროც კი ჰქონდა, სანამ აპარატურას აწყობდა – ყველაზე იღბლიანი წუთი მას შემდეგ, რაც მან სახელგანთქმული ყმუილისფონოგრამიანი სტერეო-სენსოფილმი „გორილების ქორწილი“ გადაიღო. „მშვენიერია“, ჩაილაპარაკა, როდესაც ველურის განსაცვიფრებელი სპექტაკლი დაიწყო. „მშვენიერია“! და უდიდესი მონდომებით დამიზნებული ტელესკოპური კამერები მოძრავ ობიექტზე მიმართა. მერე დიდ სიმძლავრეზე გადაიყვანა ველურის ტკივილისგან შეშლილი სახის მსხვილი პლანით გადასაღებად (არაჩვეულებრივია!). ნახევარი წუთით შენელებული რეჟიმი ჩართო (დარწმუნდა, რომ კომიკური ეფექტი ძალიან დახვეწილი იყო), თან ყურს უგდებდა დარტყმებს, ოხვრას, ველურ ბოდვას – კინოფირის ბგერის ბილიკის განაპირას რომ იწერებოდა, მათი ოდნავ გაძლიერება სცადა (დიახ, ეფექტი ასე აშკარად უკეთესია). დროებითი სიჩუმის შუალედში აღტაცებულმა ჩაიწერა ტოროლას წკრიალა ხმა. გაიფიქრა, რომ ამ ფონზე ველურის ახლოდან გადაღებული სისხლიანი ზურგი ძალიან შთამბეჭდავი იქნებოდა. ამის გაფიქრება იყო და როგორ გაუმართლა! ველური ზურგით მისკენ მიბრუნდა (რა გულისხმიერებაა!) და არაჩვეულებრივი მსხვილი პლანის გადაღების საშუალება მისცა. – გრანდიოზულია! – უთხრა თავის თავს, როცა გადაღება დაასრულა. – მართლაც

გრანდიოზული! – ოფლიანი სახე შეიმშრალა. სტუდიაში შეგრძნებით ეფექტებსაც დაამატებენ და არაჩვეულებრივი ფილმი გამოვა. „კაშალოტის ინტიმურ ცხოვრებაზე“ ნაკლები არ იქნება, გაიფიქრა დარვინ ბონაპარტემ, ამით კი, ფორდია მოწმე, ყველაფერია ნათქვამი! თორმეტი დღის შემდეგ „სარეის ველური“ ტრიუმფით გამოვიდა დასავლეთ ევროპის პირველი კლასის სენსო-კინოთეატრების ეკრანებზე, სადაც მისი ნახვა, მოსმენა და შეგრძნება უკვე ყველას შეეძლო. დარვინ ბონაპარტეს ფილმმა გამოსვლისთანავე კოლოსალური გავლენა მოახდინა. პრემიერიდან მეორე დღესვე, სადამოხანს, ჯონის პასტორალური მარტოობა ვერტმფრენების უზარმაზარმა ურდომ დაარღვია. ბაღში მიწას ამუშავებდა, ამუშავებდა საკუთარ სულსაც – ფიქრს დაულალავად ატრიალებდა გონებაში. სიკვდილი – და ნიჩაბი ღრმად ჩავიდა მიწაში, ერთხელ, კიდევ ერთხელ. „გუმინდელთა დღეთ უგუნურებს გზა გაუნათეს მიწად გარდამქცევ სიკვდილამდე“.1 ამ სიტყვების დასტურად სადღაც დაიჭექა. მიწის კიდევ ერთი ბელტი ამოატრიალა. რატომ მოკვდა ლინდა? რატომ აქციეს თანდათანობით პირუტყვად, ბოლოს კი... გააჟრჟოლა. ლეშად, თვითონ მზეც რომ არ ერიდება.2 ნიჩაბს ფეხი გააფთრებით დააჭირა, ღრმად ჩაიყვანა მიწაში. „ღმერთნი ჩვენ ისე გვექცევიან, ვით ბავშვნი ბუზებს: გვტანჯვენ იგინი და იმითი შეექცევიან“.3 ცაში ისევ დაიჭექა; ეს სიტყვები სიმართლეს ღაღადებდა – როგორღაც თვით სიმართლეზე უფრო მართალი. თუმცა გლოსტერმა ღმერთებს მარად სათნო თავადვე უწოდა. თანაც, „ძილია შენთვის საუკეთესო დასვენება, და იმიტომაც იძინებ წამდაუწუმ; მაგრამ სიკვდილი ძლიერ გაშინებს, ის კი ძილის მეტი არაფერია“.4 ძილის მეტი არაფერი. ძილი. და, ალბათ, სიზმრების ხილვა. ნიჩაბი ქვას წამოედო. ქვის ასაღებად დაიხარა. სიკვდილისგან დაძინებულებს რა გვესიზმრება?.. თავს ზემოთ ზუზუნს ღრიალში გადაიზარდა. და უცებ ჯონი უზარმაზარ ჩრდილში მოექცა, რომელმაც მზე დაფარა. შეკრთა, ფიქრებიდან გამოერკვა, მიწის თხრას მოეშვა და ზემოთ აიხედა; აიხედა დაბნეულმა, გონებით ისევ იმ მართალზე მართალ სამყაროში მყოფმა, ისევ სიკვდილისა და ღმერთის უსაზღვროებაზე ფიქრში ჩაფლულმა. აიხედა და თავსზემთ, ძალიან ახლოს, ცაში გამოკიდებული ვერტმფრენების გუნდი დაინახა. კალიებივით მოსდებოდნენ ზევას, ეკიდნენ მზადყოფნაში, მის გარშემო ეშვებოდნენ მანანის მინდორზე. და ამ გოლიათი კალიების მუცლებიდან გადმოდიოდნენ მამაკაცები თეთრი ვისკოზური ფლანელის კოსტიუმებში და ქალები აცეტატჩესუჩის კომბინეზონებში ან პლისე შორტებსა და უსახელო, მოხდილ მაისურებში (ცხელი ამინდი იყო) – თითოდან თითო წყვილი. რამდენიმე წუთში უკვე ათეულობით მოგროვდნენ, ფართო წრე შეკრეს შუქურის გარშემო, ველურს უყურებდნენ, იცინოდნენ, ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ და (ისე, როგორც მაიმუნს) თხილს, საღეჭ რეზინას და პოლიჰორმონულ ორცხობილას უყრიდნენ. მათი რიცხვი კი – ჰოგზბექის თხემის გარდიგარდმო ვერტმფრენების უწყვეტი ნაკადის გამო – წუთიერად იზრდებოდა. ნამდვილი კომშარი იყო – ათეულები ასეულებად იქცა. ველურმა უკან დაიხია. მემბარაი ძაღლებით გარშემორტყმული ნადირივით, ზურგით შუქურის კედელს მიყრდნობოდა და თავზარდაცემულს უსიტყვოდ გადაჰქონდა მზერა ერთი სახიდან მეორეზე, თითქოს ჭკუიდან შეიშალაო. გაოგნებული მდგომარეობიდან რეალობაში კარგად დამიზნებულმა სექსპორმონული საღეჭი რეზინის პაკეტმა დააბრუნა, რომელიც ლოყაზე მოხვდა. უეცარი ტკივილისგან გამოერკვა. გამოერკვა და მრისხანებამ შეიპყრო. – აქედან წათერით! – დაიყვირა. მაიმუნმა დაილაპარაკა. გაისმა სიცილი და აპლოდისმენტები. – ყოჩაღ, ველურო! ვაშა! ვაშა! – და ღრიანცელსა და ალიაქოთში შემოესმა: – მათრახი,

მათრახი, მათრახი! თხოვნა დააკმაყოფილა – კარს უკან ლურსმანზე ჩამოკიდებული განასკვულოთოვებიანი მათრახი ჩამოხსნა და თავის მტანჯველებს მოუღერა. ბრბოდან მოწონების შეძახილი გაისმა, ირონიული შეძახილი. ველური მათკენ ავისმომასწავებლად დაიძრა. ერთმა ქალმა შიშისგან წამოიკვილა. იმ ადგილას, რომელსაც ველურმა შეუტია, მაყურებელთა რკალი შედრკა, მერე ისევ გამაგრდა, გამყარდა. საკუთარი უმრავლესობით გამოწვეული ძალის შეგრძნებამ ღირსშესანიშნაობათა მოყვარულებს ისეთი სიმამაცე შესძინა, ველური მათგან რომ არ მოელოდა. შეცბა, შეჩერდა, მიმოიხედა. – თავს რატომ არ მანებებთ? – რისხვაში გულისმომკვლელი სევდა იყო გარეული. – გინდა მაგნიუმისმარილიანი ნუში? აიღე! – მიმართა ყველაზე ახლოს მდგომმა კაცმა და პაკეტი გაუწოდა. – იცი, რა გემრიელია? – დაამატა შემრიგებლური ღიმილით, თუმცა ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. – მაგნიუმის მარილები ახალგაზრდობას შეგინარჩუნებს. ველურმა პაკეტს არც კი დახედა. – რა გინდათ ჩემგან? – იკითხა და მაყურებლების სიცილისგან დამანჭულ სახეებს მოავლო თვალი. – რა გინდათ ჩემგან? – მათრახი, – ჯერ აქა-იქ, უწესრიგოდ გაისმა ბრბოდან. – გაშოლტვის ნომერი გვიჩვენე. გაშოლტვა გვიჩვენე! მერე უნისონში რიტმულად, ძალიან ნელა, მძიმედ, – შოლ-ტი გვინ-და, – აყვირდა რიგის ბოლოში მდგარი ჯგუფი. – შოლ-ტი გვინ-და. დანარჩენებმა ფრაზა უცებ აიტაცეს, თუთიყუშებივით დაიწყეს გამეორება, უფრო და უფრო ხმამაღლა და მეშვიდე-მერვე ჯერზე უკვე მთელი ბრბო სკანდირებდა, „შოლ-ტი გვინ-და“. ყველა ერთად ყვიროდა. ხმაურით, ყაყანით, რიტმული ერთიანობით თავბრუდახვეულებს ასე გაგრძელება, ალბათ, საათობით შეეძლოთ. მაგრამ სადღაც ოცდამეხუთე გამეორებაზე სკანდირება მოულოდნელად ჰოგზბექის მხრიდან კიდევ ერთი ვერტმფრენის მოსვლამ შეწყვიტა, რომელიც ჯერ ბრბოს თავზე დაეკიდა, მერე კი ველურისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით, მაყურებლების რკალსა და შუქურას შორის დაეშვა. პროპელერის ღრიალმა ხალხის ხმა წუთიერად გადაფარა. მაგრამ როგორც კი მანქანა მიწას შეეხო და ძრავა გაჩერდა, გაისმა: – შოლ-ტი გვინ-და, შოლ-ტი გვინ-და, – ისევ ხმამაღლა, დაჟინებით და მონოტონურად. ვერტმფრენის კარი გაიღო. კაბინიდან ჯერ ქერა, ლოყებლაჟღაჟა ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა, მერე კი მწვანე პლისირებულ შორტებში და თეთრ პერანგში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, თავზე ჟოკეის კეპით. ქალის დანახვაზე ველური შეკრთა, გაფითრდა, უკან დაიხია. ქალი კი იდგა და უღიმოდა – გაუბედავი, მავედრებელი, საცოდავი ღიმილით, რამდენიმე წამის განმავლობაში. აი, ტუჩები აამოდრავა, რაღაცას ამბობს, მაგრამ ხმა ბრბოს აღტყინებულ ღრინცელში ინთქმება. – შოლ-ტი გვინ-და! შოლ-ტი გვინ-და! ახალგაზრდა ქალმა ორივე ხელი მკერდზე მიიღო, მარცხენა მხარეს და მის ატმისფერ, თოჯინასავით ლამაზ სახეზე ამ სახისთვის უცნაურად შეუსაბამო უსასრულო მწუხარება გამოიხატა. ცისფერი თვალები თითქოს უფრო გაუფართოვდა და გაუბრწყინდა. და უცებ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ისევ ლაპარაკი განაგრძო გაუგებრად. მერე სწრაფი, მგზნებარე მოძრაობით ხელები ველურისკენ გაიწოდა და მისკენ ნაბიჯი გადადგა. – შოლ-ტი გვინ-და! შოლ-ტი... და უეცრად სწორედ ის მიიღეს, რაც სურდათ. – გარყვნილო! – ველური ქალს გიჟივით მივარდა. – მეძავო! – და ნასკვებიანი შოლტი გაშმაგებით გადაუჭირა. თავზარდაცემულმა ქალმა გაქცევა სცადა, მაგრამ წაიბორძიკა და მანანის ბარდებზე წაიქცა. – ჰენრი, ჰენრი! – ყვიროდა. მაგრამ მისი ლოყებლაჟღაჟა თანამგზავრი ხიფათს სასწრაფოდ გარიდებოდა და ვერტმფრენის უკან იყო დამალული. მაყურებლის არკალი გაიპო და ძირითადი ატრაქციონის მიზიდულობის ცენტრისკენ ყველა ერთად გაეშურა აღტაცებული

ყიჟინით. ტანჯვა იყო შემზარავი და მომაჯადოებელი. – „ითუხთუხე, გარყვნილებაჲ, ითუხთუხე“! – გაცოფებულმა ისევ შოლტი გადაუჭირა. ხალხი დამშეულივით შემოერთყა გარს, ერთმანეთს აწვებოდნენ და თელავდნენ, როგორც გობთან მისეული ღორები. – ოჰ, ეს ხორცი! – ველურმა კბილები გააღრჭიალა. მათრახი ახლა მის მხრებზე დაეშვა. – ამომანთე, გაანადგურე, მოკალი! საშინელი ტანჯვის ცქერით მონუსხული, კოლექტივიზმის სულით შეგულიანებული და ჰიპნოპედიით სამუდამოდ ჩანერგილი ერთიანობის წყურვილით შეპყრობილი ბრბოსთვის ველურის სიშმაგე გადამდები აღმოჩნდა. მისი წაბაძვით ისე დაუწყეს ერთმანეთს ცემა, როგორც ველურმა, რომელიც ხან საკუთარ ამბოხებულ სხეულს ურტყამდა მათრახს, ხან კი ბიწიერების ხორცსავსე განსახიერებას, მის ფეხებთან რომ იკრუნჩხებოდა. – მოკალი, მოკალი, მოკალი! – ველური არ ცხრებოდა. მერე უცებ ვიღაცამ „ორგი-პორგი“ წამოიწყო, მოტივი წამსვე აიტაცეს, ყველა ერთად ამღერდა და აცეკვდა. ორგი-პორგი, ორგი-პორგი, ერთი წრე, მეორე, მესამე, ხელების ექვსი მერვედის რიტმში ტყაპუნდი... ორგი-პორგი... ორგი-პორგი... ბოლო ვერტმფრენი ნაშუადამევს გაფრინდა. სომით გაბრუებული, წრეგადასული, გაჭიანურებული ორგისგან არაქათგამოცლილი ველური მანანის ბარდებში იწვა და ეძინა. მზე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა გაეღვიძა. ერთხანს იწვა, თვალებს ბუსავით აფახულებდა გაოგნებული. მერე უეცრად გაახსენდა – გაახსენდა ყველაფერი. – ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – წამოიძახა და თვალეებზე ხელები აიფარა. სადამოხანს ჰოგზბექის მხრიდან ათკილომეტრიანი შავი ღრუბელივით წამოვიდა ვერტმფრენების ურდო. ინფორმაცია წინა ღამის ერთიანობის ორგის შესახებ ყველა გაზეთმა დაბეჭდა. – ველურო! – დაიყვირეს პირველი ვერტმფრენიდან გადმოსულებმა. – ბატონო ველურო! პასუხი არავის გაუცია. შუქურის კარი ოდნავ იყო ღია. კარს ხელი ჰკრეს და ბინდბუნდში შეაბიჯეს. ოთახის ბოლოს, თაღოვან გასასვლელში ზედა სართულებისკენ მიმავალი კიბის ქვედა საფეხურები ჩანდა. ზუსტად თაღის რკალის ქვეშ ორი მოქანავე ტერფი ეკიდა. – ბატონო ველურო! ნელა, ძალიან ნელა, აუჩქარებლად, როგორც კომპასის ისრები, ტერფები მარჯვნივ მიტრიალდნენ. ჩრდილოეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთი. მერე შეჩერდნენ, შეყოვნდნენ და რამდენიმე წამში ძალიან ნელა, აუჩქარებლად მობრუნდნენ ისევ მარცხნივ. სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი...